



ლამარა გერგელავა

ლიტერატურული
მოზაიკა

ღამასა გერგედავა

ლიტერატურული მოზანიკა



**გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2012**

ანოტაცია

„ლიტერატურული მოზაიკის“ მთავარ სათქმელს მაღალი ადამიანური ფასეულობებისათვის ბრძოლა წარმოადგენს.


ერთმანეთისაგან თემატიკით განსხვავებული ბევრი მოთხრობა, მინიატურა, ჩანახატი და დღიური, ქმნის ლიტერატურულ მოზაიკას. სამოქმედო არეალი კი წარმოსახვითი, იდეალური თუ რეალური სამყაროა.

რედაქტორი — **ლუარა სორდია**
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

© ლ. გერგედავა, 2012
გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2012

თბილისი, 0179, 0. შავჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-17-851-1



h.v.p
2012.8.

6

6

ყირამალა..

სანამ გაკვეთილზე შესვლის ზარი დაირეკებოდა, საკლასო ოთახის პირდაპირ, ფანჯარასთან დავდექი. ვინრო, ხმაურიანი დერეფანი მაშორებდა უცნობ მოსწავლეებს.

დაირეკა.

ხორხოცის, ღრიანცელის, გრუხუნისა და სიცილ-ტირის ნარევი აურზაურში არავის გაუგია ჩემი შესვლა. ყირამალა მდგარი კლასის შუაგულში ვიდექი მხრებანურული და არ ვიცოდი, რა მომეფიქრებინა. წამიერად, უმწეოდ ჩამოვუშვი ხელები.

— ე, ეს ვინ არის... – ვილაც შეეცადა სხვებსაც შეემჩნიათ ჩემი გაურკვეველი მზერა და უმწეობა, მაგრამ არავინ დაინტერესებულა მატულობდა ხმაური და მეც მოთმინების ფიალა მევსებოდა.

— ღმერთო ჩემო! – წამოვიყვირე.

შემოტრიალდნენ. ყველა გაშეშდა. გაცხებულმა ონავრებმა მზერა ახლა ჩემკენ გადმოიტანეს. სრული სიჩუმეა.

— რატომ გაჩუმდით?! ეგ ჩემი ემოცია თქვენ არ გეხებოდათ... მე... უბრალოდ... ბელ კაუფმანი გამახსენდა...

— ეგ ვინ არის? – დამცინავად წამოიძახა ერთმა და ქალაღდის თვითმფრინავი აუშვა.

— თანამედროვე ამერიკელი მწერალია... მასწავლებლად მუშაობდა...

— ვიცი!.. ახლა სხვამ წამოიძახა – მან დანერა „წერილი ჩემს განსვენებულ მასწავლებელს“... კაუფმანი სპეციალურად გაიხსენეთ... თქვენ ჩვენი ყურადღების მოპყრობა გსურთ...

ყველანი თავიანთი ადგილებისკენ გაემართნენ უხასიათოდ, მერე შემომაჩერდნენ. უნებლიეთ მზერა იმ ბიჭისკენ გამექცა, რომელმაც კაუფმანის „წერილის“ სათაური მიკარნახა. „ან ინდიგოა, ან, უბრალოდ, ნიჭიერი“... ცქმუტავს, ვერ ისვენებს, გამომცდელად შემომყურებს...

— თქვენ... რაკი წაგიკითხავთ ... გეხსომებათ, რომ კაუფმანი 20-იანი წლების სკოლას...

— 60-70-იანი წლებისას ადარებს... მოგვითხრობს, რომ შეიცვალა ყველაფერი მისი მოსწავლეობის შემდეგ... ისე...

უკაცრავად... საუბარი შეგანწყვეტინეთ, მაგრამ... მე ვიცი, რისი თქმა გსურთ...

— განაგრძეთ, თუ შეიძლება, - მივმართე თხოვნით - კარგად, საინტერესოდ ყვებით, მოგისმენენ, სხვებს ეტყობათ, რომ წაკითხული არა აქვთ...

ბიჭმა საქმიანი იერი მიიღო, დადინჯებული, ჩაფიქრებული სახით, გამოემართა დაფისკენ. ის მოგვითხრობს ტექსტის შინაარსს, სხვები უსმენენ... კლასში სიჩუმეა, მხოლოდ კაუფმანის „წერილიდან“ გვესმის მონაკვეთები. თხრობა რომ დაასრულა, მადლობა გადავუხადე. თავისი ადგილი დაიკავა, მერე ფანჯრისკენ გაიხედა, სადღაც შორს, თითქოს დასალიერში, გადასახლდა წამით.

— დაწერეთ სკოლაზე, ან მასწავლებელზე ესე, ან თუ გნებავთ, საშინაო დავალებად წარმოადგინეთ რაიმე თხზულება თავისუფალი აზროვნების ნიმუში, წერილი... მივმართე კლასს.

— ჩვენ არასდროს არ ვწერთ დავალებებს!... – ისევ ის ბიჭი... რამდენიმე წუთის წინ კაუფმანის წერილზე რომ გვესაუბრებოდა.

— თუ არ წერთ... ახლა დავინყოთ დავალებების შესრულება! – ხმაში სიმკაცრის ტონი შემეპარა – მე დროებით ვცვლი თქვენს მასწავლებელს...

ზარი დაირეკა და გაცვივდნენ, ვერც მოვასწარიერ თმანეთი გაგვეცნო, გაკვეთილი უჩვეულოდ დაიწყო და ასევე დამთავრდა. ყველა იმედი მეორე დღეზე დავამყარე. მე-თოდი, პროგრამა, გაცნობა... ვინ იცის, რა არ წარმომიდგა თვალწინ...

მეორე დღეს არც აურზაური დამხვედრია, არც ყირამალა იდგა კლასი, არც ჩემი შესვლა გამოჰარვიათ. ყველა ჩემს მცდელობას, რომ მეთოდურად ამეგო გაკვეთილი, გამომცდელოდ და უინტერესოდ შეჰყურებდნენ. „რა საჭიროა?“ მეკითხებოდნენ თვალებით.

— რომელიმემ დავალება შეასრულა? – მათი გამომცდელი და უინტერესო მზერა ახლა მტრულმა გამომეტყველებამ შეცვალა. დუმილია. საყვედური არ დამცდენია.

— მაშინ... დღეს მე ვისაუბრებ... მერე... ჩვენ... ყველანი ერთად... ალბათ, ხვალიდან... თუ არ იცით, როგორ შეასრულოთ დავალებები, არაუშავს, ვისწავლით...

ვსაუბრობდი, ზოგჯერ ვხუმრობდი, ვცდილობდი როგორმე საინტერესოდ გამომსვლოდა ყველაფერი, მაგრამ მიუხედავად დიდი მცდელობისა, დამემეგობრებინა მოსწავლეები, მაინც დიდად არ განსხვავდებოდა დღევანდელი დღე წინანდელისაგან. საგონებელში ჩავვარდი, რა ხდება?

მესამე დღიდან კლასს ერთი მოსწავლე აკლდა, ის ბიჭი, რომელსაც კაუფმანი ნაკითხული ჰქონდა. არც შემდეგ გამოჩენილა, რადგან ავად იყო. მთხოვეს ინდივიდუალური გეგმა შემედგინა, მასთან შინ მევლო და გაკვეთილები მანამ ჩამეტარებინა, სანამ თვითონაც არ გამოჯანმრთელდებოდა და მისი პედაგოგიც სამსახურში არ გამოცხადდებოდა.

კარი ბიჭუნამ გამიღო.

— გამარჯობა! მშობლები...

— არ არიან... მუშაობენ...

— მე...

— ვიცი, თქვენ, ალბათ, ინდივიდუალური გეგმა შეადგინეთ ჩემთვის და გაკვეთილებს ჩამიტარებთ...

— საიდან იცი ეს ყველაფერი?

— მივხვდი... ასე ხდება ხოლმე...

„მეშვიდეკლასელი ბიჭუნასგან, მგონი, მეტისმეტი მიხვედრილობაა“.

— დაბრძანდით!.. ინდიგოს მეძახიან...

— ესე იგი, ასე მოგმართო?

— როგორც ჩანს... — თქვენ, ალბათ, გაინტერესებთ ყველაზე მეტად რისი შესწავლა მიჭირს, რა არ ვიცი...

— ყოჩაღ, მიმიხვდი, ეგ მინდოდა მეკითხა.

— მე ვერ ვნერ ესეს, არ ვიცი რანაირია ის... არც თავისუფალი თხზულება დამინერია არასდროს, ამიტომაც, თქვენი დავალება არ შემისრულებია.

— ვისწავლით, ნიმუშებსაც მოვიტან და წავიკითხოთ.

— ოღონდ მწერლებისა და პოეტების დაწერილი არა!..

— მამ, შენი თანატოლებისა?..

— არა!.. თქვენ უნდა დაწეროთ... ყოველდღე.

— მე?.. მერე?..

— მოიტანთ, წავიკითხავთ, ვიმსჯელებთ. მერე აქ დატოვებთ და... როდესაც ყველა გაკვეთილი დამთავრდება, დაიბრუნებთ...

— ასე არ ხდება ხოლმე...

— ჩვენ, მოსწავლეებს, ზოგჯერ გვავალებენ იმას, რისი შესრულებაც თვითონ მასწავლებლებს არ შეუძლიათ... თქვენ, შეგიძლიათ დაწეროთ ესეები, თხზულებები, ფიქრები, მოგონებები?... მოთხრობების დაწერა?..

ინდიგომ ნიშნისგებით გადმომხედა.

— დიახ, შემიძლია... – შეცბუნებული, დაბნეული შევეყურებ – მაგრამ, ყოველდღე რომ ჩემი ნაწერები წარმოგიდგინო, ამას არ ითვალისწინებს პროგრამა...

— თქვენ მე უკვე გითხარით, რაც მიჭირდა, ესე იგი, მიზანშეწონილიც იქნება ყველაზე მეტი ყურადღება ჩემს წერით მეტყველებას დაუთმოთ...

ნამით ყოყმანი შემეტყო, მაგრამ ინდიგოს ეჭვიან მზერას ვერ გაფუძელი: „ესე იგი, ვერ წერთ, ჩემს დავალებას ვერ ასრულებთ...“ გადანყვეტილება უცებ მივიღე:

— ესე იგი... ჩვენი როლები შეიცვალა?

ინდიგომ შვებით ამოისუნთქა და მითხრა:

— დავიწყოთ დავალებების შესრულება, ხვალიდან... წინადადებაცა და სიმკაცრის ტონიც მეცნო... ამკარად, ან სამაგიეროს მიხდიდა, ან ცნობისმოყვარეობა ამოქმედებდა.

ყველა ესე, მოგონება, ჩანახატი, რომელსაც წიგნში წაიკითხავთ, ინდიგოს დავალებით შესრულდა. საკმაოდ მკაცრი „მასწავლებელი“ გამოდგა. ვკითხულობდი, ის კი განსჯიდა ხოლმე ჩემს ნამუშევარს, ზოგჯერ ნაშრომის დაცვაც მიწევდა... მერე ნაწერს ვტოვებდი მაგიდაზე და შემდეგი დღისთვის გულმოდგინედ ვემზადებოდი, ამ ე.წ. განამაწიას, რასაკვირველია, პროგრამული მასალის შესწავლაც ერთვოდა, აქაც, ცნობისმოყვარე ბიჭუნა, თავისებურად, ათასგვარი შეკითხვით გამოცდას მიტარებდა, იძულებულს მხდოდა მცოდნოდა უფრო მეტი, ვიდრე თავისი შესასწავლი მასალა ითვალისწინებდა. ერთ დღეს, აღმოვაჩინე, რომ ინდიგოსთან ერთად მეც ვსწავლობდი, ვწერდი, ვშრომობდი, ზღვარი წაიშალა თითქოს და ერთმანეთისგან არა ასაკითა და სოციალური მდგომარეობით დაშორებული, არამედ ორი თანასწორუფლებიანი მოსწავლე მუშაობდა ბეჯითად...

შეთანხმებისამებრ, ჯერ ჩემი ნამუშევრები უნდა წამეკითხა ბიჭუნასთან, რამდენიმე ნიმუშისა და, პარალელურად, ჩემ მიერ თანდართული სათანადო რეკომენდაციების მოსმენის შემდეგ, ჩვენი როლები შეიცვლებოდა... ის წაიკითხავ-

და თავის ნაშრომებს, მე მოვუსმენდი. ოღონდ, გარკვეული დროის გასვლის შემდეგ.

დიდი სიფრთხილითა და გულმოდგინებით, ჯერ შინ ვწერდი, მერე სვენებ-სვენებით ვუკითხავდი და თვალს ვაპარებდი მოსწავლისკენ, მაინტერესებდა, რა შთაბეჭდილებას ახდენდა მასზე მოსმენილი მასალა, მაგრამ ვერაფერს ვხვდებოდი, არც აღტაცებას, არც გაკვირვებას, არც სიხარულს, მოწონებასა და უკმაყოფილებას გამოხატავდა, მხოლოდ ეგ იყო, რომ ზოგჯერ მომდევნო „დავალების“ სათაურს თვითონ მისახელებდა, ბოლოს, როდესაც ჩემი ყველა ნაწერი უკვე ნაკითხული ჰქონდა, საერთო სათაურიც შეურჩია და „ლიტერატურული მოზაიკა“ უწოდა.

თუმცა, ერთი რამ დამავინწყდა თქვენთვის მეთქვა. ინდიგომ, ერთ დღეს, ძაფი შემოიტანა ოთახში, გაკვირვება შემატყუო, ოქროსიაო მითხრა, თქვენს „დავალებებს“ ავკინძავ და ოთახის შემოსასვლელთან დავკიდებ, რათა ყველამ ნახოს, მერე ნაიკითხოს და აზრიც გამოთქვას, განა კლასში მასწავლებლები ასე არ იქცევიან? არაფერი ვუპასუხე, ჩემი გაოცება მატულობდა... მერე, ინდიგოს, ვაჟა-ფშაველას დედის სიზმარი მოაგონდა, ამაზე პოეტი თავის დაუმთავრებელ ავტობიოგრაფიაში, „ჩემი ნუთისოფელი“, წერს. თურმე, ვაჟა-ფშაველას დედას, ივრის ხეობაში, სოფელ სხლოვანში, ბიძაშვილ ქალთან ერთად ეძინა დერეფანში. შუალამისას მოესმა ხმაური, წამოჯდა, დაინახა ცხად-მოჩვენება, ცა იყო განათებული, ორი ოქროსფერი ჯაჭვი ჩამოშვებულიყო, ერთმანეთზე გადაბმული, ერთი ქიაურის, მეორე – სხლოვანის გორიდან. მასზე ცეცხლის ბაღლები ადიოდნენ, ჩამოდრიოდნენ და გალობდნენო.

— ეეჰ, - ამოვიოხრე მე, — შენი ოქროს ძაფი, ნუთუ, გინდა იმ ჯაჭვს დაემგვანოს.

ჩემს წინადადებაზე ბიჭმა მოიწყინა.

ინდიგომ ახლა ახალი რამ წარმოთქვა: სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკების კრებულში „სიბრძნე სიცრუისა“ ყველა იგავს აქვს დამოუკიდებელი არსებობის საშუალება, მაგრამ ერთ სიუჟეტზე ხომ არის ასხმული?

განზე ვიყურები უკმაყოფილოდ, ინდიგოსაც ოქროს ძაფი უხერხულად უჭირავს, თან მზერა შემოსასვლელისა-

კენ გაურბის, ვხვდები, რომ მას სურს აკინძოს, კრილოსანი-
ვით, მოზაიკის ფერებს დამგვანებული ჩემი „დავალეები...“

— ძალიან ლამაზი ძაფია... ბრწყინავს, ზღვაზე განო-
ლილ ოქროს ბილიკს ჰგავს, — გამოვართვი ინდიგოს იგი და
ყურადღებით დავათვალიერე — ტვირთს გაუძლებს?.. ინდი-
გომ ეჭვით შემათვალიერა, მაგრამ მაინც, თანხმობის ნიშ-
ნად, თავი დამიქნია.

— იცი ვის ჰგავს?

— ძაფი?

— ჰო, აფრედერიკ მეს...

— ვინაა?..

გურამ დოჩანაშვილის მოთხრობის პერსონაჟია.

— რით ჰგავს?

— მხატვრული ტექსტის ეპიზოდებს კრავს, აკავშირებს
ერთმანეთთან...

ინდიგოს არა აქვს „ვატერ(პო)ლოო ანუ აღდგენითი სა-
მუშაოები“ ნაკითხული, ამიტომ ცნობისმოყვარეობით შე-
მომყურებს...

— რაკი არა გაქვს ნაკითხული, მოდი, სხვა რამეს ვიტ-
ყვი... წარმოიდგინე, რომ ოქროს ძაფი ცხოვრებაა, რომლი-
თაც ადამიანები უკავშირდებიან ერთმანეთს, რაკი ისინი:
მოთხრობები, ნოველები, რომანები და ლექსები არიან...
მთლიანობაში ჰგვანან ლიტერატურას... ლიტერატურა კი
ფართო ცნებაა, რომელიც, ასევე თავისი მრავალფეროვნე-
ბით, ფსიქოლოგიას, ესთეტიკას, ფილოსოფიას, ბიბლიას, ქი-
მიას, მათემატიკას, ბიოლოგიას, ფიზიკას... ემგვანება... ის
უსასრულოდ დიდია, ამიტომ, შეუძლებელია ერთმა ოქროს
ძაფმა დაიტვიროს ასეთი დიდი ტვირთი...

... იმ დღეს ჩვენ კიდევ რამდენიმე წუთს ვისაუბრეთ, მე-
რე კი თანხმობა განვაცხადე ინდიგოს უცნაურ სურვილზე,
სახლის შემოსასვლელში მან ოქროს ძაფი ჩამოკიდა და ჯერ
მხოლოდ რამდენიმე, ჩემ მიერ შესრულებული დავალეა
აკინძა მასზე...

პირველი დავალება

აღზრდას ის მიზანი აქვს, რომ ადამიანი დამოუკიდებელ, ესე იგი, თავისუფალი ნების არსებად აქციოს.

ჭეკელი

...სადღაც მაღლა, დროსა და სივრცეს, ლიტერატურული სამყარო ამკობს, მერე, იქიდან ნათლის სვეტად, ათინათად, ეშვება, თითქოს იდუმალემა გიახლოვდება, გარდასულ სულთა საგალობლების თანხლებით...

და...

იდეების, აზრების სამეფოში აღმოჩნდება, როგორც უპოვარი, გლახა, სულიერი საზრდოს მთხოვნელი... ნათლის სვეტის ციმციმა შუქი არამინიერიდან მინიერი, რეალური, კარებისკენაც გაცილებს...

იქ კი...

რეკენ ზარები... გაკვეთილი დაიწყო...

— კეთილი იყოს ჩვენი შეხვედრა – ვუღიმი პატარებს. აღსაზრდელებს თვალეში მზე ჩაბუდებათ.

ღია ფანჯრიდან, გამჭვირვალე, ნაზი ფარდიდან, კარგად მოჩანს, როგორ შეუჩნდა ნიავი შემოდგომას და ყვითელი ფოთოლი როგორ დააბრძანა რაფაზე... ის მაღე აქ აღესრულება ჩუმად, ნელ-ნელა. დაიცლება უკანასკნელი ცოცხალი უჯრედის უმცირესი მწვანე ნერტილისგან.

აქვე ახლოს, ჩემი პატარა მეგობრების ძარღვებში, მთელი სიმძლავრით გააქვს ჟრიამული სიცოცხლეს.

ოთახში გაზაფხულია, გარეთ შემოდგომა. გაორებულ სამყაროს ნათლის სვეტი აერთებს, მერე ისევ ჰყოფს... კარებს მიღმა წარმავალი, მდაბალი რეალობაა, შიგ იდეალური.

ლიტერატურის დიდი სამყარო აქ იწყებს, ჩვენთვის, გამოცოცხლებას, აქ იდეები იმოსებიან, ირთვებიან... აქ წარმოსახვითი და რეალური ხატები რიალებენ.

ამბობენ, რომანტიკოსები იდეალური ცხოვრების წარმოსახვით ხატს ხედავდნენო იდეალში, რეალურში — წარმავალს...

იმასაც ამბობენ, უზარმაზარი უფსკრულიაო ამ ორ ხატს შორს, იდეალური მიუწვდომელია, ადამიანი კი განწირული, რომ რეალურში დარჩეს. ამ თვალსაზრისმა განაპირობაო მათ შემოქმედებაში „მსოფლიო სევდა“.

პითაგორელთა ტერმინი, „ოქროს კვეთა“, იტალიური რენესანსის ეპოქაშივე მიიჩნიეს „სრულყოფისა და ჰარმონიის გამოვლინებად ბუნებასა და ხელოვნებაში“.

პითაგორელებიც, რომანტიკოსებიცა და რენესანსიც
წარსულის ღამაში ფურცლებია...

ვსუნთქავთ წარსულით, ვცხოვრობთ აწმყოში, ის კი
მომავლისათვის, სიტუაციურ ამოცანებს გვთავაზობს...

და ყველაფერი, აქ, პატარების სამფლობელოში ხდება...

* * *

აწას გარგებს სწავლულება, თუ აწა იქმ ბრძენთა თქმულსა

შოთა რუსთაველი

„ღრუბლები...“

მათ გადაიარეს ცა პირამიდების ხეთა და მიდია...
ზღაპრული ურარტუ, ქართული მინდვრები, კვლავ სა-
ით მიდიან?..

ამ სტრიქონებში, ალბათ, თეთრი უკვდავება სუფევს...
ოთხი უფერული კედელი და მოჭრიალე უგემოვნო კარი
საკლასო ოთახისა, ვერაფრით მიმხვდარა, რომ აქ, ახლა,
დიდმა მყუდროებამ უნდა დაისადგუროს, აქ, ჩემს აღსაზ-
რდებებს, ზამბახებისა და ფურისულების წყებას, ანას
სტრიქონ-მარგალიტები უნდა წავუკითხო და...

ეს გაკვეთილი როგორ მინდა ჰგავდეს სრულყოფილ
სონეტს, ან დიდებული პოემის პროლოგს, ან სიტყვაკაზმულ
ლირიკულ პროზას...

„...გადაიარეს ცა პირამიდების“... მიდიან, „მიდის“ გაკ-
ვეთილიც, გრძელდება და ეს ემსგავსება ერთიან სვლას წარ-
სულის მიუწვდომელი მწვერვალებიდან ანმყოსა და მომავ-
ლისაკენ და... ანას ლექსში, ყველაფერს, დროთა კავშირის
ელფერი დაჰკრავს.

„მიდიან...“ კონკრეტული შორეული წარსულიდან ან-
მყოსაკენ, მიემართება ღრუბელი, გასულიერებული, ძველი
ეგვიპტისა და მცირე აზიის გადასახედიდან და აჰა, ქართულ
მინდვრებს უახლოვდება, „მიდიან...“ და მიაქვთ ხეთის, მიდი-
ის, ზღაპრული ურარტუს სევდა... ეგვიპტის, ფარაონ ეხნა-
ტონის ცის ხატება, პირამიდის სახით მზის ხატი რომ შექმნა.

„რამდენი მწვერვალი გადავლეს უკლებლივ, კვლავ
ფეხქვეშ რაოდენ მწვერვალებს ითვლიან, ღრუბლები...
კვლავ საით მიდიან ღრუბლები? რა ვიცი.. მიდიან...“

ალბათ, ღრუბელი დროის სიმბოლოა... ალბათ, ღრუბე-
ლი მარადიული მოძრაობისა და ცვალებადობის ხატია...

ალბათ... სილამაზეა, უპირველეს ყოვლის... და ჩვენ...

მე, ბავშვები და სკოლა...

ჩვენც მივაბიჯებთ ამ ყველაფერთან ერთად...

ანას ღრუბლები, ჩვენი impression – ღრუბლები და რეა-
ლური თეთრქულა ღრუბლები...



h. p. h. 2012 Ն. *Հայաստանի Գրքեր*

გასამებულნი, მზეს ვადიდებთ და პოეზიის გამოუცნობ სიმებს ვეხებით...

სადღაც...

შეჰხედეთ ერთ ღრუბელსა“ - მიმართავს გენიალური ვაჟა-ფშაველა ქართულ ფოლკლორს...

„ა, ის ღრუბელი მიყვარან...“ - პასუხობს ქართული ფოლკლორი

და... ჩვენ გვიყვარს:

ანას „ღრუბლები“...

ვაჟა-ფშაველასა და ხალხური პოეზიის ღრუბლები...

ჩვენი სამშობლოს თეთრქულა ღრუბლები, რომლებიც, მარადიულად, სადღაც მიდიან...

მესამე დავალება

ჩანახატი „ქართული ცეკვა“ ჩემს მოსწავლეს, დათოს, ვაჩუქე, დიდი ხნის წინათ, სუბიშვილების ერთ-ერთი კონცერტიდან მიღებული შთაბეჭდილების შემდეგ...

დათო მოცეკვავეა... ხელოვანთა ოჯახიდან...

რამდენიმე წლის შემდეგ, ერთ დღეს, როდესაც მოსწავლეებთან ერთად, ყაზბეგის ნანარმოებ „ხევისბერ გოჩას“ ვკითხულობდით, უნებლიეთ, ყურადღება მივაქციეთ, თუ როგორ აღწერს მწერალი ცეკვა „ლეკურს“... და იმავე წიგნში, როგორ იხსენებს ერთი მკვლევარი გრიგოლ რობაქიძის წერილს: „ქართული გენია როკვით განფენილი“, ქართული ცეკვისგან მიღებული შთაბეჭდილებით რომ დაწერა დიდმა შემოქმედმა.

სათაურშივე გაცხადებულმა სიძლიერემ აზროვნებისა, შემაკრთო და მოწინებით დამახრევენა თავი დიდი მწერლის აჩრდილის წინაშე...

ქართული ცეკვა

*ყველაფერი სილამაზის განცდას
ემორჩილება
გოეთე*

ქართული ცეკვა...

მომხიბვლელობით გალათეას ვამსგავსე იგი....

სცენის სივრციდან სინარნარე, კდემამოსილება და ვაჟ-კაცური გამბედაობა გიახლოვდება ანგელოსებრივი სრულყოფილების, მარადიული მშვენიერების ტრიუმფით, და მას საოცარი, ფანტასტიკური ხილვის ხიბლი გადაჰკრავს.

... ის მითების, ისტორიის, გამირობის შთაბეჭდილებებს გვჩუქნის...

გაშლილ მკლავებსა და ფეხის ნვერებზე შემდგარ, ქართულ, ულამაზეს სამოსში გახვეულ „მითებს“, წარსულისათვის საბურველი შემოუცლიათ, აწმყოსა და მომავალს შემოუხაზავთ სცენა, ბრძოლის, სიყვარულისა და ხელოვნების მრავალფეროვანი ლეგენდებით...

სცენა ულამაზეს ფერთა პალიტრად ქცეულა.

იქ, სადღაც, ჩემგან შორს, ხელოვნების ზენიტია... მხატვრობისა და მუსიკის სინთეზი.

ზეციური ნათლის უამრავი, ბრწყინვალე სხივი, გადმოხრილა დარბაზისკენ და...

... ყველაფერი ღვთაებასთან ახლოს...

აქ, უმაღლეს ბედნიერებად, დახვეწილი ოსტატობის მაცურებელში განსხეულება ითვლება.

მუსიკის იდუმალება გარდასახულა რიტმულ, პლასტიკურ სანახაობაში...

მთელი დარბაზი საოცარ ხმებში სახლობს, ზღაპრულ ხილვებში მოგზაურობს. სცენაზე, თითქოს სალოცავის კედლებიდან, უამრავი გაცოცხლებული ფრესკა ჩამოსულა, რათა გაგვაოცოს... ყოველი მოძრაობა სწრაფვაა, გზაა სილამაზიდან მშვენიერებისაკენ, ამაღლებისაკენ, იდეალების განხორციელებისაკენ...

ურთიერთს ცვლიან ეპიზოდები...

ზღვა ყვავილები.

ტაში.

მონონების შექახილები....

იქნებ, სცენაზე გალაკტიონის პოეზია გაცოცხლდა და მხატვრობის საზღვრებთან მიახლოებულ, აცეკვებულ სკულპტურებს მიუახლოვდა.

ამბობენ: სკულპტურა-გაქვავებულ ცეკვას, ცეკვა კი მოძრავ სკულპტურას, ხოლო ამ უკანასკნელისა და მუსიკის ერთობლიობის უმაღლეს, სრულყოფილ გამოვლენას ბალეტი წარმოადგენსო.

ქართული ცეკვის გრაცია, რიტმი და ტემპერამენტი ამკობს სამყაროს, სივრცეს აკვრია ლაღად ისე, როგორც ულამაზესი ჩუქურთმები ხუროთმოძღვრების უკვდავ ძეგლებს, რომელთაც ქართული სული, ქართული გენის სიდიადე, აქამდე მოუტანიათ... შთაგონებული ქართული სული, რითაც გუდიაშვილი სერაფიტას ხატავდა, რუსთაველი სრულყოფილებას ქმნიდა, ჯორჯონე მომხიბლავი ქალის იდეალს, რენესანსის ტიტანი რაფაელი — სიქსტის მადონას, ღრუბლებიდან დაშვებულ განუმეორებელ მომხიბლაობას, კაცობრიობის მხსნელ იესოსთან ერთად...

მეოთხე დავალება

რომანტიზმი და რეალიზმი

ფერმკრთალი ბიჭუნაა, ჩრდილქვეშ ამოსული ბალახით, ნიავმა რომ დაუბეროს, ალბათ, ნაიქცევა, მაგრამ შთამბეჭდავი გამომეტყველება აქვს, მუდამ ფიქრიანი, ხანდახან უკმაყოფილო იერი გადაჰკრავს სახეზე. ამ კლასში, ყველა ერთმანეთსა ჰგავს, ის კი არავის. მას ჩემთვის გამოუცნობი, ამოსახსნელი, იდუმალი სამყარო აქვს. სწავლით არ გამოირჩევა, მაინც მეჩვენება, რომ სწორედ სწავლაა ის, რაზედაც დღენიადაგ ფიქრობს.

დღეს, როდესაც კლასში ზნეობაზე ვსაუბრობდი, ცალი ნარბი აზიდა და უკმაყოფილოდ შემომხედა. მერე თავის ნიგნს დაუნყო ნვალება, საუბარი განვაგრძე. ჩემი ფერმკრთალი მოსწავლე განზე, ფანჯრისკენ, იყურება, ხან, თავდახრილი გისმენს, რაღაც აწვალებს, ყურადღება ეფანტება. ხელი ასწია, გარეთ ითხოვს გასვლას. ზარი მალე დაირეკება-მეთქი, ვახსენებ, მაგრამ მაინც ვუშვებ.

კლასში ერთნაირები, ერთგვარი გამომეტყველებისა და მისწრაფებების მქონენი სხედან. იქნებ, ასე არ იყოს, იქნებ, მე მეჩვენება...

ზარი ირეკება. საკლასო ოთახში აშრიალეებენ ნიგნებს. ახმაურდნენ, აცეტდნენ. გავდივარ. დერეფანში ის მოაბიჯებს და ვხედავ, რომ ისევ რუდუნებით მოაქვს თავისი იდუმალი სამყარო.

- ცუდად ხომ არ გრძნობდი თავს?
- არა, მეძახდნენ...
- გეძახდნენ?.. როგორ?.. ვინ?.. ბიჭუნა დუმს.
- შენ... გაკვეთილის მიმდინარეობისას... ვინ გეძახდა?
- ჩემი სამყარო...
- ვერ გავიგე...
- თქვენ, გაკვეთილზე, მშვენივრად საუბრობთ, მაგრამ ცხოვრებასა და ხელოვნებაში გამოთქმულ იდეებს შორის დიდი ზღვარია, კლასში რომანტიზმია, გარეთ რეალიზმი... სწორედ ის მეძახდა...
- ანუ, გეჩვენება, რომ...

— მეჩვენება, რომ ხელოვნება, კერძოდ, ლიტერატურა, რასაც გვასწავლის, იმას ცხოვრება გვერდს უვლის... სხვადასხვა გზებით მიემართებიან — ევრიპიდეს სიტყვებია: „ჭეშმარიტი ცხოვრება არ არსებობს ხელოვნების გარეშე...“

— ცხოვრებამ დროთა განმავლობაში, ბევრი სხვადასხვა ევრიპიდე დაბადა... შესაბამისად, ბევრი რამ შეიცვალა... ჩვენ, ყველანი, ერთმანეთისაგან განვსხვავდებით, ყველას თავისი სამყარო აქვს...

...მომდევნო გაკვეთილზე შესასვლელი ზარი ირეკება.

მივდივარ, ახლა სხვაგან სხვები, სხვა მოსწავლეები მელიან... მეც, ყველგან, ჩემი სამყარო მიმაქვს...

დროსა და სივრცეში, ეპოქებსა და წლებში, წუთებსა და წამებში, იდეებსა და ყველა ხელოვანის მთავარ სათქმელში, მარადიულ მოგზაურს ვგავარ... რამდენი ღიმილი, რამდენი ნყენა, რამდენი ოცნება, რამდენი ცოდნა და უვიცობა უნდა შევკრიბო და ერთ ყულაბაში მოვაქციო, ყოველ საგაკვეთილო დროს, ყოველი ორმოცდახუთი წუთის განმავლობაში, ფსიქოლოგიც უნდა იყო, რომანტიკოსიცა და რეალისტიც...

და...

მეც ჩემი სამყარო მეძახის... შორიდან ექო მეხმიანება...

* * *

გამბედაობას, შეუდრეკელს იმის ბუნებას, ნათელი ჭკუა წინ მიუძღვის
გამაფრთხილებლად.

შექსიორი

მისთვის დავალაბა

აგვიანდება...

ახლა მარტოა, არავინ აღვიძებს დილით. ჩასძინებია, აუ, როგორ ჩასძინებია... საათი... მხოლოდ თხუთმეტი წუთი, მხოლოდ თხუთმეტი და ზარიც დაირეკება, ჩქარა, ჩქარა უნდა ჩაიცვას ტანზე, წყეული სავარცხელი რატომ თავის ადგილას არაა. ჩანთა? კი მაგრამ, დროზე რისთვის არ ჩაალაგა, მშვიერი ბარტყივით რომ დაუღია პირი... ვაიმე, გალია... ჩიტები ხომ მშვიერი დაიხოცებიან, უნდა დააპუროს... ოხერი ონკანი, კინალამ ღია არ დარჩა. რამდენიმე წუთი გავიდა, ახლა, ალბათ, სკოლის მორიგე წამდაუნუმ კედელზე ჩამოკიდებულ დიდ საათს შესცქერის, მალე უნდა დარეკოს. სკოლამდე, როცა მშვიდად მიდის, ოცი წუთი სჭირდება, ახლა? მოასწრებს? აი, უკვე გასაღები გადაატრიალა და კიბეებზე სირბილით დაეშვა. გადაჭრა ქუჩა. ყველაფერი გარბის მასთან ერთად, სახლიც ხეც, ქვაც...

აგვიანდება, აგვიანდება... ალბათ, ისრებმა გადასერეს შავი ხაზები, ათასნაირად შებრუნებულ ტირეს რომ გვანან...

„არის ამქვეყნად დაგვიანება, მაგრამ ამდენი ხნით? მაგრამ ასეთი?!. სულ მისი ბრაღია, ხო, სულ „მისი“ ბრაღია რომ აგვიანდება... ეს რომ მასწავლებელს უთხრას, ალბათ, აპრებს წამნამებს მკაცრად და ეტყვის: ვისი ბრაღიაო? გალაკტიონისაო, უპასუხებს გონებაში, სულაც არ არისო საჭირო მისი გვარი ითქვას, ისედაც გასაგებიაო... ღამე მის ლექსებს კითხულობდა, და... „დიდხანს დიდხანს არ დაეძინა...“ რაღა დაგვიანებაზე ფიქრი აეკვიატა, ნუთუ, მართლა ასე ეშინია? ნუთუ ვერ მიუსწრებს ზარს, ნუთუ მთელი სიზუსტით მუშაობს სკოლის საათი, რა იქნება ახლა ჩამორჩეს, რა იქნება ყველამ იმ ჩამორჩენილს დაუჯეროს... წყეული ფეხსაცმელი, სირჩარეში თასმები კარგად ვერ შეიკრა და დგას ფეხშიშველი: „ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველა არ გავიარე – რაა მამული?... რა დროს ფეხშიშველა სიარულია, სადაა ბალახი... ჰო, ესეც ასე, ახლა არ გასძვრება ფეხსაცმელი და უფრო თავისუფლად გარბის, მაგრამ დაიღალა, საოცრად მოეთენთა ფეხები, ოფლმა დაუცვარა სახე, გული ამოვარდნაზე აქვს, ახლა უფრო წყნარად გარბის, სკოლის ეზოში

დინჯი ნაბიჯებით შევა, ყოველი შემთხვევისათვის, ეს მორიგეს ასე მოეჩვენება.

აგვიანდება... როგორ არ უნდოდა დაგვიანება. ალბათ, გაფითრდა... ხელები ვერხვის ფოთოლივით უთრთის... „ის“ მაინც თავს არ ანებებს, პოეზიაზე ფიქრები... მორბის მასთან ერთად, ისვენებს, ცოცხლობს და... მასთან ერთად აგვიანდება... „მოდით, როგორც მკვდარი, როგორც მკვდარი სანანი, ჰქროდა ქარი, თრთოდა იასამანი...“

ლამე კითხულობდა, მერე ვერ მოასწრებდა სხვა დროს? რალა მაშინ აეკვიატა პოეზიაზე ფიქრი, როცა მარტოა... მშობლები რომ ყოფილიყვნენ, ყველაფერი სულ სხვაგვარად აენწყობოდა, მათაც რალა ახლა მოუნდათ სტუმრად წასულიყვნენ და ორი დღეა არ ჩანან... დედას ჰგონია, რომ დიდია უკვე თავისი შვილი, ჭკვიანი...

...უხერხულია გაკვეთილზე მასწავლებელსა და თანატოლებს კარი შეუღოს, არადა... არა, უნდა შევიდეს და პატიება ითხოვოს... აი, გამოჩნდა თეთრი შენობა... უკვე წყნარად მიაბიჯებს, მეტი სისწრაფით სიარული არ შეუძლია, გული ამოვარდნაზე აქვს... ჰო, მასწავლებელი მიუხვდება, უსიტყვოდ მიუხვდება, რაც დაემართა, თუმცა, როგორ, მან არ იცის, რომ გალაკტიონითაა გატაცებული, რომ მისი ყოველი ფრაზა შეუძლია აღიქვას, როგორც ფერწერა, როგორც მუსიკა და როგორც ამოუცნობი, ოკეანისეული სიღრმე... ეტყვის, აუცილებლად ეტყვის... „არის ამქვეყნად დაგვიანება...“ სკოლის ჭიშკარი შეაღო. ხელი უშვა და ზამბარებიანმა შესასვლელმა გრუხუნით აუნყა სკოლის ეზოს დაგვიანებულის შემოსვლა... „არის ამქვეყნად დაგვიანება...“ არ ჩანს მორიგე, ეტყობა, აქ დგომა მობეზრდა. გამოღებული ფანჯრებიდან ისმის მასწავლებლის ხმა.

კიბეები... ერთი, ორი, სამი... სულ თერთმეცია... დერეფანი... ნაბიჯები... სულ ოცდაათია... ოთახის კარი... ჭუჭრუტანა... სახელური...

ხელი ვერხვივით აუთრთოლდა ისევ, გულმა ბაგაბუგი დაუნყო, გამოაღოს? როგორ შევიდეს; საუბრობენ, ბარემ, დაასრულონ ფრაზა, ხომ ვერ შეანყვეტინებს საუბარს... მერე შეაღებს კარებს, თავდახრილი შეჩერდება და უსიტყვოდ ითხოვს პატიებას, ალბათ, შეუნდობენ, დარცხვენილი გაემართება თავისი მერხისაკენ... მართალია, თავიდან ვერ მო-

უსმინა გაკვეთილს, მაგრამ მაინც, ალბათ, ბევრი რამ დარჩა
საინტერესო, რასაც გულისყურით მოუსმენს... კარი შეაღო...

თავდახრილი შეჩერდა კარებთან... მთელი კლასი მის-
კენ მოტრიალდა.

გარედან ვიღაც სწვდა და მოაშორა კარებს.

— დაელოდეთ გაკვეთილის დამთავრებას და მერე შებ-
რძანდით...

* * *

ვეელაზე უფრო ბრძენი ის არის, ვისაც დროის დაკარგვა ვველაზე
შეტად აღიზიანებს.

დანტე ალიგიერი

მეექვსე ღაპალება

ეკა

გალაკტიონის ლამაზი სტრიქონები, ჩემს ფიქრებში, ვინმეს თუ დაუკავშირდებოდა, არ მეგონა...

„... შენი ღიმილი... ლეონარდო და ვინჩის ხელის მე არ მინახავს გაფრენა და გაუკვდავება, მაგრამ მე უფრო სევდიანი რამე ვიხილე: შენი სიკვდილი, შენი ადრე დასაფლავება...“

მოდით, ბარემ თავიდან, იმ დროის გახსენებიდან და-ვინყებ, როცა მასწავლებლობას ვინყებდი...

შემოდგომის დღე
ძალამილეული მზე, მაგრამ მაინც ჯერ კიდევ მწველი.
მე მიმაცილებს იმ ოთახამდე რწმენა, იმედი, თავდავინ-ყება...

გარეთ შემოდგომაა, აქ კი... გაზაფხულზე მოვუწვევი-ვართ.

ვარდების წყება...

„ბოტიჩელს ვარდთა სწავდა დღე იგი...“ აქაც ყველა-ფერი გალაკტიონის პოეზიას დაუკავშირდა. ძალიან ლამა-ზია. მიღიმის.

— რა გქვია გოგონა?

— ეკა!

— თქვენ, მასწავლებლო?..

ჩვენ ვეცნობით ერთმანეთს. მხიარული ვტოვებ საკლა-სო ოთახს. ლამაზი თვალები აქვს... ვიხსენებ... ნაზი ღიმილი. ვარდის ფურცლების მსგავსი ბაგეები. უმანკო ხედვა, სინ-მინდე. სიფაქიზე.

ეკას არ შეუძლია არ იყოს კეთილი. ანცობს, იცინის, მა-ინც საყვედური ვერ მითქვამს.

...ერთმანეთს რამდენიმე თვეა ვიცნობთ. ერთ დღეს აი-ტანა სიცილის ქარიშხალმა... ვერაფერს ვერ ვეუბნები, რა-ტომღაც, რაღაც მბოჭავს. წერს გამალებით ფურცელზე და მერე ისევ სიცილით მიახლოვდება, ნაწერს მჩუქნის... ვკით-ხულობ, ვგებულობ, რომ ძალიან, ძალიან ვუყვარვარ და მა-ფასებს...

სამი დღის შემდეგ კი...

თეთრ მღუმარებას, თეთრ ქრიზანთემა – ეკას, სახეზე მარადიული სიმშვიდე გადაჰფენოდა, თლილი თითები. ნია-ვივით მსუბუქი თმები. საოცარი სილამაზე. ირგვლივ დუმი-ლი. დროდადრო ქვითინი. გარდაცვლილი ქრიზანთემა... ფა-ქიზი, ჰაეროვანი... წვიმა. სიცივე. ხეების კივილი. ბურუსი, ქაოსი. მერე....

ობოლი მერხი, შავი არშია, ვარდების წყება და...
რა სევდიანია ეს საკლასო ოთახი, ეკა!..



მეშვიდე ღაპალაბა

აზსაზითში...

მაშინ, როდესაც აფხაზეთში მგლოვიარე ქრისტეს ღანდი აედევნა კაენის სულში ჩასახლებულ ცოდვილ დემონს, გზაარეული ფოთლები უმისამართოდ მოგზაურობდნენ სივრცეში...

იმ სივრცემ, სისხლისგან დაცლილმა, დაჭრილმა, ქვეყნიერებაზე განფენილი მწუხარების, მარადიული მელანქოლიის ხატი გამოკვეთა და მშფოთვარე საუკუნეს გადასცა.

შეჩერდა ეპოქა, თითქოს.

შავი ლეჩაქით შეიმოსნენ დღეები...

მწუხარე ღმერთმა ზეციური სამყოფელიდან ანგელოსის ვედრებას მიაყურადა ფხიზელი სმენა.

და მაინც...

მთებმა იდუმალ ჩაიკრეს ოცნებები გულში, გზებმა ჩაიხვიეს ქვათა სიცივეში, მდინარეებმა ჩაიმარხეს ფსკერზე, ხეებმა დაფარეს ყვითელი ფოთლებით, შორს, აღმოსავლეთისკენ, ცისარტყელა განვა აღმავალ ბილიკებად, სამყარომ ტოტები ჩამოუშვა და მიწას დააფერთხა ოცნების ღვინისფერი ფოთლები, დაჭრილმა სივრცემ მწუხარედ მიაყურადა ტყვიების ზუზუნს...

ცხედრები... ცრემლები... მელანქოლია... გზა...

სადღაც სალიერს გაფითრებოდა სახე. გადარეული ქარიშხალი, ქაოსში, უმონყალოდ დაათრევდა ლესინგის ცნობილ ტრაქტატს - „ლაოკოონი“...

ლაოკოონის უხმო, უსაზღვრო ტანჯვა განფენილიყო და განსხეულებულიყო ქვეყნის სულში. სადაც ტანჯვაა, იქ წმინდა ადგილიცაა და მწუხარებაში სული ფაქიზდებაო, ამბობდა ოსკარ უაილდი.

ცაზე ღრუბლებით გამოქანდაკებულ თეთრ სასახლეს დამგვანებოდა იმედი, შიგ ფაქიზ სულებს ჩასძინებოდათ და ფერმკრთალი წარსული ესიზმრებოდათ...

მერვე ღაპალეა

ჩემი პატარა მეგობარი, ანუ გაკვეთილები ერთი მოსწავლისთვის

გვიანი შემოდგომა ფოთოლცვენით ერთობა, მერე, თითქოს, არენიდან, სიბელიუსის მეხუთე სიმფონიისა და მოცარტის სერენადების თანხლებით, მშვიდად, ნელა გადის და ხელს უკანასკნელად გვიქნევს...

ასე მე მეჩვენება...

ყვითელი ფოთლების ხალიჩა ეფინება სკოლის კიბეებს...

ფოთლების სიკვდილ-სიცოცხლესა და წარმავლობასთან შედარება პოეტებს უყვართ... მეცნიერები კი გვმოძღვრავენ, დროის გაგებას სიკვდილთან მისი დაკავშირება გვიადვილებს და თითოეულს უნდა გვახსოვდეს, რომ ცხოვრება სადღაც, სივრცის რომელიღაც საფეხურზე, ერთ დროს, წერტილს სვამს ხოლმეო...

ვიღაც ფიქრს მანყვეტინებს. ქალი მიახლოვდება, უცნობი, მეტისმეტად მორთული, მაგრამ სევდიანი გამომეტყველებით.

— თქვენ გელოდებით... ჩემი ავადმყოფი გოგონასთვის მსურს შინ მოვიწვიო მასწავლებელი, ნაჩქარევად ნუ მეტყვით უარს, საბრალო ბავშვს ყველამ ხელი ჰკრა... მისგან აღმზრდელები ან გარბიან, ან თავიდანვე უარს აცხადებენ მასთან ურთიერთობაზე.

განზე გავიხედე. კიდევ ერთ, სადღაც ფარფატიტ გაფრენილ ფოთოლს გავადევნე თვალი.

— თქვენც?... — ხმა ჩაუნყდა ქალს.

— მე... ომმა, ფოთოლივით გადმომისროლა სხვა კუთხიდან... აბა, რა ვიცი, რომელი შემოდგომის ან გაზაფხულის სურვილი დამიმორჩილებს და უკან როდის გამაქანებს ქარი, ისევ, ალბათ, ჩემი კუთხისკენ...

— უფალმა მშვიდობით გატაროთ, მაგრამ ეგ ხომ არ ვიცით, როდის იქნება... გთხოვთ, გახდეთ მისი მასწავლებელი.... ქალს, თითქოს მარადიული სევდა ჩასახლება თვალეში.

— დავფიქრდები, დრო მომეცით...

* * *

...მაღალი, ლამაზი, მოჩუქურთმებული ჭიშკარი ხმაურით გაიღო. მრავალფეროვანი ვარდების სამყარო გამოჩნდა. სახლამდე მოკლე გზაა. მის ორივე მხარეს მხოლოდ ვარდები, ამაყები, ლამაზები, მიუკარებლები, არისტოკრატულად, ამაყად მომზირალნი... შემოდგომას არც გახსენებია დაერღვია პატარა ეზოს ულამაზესი იდილია... ჰაერში ყვავილთა სურნელი ტრიალებს. საოცარია, აქაც ორი სამყაროა. ეზოში ჯერ კიდევ გაზაფხული ზეიმობს, ჭიშკრის გაღმა, ქუჩაში, შემოდგომა მბრძანებლობს.

* * *

— გმადლობთ, რომ მობრძანდით, მე მერი მქვია, თქვენს მომავალ მოსწავლეს – თამარი, პედაგოგიური ალლო და გამოცდილება, ალბათ, ნაჩქარევ გადანყვეტილებას არ მიგაღებინებთ. თუნდაც, არ მოგეწონოთ შექმნილი სიტუაცია...

მივაბიჯებთ მდიდრულ ხალიჩებზე... ირგვლივ ყვავილები, მხატვრობა, ულამაზესი ავეჯი, სიმშვიდე...

— თამარს თავისი ოთახი აქვს... აი, ისიც... ფორტეპიანოსთან, ზურგშექცევით, თხუთმეტიოდე წლის, მწვანეთვალება, მომხიბლავი გოგონა ზის.

— გამარჯობა თამარ! – ვესალმები. ის წამოდგა, მომესალმა.

— თამარ, მასწავლებელი გეწვია, მგონი, გაუგებთ ერთმანეთს.

გოგონა არაფერს ამბობს. მერი მარტო გვტოვებს.

უხერხულობამ პირველად შემიპყრო, მოსწავლესთან შეხვედრისას. ის არც სიხარულს, არც გაკვირვებას, არც წყენას გამოხატავს. ფერმკრთალია, როგორც მიღეული მთვარე, რომელსაც დროდადრო, ზოგჯერ ღრუბელი ფარავს. მდუმარეა, როგორც ცისკენ ასაფრენად გამზადებული ფრესკის სული...

ერთხელ ნაბორძიკდა. გაუაზრებლად დაეყრდნო ფორტეპიანოს კლავიშებს, უსიამოდ აჟღერდნენ ისინიც. ხელს

აცეცებს. ახლა ვხვდები, მისი თლილი, ჩამოქანდაკებული თითები მახვედრებენ, რომ უსინათლოა...

თამარი დაჯდა. ის არც ერთ ჩემს კითხვაზე არ პასუხობს.

— თამარ, იქნებ მითხრა რაიმე.

— სურვილი არა მაქვს.

— მე ვისაუბრებ...

— არ მსურს მოსმენა... თუმცა... ისაუბრეთ, ჩემგან მხოლოდ დუმილს მიიღებთ.

— თუკი მომისმენ, ამითაც მოხარული ვიქნები...

— გისმენთ... — უინტერესოდ მპასუხობს იგი.

— გინდა დუმილზე გესაუბრო? — აქ მოსვლამდე, ერთ-ერთი რელიგიური ჟურნალის ძველ ნომერში, ისიხასტების, ეგვიპტის მეუდაბნოე მამათა შორის გავრცელებული მოძღვრების, შესახებ გადავანყდი წერილს.

ისიხაზმმა, რასაც ბერძნულად, თურმე, ჰესუსხია, დუმილი ჰქვია, ათონის მთაზე ბერთა და დაყუდებულთა შორის შეაღწიაო, მეშვიდე საუკუნის ბოლოს, წმინდა პეტრე ათონელის მეშვეობით, შემდგომ კი, იქ აღორძინებულა. მოძღვრებას ნახაზი ჰქონდა თანდართული, ეს იყო დისკო სხივებითურთ... დისკო ანუ წრე სიყვარულია, მასში სინათლე იმედია, ხოლო სხივი რწმენააო, ყველაფერი ეს კი ერთადერთ ბრწყინვალებასა და ანარეკლს წარმოადგენსო.

ისიხასტების დუმილი ღმერთთან სიახლოვეს, სრულყოფილებას ისახავდა მიზნად. როცა მათზე ვკითხულობდი, უნებლიეთ, დროდადრო, მზერა ჩემი ოთახის კედელზე ჩამოკიდებული თამარ მეფის გამოსახულებისაკენ გადამქონდა. ის ბეთანიის ეკლესიის ფრესკის ასლია. დიდებული მმართველის გამოსახულება ყოველდღე დუმილით მიმზერს, მაგრამ მისი სიჩუმე სიტყვის ძალაზე უფრო ამაღლებულია, მის მზერაში წარსული, სიღიადე, განცვიფრება, შთაგონება დუმს... სულიერი ნათლის განცდა იღვრება სურათიდან და მამშვიდება...

დუმილი ხმაურობსო, წამიკითხავს, უცნაურია არა? შენი დუმილი, მეჩვენება, რომ რალაც პროტესტის გამომხატველია.

— სამყაროს ვერ ვხედავ და უარყოფითი ემოციებისაგან, ქვეყნისა და ადამიანების დაუნახაობისგან დაღლილს,

აგრესიულს, მასწავლებლები ვერ მიგებენ, ყველა ნაზიდა ჩემგან... იმდენად მცირე ხნით რჩებოდნენ ისინი, რომ მათი სახელების დამახსოვრებაც ვერ მოვასწარი. აქეთ, თითოეულს, ნიაზი მოაფარფატებდა თითქოს, ჩემგან კი ქარიშხალი მთარბენინებდა. ხშირად, დუმილში ვატარებ ნუთებს...

— დუმილიც არ ნიშნავს არარაობას... ასე წერენ... ის შეიძლება დიდმა მწუხარებამ გამოიწვიოს, მაგრამ ამასთანავე, შთაგონების მომტანი, სიცოცხლის რიტმის მაჩვენებელი იყოს... შეიძლება დუმილში, ფიქრმა, ახალი გზები მოგაძებნინოს... მან შეიძლება აზრის სილამაზე, ჭეშმარიტების აუცილებლობა მუსიკისა და პოეზიის ჰარმონიულობა, ნათლის სიდიადე გაგრძნობინოს. დუმილი მშვენიერებად გარდაისახა ტარიელისა და ნესტან—დარეჯანის შეხვედრისას. უთქმელობა, აქაც სიტყვით უფრო ძლიერი აღმოჩნდა, რადგან სიყვარულის ამალღებულ განცდას ენა ისე ვერ გადმოსცემდა, ალბათ, როგორც შინაგანად „ახმაურებული“ დუმილი.

— თქვენ გსურთ დამისაბუთოთ, რომ დუმილი არც ისე ცუდია...

— დიახ... ოღონდ, ნუ იქნებით დეპრესიაში, იფიქრეთ სხვებზეც...

— რატომ?

— როცა ერთია დეპრესიაში, მასთან მყოფ მეორესაც იგივე შეიძლება დაემართოს... შემდგომისთვის, გპირდები...

— თქვენ... უკვე გადაწყვიტეთ, რომ ჩემი მასწავლებელი გახდეთ?

— დიახ!..

— არ მსურს... არ მინდა მასწავლებელი მყავდეს – რა გაიძულვით, მიიღოთ გადაწყვეტილება, ჩემნაირ მოსწავლესთან იმუშაოთ... თქვენი პროფესიის ადამიანები, ყველანი, ერთმანეთს ჰგავხართ... გგონიათ, რომ ჭეშმარიტება იღვრება თქვენი ბაგეებიდან და საგანი, რომელსაც ბავშვებს ასწავლით, ერთადერთი და განუმეორებელია... „ამ საგნის გარეშე, დაიმახსოვრე, ფონს ვერ გახვალ...“ განა ასე არ ეუბნებით აღსაზრდელებს?

— არა, ასე არ ვფიქრობ, მაგრამ, ძალიან მიყვარს ლიტერატურა და ვცდილობ სხვებსაც გადავდო მისი სიყვარული... ლიტერატურა მთელი სამყაროა, მასში თითოეულს და-

მოუკიდებლად შეგვიძლია ცხოვრება... მე... სიამოვნებით
ვისაუბრებდი შენთან...

— მე ხომ ყველასაგან გამოვირჩევი, ჩემთან რთულია
ურთიერთობა...

— შენ ჩვეულებრივი გოგონა ხარ!..

— ბრმის თვალის ახელას შთაგონებით ცდილობთ...

— გონების თვალის ახელას მიაქციე ყურადღება, შენ
შეგიძლია საკუთარ თავში მონახო ძალა და სიცოცხლე გაი-
ლამაზო.

— როგორ?..

— ყველაფერით უზრუნველყოფილი ხარ, შენზე ზრუ-
ნავენ, უყვარხართ, გაფასებენ და ცდილობენ ყოველდღიუ-
რობა სასიამოვნო გაგიხადონ... არ არის ადვილი ქვეყნიერე-
ბას, ათასფრად აჭრელებულს, ზოგჯერ მშვენიერს, ზოგჯერ
კი მახინჯსა და საზარელს, ვერ ხედავდე, მაგრამ დეილ კარ-
ნეგის რომელიღაც წიგნში ამოვიკითხე, რომ გარდაუვალს
ადამიანი უნდა შეეგუოს...

— ვერ ვივინყებ...

— მუსიკა, კითხვა, მასწავლებლებთან ურთიერთობა,
ხელსაქმე, რომლის შესწავლასაც ისურვებ... სიხარულს მო-
გიტანს და, შეიძლება მთლიანად ვერა, მაგრამ, მაინც სევდას
ნანილობრივ გადაგავინყებს...

— თქვენ... არ გეცოდებით?

— არა!.. – ვუპასუხე და გულის სიღრმეში ტკივილმა
გამკრა – თქვენ არა ხართ საცოდავი...

— მგონია, ყველა ჩემკენ უთითებს, არ მსურს სკოლაში
სიარული... რამდენჯერ მომიკრავს ყური: „როგორ მეცოდე-
ბა, რა ლამაზია...“ არც კი ვიმჩნევდი... არც ის ვიცი, რას ნიშ-
ნავს, რომ ლამაზი ვარ...

— იცი... — დავიბენი მე, — მწვანეთვალეობა...

— განა ეგ ვიცი, რა ფერია...

— მოკლედ გეტყვი, შენ ბევრი ადამიანისგან გან-
სხვავდები იმით, რომ... სრულყოფილი ნაკვთები გაქვს,
თვალებისა და თმის ფერი კი ისეთი, რომ ყველას ყურადღე-
ბას იპყრობს, ერთფეროვანი, ბევრი ერთმანეთის მსგავსი
აგებულების გოგონასგან განსხვავდები.. თუკი ჩვეულებრივ,
სხვა გოგონებს წამიერად შევავლებთ ხოლმე თვალს, შენ შე-
ნი მშვენიერების გამო, შეიძლება რამდენიმეჯერ შეგათვა-

ლიერონ... გარეგნულად იმდენად მომხიბლავი ხარ, ნებისმიერ ადამიანს შეიძლება გაუჩნდეს სურვილი შენს სულიერ მხარესაც მიაყურადოს, აქ კი... ცდილობ დაამუხრუჭო შენი განვითარება და დარდს მისცემიხარ...

— უნდა ვალიარო, რომ ცოცხათი, რალაცით დამაინტერესეთ, მეჩვენება, რომ რალაც ახალი ინყება, სადლაც შორს, დასალიერში, მიუხედავად ამისა, მაინც არ მსურს მყავდეს მასწავლებელი...

— შენმა დაინტერესებამ იმედი ჩამისახა... მაგრამ, იცი რა მიკვირს? ჩემზე არაფერი გაინტერესებს? ისე დავშორდეთ?..

— თქვენზე? – გოგონა დაფიქრდა.

— ჰო, ჩემზე... მეც ძალიან დიდ დარდს ვატარებ... ჩემი კუთხისა... ომმა თქვენს ქალაქში გადმომისროლა, როგორც ერთი ვინმე უთვისტომო და მიუსაფარი...

— მერე?..

— დღევანდელი გაკვეთილის, ჩვენი შეხვედრის, დრო ამოინურა... – ვთქვი მე.

— როდის მომიყვებით?..

— ერთ გაკვეთილზე ვერ მოვასწრებ...

— მე შემდეგი გაკვეთილისთვის დაგელოდებით, გთხოვთ მოზრძანდით, ოღონდ სტუმრად, თქვენ ჩემი მასწავლებელი ვერ გახდებით, მაგრამ ამაზე ჯერ დედაჩემს ნუ-ღარაფერს ეტყვით.

— კეთილი!.. – ვუთხარი და გამოვემშვიდობე. გავიარე ულამაზესი ოთახები, ისევ ვარდების გარემოცვაში, მაღალ, მოჩუქურთმებულ, ლამაზ ქიშკარს მივუახლოვდი, ხმაურით მივხურე, მერი არ მინახავს. დიდი ქალაქის ფართო ქუჩას მივუყვები და თან მიმყვება თამარზე ფიქრები...

... უზნაძე, ფროიდი, ერიქსონი, როჯერსი... ამ ფსიქოლოგთაგან, ვინ იცის, რომლის გამოცდილების გაზიარება გამოიყვანდა გოგონას მდგომარეობიდან.

ამერიკელ ფსიქოლოგსა და ფსიქოანალიტიკოსს, ერიქსონს, პიროვნების ცხოვრების რვა ციკლი აქვს გამოყოფილი. ვფიქრობ, თამარი, თავისი ასაკის მიხედვით, მეხუთე საფეხურის მოზარდია. ამ ასაკში, ერიქსონი თვლის, რომ საზოგადოებაში თვითდამკვიდრების, პიროვნული „მეს“ ანუ იდენტურობის პოვნას თუკი ვერ ახერხებს მოზარდი, მშობ-

ლები და პედაგოგები უნდა ეხმარებოდნენ თვითშეფასებაში, ქცევების დასწავლასა და განხორციელებაში. მათი მხრიდან ზემოქმედება კი განაპირობებს სასურველი ან არასასურველი პიროვნული თვისებების განვითარებას...

... გაკვეთილის მეორე დღე...

თამარის სახლისკენ ყოველი ნაბიჯი იდუმალებასა და გაურკვეველობას უკავშირდება. დაბნეულს, ხელში სახელმძღვანელო მიჭირავს, და მგონია, გოგონას სურვილისამებრ, შევძლებ მთელი ლიტერატურული სამყაროს აღქმაში დავეხმარო, მისი სილამაზე შევაგრძნობინო, მაგრამ... დამჭირდება კი ეს ნიგნი?

რამდენიმე წუთში დავრწმუნდი, რომ ამჯერადაც, ამ მეორე გაკვეთილზეც, სახელმძღვანელო არ დამჭირდებოდა, როცა დედამისმა კარი გაიხურა და მოსწავლესთან მარტო დავრჩი, ვცადე გავსაუბრებოდი. ის, წინანდელივით, იჯდა და დუმდა.

— თამარ, არ ვიცი ჩვენი ურთიერთობა როგორ წარიმართება, მაგრამ მაინც მსურს, ეს შეხვედრები დაიმახსოვრო.

თამარი ისევ დუმს.

— კლასში აღსაზრდელებთან, ხშირად პოეზიაზე ვსაუბრობ, იცი რა საინტერესოა?.. ერთად ვკითხულობთ, ვმსჯელობთ... პატარებს კარგი განწყობილება ეუფლებათ. ახლახან ჯეფერსის „შემოდგომის საღამო“ წავიკითხეთ. ამერიკელი პოეტია. მოდი, წამით მაინც წარმოიდგინე, რომ შენც იმ კლასში ხარ და მისმენ... წავიკითხავ... შენთვისაც სწორედ ისე იყუდებენ სტრიქონები, როგორც მათთვის: „ჯერ კიდევ სამხრით მიცურავდნენ ღრუბლები, მაგრამ შემოდგომის საღამოთა სიცივეები მოასწავებდნენ უკვე წვიმას, წლის მონურვას, პირქუში ტყის მაცნეთა მოსვლას. მალლა. ყანჩამ გადაიქროლა სასაცილო დაყვილებით „უოკ-უ-უოკ“. ფრთების ფარფატი ცად აჭრილი მისრიალებს, ბოინობს ცაში, მერე ისევ ყვილი და ფრთების ფარფატი. ვაკვირდებოდი მის ირაოს შემოდგომის საღამურ ცაზე, ხოლო უფრო შორს მოკაშკაშე მუშთარი ჩანდა. სიმშვიდეს მფენდა ზღვის ხმაური და მე ვფიქრობდი: „არ ხამს ზრუნვა, - როგორც უნდა იცხოვრონ კაცთა... ქვეყანა მაინც მშვენიერია...“



თამარ, იცი ღრუბლებმა რა გამახსენა? ანა კალანდაძის „ღრუბლები“: მათ გადაიარეს ცა პირამიდების, ხეთა და მიდია... ზღაპრული ურარტუ, ქართული მინდვრები, კვლავ საით მიდიან?... თუ გსურს მოგიყვები ეგვიპტის, ხეთის, მიდიის, ურარტუს ქვეყნების ისტორიაზე...

— თქვენ შემოდგომაზე საუბრობთ, ღრუბლებზე, მე არ ვიცი როგორია თითოეული, ხმების ქვეყანაში ვცხოვრობ, გარესამყაროსთან, გამოუცნობთან, ცდილობთ თქვენ დამაკავშიროთ საუბრებით...

მოპირდაპირე მხარეს, ოთახში, წიგნების თაროს ვათვალიერებ, ნუთუ არ ექნებათ ჰომეროსი... აღმოვაჩინე...

— თაროზე ჰომეროსის „ილიადას“ ვხედავ, ავიღებ... კარგად მახსოვს წიგნის წინასიტყვაობიდან ნაწყვეტი... ნაკითხავ...

თამარი დუმს, ვკითხულობ, ყურადღებით მისმენს: „ქვეყნად არ შობილა ხელოვანი, მასზე უფრო დიდი ძეგლი აგო, ქვეყნად არ შობილა მასწავლებელი, რომელსაც მასზე მეტი თაობა აღეზარდა. ქვეყნად არ შობილა ადამიანი, რომელსაც ათასობით წლები ეცხოვრა და მასავით ჭაბუკი დარჩენილიყო!..“

... გაურკვევლობა მტანჯავს, განვაგრძო კითხვა თუ ჯობია, საერთოდ, ჩავიქნო ხელი ყველაფერზე, იმიტომ, რომ გოგონა უინტერესოდ მისმენს... ჩუმადაა, არც უკვირს, რომ კითხვა შევწყვიტე... უფალს იდუმალ ვევედრები, მომეცი ძალა, რომ ვიყო მომთმენი, ღვთისმშობელო, მაპოვნინე სიტყვა, რომლითაც გოგონას ყურადღებას მივიქცევ — მეთქი.

სულ რამდენიმე წამით, ყურადღება კედელზე, მეთექვსმეტე საუკუნის ჭედურ, ალავერდის ხატზე გადამაქვს, ღვთისმშობელს კაცობრიობის მხსნელი უპყრია და მეჩვენება, რომ ის ოდნავ შესამჩნევად იღიმება...

ისევ ჰომეროსს ვფურცლავ და კითხვას ვაგრძელებ: „ოცდარვა საუკუნის წინათ ცხოვრობდა ეს საოცარი ადამიანი 2800 წლის წინათ. რომ შეიძლებოდეს სხვადასხვა თაობის ადამიანების ჩამწკრივება ერთიმეორის მიყოლებით, ერთი ასეულიც კი არ დაგვჭირდებოდა, რომ ის საოცარი კაცი გვენახა...“

ვცდილობ ვიპოვო სტრიქონები, რომელშიც მითითებულია, რომ ის ბრმა იყო და უცებვე ვპოულობ: „ძველად ამბობდნენ, მას ჰომეროსი ერქვაო, იმასაც ამბობდნენ მოხუცი და ბრმა იყოო...“

კითხვა შემანყვეტინა.

— ჰომეროსი, ალბათ, დიდი ხნის შემდეგ დაბრმავდა, სამყარო ნანახი რომ არ ჰქონოდა, „ილიადასა“ და „ოდისეას“ ველარ დაწერდა. თქვენ ბედნიერ ადამიანებზე მესაუბრებით, მე კი დავკარგე სიმშვიდე, ალბათ, სამუდამოდ.

„ღმერთო, მე მალე გავიზიარებ თამარისგან გაქცეული მასწავლებლების ბედს...“

რამდენიმე წუთის უხერხული სიჩუმის შემდეგ, გამოვემშვიდობე. მარტოკამ გავიარე მანძილი ჭიშკრამდე. ულამაზესი ვარდები სევდიანად გამოიყურებოდნენ, ალბათ, მალე ამ ეზოშიც დაისადგურებდა შემოდგომა.

ქუჩა ხმაურიანია. ვილაც მიხმობს.

— საიდან მოდიხარ? – ჩვენი სკოლის პედაგოგია.

— მოსწავლის სახლიდან.

— რატომ ხარ დაღვრემილი?

— არაფერი გამომდის... გოგონას არაფერი აინტერესებს, დღეიდან აღარ ვივლი მათთან.

მას ირონიულად ეღიმება და ნიშნისგებით მეუბნება:

— წლების მანძილზე შეეჩვიე ისეთი ბავშვებთან მუშაობას, რომლებიც თვალებში შემოგციცინებენ, იქიდან კი, სადაც წინააღმდეგობას წააწყდი, გამორბიხარ, ეს... პედაგოგიური მარცხია...

უკვე ტრანსპორტიდან მიქნევს ხელს, პასუხის გაცემაც ვერ მოვასწარი.

მოუსვენრობამ შემიპყრო, ახლა მე ვემგვანები თამარს. შინ ადგილს ვერ ვპოულობ, ოთახში ბოლთასა ვცემ და ვშფოთავ. არ ვიცი, უნდა შევწყვიტო გოგონასთან სიარული, თუ?.. როგორ ავუხსნა დედამისს ყოველივე?.. წინააღმდეგობებმა ხომ არ შემაშინა? სად გაქრა ძლიერი სული? მარტო დარჩენილს არაერთხელ მიმიღია გადაწყვეტილებები და გამიმარჯვნია. ყველაზე ცუდი იმის შეგრძნება ყოფილა, რომ უარგყოფს ვილაც, არა ხარ საინტერესო პიროვნება და ასეთად დარჩები, თუკი გამოსავალს ვერ გამოიხატავ.

რამდენიმე დღის წინ, პირველ ჩინურ პოეტურ ქმნილებად აღიარებული დაო დე-ძინის შესავალი ნავიკითხე. კრძალვით შევეხე მსოფლიო აზროვნების ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი ფილოსოფოსის, ლაო-ძის თხზულებას.

თურმე...

კონფუცმა შესჩივლა ლაო-ძის: პოეზიის, ისტორიის, ადათ-წესებისა და ცვალებადობათა წიგნები გამოვეცი. ასევე მუსიკაზე ტრაქტატი დავბეჭდე, გაზაფხულისა და შემოდგომის მატიანე დავწერე, ძველ მეფეთა ზნეს ვსწავლობდი და ბრძენთა უზენაესი ქმედებანი გავასხივოსნე, მიუხედავად ამისა, მაინც ღირსად არავინ მთვლის, რომ მიმსახუროს, ეტყობა ხალხის დარწმუნება ძნელიაო. ლაო-ძის კი უპასუხნია, რასაც აკეთებ, მოძველებულია, ახალს არაფერს ქმნი, გარდასულის დაბრუნება ძნელია, გარდაუვალობას ვერ გაექცევი, დროის მდინარების შეჩერება კი შეუძლებელიაო.

...გმფოთავ, სიმშვიდეს ჩემს მეგობრებში, წიგნებში, ვპოულობ. დეილ კარნეგის წიგნს ვაწყდები: „როგორ დავმშვიდდეთ და დავინყოთ ნამდვილი ცხოვრება“. ყველა სხვადასხვანაირად აღიქვამს, აქებენ და აძაგებენ ამ ნაშრომს, მაგრამ, ალბათ, არასდროს, ზუსტად სიტუაციას მორგებული წიგნი ასე ჩქარა არ აღმომიჩენია. იგი მე-20 საუკუნის 30—იან წლებში, ავტორს, ამერიკელებისთვის დაუწერია.

კარნეგი გვიყვება, გაუსაძლისი ცხოვრებიდან როგორ ეძებდა გამოსავალს. თურმე, გადანყვიტა, სალამოს სკოლაში მასწავლებლობით ერჩინა თავი. რა უნდა ესწავლებინა? დიდი ფიქრის შემდეგ დაასკვნა, რომ საქმიან ურთიერთობებში, ცხოვრებაში, ყველაზე გამოსადეგი საუბრის ხელოვნება იყო. მან კოლუმბიისა და ნიუ-იორკის უნივერსიტეტების სალამოს სწავლების ფაკულტეტებს მიმართა თხოვნით, დაერთოთ ნება ნავიკითხა ორატორული ხელოვნების კურსი, უარი მიიღო. მასწავლებლობა დაიწყო...

მისი ბიოგრაფია ბევრ საინტერესო მომენტს შეიცავს, რაც ადამიანური სიძლიერის, სიმტკიცის, გამძლეობის მაგალითებს წარმოადგენს. თავის ზემოთ დასახელებულ წიგნს ის უწოდებს კრებულს იმ რეცეპტებისას, რომლებიც დრომ და ცხოვრებამ გამოსცადა.

ერთგან ავტორს მოხმობილი აქვს ციტატა ტოროს წიგნიდან „უოლდენი“: „არაფერი არ შეედრება ადამიანის უდ-

რეკ უნარს – მისდოს ამაღლებულ მიზანს... თუ დაბეჯითებით ისწრაფვით ოცნების ასახდენად და ცდილობთ იცხოვროთ ისეთი ცხოვრებით, რომელიც გეოცნებებათ, ისეთ წარმატებას მიაღწევთ, როგორც წარმოუდგენელია ჩვეულებრივი ქცევისას...“ უამრავი მიჩუმათებული, კეთილი მიზანი გამახსენდა ამ სტრიქონების კითხვისას...

აღმაფრენა უნდა გადავდო იმ პატარა მეგობარს, რომელიც გაბუტული, მთელ ქვეყნიერებაზე შემომწყრალი, მშფოთვარე ზის თავისთვის, სრული სიმარტოვისკენ მიილტვის, თითქმის მარტოობაში მყოფი.

...ალავერდის ღვთისმშობლის ხატს მივუახლოვდი... უნდა დავბრუნდე თამართან, დეილ კარნეგის საუბრებს გამოვიყენებ: „როგორ დავმშვიდდეთ...“ არც ლოცვები დაგვაინყდება... ლიტერატურა კი, ალბათ, თავის დროს დაელოდება...

... შემოდგომა ისევ ერთობა ფოთოლცვენით და თითქოს არენიდან ისევ სიბელიუსის სიმფონიისა და მოცარტის სერენადების თანხლებით გადის. ხეები ანრი რუსოსა და ფიროსმანის მონყენილი ხეების მსგავსნი, სივრცეში ირეკლებიან.

მოუნყენიათ თამარის ეზოშიც ვარდებს, გაძარცვულან, წართმევიათ ეში და სილამაზე, რამდენიმე დღეც კი, თურმე, საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ დროის მდინარებას დამორჩილებოდნენ, ამაყნი და სურნელოვანნი.

ეზოს ერთ პატარა ბუჩქთან დედა-შვილი შევნიშნე. მერის ხელი ჩაველო თამარისთვის, გოგონა ფერმკრთალი ჩანდა.

— რა კარგია რომ მოხვედით, - შემნიშნა მერიმ – რამდენი დღეა არაფერი ვიციტო თქვენზე, თამარი შეუძლოდაა, არც საკვებს ეტანება, არც მუსიკას უსმენს წინანდელივით, მთელი დღე დუმს. იქნებ თქვენთან საუბარმა გაამხიარულოს. თქვენ არ ჰგავხართ სხვებს, მეგონა ჩვენგან ისევე ნახვედით, როგორც სხვები მიდიოდნენ ადრე.

გოგონამ შინ შევიდეთო, მიმართა მერის, ვერ მივხვდი, ორივეს გვიხმობდა შინისკენ, თუ მხოლოდ დედას მიმართავდა. უხერხულად, ყოყმანით, მივყევი ორივეს. მერე მერიმ, ისევ წინანდებურად, თამართან დამტოვა.

— თამარ, აქ მოსვლამდე, დეილ კარნეგის წიგნი გადავთვალე, მერე ლოცვებს ვკითხულობდი... დავმშვიდდი, ჩავთვალე, რომ კიდევ ვიღაც უნდა ვაზიარო ამგვარ განწყობილებას... ღმერთთან ყველა თავისი სანთლითა და სათხოვრით მიდის, ყველა თავის წმინდანს ესაუბრება. გულწრფელად მჯერა, რომ მარიამ ღვთისმშობელი ყოველგვარ სურვილს ამიხდენს...

— ასე რატომ ხართ დარწმუნებული — უკვირს გოგონას, შეიძლება დაუჯერებელი რამის ახდენა სთხოვოთ და მაინც აგიხდინოთ?

— რასაკვირველია... დღეს, სანამ შენთან მოვიდოდი, ვთხოვე, ებოძებინა შენთვის სურვილი, რომ გესწავლა ის, რასაც მასწავლებელი აგიხსნიდა, ებოძებინა რწმენა იმისა, რომ ცხოვრება ლამაზია, პრობლემური სიტუაციიდან გამოსავალი არსებობს და სამყარო მოულოდნელობებითაა სავსე, ვინ იცის ბედნიერებას, შენს მოლოდინში, რომელ გზაჯვარედინზე ჩასთვლიმა...

— იცით... არ მსურს ლიტერატურისა და ენის გაკვეთილებს მოვუსმინო, დეილ კარნეგის საუბრებს კი, სიამოვნებით დავუგდებდი ყურს... მერე ლოცვებსაც წავიკითხავდი...

— და... პროგრამული მასალა?

— არ მსურს...

— რა გაეწყობა, თანახმა ვარ!..

— დარწმუნებული ხართ, რომ მიუხედავად იმისა, რომ თვალხილული არა ვარ, სამყაროს მაინც შევიგრძნობ და ცხოვრების სილამაზით დავტკბები...

— დარწმუნებული ვარ.

— თუ წარმოგიდგენიათ საკუთარი თავი ბრმა.

— წარმომიდგენია... გთხოვ, იმედი არ დაკარგო...

— მასწავლებლო, ხომ არ ნახვალთ, ჩემგან...

— რასაკვირველია, არა.

— რა გქვიათ? არ გკითხეთ ადრე, თქვენც არ გიცდიათ გეთქვათ, ალბათ, შეგნებულად, ჩემგან ელოდით, დავინტირესებულიყავი...

— მე მარიამი ვარ...

— არავისთან არ ვსაუბრობდი ადრე, არაფერზე, სურვილი არ მქონდა...

— ეგ გაუცხოებაა... იგი გრძნობების მიძინებასაც იწვევს, ფიქრობ ამაოებაზე და ხარ მარტოსული...

— ხატი, რომელიც ჩვენს კედელზე ჰკიდია, თქვენ რომ ადრე ახსენეთ, როგორია?

— ჭედურობის ნიმუშია. ხე, ვერცხლი და პატიოსანი თვლები, მას ღმრთისმშობელ ოდიგიტრიას უწოდებენ. ის საქართველოს ეროვნულ მუზეუმშია დაცული, აქ კი მისი ასლია.

— მე ვილოცებ მის წინაშე. თქვენ ამაოებაც ახსენეთ...

— ბიბლიიდან. სოლომონ ბრძენს ეკუთვნის წიგნი „ეკლესიასტე“, მასში ნათქვამია: „ამაოება ამაოებათა, ყოველივე ამაო. თაობა მიდის და თაობა მოდის, ეს ქვეყანა უცვლელია უკუნისამდე. აღმოხდება მზე და ჩადის იგი, და უბრუნდება თავის ადგილს, და კვლავ იქიდან აღმობრწყინდება... და თვალი ხედვით არ გაძლება, ყური სმენით ვერ აღივსება.“

— მეჩვენება, რომ უსინათლო ვარ, მაგრამ მაინც, თითქოს სადღაც შორს, ნათელ პატარა წერტილს ვხედავ.

— შენ თვალხილული გახდები!... – წამომცდა უნებლიეთ.

— თვალხილული?! – შეკრთა თამარი. ჩემმა მოულოდნელმა სითამამემ დამაბნია ნუთით, რამ წარმომათქმევინა, რომ დაიჯეროს?..

— ეს ხომ წარმოდგენელია! – თქვა გოგონამ.

— ღვთისმშობელი აგიხდენს ოცნებებს... მჯერა მისი სასწაულების...

— ხშირად ვხედავ ნათელს, თანდათან იზრდება და მიახლოვდება იგი.

... რამ შემმატა ასეთი გამბედაობა და წარმომათქმევინა ჩემთვისაც თითქმის დაუჯერებელი სიტყვები, პრობლემურ სიტუაციაში ჩავიგდე თავი. გოგონას რწმენა გაუჩნდება, დიდი ხნის მოლოდინმა კი შეიძლება მასში გულგატეხილობა გამოიწვიოს.

თამართან უჩვეულო გაკვეთილები დაიწყო. დეილ კარნეგის წიგნი, მართალია, არ წარმოადგენს გოგონასათვის პროგრამულ სახელმძღვანელოს, მაგრამ მე ვითვალისწინებ მის სურვილს, წაუუკითხო ფრაგმენტები იქიდან. აქ მოვიყვანე იმ ამონარიდებს, რომლებიც თამარს მოეწონა.

დღე პირველი:

„აკეთეთ საქმე. შფოთვით შეპყრობილი ადამიანი მთელი თავით უნდა გადაეშვას საქმეში, სხვანაირად სასწრაფო კვეთილება ბოლოს მოუღებს“.

დღე მეორე:

„თავს ნებას ნუ მისცემთ და გუნებას ნუ გაიფუჭებთ წვრილმანების გამო, რომლებსაც ზიზლით უნდა შეხედოთ და დავინწყების მორევს მიაბაროთ. გახსოვდეთ, რომ „ნუთისოფელი ისედაც მოკლეა და არ ღირს მისი წვრილმანებზე ხარჯვა.“

გოგონამ ბევრი რამ იცის უკვე კარნეგის წიგნიდან:

„ანგარიში გაუწიეთ გარდაუვალს“.

„როცა ცდუნება გძლევა და უიმედო საქმეში სიჯიუტეს იჩენთ, შეჩერდით და შეეცადეთ ამ სამ კითხვას უპასუხოთ:

სინამდვილეში ჩემს ცხოვრებაში რა მნიშვნელობა აქვს იმას, რაც ასე მაშფოთებს?

შფოთვის რა დონეზე უნდა დავაყენოთ „ზღვარი“, რომ მერე დავინწყებას მივცეთ იგი?“

„წარსული წარსულს ჩააბარეთ. ნუ ხერხავთ ნახერხს!..“

„თუ მტრის სიყვარული არ შეგვიძლია, საკუთარი თავი მაინც გვიყვარდეს, გვიყვარდეს იმდენად, რომ მტერს არ დავეჩაგვრინოთ, ჯანმრთელობა და გარეგნობა არ შევწიროთ, როგორც შექსპირმა თქვა – მეტისმეტად ნუ გაახურებთ ქურას მტრებისთვის, თორემ შიგ თვითონ დაიწვებით...“

თამარი საოცრად შეიცვალა. ალბათ, უკვე დროა, საუბრების თემა შევცვალო, მაგრამ ის უფრო დაჟინებით მოითხოვს, მსგავსი ამონარიდები გავაცნო. მეც ვკითხულობ:

„...გახსოვდეთ, რომ ქრისტიმ ერთ დღეში განკურნა ათი კეთროვანი და მათგან მხოლოდ ერთმა მიაგო მადლობა. ჩვენ რატომ უნდა მოველოდეთ მეტ მადლიერებას, ვიდრე ქრისტეს ხვდა წილად?“

„გახსოვდეთ, რომ ბედნიერების მოპოვების ერთადერთი ხერხია არ დავუცადოთ მადლიერებას, სიკეთე ვქმნათ საკუთარი სიამოვნებისთვის.“

გახსოვდეთ, რომ მადლიერება ხასიათის ისეთი თვისებაა, რომელსაც აღზრდა სჭირდება. ასე რომ, თუ გვინდა მადლიერების გრძნობის მქონე შვილები აღვზარდოთ, თვითონვე მივცეთ მაგალითი...“

თამარი ყველა ჩემი მისწავლისგან განსხვავდება, მაგრამ მაინც, ყველანი ერთნაირად, მოციმციმე, შორეულ წერტილებს გვანან, ისინი ჩემს სულს, დროდადრო, სიკეთითა და მადლიერებით უახლოვდებიან, დიდებთან ციმციმები, რომ შემდეგ შუქად გადმოიღვარონ.

თქვენ კი...

ლაიბნიცმა თქვენთვის, დიდი ხნის წინათ, განმარტა, რომ შური გახლავთ უკმაყოფილება სულისა, გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენთვის სასურველ სიკეთის ფლობს სხვა კაცი, ვინც ამის ღირსად არ მიგვაჩნიაო, ნოვალისმა კი ბრძანა: თუ სული განიწმინდება, მაშინ ყოველი წიგნი ბიბლიააო. ჩემნაირებზე კი ხუნ ძიჩენს დაუნერია: თუ წყალს არ ამღვრევთ, ის თავად დაწდება თუ სარკეს არ გათხუპნიან, ის თავისთავად არეკლავს გამოსახულებას. ადამიანის გულის სინმინდეს მხოლოდ ამის სურვილით ვერ მიაღწევთ. თუ აღმოფხვრით ის, რაც მას აჭუჭყიანებს, ის თავისთავად გასუფთავდება, სიხარული თქვენს გარეთ კი არ უნდა ეძებოთ, აღმოფხვრით ის, რაც გაშფოთებთ და სიხარული კვლავ დაისადგურებს თქვენს სულში...

ხუნ ძიჩენზე წერენ, რომ მისი აფორიზმები გვასწავლიანო ერთად ყოფნას, როცა ერთად არა ვართ. ბედნიერებაა თამართან საუბრები, სიტბოსა და სიყვარულს ასხივებს, რწმენით აივსო... კარნეგმა აღასრულა თავისი მისია, თუ ჩემმა დაუფიქრებელმა, ერთ დღეს, უნებლიეთ წამოსროლილმა ფრაზამ?.. ის, უფალს ახლა უფრო ხშირად შესთხოვს, მალე აუხილოს თვალი. უხერხულად ვიმშუშნები, მე რეალობას მოვწყვიტე იგი და ოცნებების კუნძულზე დავსვი, ამით აღვუმართე მთები, ავუგე პირამიდები, დავუშრე ვრცელი, მშფოთვარე ზღვები, რწმენა განვუმტკიცე. მას, მერამდენედ სურს უკვე მოისმინოს ჩემგან, როგორია ქვეყნიერება, როგორ მოძრაობენ ღრუბლები ცაზე, როგორ გამოყავთ მის თანატოლებს სიტყვები დაფაზე, როგორ უყვართ ან სძულთ. ისიც ოცნებობს...

ოცნებები ხომ ჩვენს ბედს ეხება, ფსიქოლოგ დ. უზნაძის მიხედვით, ის ჩვენს თავგადასავალს მოგვითხრობს, და გასაგებია, რომ მასში ადამიანისათვის, საზოგადოდ, შეუძლებელია ფანტასტიურს ჰქონდეს ადგილი. ოცნება მხოლოდ

იმას ეხება, რისი განხორციელებაც აზრადაც მაინც მოსახერხებელია.

აღბათ, ყველა ეპოქისა და ყველა დროის გლახაკი, ეს რომ ასე არ იყოს, ისე ივლიდა გზაზე, როგორც სულხან-საბა ორბელიანის პერსონაჟი იგავიდან, „გლახაკი და ქილა ერბო“, გაფაციცებულმა, თვალეზღვრებულმა, იქნებ რაიმე ვიპოვო, აგერ, მე და თამარს რომ ჩაგვიარა... და ოი, სიხარულო, მანაც ერთი ქილა ერბო ნახა, ყურში ჯოხი გაუყარა და მხარზე გადაიკიდა. განაგრძო გზა, თან ფიქრობდა, ღმერთმა ჩემი გამდიდრება ინება და ეს ერთი ქილა ერბო ამიტომაც გამომიგზავნაო. დაიწყო ოცნება. ჩავიდოდა ქალაქში, ნაპოვნს ნახევარ მარჩილად გაყიდდა, მერე თორმეტ სამამულე წინილას შეიძენდა, დაზრდიდა, დაასუქებდა, არც გოჭებისა და სახარე ხბორების ყიდვა დაავინყდებოდა. მოხნავდა, დათესავდა, გამდიდრდებოდა. ამ ფიქრებში გართულმა შეშა დაამზადა და ქალაქში წაიღო. გზაზე ერთი ხიდი დახვდა. იფიქრა, აქ ხარები ვერ გაივლიანო და სჯობს შევძახო. „ჰარო“ - მოიქნია ჯოხი, ქოთანი ხიდზე დაჰკრა, გატყდა, ერბოც დაიქცა. გამდიდრებაზე მისი ფიქრები წამში გაქარწყლდა.

— ე.ი. ოცნება არ აუხდა – თქვა თამარმა.

— სახელმძღვანელოს ავტორებმა პატარებს განსჯისთვის კითხვები შესთავაზეს: რამდენად იყო შესაძლებელი რეალურად იმის მიღწევა, რაც გლახაკმა დაისახა მიზნად, რისი თქმა სურსო ავტორს გლახაკის მარცხით...

— აღბათ, შესაძლებელი იყო რეალურად იმის მიღწევა, რაც გლახაკმა დაისახა მიზნად, თუკი მასში ბედნიერი შემთხვევითობა ჩაერეოდა, რადგან... არ ჩანს იგავ-არაკში ჰქონდა თუ არა მას მამლების, ხბორების, გოჭების საკვები, ანუ პირობები ოცნებების განსახორციელებლად, მიზნის მისაღწევად... ბედისწერა წარმართავს ყოველივეს... თუმცა, ბედისწერისა ყველას არ სწამს.

რუსთაველს სჯერა, სწამს „ფათერაკის“ ბედისწერის არსებობა: „ფათერაკი სწორად მოჰკლავს, ერთი იყოს, თუნდა ასი...“, „განგებასა ვერვინ შესცვლის, არ საქმნელი არ იქმნების“. ფათერაკი ბედისწერაა, განგება კი ღვთის ნება, მოვლენათა ღვთაებრივი წინასწარგანზრახულობა. „...არ ვიცი, ღმერთი რას მიზამს, ანუ ცა, მიწყვი მბრუნავი...“ ცის

ბრუნვაზე, ერთი მკვლევარი წერს : ის მოსახდენ ამბებს განსაზღვრავს, ღმერთი და მისი განგება, პირიქით, კეთილია და სამართლიანი. რუსთაველი, აქ ისე როგორც ყველგან, „ვეფხისტყაოსანში“, ერთს მეორისგან ასხვავებსო.

„გლახაკი და ქილა ერბო“... თამარს იმიტომ ვუხსენე, რომ არ მინდოდა ფუჭი ოცნებებით ეცხოვრა და ერთ მშვენიერ დღეს, იმედგაცრუებულს, ჩემზეც და მთელ ქვეყნიერებაზეც ხელი ჩაექნია, მაგრამ „ვეფხისტყაოსნის“ განგება უკვე სულ სხვა მიმართულებას აძლევდა გოგონას იმედებს...

და... ეს იყო უკვე ჩიხში მომწყვდევა, გაორება... არც უნიადაგო ოცნებებს მიეცეს, მაგრამ არც უიმედობამ, გულგატეხილობამ შეიპყროს.

— თამარ!... ერთ-ერთი რელიგიური ჟურნალი წერს: „ქრისტემ თავისი სიკვდილით დათრგუნა სიკვდილი და ცხოვრება მიაწვდინა საფლავებს შინა მყოფთ არა იმიტომ, რომ „ბედი დაწერა“ ადამიანებისთვის და ისინი უნებისყოფო, უპასუხისმგებლო არსებებად აქცია, არამედ იმიტომ, რომ „ღმერთი სიყვარული არს“.

ნუ გჯერათ რომ თქვენი ყოველი ნაბიჯი წინასწარაა განსაზღვრული ზეცისგან, ნუ გადააბრალებთ თქვენს ცოდვებსა და შეცდომებს ნურც ბედს, ნურც უფალს, არამედ ითხოვეთ, რომ უფალმა ოდესმე თავისი ყურადღების ღირსი გაგხადოთ. ითხოვეთ ზომიერად; თქვენ მას მიიღებთ. „ითხოვდით და მოგეცეს თქვენ, ეძიებდით და პოვოთ, ირეკდით და განგელოთ.“

— თქვენ ცდილობთ ყველაფერს პასუხი მოუძებნოთ, ალბათ, გნამთ სხვათა აზრებისა, გჯერათ მათი...

— მჯერა... მასწავლებელი უკვე გამოთქმულს, გამოკვლეულს იმეორებს და სხვებს გადასცემს, ის კულტურისა და მეცნიერების, რელიგიის, ესთეტიკისა და ფილოსოფია-ფსიქოლოგიის საზოგადოებაში უკვე დამკვიდრებული აზრის, დაწერილისა და ცხოვრების ნაწილად ქცეული შეხედულებების დამცველია... აღსაზრდელამდე ათასჯერ გამოთქმული და გათვალისწინებული საკითხები მიაქვს. მეც, ამიტომ, სხვათა ენით გესაუბრები, მსურს შენამდე მოვიტანო ყოველივე ჭკვიანური. რისი ახდენაც გსურთ: „ითხოვეთ, რომ უფალმა ოდესმე თავისი ყურადღების ღირსი გაგხადოთ, ითხოვეთ ზომიერად...“ რამდენიმე წუთის წინ, რელიგიური

ჟურნალი ვახსენე. მასში წავიკითხე ნაწყვეტი თეოფანე და-ყუდებულის წიგნიდან: „რა არის სულიერი ცხოვრება და როგორ განვეწყოთ მისთვის?..“ ავტორი ლოცვას ელექტროტელეგრაფს უდარებს. ის ამბობს, რომ ჩვენ და წმინდანები, თითქოს ორი ერთნაირი აპარატი ვართ. გარემო, რომლითაც წმინდანები და ჩვენი სულებია გარშემორტყმული – ეს მავთულებია. როცა ჭეშმარიტი, გულითადი ლოცვით ლოცულობს სული, მაშინ სხივივით მიფრინავს წმინდანებისკენ და უყვება, რა გვინდა და რაზე ვლოცულობთ. ლოცვასა და შესმენას შორის არ არსებობს შუალედი, მხოლოდ საჭიროა, რომ პირველი პირდაპირ გულიდან მიდიოდეს, სწორედ ისაა ზეცისათვის ტელეგრაფის აპარატი, ხოლო ლოცვები, რომლებიც მხოლოდ გულიდან კი არა, მხოლოდ თავიდან და ენიდან მოედინება, არ იძლევა ზეცისკენ აღმავალ სხივს და არავის ესმის იქ. ეს არცაა ლოცვა, მხოლოდ ერთგვარი მექანიკური ნესია...

— უკვე, მგონი, მივხვდი როგორ მოვიქცე... იმედი ჩამე-სახა. თავყვანს ვცემ უფალს, იმისთვის, რომ სხვებთან ერთად ვარსებობთ ქვეყანაზე და სიცოცხლე ლამაზია. თქვენმა აღსაზრდელებმა, ალბათ, გადაწყვიტეს იგავ-არაკის პერსონაჟისთვის მიესადაგებინათ პასუხი, რომ გლახაკი, რომელსაც ქილა ერბოთი სურდა გამდიდრება, რეალობას არ უნდა მოსწყვეტოდა და სხვა გზები ეძია, ანუ უცებვე, მიზნის მიღწევაზე, სანამ სათანადოდ არ გაირჯებოდა, არ ეფიქრა.

— ვფიქრობ, სანამ მიზნამდე მივალწევდეთ, ცხოვრების რამდენიმე საფეხურისა და სფეროს გათვალისწინება იქნებოდა საჭირო... დღეს ყველა პედაგოგი და მისი ყველა აღსაზრდელი, თითქმის იცნობს ამერიკელი ფსიქოლოგის, აბრაჰამ მასლოუს მიერ შედგენილ ადამიანის მოთხოვნილებების პირამიდას, რომელიც გვკარნახობს, რომ მიზნისკენ მიმავალ გზაზე მოთმინებით გველოდებიან ფიზიოლოგიური მოთხოვნილებები: საკვები, წყალი, სითბო და ა.შ. მოთხოვნილება უსაფრთხოების დაცვისა, მიკუთვნებისა და სიყვარულისა, საკუთარი თავის პატივისცემისა. მხოლოდ სურვილებს ვერ დავეყრდნობით... მხოლოდ ოცნებებს... მოქმედებაა საჭირო... ბრძოლაც საზოგადოებაში ჩვენი გარკვეული უფლებების მოსაპოვებლად. უნდა გავაცნობიეროთ, მივისწრაფვით თუ არა იმისკენ, რაც არსებითია ჩვენთვის.

გიორგი ლეონიძის მოთხრობა „ნატვრის ხის“ პერსონაჟი, ელიოზი, ვილაცამ დაარწმუნა ნატვრის ხის არსებობაში, ის ზამთარში, ტყეში შუალამისას ცაზე უნდა ენახა. მეოცნებე, რეალობას შეჯახებული კაცი, ერთხელაც, გაფიჩხული, გაყინული, ჩამოასვენეს სახლში. ელიოზი მხოლოდ ოცნებით სულდგმულობდა და ნატვრის ხის ძიებაში უქმად კარგავდა დროს.

— გაგიგეთ. ადამიანი შეიძლება ორ უკიდურესობას, რეალურსა და ირეალურს, შეუძლებელსა და შესაძლებელს შორის მერყეობდეს, ანუ, შეიძლება გაორებულიც იყოს.

უფლის ძალა დაუჯერებელ ამბებს სარწმუნოს ხდის, ვფიქრობ, ფუჭია ჩემი ოცნება, გავხდე თვალხილული, მაგრამ შემოქმედი ყოვლისშემძლეა და უსარგებლოდ მიჩნეულ აზრებს, იმედსაც აადევნებს ხოლმე გვერდით. ჰოდა, ჩემს არსებაში ახლა ორივეა, ხან ერთი გადასძლევს, ხან მეორე. ასეთი განწყობა ჩემი ყოველდღიური თანამგზავრია. გარესამყაროსთან თქვენ, მასწავლებელი, მაკავშირებთ, მშობლები ზრუნავენ მასლოუს პირამიდის საფეხურებისკენ ამაცილონ. ამ ყველაფრით გაცობილი, ასაკით დიდი, გონებით კი პატარა ვარ...

- რევაზ ინანიშვილმა, მოთხრობაში „მირანდუხტ“ დახატა ასაკით პატარა, მაგრამ გონებით დიდი გოგონა...

- რამდენი წლის იყო?

- ათი-თერთმეტისა. მირანდუხტი ხშირად რომ სტუმრობდა იმ: „მალაზიაში სამი განყოფილება იყო, სამი გამყიდველი მუშაობდა, ორი ქალი მარო და მარგალიტა, ერთიც კიდევ კაცი-გერონტი...“ გოგონა გერონტის განყოფილებას აკითხავდა, რიგში იდგა. გამყიდველი მყიდველთა თანხას თავის სასარგებლოდ ამრგვალებდა, გოგონა მშვიდად და კატეგორიულად, შენიშვნას აძლევდა... ზუსტი და სწრაფი ანგარიში შეეძლო... ზოგიერთი, რიგში მდგომთაგან, მის საქციელს იწონებდა, ზოგი იწუნებდა ზოგიერთის პოზიცია კი გაურკვეველი იყო. გოგონა „...პატარა იყო და სიფრიფანა, რალაც ქალბატონურად მიდიოდა, წელი გამართული...“ მირანდუხტის გამოჩენაზე მარო და მარგალიტა სიცილით აცნობებდნენ გერონტის, მოდისო...

— „თქვენს სასწორს ათგრამიანი დანაყოფებიც აქვს, სამას სამოცი გრამი ძეხვი, ორას ოცდაათი გრამი ყველი“

— კარგი, რა გოგო, კარგი... ან ორასი თქვი, ან სამასი სადისტი ხარ, რა ხარ?

— სადისტი რას ნიშნავს?

— მწვალეხელს, მტარვალს – ხმას უწევდა გერონტი.

— გამაღლობთ, დავიხსომებ ამ სიტყვას.

გავიდოდა დღეები, დაამშვიდდებოდა გერონტი და ისევ გამოჩნდებოდა გოგონა, მშვიდი ქალბატონივით შემოდოდა მაღაზიაში, გერონტი საბრძოლო პოზაში ხვდებოდა, მარო და მარგალიტა სეირის საყურებლად ემზადებოდნენ. მერე, გოგონა ორი თვის განმავლობაში არ გამოჩენილა, გერონტიც დამშვიდდა, თითქოს უფრო სუფთადაც იპარსებოდა, იცვამდა. „გალსტუკის“ გაკეთებაც კი დაიწყო. ლამაზად ივარცხნიდა ჭაღარა თმას, მყიდველებთანაც უფრო თავაზიანი გახდა...

ერთხელ, ზამთარში, თოვლში გამოჩნდა გოგონა. გერონტი რაღაცას წონიდა, მაგრამ სასწორს კი არა, გოგონას უყურებდა.

„— როგორ ბრძანდებით? – მოიკითხა დიდივით. გოგონაც უღიმოდა. გასაოცარი ლამაზი ტურ-კბილი ჰქონდა, კეთილი თვალები, რაღაც ნათელი ედგა მთელ სახეზე.

— თქვენ ხომ კარგად? მე ავად გახლდით, ქუნთრუშა მქონდა. ახლა კარგად ვარ.

— ვაახ! – წამოიძახა გერონტიმ, - აკი არ მიკვირდა?

— რა გიკვირდათ?

— რომ აღარ ჩანდი.

— აღარ განვალებდით?

— არა, ეგ რა წვალეზაა. შენ კარგად იყავი ეგეთი წვალეზა რა წვალეზაა.

— დღეს სულ კარგად მოვიქცევი.

— ადრეც რა, რით იქცეოდი ცუდად!

გოგონას ეცინებოდა.

მარო და მარგალიტა სახტად დარჩენილები იყურებოდნენ“.

გოგონა რომ წავიდა, გერონტიმ თქვა:

„— რა არის ადამიანი! ხომ მაბრაზებდა ეგ გოგო. მაბრაზებდა, მაგრამ თანაც მაფხიზლებდა რაც ეგ გამოჩნდა, ამკარად დავინახე ჩემი გოგოების ნაკლოვანებები. ცეცხლის კალოში ვაყენებ – ან სიარული ისწავლონ, ან თავდაჭერა. მეცა... მეც ვზივარ და სულ ვანგარიშობ...“

მარომ მარგალიტამ და გერონტიმ აღიარეს, რომ გურანდუხტი გენიალური გოგოა, ნამდვილი გენიოსი და მანქანასავით ანგარიშობს. იმ დღიდან გოგონა და გერონტი მეგობრები არიან: „გერონტის უნდა თავის გოგოებთან მიიპატიჟოს მირანდუხტი, ნახალოვკაში, ვერ კი გაუბედავს. გერონტის ხის სამსაფეხურიანი სახლი უდგას პატარა ბაღში. მირანდუხტი კი, ასე ეჩვენება, - სულ მარმარილოს კიბეებზე დაბრძანდება აღმა-დაღმა და მომხიბვლელად უქნევს შემხვედრებს პატარა, ლამაზ ხელს.“

გოგონა შინაგანად თავისუფალი იყო, უსამართლობას ვერ ურიგდებოდა, მაგრამ არც თვითნებობაში გადადიოდა მისი საქციელი, გამყიდველის მიმართ მისი დამოკიდებულება შეიცვალა, იმიტომ, რომ თვით გერონტი გარდაიქმნა.

— აღფრთოვანებული ვარ ორივე პერსონაჟით, უკვე შემეყვარდა ის მწერალიც, რომელმაც ეს პატარა მოთხრობა შექმნა. მომწონს ბოროტების, სიცრუის, სიყალბის გადაქცევა სათნოებად, მეჩვენება, რომ ოცნება ადამიანს ალამაზებს, მე უკვე ვოცნებობ იმაზე, რომ კაცობრიობის ის ნაწილი, რომელიც მანკიერი თვისებებით გამოირჩევა გარდაიქმნას, თუნდაც, ნაბიჯ-ნაბიჯ...

შეიძლება ადამიანის მეტამორფოზა? აინტერესებს ჩემს პატარა მეგობარს. როგორ არა, რასაკვირველია, შეიძლება, გააჩნია რა შემთხვევასთან გვაქვს საქმე, ვაჟა-ფშაველას პოემა „ალუდა ქეთელაურის“ პერსონაჟი, ალუდა, ხომ გარდაიქმნა?

...და ჩვენ უსასრულოდ ვსაუბრობთ ალუდაზე... გოგონა ცდილობს, გააცნობიეროს ნაწარმოები, მისი სიღრმეებისკენ, გამოუცნობი შრეებისკენ მისწრაფვის და მეც იქით მიწვევს. მისი მეტისმეტი ცნობისმოყვარეობა იძულებულს მხდის ვიფიქრო მეტი, შინ მისულმა, თვითონაც გავაანალიზო... ამერიკელი ფსიქოლოგი აბრაჰამ მასლოუ და “ჰუმანისტური ფსიქოლოგიის სხვა წარმომადგენლები თვლიდნენ, რომ ადამიანი მუდმივ განვითარებასა და პიროვნულ ზრდას განიცდის. მასლოუს აზრით, ადამიანი არის არსება, რომელიც იღწვის საკუთარი მოთხოვნილებებისა და სურვილის დასაკმაყოფილებლად, მაგრამ სრულ კმაყოფილებას ვერასოდეს აღწევს, რადგანაც ერთ მოთხოვნილებას მეორე მოსდევს, მეორეს – მესამე და ა.შ.“

შემდეგ გაკვეთილზე თამარს ჟურნალი მივუტანე, „გზა უფლებებისკენ“ ჰქვია, მასწავლებლებს ერთ-ერთ ტრენინგზე გვაჩუქეს. იქიდან ფრაგმენტები წაუვუკითხე:

„თუ წარმოვიდგენთ, რომ დედამიწა ერთი პატარა სოფელია, რომელშიც მხოლოდ 100 ადამიანი ცხოვრობს, მაშინ ამგვარ სურათს მივიღებთ: იქ იცხოვრებს ორმოცდაჩვიდმეტი აზიელი, ოცდაერთი ევროპელი, თოთხმეტი ჩრდილო და სამხრეთამერიკელი, რვა აფრიკელი.

მათ შორის ორმოცდათორმეტი იქნება ქალი, ორმოცდარვა მამაკაცი, სამოცდაათი ფერადკანიანი, ოცდაათი თეთრკანიანი. „სოფლის“ ექვს მცხოვრებს ექნება დედამიწის მთელი სიმიდრის ორმოცდაცხრამეტი პროცენტი და ექვსივე შეერთებული შტატებიდან იქნება, მათგან ოთხმოცს არ ექნება საკმარისი საცხოვრებელი პირობები, სამოცდაათს არ ეცოდინება წერა-კითხვა, ორმოცდაათი იშიმშილებს, ერთი მოკვდება, ერთს ექნება კომპიუტერი. და მხოლოდ ერთს ექნება უმაღლესი განათლება.

თუ მსოფლიოს ამ კუთხით შეხედავ, ცხადი გახდება, რომ სოლიდარობის, ტოლერანტობის და განათლების საჭიროება ძალზე მაღალია. იფიქრე ამაზე.

თუ დილით ჯანმრთელს გაგელვიძა, შენ უფრო ბედნიერი ხარ, ვიდრე ერთი მილიონი ადამიანი, რომელიც შემდეგ კვირამდე ვერ მიაღწევს.

თუ შენ არასოდეს გადაგიტანია ომი, საპყრობილის სიმარტოვე, წამებისა და შიმშილის აგონია, უფრო ბედნიერი ხარ, ვიდრე ხუთასი მილიონი ადამიანი ამ სამყაროში.

თუ შეგიძლია ტაძარში წახვიდე შეპყრობის, დაპატიმრების და სიკვდილის შიშის გარეშე, უფრო ბედნიერი ხარ, ვიდრე სამი მილიარდი ადამიანი.

თუ საკვები გაქვს, ჩაცმული ხარ, გაქვს ჭერი და სანოლი, უფრო მდიდარი ხარ, ვიდრე კაცობრიობის სამი მეოთხედი.

თუ ანგარიში გაქვს ბანკში, ფული საფულეში და ცოტაოდენი ხურდა ყულაბაში, მაშინ შენ მიეკუთვნები უზრუნველყოფილი ადამიანების რვა პროცენტს ამ სამყაროში.

თუ ამ ტექსტს კითხულობ, ორმაგად დალოცვილი ხარ, რადგან: ვილაცამ იფიქრა შენზე და შენ არ მიეკუთვნები იმ ორ მილიარდ ადამიანს, რომლებმაც არ იციან კითხვა...”

სიტყვებზე: თუ ამ ტექსტს კითხულობ, გოგონამ ამოი-
ოხრა, მას ხომ ლუი ბრაილის შრიფტის გარეშე არ შეუძლია
კითხვა, მაგრამ ესეც ხომ კარგია... დეილ კარნეგი კიდევ ერ-
თხელ შევახსენე: „ანგარიში გაუწიეთ გარდაუვალს“.

ჩვენი საუბრები, თანდათან, ზღვაში შემავალ იმ უამრავ
ნაკადს დაემგვანა, რომელიც ინტემევა სიდიადეში, ითქვი-
ფება საერთო მასაში და და ყველა წვეთი ერთმანეთისგან
დავალებული ან ერთმანეთზე დამოკიდებული ხდება...

უჩვეულოა ასეთი გაკვეთილები, გოგონა ცდილობს
ჩემგან ბევრი სხვადასხვა ინფორმაცია მიიღოს, ჩვენი შეხ-
ვედრები ვერ იტევს ყოველივეს, დრო სწრაფად გარბის, მე
მას ძალაუნებურად ვემორჩილები, არ ვსაზღვრავ მკაცრი
რეგლამენტის მიხედვით საკითხების რაოდენობას, თამარი
ერთადერთია, ყველასგან განსხვავებული, რომელმაც უარ-
ყო პრინციპი მასწავლებლის გეგმის მიხედვით ემეცადინა, ის
ყოველდღე ახალ-ახალ თემაზე საუბარს მოითხოვს, ხანდა-
ხან, ერთი საკითხი, სრულიად მოულოდნელად, მეორეს გა-
დაებმევა ხოლმე... მპირდება, რომ დაგეგმილი პროგრამი-
თაც მალე დაინყებს მუშაობას, რადგან, მან, თურმე, ერთ
დღეს, აღმოაჩინა, რომ თუკი მოციმციმე შუქს ხედავდა, ის
ახლა, თანდათან, გადაიზარდა უფრო დიდ ნათელში, გონე-
ბის ნათლიდან თვალხილულობისკენ მიემართება, ნაბიჯ-ნა-
ბიჯ...

და კიდევ ერთი!...

მეც ვასრულებ მის თხოვნას, ჩვენი საუბრები ჩავინე-
რო, რათა თვალხილულმა, ერთ მშვენიერ დღეს, თვითონ წა-
იკითხოს იგი....

და...

მეც ვწერ ჩემი მარადიული მოსწავლისთვის...

* * *

რა ლამაზია ქურა... ფეხქვეშ სევდიანი ფოთლები მეგებთან.
გამვლელები მორიდებით მესალმებიან, ალბათ, სქო-
ლასტიკოსი მასწავლებლის გამომეტყველება მაქვს, აი, სწო-
რედ ისეთისა, ფრანსუა რაბლემ რომ აღწერა. თუმცა, ადამია-
ნებო, თქვენ, ალბათ, არ უკვირდებოდით იმას, რომ სქოლას-

ტიკოსებიდან ჰუმანისტურისკენ გადაბულ ხიდზე დგას ქვეყანა, მსოფლიო ისტორიის ერთი პატარა ნაგლეჯი... ხიდის ერთი მხრიდან მეორისკენ, ხშირად, ფარულად გადამირბენია... ჩემს სევდიან გამომეტყველებას რაც შეეხება, ეგ თამარზე დარდის ნიშანია, გოგონაზე, რომელმაც იძულებული გახდა, თავისი ნებასურვილის მიხედვით მესაუბრა მასთან გაკვეთილებზე: ღმერთზე, ვარსკვლავებზე, დედამიწაზე, ბიოლოგიასა და ისტორიაზე, თითქმის ყველა საკითხზე, რასაც კი ჩემი ცოდნა გასწვდებოდა... და თავისი ამ მკაცრი მოთხოვნებით მიმითითა, რომ არ შეიძლება მხოლოდ ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოებიდან გამოხედვა, არც ორ-სამ სასწავლო საგანთან მათი ინტეგრირება შველის საქმეს...

...ისევ ფრანსუა რაბლე...

ის ჰარმონიულად განვითარებული ადამიანის იდეალს ამკვიდრებდა...

ახლა თამარი...

მან, ძალაუნებურად, ინსტინქტურად, პიროვნების (ჩემი) რადიკალური შეცვლა, უფრო სწორად, მისი ჰარმონიული, მრავალმხრივი განვითარება, მოინდომა და როლები შეცვალა...

— დღეს ქიმიაზე მესაუბრეთ...

— ამისთვის ქიმიის მასწავლებელია საჭირო.

— არ მსურს ქიმიის მასწავლებელი, თქვენ მესაუბრეთ.

...ვიხსენებ ქიმიას, აქაც, თამართან საუბრისას, შინ, მარტო დარჩენილი საკუთარ თავთან და ქიმიის სახელმძღვანელოსთან.

— ბიოლოგია ! – ამბობს გოგონა.

... და ჩვენ... ვსაუბრობთ ასტრონომიაზე, ფიზიკაზე, ეთიკაზე, ფილოსოფიაზე... ტოლერანტობაზე, სტერეოტიპებზე, რელიგიაზე... მალე, გოგონა, ალბათ, დაემგვანება უნივერსალური ენციკლოპედიის მკითხველს...

გამბედავი და თამამი კაცი აღწევს ეოველთვის სანუკვარ მიზანს.

ჰომეროსი

მეცხრე ღაპალება

მოთხრობები

„უთხრა მას იესომ: ჭეშმარიტად გეუბნები შენ: „ამაღამ, სანამ მამალი იყივლებდეს, სამჯერ უარმყოფ მე“
(მარ. 14.30. ლუკ. 22.34 იოანე 13.38)

პეტრე იჯდა გარეთ. მივიდა მასთან ერთი მხევალი და უთხრა: „შენც იესო გაგიღვევლთან იყავი.

მან კი უარყო ყველას წინაშე და თქვა: „არ ვიცი, რას ლაპარაკობ“.

როცა კარიბჭიდან გამოდიოდა, სხვამ, დაინახა და უთხრა იქ მყოფთ: „ესეც იესო ნაზარეველთან იყო“.

მან კვლავ უარყო ფიცით: არ ვიცნობო ამ კაცს.


ცოტა ხნის შემდეგ მიუახლოვდნენ იქ მდგომნი და უთხრეს პეტრეს: „ნამდვილად შენც მათგანი ხარ, ვინაიდან შენივე კილო გამხილებს შენ“.

მაშინ იწყებდა და ფიცილი: არ ვიცნობო ამ კაცს და მყისვე იყივლა მამალმა.

გაახსენდა პეტრეს იესოს ნათქვამი სიტყვა: სანამ მამალი იყივლებდეს, სამჯერ უარმყოფო. გამოვიდა გარეთ და მნარედ ატირდა. (მათე 27.69-75).

გუდამაყაზში მოსიარულე ცოცხალ მოთხრობებზე ვწერ, იმათი სულის ბინდისფერი ხეობიდან გამომაქვს სიკეთე და მოძაველის ნათელში ვფენ

გოდერძი ჩოხელი



6.1.12 2012 m.

მარტოკაცის სამყარო

ქარიშხალი ტოტებს ამტვრევდა ხეებს, უმონყალოდ ყრიდა აქეთ-იქით, ხან კედლებს ეხლებოდა ბრაზიანი, ხან შარაგზიდან ახვეტილ მტვერს ვინ იცის სად, ვის ჭიშკართან ახვავებდა... ვერ ისვენებდა, გახელებული ვილაცას თუ რაღაცას ეძებდა და ვერ პოულობდა. ყველა გაურბოდა, შენუხებული ადამიანები შენობებს აფარებდნენ თავს, მობუზული ფრინველები გაჩუმებულიყვნენ, ბრაზიან, ხმაურიან, მორბენალს მთელი ბუნება აეფორიაქებინა. სადღაც, ოთახებში, ალბათ, ისეთებიც მიყუჟულიყვნენ, გალაკტიონ ტაბიძეს რომ ენათესავებოდნენ სულიერად, მისი სტრიქონები რომ ახსენდებოდათ: „წუხელი, ღამით, ქარი დაჰქროდა და დიდხანს, დიდხანს არ დამეძინა, მე მქონდა ბინა, თავშესაფარი, მაგრამ ქარიშხალს არ ჰქონდა ბინა...“

კარგა ხნის შფოთიანობის შემდეგ, ქარიშხალმა კიდევ ერთხელ შემოირბინა ყოველი კუთხე-კუნჭული, კიდევ ერთხელ შეაყარა შარაგზის მტვერი ირგვლივ ყოველივეს და ის იყო უნდა დამცხრალიყო, რომ გზაზე კაცი შენიშნა. უკანასკნელი ღონე მოიკრიბა და გაექანა მისკენ, მაგრამ ჩვეული მრისხანებით ვერ შეეჩხა, სულს ლაფავდა ქარიშხალი, ნამებს ითვლიდა. ძალაგამოლეულმა მაინც მიაღწია იქამდე და უკანასკნელი ხმა აღმოხდა გოცებისა, კაცს ხელში საიდანღაც ქარის მიერ მოტანილი ია ეჭირა და სათუთად დასცქეროდა, თითქოს დედოფლის, ჟოზეფინას, ხელშენავლები ყოფილიყო. სევდიანი და ლამაზი ხარო, ესაუბრებოდა ეფემერას. კაცის გულჩვილობისა ქარს ვერაფერი გაეგო, უკანასკნელად მიმოატარა თვალები ირგვლივ, მის უღონობაში დარწმუნებული ადამიანები, სამალავებიდან, ოთახებიდან გამოდიოდნენ, ფრინველები ფრთებს ისწორებდნენ, ხეები დაკარგულ ტოტებს, მიმოფანტულ ფოთლებს, გლოვობდნენ. იდგა კაცი გზაზე და ქარიშხლის გარდაცვალებას ესწრებოდა. შარაგზა მოფენილიყო ყვავილებით. კაცმა ნაბიჯები გადადგა, სვლა განაგრძო.

— გამარჯობა! — შემოესმა და მანაც მოიხედა. ლუკას არც შეუმჩნევია, როდის წამოენია თანამგზავრი — სასიამოვნოა თქვენი გაცნობა, არც კი მოგიხედავთ, მე გიო ვარ. შინ მივდივარ, ქარიშხალმა დამქანცა, ძალიან ბობოქრობდა,

მეგონა ვეება ხეებს ძირიანად მოთხრიდა, აი, იმ შენობას შე-
ვაფარე თავი — გიომ უკან გაიშვირა ხელი.

ლუკამ გაუღიმა. გიო შეკრთა, ლუკას თითქოს ქარიშ-
ხლის მიერ საიდანღაც მოტანილი იის სურნელი შეესრუტა,
ირგვლივ ეფემერების სურნელი ტრიალებდა, სწორედ იმ
პერსონაჟს დამგვანებოდა, გოდერძი ჩოხელის ერთ რომანში
რომ ყვავილად იქცა...

მიდიოდნენ... თითქოს ყოველი ნაბიჯის ხმა ჯერ ბეთ-
ჰოვენის, მერე მოცარტის, მერე კი ვივალდის ბგერების გა-
რემოცვაში რიტმულად მოისმოდა... ახლა უკვე, ყველაზე
უკეთ, ესმოდა კლოდ მონეს სურათის „მზის ამოსვლის“ შინა-
არსი.

სასიამოვნო შთაბეჭდილების ზეგავლენის ქვეშ იმყო-
ფებოდა.

საოცარიყო, ფიქრობდა გიო, ზოგიერთ ადამიანთან სი-
ახლოვე შთაბეჭდილებას გიქმნის, რომ ღვთის ხელშენავლე-
ბი სინმინდე მოგიახლოვდა, რაღაც ზებუნებრივი შარავან-
დედი. მასა და შენ შორის არსებული ზღვარი არ უნდა გადა-
ლახო, შინაგანი მოწინების გრძნობა შენს მეორე „მეს“ უკან
ახევიწებს... ასეთი გრძნობა ყოველთვის არ გვიჩნდება ხოლ-
მე.

— კარგა ხანია გზას ფეხით მოვუყვები, როგორც მით-
ხრეს, დღეს, ტრანსპორტი უკვე არ მოძრაობს, გვიანია.

— დიახ... თქვენ... მგონი, სტუმრად მიბრძანდებით.

— არა.

— მაშ?..

მარტოკაცი ვარ... არც იქ დამიტოვებია არავინ — ხე-
ლი სადღაც უკან, შორს გაიშვირა ლუკამ — არც აქეთ მომე-
ლიან...

— სტუმარი ღვთისაა, ბატონო ლუკა, აქვე, ახლოს
ვცხოვრობ, მენვიეთ, მეც მარტო ვარ...

ლუკა დათანხმდა.

— ესე იგი, არავინ არ გყავთ, არც არავისთან მიგეჩქა-
რებათ...

— ასეა, - თქვა ლუკამ.

სახლში შევიდნენ.

— კარგი მეზობლები მყავს... გულის დარდს ერთად ვიქარვებთ ხოლმე.. იმათ გაგაცნობ... არ მოინწყენ. — შენობით ლაპარაკზე გადავიდა გიო...

— თქვენ... არავინ არ გყავთ?

— ცოლ-შვილი მყავს, ნათესავთან არიან სტუმრად.

... ისხდნენ და ჩუმად წრუპავდნენ ღვინოს, მეზობლები, გიო, ლუკა... სიმშვიდე იდგა, ეს შეკრება არ ჰგავდა ხმაურიან თავყრილობას შეზარხოშებული მამაკაცებისას...

ლუკამ საბოლოოდ დალოცა ოჯახი, მეზობლები და თქვა:

— ბედნიერად ჩავთვლიდი თავს, თუნდაც დროებით, ასეთი მშვიდი გარემო და ოჯახი რომ მქონოდა... შორეულმა ნათესავმა ფული მიანდერდა. მიხარია, უთვისტომოსა და არარას მქონეს ახალი ცხოვრება მენწყება... შევიძენ საცხოვრებელ სახლს, მერე მეყოლება ცოლ-შვილი და... არ მერქმევა მარტოკაცი, აი, ისეთი, ქარიშხალსა და გრიგალში რომ ეულად მიემგზავრება გზაზე და არსად არ მიელიან. ადამიანური სიტბო, ყურადღება, პირველად თქვენს ჭერქვეშ ვიგრძენი, არ დაგივინწყებთ... შევეცდები ხელი გამოგიწოდოთ, თუკი დაგჭირდებათ.

ლუკა წავიდა. გიომ მასთან ერთად მეზობლებიც გააცივლა, მერე სუფრის ალაგებას შეუდგა. სკამები რომ მისნია, იქ, სადაც ლუკა იჯდა, ქვემოთ, საფულე შენიშნა. გიო დაიხარა, გახსნა და, ჰოი, საოცრებავ, ამდენი ფული ერთად არასდროს ენახა. წამით თვალთ დაუბნელდა, გაშეშდა. სტუმარს გიოსთან დარჩენოდა ის, რასაც მარტოკაცის სამყარო უნდა შეეცვალა. თვითონაც, მართალია ცოლ-შვილი ჰყავდა, მაგრამ მაინც მარტოკაცი იყო. მუდმივმა უფულობამ, უკიდურესმა სიღატაკემ ჩამოაშორა ისინი, გიოს სიდედრ-სიმამრთან აფარებდნენ თავს. ეს უკანასკნელნი კი გამუდმებით ბუზღუნებდნენ სიძის უვარგისობასა და მოუქნელობაზე, იმაზე, რომ მას ცხოვრების შნო და ლაზათი არ ჰქონდა და მდგომარეობა მუდამ გაყინული, ერთ წერტილზე გაქვავებული ჩანდა. ამ ფულს შეეძლო გიოს მდგომარეობის შეცვლა, მაგრამ ლუკა რომ დაბრუნებულიყო? აუცილებლად დაბრუნდებოდა, ალბათ, ფულს მოიძიებდა, მიხვდებოდა, რომ გიოსთან დარჩა იგი. ნეტავ, არ მოვიდოდესო, ინატრა და თავის ცხოვრებაში პირველად, ხატებს მიაპყრო თვალი. აფორიაქდა, აწრიალდა,

უაზროდ აწყდებოდა ნივთებს, სუნთქვა არ ყოფნიდა, თითქოს რაც ჟანგბადი იყო, უკვე ნასულებს შეესრუტათ, ვინ იცის, მერამდენედ შეავლო ხელი საფულეს, ხან შიშით, ხან სიბრალულით, ხანაც სიხარულით. ვინ იცის, მერამდენედ შეეხო, უაზროდ, ოთახის თითოეულ ნივთს, რალაცისა თუ ვილაცის მოლოდინში, დრო გადიოდა. კარი გამოაღო, ჩამდგარი ქარიშხალი გამოფხიზლებას იწყებდა, ავობდა. ახლა, ალბათ, ავდრისგან შენუხებული ლუკა ნანობდა, რომ გიოს სახლიდან წასვლა იჩქარა, იქნებ უკან მოუყვება გზას... მაშინ... როგორ მოიქცეს გიო? ახლა მას მრჩეველი სჭირდებოდა, ალბათ, ისევ შინაგანი ხმა, რომელიც გადააწყვეტინებდა როგორ მოქცეულიყო, გაემხილა თუ არა, რომ ფული აქ დარჩა მარტოკაცს, თუ ხელები გაესავსავებინა, ნეტავ, სადა დაკარგეო, მოჩვენებითი სიბრალულის გრძნობით შეეხედა მისთვის. სარკმელს მიუახლოვდა, აფორიექებული სულის პასუხს, შორს, ბნელ სივრცეში, დაუნყო ძებნა, მაგრამ გარეთ ზეცა გრიალებდა, ელია დაჰქროდა თავისი ეტლით. სარკმელს მოშორდა. უაზროდ გაიარ-გამოიარა ოთახში, ინსტინქტურად „ვეფხისტყაოსანი“ გადაშალა: „ამ საქმესა დაფარულსა ბრძენი დივნოს განაცხადებს; ღმერთი კარგსა მოავლინებს და ბოროტსა არ დაჰბადებს...“ ნიგნი განზე გადადო: „მე ხომ არასდროს არ ვიცნობდი ლუკას, ცხოვრებამ თუ იღბალმა, ის შემთხვევით მოიყვანა ჩემთან... დაე, ის ჩვეულებრივი, ჩავლილი მგზავრი იყოს, ისეთივე, როგორიც უამრავი ჰყოლია ტროლეიბუსებისა და ტრამვაების მძღოლებს... დაე, დაშორდეს ჩვენი ცხოვრების ეტლი ურთიერთს... ხსნის სხვაგვარი გზა, ჩემთვის არ არსებობს... ახლა ღმერთმა თუ სატანამ მოუვლინა მას მარტოკაცი, რომელმაც მეორე მარტოკაცის ბედსა და იღბალზე ზეგავლენა უნდა მოახდინოს...“

საფულეს დახედა, უხილავი, აკრძალული, შეუცნობელი ცვლილება უნდა მოეტანა მას. იქნებ, გიოს უკანასკნელ მომენტში, დაეთმო იგი პატრონისთვის, სიმართლე გაემხილა... მაგრამ... თუკი ფული მას დარჩება, მაშინ, ექნება მყუდრო ბინა, ოჯახი, სიმდიდრე... საკმაოადა თანხა... იქნებ დაეთვალა.

კარზე კაკუნი გაისმა. გიო შეკრთა, ხელი უშვა ინსტინქტურად ფულს, იატაკზე მიმოიბნა იგი. დაიხარა, ცახცახით დაიწყო შეგროვება. კაკუნი განმეორდა, ახლავეო, შესძახა,

სწრაფად აკრიფა, შეინახა: „რატომ მეგონა, რომ არ დაბრუნდებოდა, აკი მოვიდა... აკი დაბრუნდა...“

კარი რომ გააღო, გაოცდა, ლუკა კი არა, თავისი სიდედრ-სიამამრის მეზობელი ბიჭუნა იდგა.

— რა მოხდა?.. ყრუდ აღმოხდა ხმა გულის სიღრმიდან.

— თქვენი შვილი, ნინო, ცუდადაა...

— გამოგგზავნეს?.. — ხმა ჩაუნყდა გიოს.

— არა, თვითონ წამოვედი.. თქვენზე სულ ბრაზობენ, ძია გიო, ვერ ხელმძღვანელობსო ოჯახს.

გიოს სიბრაზისგან აენტო სახე.

— განა უდარდელობით მომდის ყოველივე... რამდენი სჭირდება ჩემს გოგონას ფული? გიოს ხმა ჩაუნყდა, სწორედ ის გამორჩნდა, ვისაც ნუთების წინათ ყველაზე მეტად მოელოდა, ვისი გამორჩენისაც ეშინოდა, ლუკა მოემართებოდა მისკენ... ლუკა თუ გოგონა?.. გადანყვეტილება სწრაფად უნდა მიიღოს... რასაკვირველია, გოგონა, ეტყვის ამ ახალგაცნობილ კაცს, რომ თვალთ არ უნახავს საფულე.

ლუკას დადარდიანებოდა სახე.

— სადღაც დაკარგე, გიო... ყველაფერი დაკარგე...

— მაინც რა? როდის? — ჰკითხა გიომ.

— ჩემი ცხოვრების გეგმა... საფულე დიდი თანხითა და ძვირფასი ბეჭდით.

— ბეჭედიც? — წამოცდა გიოს.

— დიახ, ძვირადღირებული...

— და... აქ იმიტომ დაბრუნდი, რომ...

— იქნებ აქ დამრჩა-მეთქი...

— არა, არა, ღვთის მადლმა, აქ არაფერი მინახავს, სამწუხაროა ყოველივე.

ლუკა ერთხანს მწუხარე და თავდახრილი იდგა, მერე უსიტყვოდ გაუდგა გზას, გიო ვერ ახერხებდა ენუგეშებინა იგი.

მარტოკაცი თვალს რომ მიეფარა, გიო ბიჭუნას მიუბრუნდა:

— ნადი, მე მალე მივალ ჩემს გოგონასთან...

ბიჭუნა გაიქცა. გიო შინ შეტრიალდა, საფულე კარგად შეათვალიერა, გადმოატრიალა, მართლაც, ძვირფასი ბეჭედი გადმოვარდა. ულამაზეს ნივთს ხელი კრძალვით შეახო. არა, დაუფერებელია... ახლა, ნამდვილად, უმდიდრესი ადამიანია,

უკვე წინ ველარაფერი დაუდგება, სიკვდილსაც დაამარცხებს. გიოს გოგონა გადაარჩინა მარტოკაცის ფულმა, ბევრი პრობლემა მოაგვარა. მშვენიერი საცხოვრებელი ბინა შეიძინა, ავეჯთან ერთად, ახალმა სამოსმაც დაამშვენა მისი ბინადარნი, დანგრევის პირას მისული ოჯახი გააერთიანა. ახალ მდგომარეობას ისე შეეგუა გიოს ოჯახი, თითქოს უძველესი დროიდანვე, მამაპაპითგან მოსდგამდათ ყოველივე.

რამდენიმეჯერ აყვავდა ნუში, მერამდენედ ამოხეთქეს მიწის გულიდან, ჩაძინებული ფესვებიდან ბალახებმა, მერამდენედ გაუღიმა განებივრებულმა ნინომ გაზაფხულს; მაგრამ, ახლაც, ისევ სენმა დარია ხელი. გიოსთვის, ყველაფერი ის, რაც სიმდიდრით ბრწყინავდა, გაუფასურდა, გაუფერულდა. ცა და ხმელეთი შეძრა წრიალით, ყველგან ნუგემს ეძებდა, ექიმებში, წამლებში, ნაცნობ-მეგობრებსა და გაფერ-მკრთალელებული მეუღლის თვალებში, მაგრამ ამაოდ. დრო გაურკვეველობაში გადაიოდა. ყველა ადამიანის ცხოვრებაში, ალბათ, დგება მომენტი, როცა სივრცე არ ჰყოფნის სუნთქვისათვის, სხეული დაგუბებული ოხვრის თავშეკავებისათვის, მანძილი ბოლთის საცემად. ხეტიალში სკამებს წაანყდა, დაჯდა, არეული მზერა ვერ დაუმშვიდდა, ამოიოხრა, გულიც ამოაყოლა. რამდენიმეჯერ წამოდგა, მერე ისევ დაჯდა. თავი ხელებში ჩარგო.

— ღმერთს უნდა მიმართო, შვილო ჩემო, ის ყოვლის-შემძლეა... დაგეხმარება.

გიომ შეხედა. იქვე მოხუცი ქალი ჩამომჯდარიყო და სიბრალულით შესცქეროდა.

— თქვენც იცით?... თქვენც გაიგეთ, რომ ჩემი გოგონა, ნინო, ცუდად მყავს?

— ვიცი, - თქვა ქალმა.

— საიდან?

— მივხვდი.

— მიხვდით?..

— თქვენი ტანჯვის შემხედვარე მივხვდი... დიდ ვარამს შეუპყრიხართ...

— რა მეშველება?!.. - უიმედოდ ამოიოხრა გიომ.

— ღმერთი გიშველის, წმინდანები, ქერუბიმები, სერაფიმები, ლოცვები...

— მე... არასდროს მიმიმართავს მათთვის, მათ არასდროს აღვიქვამდი, როგორც სასწაულებრივს...

ზარების რეკვა მოისმა.

— ეს ზარები... – გაიკვირვა გიომ.

— თქვენ ტაძრის ეზოში ხართ... განგებამ მოგიყვანათ აქამდე, თუმცა...

— რისი თქმა გასურდათ?

— თქვენ, ალბათ, ცოდვილი ხართ...

გიო შეკრთა.

— ქალბატონო, ჩვენ ხომ... არასდროს ვიცნობდით ერთმანეთს, საიდან იცით...

— უნდა მოინანიოთ... ვხვდები, რაღაც ძალიან განუხებთ...

გიო კიდევ ერთხელ შეკრთა. რამდენიმე წუთი თავდახრილი იჯდა, მერე გონება მოიკრიბა და გადანწყვიტა მოხუცისთვის ეკითხა რჩევა, მაგრამ ის უკვე წასულიყო.

ახლა გიო ამ ცისქვეშეთში მარტო იყო, საკუთარ თავთან. წამოდგა, ბარბაცით გასწია, სადღაც შორს, მოციმციმე სანთლებისაკენ. არა, სულაც არ ყოფილა შორი, მოეჩვენა. შავანაფორიანი ღვთისმსახურის წინ მუხლებზე დაეშვა, მან წამოაყენა, სკამზე დასვა, თვითონაც მოპირდაპირედ დაჯდა, გაოცებული იყო ღვთისმსახური, გიო კი აფორიაქებული, შენუხებული, თავდახრილი.

— ცოდვილი ვარ, მამაო... ცოდვილი...

— მე გელოდები, დიდი ხანია, - თქვა შავანაფორიანმა.

— როგორ?... – გაიოცა გიომ.

— უბრალოდ... აქ თითქმის მოსანანიებლად უფრო მოდიან, ლოცვის მსურველნი ხატებთან დგანან. განგებამ მოგიყვანა...

— ეგ უკვე ერთხელ მითხრეს... გოგონა მყავს ცუდად... ხსნის ერთადერთი გზა ღმერთია, სხვა ყველა საშუალება მოვსინჯე, მაგრამ ამაოდ, მამაო...

— როდის მიხვდი, რომ ცოდვილი იყავი?

— ყოველთვის ვგრძნობდი, მაგრამ ისე არა, რომ ამას ჩემთვის სული შეეშფოთებინოს... ახლა ვგრძნობ... ცუდად მოვიქეცი... გაჭირვებულ, ეულ მარტოკაცს, ჩემთან ფული და ძვირფასი ბეჭედი დარჩა, წლების წინათ. უკან რომ მობ-

რუნდა ლუკა და საფულე მოიძია, ვუთხარი, რომ ჩემთან არ დარჩენია.

— მერე?

— ის წავიდა...

— შენ?

— გავმდიდრდი...

— ლუკა?

— არც მინახავს.

— არც დაინტერესებულხარ გენახა და ისევ მისივე ფულით დახმარების ხელი გაგენვდინა.

— არა!

— რატომ?..

— მეშინოდა მისი ნახვისა, მთელი ეს პერიოდი ვცდილობდი, თუკი შევხვდებოდი, გავქცეულიყავ მისგან. მომეტევება?..

— ალბათ, ღმერთი დიადა...

გიომ თვალი მიმოავლო ტაძარს. ყველა ფრესკა გამწყრალი თვალთ მისჩერებოდა. ღვთისმსახურს ფიქრიანი სახე შეცვლოდა, გაოცებული და ისიც გამწყრალი იმზირებოდა. მომეჩვენაო, გაიფიქრა გიომ. ტაძარი ნელი ნაბიჯებით დატოვა... შინ მისულს გოგონა გამოჯანმრთელებული დახვდა, ყველა ხარობდა, სახლის ყოველ კუთხეში ბედნიერება დაჰქროდა, თეთრი, ფუმფულა ფრთებით.

სულ რამდენიმე დღეში გიომ ისევ მიაკითხა ღვთისმსახურს და ის ძვირადღირებული ბეჭედი დაუდო წინ.

— ვინახავდი სასოებით, რომ გაჭირვების ჟამს გამომდგომოდა, ახლა ტაძარს ვწირავ ნივთს...

— რომელიც შენ არასდროს არ გეკუთვნოდა, - მიუგო ღვთისმსახურმა.

გიო შეკრთა.

— მე ვარ ის... ვინც ფული და ეს ბეჭედი დაკარგა, სამაგიეროდ, ღმერთი ვიპოვე, შენ კი დაკარგე... შენმა შეცდომამ ჩემი ცხოვრება შეცვალა, იმისიც, მოხუცი იობისა, თავიდან ხელი მან გამიმართა — ღვთისმსახურმა გაოცებული, იქვე მდგარი, მოხუცისკენ მიუთითა, მას სანთლები ეჭირა და ხან ხატებს, ხან გიოს შეჰყურებდა.

გიო გაყინულიყო თითქოს. ის ახლა უგრძნობი ქვის იმ ფილის მსგავსი იყო, რომელზედაც ამ წუთას იდგა.

წიგნა

სტუმარი ღვთისააო, — შეუძღვა უცხო კაცს ლაზარე და ცეცხლთან მიიპატიჟა. მორიდებით მიუჯდა ბუხარს სტუმარი. ის არ ჰგავდა წმინდანს, არც საქვეყნო საქმისთვის წამებულ საქმოსანს, არც ქველმოქმედს, უბრალოდ, შემოაღამდა და უკუნეთ ღამეში სიარულს ვინმესთან ღამისთევა ამჯობინა. საქართველოში რა გამოლევს სტუმართმოყვარე ოჯახს. თვითონაც, ერთხელ, დიდი ხნის წინათ, ვიღაც გიო, ქარიან ამინდში, წამოენია გზაზე და შინ მიიყვანა. კარგად ახსოვს, მარტოკაცი ვარო, უთხრა...

ჰოდა, თვითონაც, ლუკაც, კეთილად მიიღო ლაზარემ. სტუმართმოყვარენი ვართ, ქართველები... საკმარისია გონების თვალი გადაავლო, გამოჩენილ ადამიანთა, მოგზაურთა და სხვათა და სხვათა აზრებს, ქართველებსა და საქართველოზე, და თუ მთელი ფრაზები არა, ნაწყვეტები მაინც წამოგიტვიტვივდება მათი გამონათქვამებიდან.

ერთ-ერთი ცნობილი, გერმანელი მწერალი, ადოლფ ენდლერი, ერთ დროს გულწრფელად მიმართავდა მკითხველს, თუ საქართველო საკადრისად ვერ დაგიხატე, მაშინ ირლანდია, იტალია, ჰოლანდია, შვეიცარია გაიხსენეო, არც კნუტ ჰამსუნი დაივიწყო, რომელმაც მას „თავგადასავალთა ქვეყანა“ უწოდა და თვითონაც ვერ გაარკვიაო, მართლა ნახა თუ დაესიზმრა იგი. ცნობილი ესპანელი მეცნიერი და აკადემიკოსი, გილერმო დიას პლაია, თურმე, ნამდვილ შემოქმედებით ასპარეზს უწოდებდა ქართულ სუფრას, ხოლო საქართველოს კი მრავალფეროვან ქვეყანას. წამიკითხავს, იტალიელი ქართველოლოგის, ლუიჯი მაგაროტისთვის, თურმე, ძნელი ყოფილა გადაებიჯებინა დარიალის ხეობისთვის და მერე აქაურობა მიეტოვებინა.

მივდივარ და მიმყვებო ქართველთა სიტბო და სტუმართმოყვარეობის ნიჭი, წერდა ფლორიდის უნივერსიტეტის დეკანი, რობერტ ბარილსკი...

— ნელ-ნელა ცრიდა... ალბათ, მალე, შხაპუნა წვიმა წამოვა, მეზობელ სოფელში ვცხოვრობ, შემომალამდა.

— სტუმარი ღვთისაა, - თქვა ლაზარემ – რა გქვია?

— ლუკა!..

— გაიხადეთ ლაზადა და მოკალათდით ცეცხლთან, როგორც გენებოთ, ღილი აგვარდნიათ... ალბათ, ახლა დაგემართათ?..

— მგონი, თქვენს ჭიშკარს გამოვედეთ თუ ღობეს, ნავბორძიკდი და...

— მიუღლე და შვილი სტუმრად არიან წასულები – მოუბოდიშა ლაზარემ, - მე გაგიმასპინძლდებით, შეძლებისდაგვარად.

როგორ მეორდება, სამყაროში, ზოგჯერ მსგავსი ისტორიები, თვითონაც, გიო რომ ესტუმრა, ოჯახის წევრები შინ არ ჰყავდა.

ლაზარემ ღარიბული საჭმელი დაალაგა, ცოტა არაყიც მოაყოლა.

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ამ ოჯახში – თქვა ლაზარემ და ლუკას არყით სავსე პატარა ჭიქა მიანოდა.

— კეთილი იყოს ჩვენი გაცნობა, - მიუგო ლუკამ.

ლაზარემ გადაჰკრა არაყი.

— რატომღაც, ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ გიცნობდით, დიდი ხნის წინათ.

— საოცარია, მაგრამ მეც ასე ვფიქრობ, - მიუგო ლუკამ, ლაზარემ თვალი მოჰკრა სტუმარს თითზე თვალამოვარდნილი ბეჭედი ეკეთა.

— მეგობარო, მგონი, ბეჭდის თვალის დაგიკარგავთ...

სტუმარმა თითზე დაიხედა, გაფითრდა.

— ხვალ მოვძებნით, ალბათ, ესეც იმ ღობისა თუ ჭიშკრის ბრალია...

სტუმარს გონება გაეფანტა, აწრიალდა, მაგრამ მოჩვენებითი სიმშვიდის შენარჩუნებას შეეცადა.

— „სამეფო?“ - მზერა გადაიტანა არყის ბოთლზე – კარგი სახელი ჰქვია – თქვა უგულოდ.

— დიახ! — თქვა ლაზარემ – მერე იქვე, წიგნებთან დადებულ ბუკლეტს დაავლო ხელი, ერთ-ერთი ფირმის მიერ გამოშვებულ საინფორმაციო ფურცელს.

— აი, აქ წავიკითხე, ფირმა, რომელიც ამ პროდუქციას უშვებს, 1990 წელს დაარსებულა...

სტუმარმა დაბნეული მზერა შეაგება. მასპინძელი კი განაგრძობდა:

— ჯერჯერობით, ამ ფირმისა, თურმე, მხოლოდ ცხრა სახეობის პროდუქცია გამოდის, მათ შექმნაზე მსოფლიოში ცნობილი ტექნოლოგები მუშაობენ... სხვადასხვა ქვეყნიბიდან. მოდით, მშვიდობის სადღეგრძელო დავლიოთ, დაე, საქართველო ერთიანი ყოფილიყოს, მსოფლიოში ჰარმონია დამყარებულიყოს...

მონყენილი ჩანხარ, მეგობარო... ძვირფასია? – თვალით ანიშნა ბეჭდისკენ – განიცდი?

— არა... არაუშავს, - თქვა დაბნეულმა.

— ხვალ, დილით, ადრე მოვძებნოთ... ჰო, კიდეც, იცი რა ნავიკითხე?... საქართველოში არყის წარმოებას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს... თურმე, „ოთხთავსა“ და „დაბადების“ ქართულ თარგმანში მოიხსენიება დამატორობელი სასმელი „იყი“, რაც, სულხან-საბას განმარტებით, არაყს ნიშნავს, თანამედროვე ქართულ ენაზე...

— დიდებული სასმელია, ბატონო ლაზარე, თვით მეფეც კი ვერ დაინუნებდა ამას, ისე საინტერესოა, თავიდან ვინ შეიმუშავა მისი რეცეპტი...

— მენდელეევის მიერ შექმნილი ტექნოლოგიით ყოფილა მიღებული... მისი რეცეპტი კი, რუსეთის იმპერიას დაუპატენტებია 1894 წელს...

— მერე?..

— მერე, მეოცე საუკუნის მიწურულს, თანამედროვე ტექნოლოგიით, რუსეთის იმპერიის დაპატენტებული რეცეპტით, შექმნილა ნატურალურ ნედლეულზე დამზადებული პროდუქცია, ინგრედიენტებს, კავკასიის წყაროს წყლები, და საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული მცენარე ენდემიკაც, ემატება თურმე...

— რამდენი საინტერესო რამე მოვისმინე, ბევრი რამ არც კი ვიცოდი... ეგეც საკითხავია, რამდენად სანდოა ეს ინფორმაციები.

— ალბათ, სანდოა, მართალი გითხრათ, გადამონმება არც მიცდია, როგორც ნავიკითხე, და მახსოვს, ისე გიამბებთ...

სტუმარი მოუსვენრად იჯდა, წრიალებდა... მერე წამოდგა.

— ბატონო გიო, მართალია, შესანიშნავი რეკლამა იყო, არაყთან დაკავშირებით, მაგრამ ხომ არ განყინათ?

— არა, ბეჭდის თვალი... ჩემი სოლიტერი სად დაიკარგა, მენანება...

— სოლიტერი? თქვენ ხომ ბეჭდის თვალი დაკარგეთ.

— დიახ, სოლიტერი... პარაზიტის გარდა, სოლიტერი მსხვილ ბრილიანტსაც ჰქვია, სხვა თვლების გარეშე, ბეჭედსა ან ბროშში ჩასმულს.

— გაიხსენეთ, სად შეიძლებოდა დაგკარგვოდათ... ხვალ დილით ადრე მოვძებნოთ.

სტუმარი ლაზარის ჩამოსახსნელად დაიძრა.

— რას აპირებთ?... – გაუკვირდა ლაზარეს.

— უნდა მოვძებნო!

— ახლა? ამ ღამეში? არ გირჩევთ.

— არა, უნდა მოვნახო, ვერ ვისვენებ...

— ხვალ მეც დაგეხმარებით, კეთილი მეზობლების მთელი არმია მყავს, ხელს შეგვაშველებენ.

— მეზობლები? – გაეცინა გიოს – ვინ იცის, ვის წასძლევს სული და რომც იპოვოს, რომელი გადამალავს.

— ასე ნუ იფიქრებთ, ჩემი მეზობლების ღირსებას სწორედ ის წარმოადგენს, რომ უკიდურესი გაჭირვების ჟამსაც კი არ მიმართავენ უზნეობას.

— როგორ დავიჯერო? – ჩაეცინა ლუკას.

— დამიჯერეთ, მათ სახელის შელახვას ის უფრო ურჩევნიათ, რომ აღსასრულთან იყვნენ ახლოს.

— არა, მე უნდა ნავიდე... არ გეგონოთ, რომ ამ შესანიშნავმა „სამეფომ“ დამათრო, ჯერ მხოლოდ ორი მომცრო ჭიქა დავლიეთ... უნდა მოვძებნო...

სტუმარი კარისკენ გაემართა გაოცებულმა ლაზარემ კიდეც ერთხელ სცადა დაერწმუნებინა

— წვიმს, ღამეა, არსად შუქი...

— სანთებელას გამოვიყენებ.

— ჩაგიქრებათ, ალბათ...

— მაინც ვეცდები.

— კეთილი, რა გაენყობა, რაკი ასე გსურთ... ფხიზლად ვიქნები, იმედი მაქვს მალე მობრუნდებით წვიმა, სიცივე და სიბნელე მოგაბრუნებთ.

სტუმარმა გაიხურა კარი და სიბნელეს შეერია. არა, გათენებას ვერ დაელოდებოდა, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, ხელის ცეცებითაც რომ ყოფილიყო, უნდა ეძებნა დაუსრუ-

ლებლივ. ნეტავ გადაიღებდესო, ვედრებით ახედა ზეცას, მაგრამ წვიმამ იმატა. გაჰკრა სანთებელას, ჩაუქრა. წვიმის წვეთები წურწურით ჩამოსდიოდა თმებიდან, ლაბადის სახელოების ბოლოებიდან. ჩამუხლულმა მაინც განაგრძო ძებნა, ხელის ცეცებით, ცდილობდა ინტუიციით, ქვებისგან გამოერჩია ძვირფასი ნივთი, სადღაც აქ, ახლოს, ნაბორძიკდა, მასპინძლისთვის არც გაუმხელია, დაეცა და მაშინ დაკარგა, ალბათ... დაახლოებით იცის, სად შეიძლება ეძიოს...

სატვირთო მანქანამ ჩამოიარა, მძღოლმა შეამჩნია, თავსხმა წვიმაში, უცნაურად ჩამუხლული კაცი და შეაჩერა.

— მეგობარო!... – შესძახა ლუკას, წამოდი, სახლამდე მიგიყვან...

— არა, გმადლობთ, რაღაც დავკარგე და ვეძებ. მანქანამ გზა განაგრძო, მაგრამ მძღოლმა ინანა, რატომ დავტოვე, იქნებ მანქანის ფარების შუქზე დაკარგული ეპოვნაო და ისევ მობრუნდა. ლუკას წურწურით ჩამოსდიოდა წყალი. მძღოლმა მანქანა დაამუხრუჭა მის გვერდით.

— ვინანე, რომ ამ თავსხმაში დავტოვე...

— აი, ახლაც კი, მართლა წამოგყვებოდით, ჩემს სახლამდე, - უთხრა ლუკამ და მანქანის კარი მიიხურა, მოკალათდა...

— ძალიან განვიცადე, რომ დავკარგე...

— მესმის თქვენი, დიდი ხნის წინათ, მეც ერთ ოჯახს ვესტუმრე, მერე სადღაც, არ ვიცი გზაზე, არ ვიცი იქვე, ძვირფასი ბეჭედი და ფული დავკარგე, მეც განვიცადე...

ლუკა შეკრთა.

— მერე, მთელ იმედებს რომ მასზე ვამყარებდი, არაფერი გამომივიდა, ვინ იცის, რა დაბრკოლება არ გადავლახე არსებობისთვის... ახლა ეს სატვირთო მანქანაა ჩემი თანამგზავრი, მერე... ცხოვრება მიკარნახებს... ისე, ვერ იპოვნეთ?..

— რა?.. უაზროდ მიუგო ლუკამ.

— რასაც ეძებდით, რაც დაკარგეთ, ვერ იპოვნეთ?

— ვერა!.. – თქვა მოღუშულმა ლუკამ.

— რა გქვია?..

— მე ლექსო მქვია, - იცრუა ლუკამ. ახლა ის ძალიან ჰგავდა, ალბათ, ვაჟა-ფშაველას პოემა „სტუმარ-მასპინ-

ძლის“ ერთ-ერთ პერსონაჟს, სიცრუის საკითხში, ნუნუა მქვიაო, რომ უთხრა ჯოყოლას.

არ მიპოვიაო, ამის თქმით კი ქრისტეს უარყოფელს მისამსგავსა საკუთარი თავი...

მერე მძლოლი თავის თანამგზავრს არ შეხმიანებია, ისხდნენ ორივენი საკუთარ ფიქრებში გართულნი, წვიმდა და მანქანის მინებს, ალბათ, უკანასკნელი მტვრის ნაწილაკებიც ეცლებოდა.

ნეტავ, პოეტები „ქალაღმზე მეოცნებენი“ არიან, თუ მართლა შეუძლიათ მსხვერპლად შეენირონ ქვეყნიერებას, ისე, როგორც ვაჟა-ფშაველა ამბობდა: „რამ შემქმნა ადამიანად, რატომ არ მოველ წვიმადაო...“

განა ყველას შეუძლია ერთი იაპონური ჰაიკუს მსგავსად გვითხრას:

„ანკარა წყარო.

უზალთუნები ბრწყინავენ ფსკერზე...

მგზავრს მოწყურებულს შიგ ჩაჰბნევიან...“

ამბობენ, ამ სამსტრიქონიან, იაპონური კლასიკური პოეზიის ნიმუშში, უმარტივეს თემაზეაო საუბარი... ნუთუ?... სხვისა რა გითხრათ, მაგრამ მე ძალიან მოკლედ ასე ვიტყვოდი: ვილაცამ დაკარგა, სხვამ იპოვა, მაგრამ მისთვისაც ფსკერზეა იგი, თუნდაც ამოიღოს იქიდან, შეეხოს... სიმბოლურად თუ გავიაზრებთ და ვრცლად თუ ვისაუბრებთ... თუმცა, არა ეს საკითხი ლიტერატურათმცოდნეებს მივანდოთ, ჩვენ კი... თვალი გავადევნოთ ლუკას, რომელიც უკვე თავის სახლს მიახლოებია, მძლოლს უხერხულად უხდის მადლობას და ასევე უხერხულად მიუყვება გზას შინისაკენ...

* * *

ყოველი კაცი მისი საქმეების მიხედვით უნდა განსჯაოთ.

სერჯანტესი

თავშესაზარი

პატარა, სულისშემხუთველი ოთახი მიუჩინეს, შვილები-სა და ახლობლებისგან უარყოფილი მოხუცების თავშესაფარში. აქ, რასაკვირველია, არავინ იცოდა, რომ მას ერთ დროს საამისო არაფერი სჭირდა... ძვირფასი სამკაული და ფული ახლობელს, გიოს გადასცა, რომ მისთვისაც ხელი გაემართა და თვითონაც, სიბერეში, უზრუნველი ყოფილიყო, მაგრამ ერთ დღეს, საოცრად შენუხებული გიო გამოეცხადა, ქუჩაში, ღვთის ანაბარა დარჩენილს და უთხრა, რომ ყველაფერი დაეკარგა. გამომშვიდობებისას რამდენიმე წინადადება წაილულ-ლულა, ვეცდები რაც დავკარგე, მოვძებნო, ან, თუნდაც, მძიმე შრომის შედეგადაც კი, რაღაც შევაკონინო და თან წაგიყვანოო. უსახლკაროდა და უმისამართოდ დარჩენილი იობი თავშესაფარს მიაღგა. გიო სადღაც დაეკარგა, დიდი ხნით...

სახლის ბინადარნი აფუსფუსდნენ, შენუხდნენ, აფორი-აქდნენ, წარბშეჭმუხვნილნი დადიოდნენ, ადგილი ჩვენ არ გვყოფნიდა და ახლა ესეც დაგვემატაო. პირისპირ შეხვედრისას კეთილად მოიკითხავდნენ, უდიმოდნენ. იობი ყველაფერს ხვდებოდა, მიუხედავად ამისა, ის ჩვეულებრივი ბინადარი იყო, ცხოვრობდა, ათენ-ალამებდა და ყველაფერს ისე ეგუებოდა, როგორც სხვები, ბრძნული აზრებით ხშირად მოწონებდასაც იმსახურებდა გარშემომყოფთაგან, ოლონდ... ეგაა, რომ ყოველ საუბარს ერთი აკვიატებული ფრაზით დაასრულებდა ხოლმე, აქედან მალე წავალ, ჰარმონიულ საზოგადოებას ვეძებ, მისი შესაფერისი, სათანადო ფორმულაც კი გამოვიგონე და თავის დროზე მთელ ქვეყანას უნდა გავაცნოო.

გულიანად იცინოდნენ მოხუცები, მთელი სახლი მხიარულობდა.

— სანამ ჰარმონიული საზოგადოება გაახსენდებოდეს, მანამ მისი მოსმენა, მართლაც, სასიამოვნოაო, ერთხმად აღიარებდნენ ბინადარნი.

ხან იობს ჰგავდა, ხან ახალი დროის დონ კიხოტს, ხან, უბრალოდ, მიუსაფარ მოხუცს. არაფერს ყვებოდა ახლობლებზე, არ ასახელებდა მისამართს, სადაც ადრე ცხოვრობდა, მხოლოდ ერთხელ, სახლის ხელმძღვანელთან, სხვების თანდასწრებით, წამოცდა, რომ ის ნათესავს მიენდო, თავისი

საარსებო წყარო მას გადასცა, რათა ორივე მხარეს უზრუნველად ეცხოვრა, მაგრამ ყველაფერი დაიკარგა...

ყოველივე ზღაპარს ჰგავდა, ვერავინ ირწმუნა, სიმართლესთან ვერავინ ვერ გააიგივა რაც მოისმინა, ის კი არა, ჩუმჩუმად, ზურგსუკან დასცინეს კიდევაც, ისევე ოსტატურად მოირგო ერთდროს მდიდარი და ახლა დაჩაგრული ადამიანის როლი, როგორც ჰარმონიული საზოგადოების მაძიებლისაო... იოზს ჰგავსო თქვეს და იმ დღიდან, ამ სახელით მიმართავდნენ. განსაკუთრებული ყურადღება ამისთვისაც არ მიუქცევია.

იოზის მთელ ავლადიდებას ორი ნახატი და ერთი წიგნი წარმოადგენდა. ერთ-ერთზე სიქსტის მადონა იყო გამოსახული, მეორეზე – ლაოკოონი, წიგნი კი ქიმიის სასკოლო სახელმძღვანელო გახლდათ. იჯდა თავის უსახურ ოთახში და ჰარმონიული საზოგადოების მოძებნაზე ოცნებობდა. ისე, ეს ოცნება ძალიან ჰგავდა მარადიულს, სამყაროში მუდმივად მოარულს, თითქოს სხვადასხვა ეპოქის ადამიანები ანდერძად უტოვებდნენ ერთმანეთს, უფრო სწორად, ეს ერთეულების ტვირთი გახლდათ, მძიმე ჯვარი, რომელიც მომდევნო ადამიანამდე უნდა მიეტანათ, მანამდე კი ეტარებინათ მსუბუქი, უხილავი, მაგრამ მაინც, ამასთანავე მძიმეც.

„მშვენიერების მაძიებელი ბედუინები“ - ეს ერთ-ერთი თავია მკვლევარ ლუარა სორდიას იმ წიგნიდან, რომელშიც მეცნიერი ტერენტი გრანელისა და გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებითი ნათესაობის საკითხებს იკვლევს... ამონარიდები ამ ნაშრომიდან მკითხველს ხიდს ადებინებს წარმოსახვითი, სულიერი და ნამდვილი მოგზაურობის საოცნებო კუნძულებისკენ: „...ბოდლერის მიპატიჟება სამოგზაუროდ“ იდუმალი სამყაროს შესაცნობად გამიზნული სვლაა სულის უხილავ ლაბირინთებში.

„გალაკტიონის ბედისწერაა „უგზო ხეტიალი“, მოგზაურობა ადამიანის სულსა, წარმოსახვასა და ოცნებებში: „გული კი ზღვაა და მეზღვაური“.

„ფანტაზიის მერანზე მჯდარი ყველგან იმოგზაურებ“, ამბობდა გალაკტიონი...

„მოგზაურმა“, „ბედის ხომალდს“ ვიდრე მოიხელთებდეს, ბანარზე გავლის საფრთხეს უნდა გაუძლოს: „დაარტყამს ქარი და მოგზაური ბანარზე წავა, როგორც ობობა“.

„ანტიკურ ეპოქაში, შუასაუკუნეებში ხეტიალი აუცილებელი იყო ინიციაციის მისაღწევად“.

„გალაკტიონი იყო „სხვა საუკუნის მგზავრი გვიანი“, ტერენტი გრანელი კი - „მოღლილი მგზავრი“.

და... ისევ იობი... რომელიც მოგზაურობაზე ოცნებობს. ნუთუ მისი სურვილი ჰარმონიული საზოგადოების ძიებისა „სულის უხილავ ლაბირინთებში“ დარჩება. პოეზიის მსგავსად, ფანტაზიის მერანზე ხომ არ ამხედრდა, ან იქნებ ანტიკური ეპოქიდან მოდის ეგ „მოღლილი მგზავრი“ იაზონი, ოდისევსი, დონ კიხოტი, თუ “მშვენიერების მაძიებელი ბედუინია“ იგი. იქნებ „სხვა საუკუნის მგზავრი გვიანია“.

ოცნება ოცნებაა, მაგრამ, მოხუცთა თავშესაფარი თავისი ცხოვრებით არსებობს. დილა საერთო სასაადილოში შეკრებით იწყება:

— აქ ხომ მე ვიჯექი, - უბრაზდება ფაშფაშა ქალი მეორეს, ფარფლებიანი ქუდი რომ ხურავს.

— ადგილი იმისია, ვინც ადრე დაიკავებს — მას მკაცრად პასუხობს ფარფლებიანი.

— ადექი!

— არა, არავითარ შემთხვევაში, ეს უსამართლობაა — ჯიუტობს ფარფლებიანი.

— იქნებ, რომელიმემ დათმოთ, — მონყენილი შეჰყურებს იობი ორივეს.

— ესეც ვინ გამოტყვრა, ყველაზე ბოლოს მოსული ახალბედა — ესვრის რეპლიკას იობს სხვა მაგიდიდან ქალი, ყელზე დიდი ბაფთით.

იობს სურს პასუხი გასცეს, მაგრამ მის ყურადღებას ახლა მოპირდაპირე მხრიდან ამტყდარი წიოკობა იქცევს.

— სკამი რატომ შემიცვალე, ეს ჩემი არ არის, — დანინ-ნკლულკაბიანი ქალი თავზე დასდგომია თავშესაფრის ყველაზე გამხდარ ბინადარს, მონჯლრეულფეხიანი სკამისკენ უთითებს და დიდი მონდომებით დასჩხავის თავზე.

— არ შემიცვლია! — ჯიუტობს გამხდარი და ადგილიდან ფეხს არ იცვლის. დანინნკლულკაბიანმა ჩაავლო ხელი გამხდარს და მოისროლა, სასწაულებრივად გადაარჩინა დაცემას ქალი, სამაგიეროდ იობის მაგიდას გაჰკრა ხელი და გადააყირავა.

— თავი შეიკავეთ, ერთმანეთს უნდა გაუგოთ, — ნუხს იობი, გამხდარს თავისი მაგიდისკენ მიაცილებს, დანინ-ნკლულკაბიანი დაუფლებია ნადავლს, დამარცხებული სხვა სკამს იკავებს და ჩუმად ემოქერება „მტერს“.

იობის გვერდით ყავისფერპიჯაკიანი კაცი მოკალათდა, გაზეთით ხელში.

— ნამდვილი საგიჟეთია, ბატონო ჩემო, ნუთუ ხშირად ხდება აქ ამგვარი რამეები? — ეკითხება მას.

— დავანებოთ თავი იმას, რაც ჩვენ არ გვცხება, ნუ ჩაერევით — ურჩია ყავისფერპიჯაკიანმა.

უკან მოიხედა. ჩამოფხატულქუდიანი კაცი ორ მამაკაცთან, ყვითელ და წითელმაისურიანთან, მოკალათებულა.

— ვინ არის? — გადაულაპარაკეს ერთმანეთს და იობი შეათვალიერეს.

— ახალია! — თქვა ერთმა.

— ყოველთვის მოლუშულია, ეტყობა პრობლემები აქვს, - თქვა მეორემ.

— ჩვენკენ ხშირად იხედება, ალბათ, მოსაუბრეს ეძებს, - დამცინავად წარმოთქვა ჩამოფხატულქუდიანმა.

— თავი დავანებოს, ჩვენი გასაჭირი გვეყოფნის, - უპასუხა ყვითელმაისურიანმა.

— მაგასაც რა მოუსმენს, აქ ხომ ყველას თავისი დარდი აქვს — პირი მიიბრუნა წითელმაისურიანმა.

იობმა მოსაუბრეებთან მიაჩოჩა სკამი.

— ძალიან მონყენილად ვგრძნობ თავს... აქ, ალბათ, ყველა ასეა... გავეცნოთ ერთმანეთს — თქვა და ხელი გაუშვირა წითელმაისურიანს, მაგრამ მისი სურვილი ჰაერს შერჩა. ყვითელმაისურიანი უხერხულად შეიმშუშნა, უხალისოდ მიესალმა, მერე თითქოს იქ არც არსებულებო, კაცებმა ურთიერთშორის დაინყეს საუბარი. იობი რამდენიმე წუთი მოთმინებით უცდიდა როდის „შეამჩნევდნენ“, ვერც დაეტოვებინა იქაურობა, სკამზე უხერხულად აწრიალდა, წამოდგა.

— ვერ ვიტან გულგრილობას, უსამართლობებს... — წარმოთქვა თავისთვის.

ყავისფერპიჯაკიანმა გაზეთი გაშალა და ისეთი გამომეტყველება მიიღო, თითქოს ყველაფერი აინტერესებდა, რაც იქ ეწერა.

— ღვთის კანონებს ეწინააღმდეგება ადამიანთა ქცევები — დაამატა იობმა.

არავინ მოუსმინა. მიიხედ-მოიხედა, საუზმე ჯერ არ მოეტანათ. დარბაზი გაბუტულ ადამიანთა საკრებულოს მიამსგავსა.

— უკაცრავად! — მიმართა ყავისფერპიჯაკიანს — აქ ყოველთვის ასე გაუცხოებულნი სხედან?

ყავისფერპიჯაკიანმა მოთმინება დაკარგა.

— აქ არავის აინტერესებს თქვენი გულჩვილობა, თუ ღმერთი გნამთ, მოისვენეთ.. მეტისმეტად მგრძნობიარე ხართ, ვერ ხედავთ ყველა თავის ნაჭუჭში ზის... თქვენ კი... თქვენ არამარტო ამ სახლისთვის ხართ ახალი, არამედ მგონი, ამ საუკუნისთვისაც...

იობი გაოცდა, გაშეშდა. ყავისფერპიჯაკიანმა მოუბოდიშა გაცხარების გამო.

— მოდით შევცვალოთ სიტუაცია, დავმეგობრდეთ, აქ საშინელებაა ასე ცხოვრება... — თქვა იობმა, მაგრამ მასთან მოსაუბრე ისევ გააცხარა ამით.

— სცადეთ, დაამეგობრეთ ადამიანები ერთმანეთთან, სულ მალე თქვენ თვითონ აიღებთ ხელს თქვენსავე განზრახვაზე.

საუზმეც მოიტანეს.

თავშესაფრის ბინადარნი სათითაოდ იღებდნენ თავიანთ ულუფას და მოლუშულებს მიჰქონდათ მაგიდებთან.

— მეგობრებო! — თქვა იობმა. ყველამ მისკენ მოიხედა — მე ამ სახლის ახალი ბინადარი ვარ, ძალიან მსურს თქვენთან ვიმეგობრო... იმედია, მიმიღებთ...

— მიღებული არა ხარ? — დაცინვით გამოსძახა ყვითელმაისურიანმა. ყველამ გაიცინა.

— ახალს რას გვთავაზობ? — ახლა წითელმაისურიანმა გამოსძახა.

— მეგობრობას — დაიბნა იობი.

— ხომ ვერ გვეტყვი მეგობარო, რა არის მეგობრობა? — ანკიპა წარბები ქალმა, რომელსაც ყელზე დიდი ბაფთა მიემაგრებინა.

— მეგობრობა თანაგრძნობა და ურთიერთგაგებაა, კაცთმოყვარეობის უმაღლესი ფორმა. ჩვენი ქცევები წრფე-

ლი განცდებით უნდა იყოს გაპირობებული, მოკრძალება გემართებს ერთმანეთის მიმართ...

— გამორჩნდა ახალი ფილოსოფოსი – თქვა ფაშფაშამ და დიდი ლუკმა ჩაყლაპა — ეგ სიტყვები, ალბათ, რომელიღაც სასკოლო სახელმძღვანელოდან ამოიკითხა...

ფარფლებიანქუდიანმა ქალმა ნაზად გადაიკისკისა, სწორედ ისე, ზოგიერთმა რომ იცის თავისი ასაკის დასაფარავად.

— ესე იგი, მეგობრობას გვთავაზობ? ისე, ჰარმონიული საზოგადოების საძებნელად, ჩვენ, ყველანი, სიამოვნებით აგედევნებოდით, ბატონო!

ახლა უკვე ყველა ჩაბჭირებული იჯდა სიცილისგან, იობი არ იცინოდა, არც ყავისფერპიჯაკიანი.

მოლუშული ადამიანები გამხიარულდნენ, დათითოკაცებულნი, დაცალკეევებულნი, თითქოს, ერთბაშად შერიგდნენ, გაერთიანდნენ.

ხმამალლა წარმოთქმულ წინადადებებს, იობი გულში აგრძელებდა, მეგობრობა რა მარტო ორ კეთილს, არამედ ორ ბოროტსაც აერთიანებს... ერთიანობა ორგვარია: ღვთის მოყვარულთა და მოძულეთა... თურმე, ყველაზე დიადი მიზნებიც კი შეიძლება ჩანახლონ, არად ჩააგდონ, შეიძლება გენიალურ აზრებზე ააღებინონ ხელი ბრძენკაცს, საკუთარი თავის რწმენა დაუკარგონ...

იობმა სწრაფად დატოვა იქაურობა და თავისი პატარა ოთახისკენ გაემართა ჩქარი ნაბიჯებით. ყველაფერი ამაოა. ტყუილად გაისარჯა, არათუ ჰარმონიულ საზოგადოებას, არამედ დედამიწაზე, ალბათ, ერთ პატარა ჯგუფსაც ვერ იპოვი ურთიერთშეთანხმებულს, ჰუმანურს. ერთხელაც ხუნ ძიჩენის გამონათქვამი, როცა კითხულობდა, დაუჯერებლად მიიჩნია, ნეხვის მატლები სიბინძურეში დაფავენო სულს, მაგრამ ჭრიჭინობლებად ქცეულნი, შემოდგომის ქარში ცვარს სვამენო... ფულურო ხომ არ ანათებს, მაგრამ ციციანათელად გარდასახული შემოდგომის მთვარეზე იწვის და... არ შეიძლება არ ვიცოდეთ, რომ სუფთა ყოველთვის ჭუჭყიდან გამოდის, ნათელი ყოველთვის წყვდიადში იშვისო... ესე იგი, არ შეიძლება იობმა უარყოს, დატოვოს ეს საცოდავი საზოგადოება... აქ ყველაფერი დინების საწინააღმდეგოდაა, მაგრამ ისევე ხუნ ძიჩენის აზრები ახსენდება, ცხოვრება ჩვენი

სურვილების საწინააღმდეგოდ მიიმართება, ჩვენ ირგვლივ განფენილი სამყარო სამკურნალო ნემსებსა და შინაურ ნამლებს ემსგავსება – ის შეუმჩნეველად გვკურნავს. როცა წინააღმდეგობას ვაწყდებით, ჩვენი გარემომცველი სამყარო ჰგავს მოპირულ ცულსა და ბასრ ლახვარს, - ის თანდათან გვჭრის და გვკლავსო... უნდა დაბრუნდეს ისევ იმ ადამიანებთან, რომლებიც, ალბათ, ჯერ კიდევ მასზე იცინიან, თან მადინადაც ილუკებიან...

სასადილო ოთახში მისმა ხელახალმა, მოულოდნელმა გამოჩენამ ყველა დააფრთხო, სიჩუმემ დაისადგურა. იობი ყავისფერპიჯაკიანის გვერდით მოთავსდა და თავის რამდენიმე წუთის წინათ დატოვებულ საუზმეს შეექცა, არაფერი შეიმჩნია, არც ის როგორ გაეყინათ ღიმილი სახეებზე დამხვდურებს და არც ის, თუ როგორ გაისუსა ყველა... თითქოს არაფერი მომხდარიყოს... ვილაცამ გამოაცხადა, ერთ საათში ლექცია დაიწყება და დაესწარიო.

დათქმულ დროს, საკონფერენციო დარბაზად წოდებულ ოთახში შეიკრიბნენ თავშესაფარი სახლის ბინადრები. როგორც ზოგჯერ ხდება ხოლმე, ასეთ შეხვედრებზე ყველა არ მოდის სურვილით, ისინი მოჰყავთ როგორც სავალდებულო შეხვედრის მონაწილე.

დარბაზში ორ ქალბატონს ვილაც მამაკაცი შემოუძღვა, ბატონი ლუკა, როგორც მას მიმართავდნენ თანმხლები პირები, საქმიანი იერით დააბიჯებდა, რალაც განკარგულებებს იძლეოდა. მერე შეკრებილთ მიმართა: დღეს, ქალბატონები, თქვენთან, საზოგადოებრივი ცვლილებებისთვის სტრატეგიების შემუშავებაზე ისაუბრებენო.

- ასეთ საკითხებზე ჩვენი სახლის ახალი ბინადარი მუშაობსო – შეაწყვეტინა – ჩამოფხატულქუდიანმა მწვრთნელს და ხელი იობისკენ გაიშვირა.

სტუმრების გარდა, ყველამ გაიცინა. იობი შეიშმუნა. როცა დამშვიდდნენ, ლუკამ სცადა აეხსნა დარბაზისთვის, აქ იმისთვის შევიკრიბეთ, რომ შეძლებისამებრ, ცხოვრების ყველა სფეროს შევხებოდით თეორიულად და პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე რალაც ახალი მეთოდები დაგვენერგაო.

ყავისფერპიჯაკიანი ფეხზე წამოდგა:

— არ მაინტერესებს... თუ შეიძლება დაგტოვებთ, თქვენ ცდილობთ სამყაროსავით მარადიული, უცვლელი პრობლემების შეცვლას... ჩვენთან, სხვა მარადისობაში სამოგზაუროდ მომზადებულ ადამიანებთან, ალბათ, ეგ მეტისმეტია...

— მართალია, მართალი, — წამოიძახა რამდენიმე და წამოიშალნენ — ჩვენ მოხუცები ვართ, თქვენი ამოცანების გადანყვეტას მხოლოდ ახალგაზრდები მოესწრებიან...

— მთელი ცხოვრება უსამართლობას ვებრძოდი ჩემ ირგვლივ, ბოლოს, სახსოვრად პესიმიზმი მივიღე, ახლა კი, სიცოცხლის დარჩენილი დრო, რომელიც შეიძლება, ალბათ, ერთი დღითაც განისაზღვრებოდეს, რას მივალწევ? — ბუტბუტით მიემართებოდა გასასვლელისკენ ყველაზე გამხდარი ქალი.

— სად მიდიხარ?.. — გაიოცა ერთ-ერთმა სტუმარმა ქალბატონმა.

— რომ დავრჩეთ, რას გვთავაზობ ახალს? — ჰკითხა ყვითელმა ისურიანმა ირონიულად.

— დახმარებას... ფსიქიკური და ემოციური პრობლემების მოგვარებას, ჯანმრთელობის გაუმჯობესებისთვის ბრძოლას, განვითარების პროგრამებს, გარემოსთან შეჩვევის უნარ-ჩვევების გამომუშავებას...

რამდენიმე წუთის წინათ, შეხმატკბილებულებივით შეკრებილები, ახლა ელდანაცემივით მიემართებოდნენ გასასვლელისაკენ...

— შეჩერდით! — მკაცრი შეძახილი მოისმა და წამით ყველა მოტრიალდა ხმის პატრონისკენ. ეს იობი იყო.

— ისევ ეს!.. — ჩაიღრინა ვილაცამ და გზა განაგრძო.

— შეჩერდით, ნუ გახვალთ, მეგობრებო! — განაგრძო იობმა — ყველაფერი, რაც უნდა მოვისმინოთ, საინტერესო და საჭიროა, გამოცდილი, კეთილი მოხუცები ჯერ კიდევ გამოუცდელი ახალგაზრდებისთვის ხიდს წარმოადგენენ წარსულიდან მომავლისაკენ.. ღვთისთვის კი ისინი სასურველი კრავები არიან... რამდენიმე წუთით დაიკავეთ ადგილები...

რამდენიმე ბინადარი შეყოვნდა, ზოგიერთებიც ფეხს ითრევდნენ.

— გთხოვთ, დაბრძანდეთ!... — იობის ხმაში სიმკაცრე და თხოვნა ურთიერთში არეულიყო. თავშესაფრის ბინადრე-

ბი ყოყმანით, უსიამო სახეებით, ინსტინქტურად მობრუნდნენ უკან...

სტუმრები, ორი ქალბატონი და მამაკაცი, გაოცებულნი შეჰყურებდნენ ყოველივეს. იობმა დაიყოლია თავშესაფრის ბინადრები, თითო-ოროლა ადამიანის მეტი ყველა უკან მიაბრუნა, ადგილები დაიკავეს. იობი სადღაც გაქრა, მაგრამ მალევე გამოჩნდა თავისი ავლადიდებით. ხელთ ლაოკოონისა და სიქსტის მადონას გამოსახულებები ეპყრა ქიმიის სასკოლო სახელმძღვანელოსთან ერთად, მერე ლექციის ჩატარების მსურველთ მიუბრუნდა.

— იცით, რატომ გარბოდნენ ეს ადამიანები? ყველამ იგრძნო, რომ თქვენი საუბრები ზოგად თემებზე იქნებოდა, თქვენ არ ცდილობდით ინდივიდთა ცხოვრებას გაცნობოდით... თქვენ ისაუბრებდით, ჩვენ მორჩილად მოგისმენდით, ყველაზე კარგი ვარიანტი, თქვენთვის ეგ იქნებოდა, მერე თქვენს გზაზე წაბრძანდებოდით და არასდროს არაფერი გეცოდინებოდათ ჩვენს სატკივარზე, ფიქრებზე, სურვილებზე... შეხედეთ ლაოკოონს, ხომ გაგონებთ ეს ქვეწარმავლები ცხოვრებისეულ პრობლემებს, უთანასწორებებს, ჩაგვრას, ძალადობას, სიცივეს... ამ თავშესაფარში, თქვენ ბინადრები, რამ მოგიყვანათ, განა პრობლემებმა არა? სიქსტის მადონა რომ ღრუბლებიდან ეშვება და კაცობრიობის მხსნელი მოჰყავს, განა მას ისე არ აღიქვამთ როგორც ხელოვნების ნიმუშს, აღიარეთ, რომ გრძნობთ უფლის სიახლოვეს...

მსგავსი აღნაგობის ატომთა ელექტრონული შრეები მეორდებიანო, ამ ქიმიის სახელმძღვანელოში ამოვიკითხე, საზოგადოებაშიც განა ასე არ მეორდება პერიოდულად ყველაფერი? წარსულის შეცვლა განა ვინმეს შეუძლია, მაგრამ ნუთუ მომავალიც მას უნდა ჰგავდეს?

სტუმრები, რომელთაც ლექცია უნდა წაეკითხათ, მოთმინებით ელოდნენ, როდის შეწყვეტდა იობი საუბარს, რომ თავიანთ საქმე შესდგომოდნენ, მაგრამ ის აგრძელებდა:

— ადამიანებო, სტუმრებო და მასპინძლებო, ყოველი ადამიანის ცხოვრება პატარა მოთხრობას ჰგავს... თქვენ, ყველანი, ნუთისოფლის შეთხზული ჩანახატები, მოთხრობები ნოველები და მინიატურები ხართ, არ გინდათ ვინმემ წაითხოს ისინი?..

— ჩვენ ხომ... – თავი შეახსენა სტუმარმა ქალბატონმა იობსა და შეკრებილებს...

— მოვუსმინოთ, იობს მოვუსმინოთ!.. – წამოიძახეს თავშესაფრის ბინადრებმა – ახლა არავის ელიმებოდა მის სიტყვებზე, სადღაც გაქრა ირონია, სამაგიეროდ სტუმრები გრძნობდნენ თავს იგნორირებულად, მაგრამ ჯერ კიდევ ითმენდნენ, იმ იმედით, რომ მათი ჯერიც დადგებოდა.

იობი საუბრობდა, მისი წინადადებები, გამოთქმული აზრები, მსმენელებს ზოგჯერ გადაპრანჭული, მანერული, ვილაცის მიერ, უკვე გამოთქმულის მსგავსი ეჩვენებოდათ, მაგრამ მაინც იზიდავდა თითოეულს, რაღაც მოსწონდა და უსმენდა...

— ცხოვრებას ხშირად ზღვას ადარებენ, - საუბრის ემხში შევიდა იობი – მე კი მგონია, რომ ის გენიოსი შემოქმედი, თხზავს ადამიანთა პატარ-პატარა ისტორიებს, ის ხან პანდორას ყუთით გვევლინება, ხან ფორტუნას ბორბლით, მის მიერ შეთხზულ თუნდაც, გენიალურ ისტორიებსაც კი, ყველა არ კითხულობს... წარსულს ბარდება ზოგიერთი წაუკითხავი ადამიანი – მოთხრობა, ადამიანი – პოეზია, ადამიანი – რომანი, ადამიანი – ჩანახატი, ზოგიერთი კი ეპოქების სამაგიდო წიგნებად ქცეულა...

ყურადღებით უსმენდნენ იობს, მხოლოდ ერთხელ, ისიც მორიდებით, ჩაელიმა ზოგიერთს, იმიტომ, რომ აკვიატებული ფრაზა ისევ წამოცდა მოსაუბრეს, ღრმად ვარ დარწმუნებული, ჰარმონიული ქვეყნის, ანუ ადამიანთა უნივერსალური, ზნეობრივად ამაღლებული ურთიერთობების სადღაც არსებობაში, იქნებ ეს ჩვენს ყოველდღიურობაში იყოსო საპოვინი... ხუნ ძიჩენიც კი, რომლის აფორიზმები მხოლოდ სიმპათიას იწვევენ მკითხველებში, ასეთ ქვეყანას გონებასთან დიალოგით ეძებდაო. მისი შემოქმედების ერთ-ერთი მიმომხილველის თქმით, ხუნ ძიჩენის აფორიზმები ადამიანთა ურთიერთობის ღრმად ზნეობრივ ხელოვნებას გვასწავლიან და სამყაროსთან ჩვენი უეჭველი სისხლხორცეული კავშირის გრძნობას გვინერგავენ. ხუნ ძიჩენის შემოქმედება ოპტიმიზმითააო გამსჭვალული, ის ადამიანის სრულქმნის, თვით-სრულყოფის უნარს ემყარება, ურთიერთობის ხელოვნება კი გამოიხატება ყველაფრის, რაც კი არსებობს ადამიანის ცხოვრებაში, მათ შორის სათნოებისა და გონების, შეზღუ-

დულობის ჩვენებაშიო. მიმომხილველი აგრძელებს, მის გამონათქვამთა გმირი ბრძენკაცს განასახიერებს, როგორც სარკის, ტრადიციულ, ჩინურ იდეალს, რომლის წყალობითაც, ყველა შეიცნობს თავის თავს და ხდება ისეთი, როგორიც არის...

ხუნ ძიჩენი გვასწავლის, როგორ ვამუშაოთ გონება ყველაზე კეთილშობილურად, როგორ აღმოვაჩინოთ საზღვრულში საზღვარდაუდებელი და ღრმა აზრი იქ, სადაც იგი, თითქოს არცაა: „ნუ გწყურია ამქვეყნიური წარმატება. შეუცდომლობა უკვე წარმატებაა. ნუ ეძებ წყალობას ადამიანთაგან, თუ მათგან სიძულვილს არ დაიმსახურებ, ეს უკვე წყალობაა“... მისთვის უმაღლეს ფასეულობას ადამიანი წარმოადგენს... მისი კრებულიდან რჩეული აფორიზმები დღესაც და მომავალშიც, საშუალებას მოგვცემს, ვიპოვოთ ქვეყანა, რომელსაც ჰარმონია ჰქვია და რომელიც დასახლებულია კეთილშობილი, სათნო, ნმინდა, მართალი ადამიანებით.

იობი შეჩერდა.. ადამიანებს გადახედა, ყველას სურვილი გასჩენოდა ესაუბრა... ისინი ხომ ადამიანი – პოეზია, ადამიანი – მოთხრობა, ადამიანი – რომანი... იყვნენ, ერთმანეთისგან განსხვავებულნი... გამოდიოდნენ რიგრიგობით და საუბრობდნენ... სადღაც წარსულში მიჩქმალული სიკეთის, ამ ბუნების მიერ მომადლებული საგანძურის, დაბრუნებას ცდილობდნენ...

სტუმრები მათ უსმენდნენ, თავიანთი ლექციის ჩატარების სურვილი უკვე დაჰკარგვოდათ. მხოლოდ ერთხელ ამოიღო ხმა ლუკამ, როცა იობმა მოულოდნელად ჰკითხა: თუ გიპოვიათ საცოდავი, კეთილი ადამიანის მიერ დაკარგული ნივთი, რომლის დაბრუნებაც გიცდიათ...

ლუკა შეკრთა, არა, არ მიპოვიაო, - ნაილულულა და გაუკვირდა, რომ მესამედ უარყოფდა ერთსა და იმავეს.

იობისთვის ეს შეკითხვა მარადიული გამხდარიყო და ვინ იცის მერამდენე ადამიანს მიმართავდა ამით...

ფრესკა ნანგრევებზე

გაიელვა. ფრესკის სილუეტი შემოხაზა ზეციურმა სხივ-მა. მერე სამყარო შეტორტმანდა... მიწა კიდევ ერთხელ რომ შეირყა გააჟრჟოლა. შექანდა, მხოლოდ ფრესკა კი არა, ის ნანგრევი, რომელსაც ფრესკა შემორჩენოდა. ის ჟამთა მდინარეებს გადარჩენოდა და ახლა, თავშიშველს მიეპყრო თვალები ცისკენ. მასში გარინდულიყო ფრესკის ტანჯული სხეული და ცისკენ ასაფრენი პოზა მიეღო. ყველა მის შემხედვარეს, ოდესღაც ეგონა, რომ აფრინდებოდა და ნანგრევს დატოვებდა, მაგრამ ყველაზე ძვირფასი და აუცილებელი, სული აკლდა ამაღლებისთვის. ვიღაც ყოვლისშემძლეს უნდა შთაებერა მისთვის ეგ ჯადოქრული სული, მაგრამ ეგ ვიღაც არ ჩანდა. შენობა, რომლის ნანგრევი ახლა ეულად იდგა და მიწის რყევაზე თვითონაც ირყეოდა, ერთდროს დიდი მთლიანი და განუყოფელი წმინდა ტაძრის ნაწილი იყო. ქარიშხალმა მოსწყვიტა ურთიერთს ისინი, დაანგრია, დაფშვნა. ჰოდა, ნანგრევებიც გამოიყენეს. ნაწილ-ნაწილ, ქურდულად და აშკარადაც გაიტანეს ეზოდან და ვიღაცებმა თავიანთ საძირკვლებს ჩააშენეს. შემოუთათუნეს ხელები, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. მის წინ, ჯერ საცალფეხო ბილიკი გაჩნდა, მერე შარაგზა. გამვლელ-გამოვლელს თვალს აყოლებდა ქვაში ჩაკირული გარინდება, ხედავდა როგორ ჩერდებოდნენ, მრავალმნიშვნელოვნად შეავლებდნენ თვალებს ერთნი, ამოიოხრებდნენ მეორენი, ამრეზით შესცქეროდნენ მესამენი, ზედმეტად მიაჩნდათ დანარჩენებს... მზეც, ქარიშხალიც, წვიმაცა და სიცივეც, ყველა მას ემტერებოდა, თითქოს ყველა ერთდროულად ეუბნებოდა: კარგი ხარ, ლამაზი, მაგრამ მიუნვდომელი და უსულო, რაში გვარგისხარო. თვალნათლივ ხედავდა, როგორ აკლდებოდა ფერთა ელვარება მის სამოსელს, ერთადერთს, მისეულსა და სამარადისოს, მისთვის განკუთვნილს. ვერ იტანდა შეურაცხყოფას, უყურადღებობას, წვიმას, ქარიშხალს, მაგრამ მაინც ზეცისკენ აპყრობილ თვალებს ძირს არ ხრიდა, მის მზერაში ათასწლეულები გარინდებულიყვნენ, საუკუნეები შეჩერებულიყვნენ.

სადღაც სიშორეში, ზარებს ერთმანეთს ახეთქებდა საშინელი ქარიშხალი და ისინიც თავისებურ, ტანჯულ მელოდიას გადმოსცემდნენ. მის ხმაზე თეთრი ქვეები ნანგრევისა

აქეთ-იქით ინევდნენ, ფრესკის ტანჯული სახის გაღიმებას ცდილობდნენ. ცისკენ თვალეზაპყრობილი, ასაფრენად და ფრთებგასაშლელად გამზადებული ფრესკა, ისევ მიწიერებას ამჯობინებდა... მის წინ ლოცულობდნენ, მხოლოდ დროებით. არ შეეძლო განეხორციელებინა ფრესკას სხვათა ოცნებები, ფრთები შეესხა მათთვის, მხოლოდ იმიტომ, რომ ნანგრევის თეთრი ქვები მჭიდროდ იკრავდნენ წასაქცევად გამზადებულ სხეულზე. ვერ ელვოდნენ. ან ნანგრევებიანად უნდა აფრენილიყო ცისიერების იდუმალ კაბადონზე, ან... დაცემულიყო. დაცემა უფრო იყო მოსალოდნელი, ვინ შეაშველებდა ხელს. ვინ ამოუდგებოდა გვერდით მიწისკენ გვერდულად გადაქანებულს. ჰოდა, ერთ მშვენიერ დღეს დაეცა კიდეც, კიდევ უფრო დაქუცმაცდნენ და დანაწილდნენ თეთრი ქვები. ფრესკა კი პატარა ნანგრევებზე ხელუხლებელი დარჩა. ცისკენ ძველებურად ვერ იყურებოდა, მაგრამ პოზა მაინც შეცვალა, ის კი არა, არც კი უგრძნობია რომ მდგომარეობა შეიცვალა ბუნებამ. ვილაცამ რომ გადააღაჯა დიდი ნაბიჯებით, მაშინ, მხოლოდ მაშინ მოხდა სასწაული... ფრესკამ თვალეზა დააფახულა, სასწაულებრივად მგრძნობიარე გამოხედვა ჰქონდა. მერე, თანდათან, გულმა დაუნყო ფეთქვა და სამოსელი შეირხა. გაუვარდისფერდა ლოყები, ამუშავდა ყველა უჯრედი. ახლა, მართლაც, ჰგავდა ცისკენ ასაფრენად გამზადებულს. მთელი სხეულით სწორედ იქითკენ ისწრაფვოდა, მაგრამ... ფეხები ჩაჰკროდნენ თეთრ ქვებს მჭიდროდ და არ უშვებდნენ სხეულს და იწვა ფრესკა ტალახსა და მტვერში. ზოგჯერ ხავსი გადაკრავდა, ზოგჯერ გადაბობდებოდნენ ორფეხნით და ოთხფეხნიც, გადასრიალდებოდნენ, გადაცოცდებოდნენ მხოხავნი. იტანჯებოდა, კვნესოდა, ეზიზღებოდა. იცილებდა სახიდან – ათასგვარ უბედურებას... მშველელი კი არსაიდან ჩანდა. გადიოდა გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი, ყველა თავისეულ საჩუქარს უტოვებდა: ყინულს, ყვავილების მტვერს, ფოთლებს, წყალს. ყველას მასთან მოჰყავდა ჭიანჭველაც, ბელურაც არწივიცა და პეპელაც. მოჰყავდა მოკვდავნიც და უკვდავნიც. მოდიოდნენ დაჰხედავდნენ, მიდიოდნენ, თითქოს მიცვალებულს ეთხოვებოდნენ.

ცოცხლად დასამარხავსა ჰგავდა, მისჯილს. რისთვის, ეგ არ იცოდა, ვინ შექმნა და თუ შექმნა, რად არ უპატრონა,

ამაშიც ვერ გარკვეულიყო. გაუგებრობის ბურუსი ერთ დღეს თითქოს შემოეფანტა, როცა ორი ჭაბუკის ხმა გაიგონა. ლონემიხდილსა და ფერმიხდილს შემოესმა, რომ, თურმე, ქვეყნიერებაზე ის ერთადერთია სწორედ ისეთი, რომლის წინაშეც შეიძლება ყველამ ილოცოს, ისიც გაიგო ფრესკამ, რომ მისი ამაღლების დრო დადგა, სწორედ ნანგრევებზე აღდგება, რომ მასთან აქეთ კი არ მოვლენ, არამედ ფეხადგმული ივლის ქვეყნიერებაზე, თითოეულ ადამიანს მიაკითხავს და განიკითხავს, არც კი აცნობებს წინასწარ ვინმეს, რომ მასთან მივიდა. ისიც გაიგო გარკვევით ფრესკამ, რომ მისი აღდგენა შეცვლის ბევრ რაიმეს, მაგრამ როდის? რატომ? რანაირად? ათასი კითხვა ტრიალებდა მის გარშემო და პასუხებს ვერ პოულობდა.

კიდევ ბევრმა წყალმა ჩაიარა. ბევრჯერ გადააბოტეს და მივიწყეს კიდევ, თანდათან. მალე ხავსი მოეკიდებოდა, ან სურო ჩამოვიდოდა, ალბათ, მახლობლად მდგარი ხიდან და გადაფარავდა, მახრჩობელა ფესვებით დააცხრებოდა, რომ ერთ გარემოებას არ ეხსნა მდგომარეობიდან. ვილაც ლტოლვილმა დაიჩოქა მის წინ, დამალვას აპირებდა, გადაღლილსა და არაქათგამოცლილს მეტი ნაბიჯის გადადგმის საშუალება არ ჰქონდა. მიიხედ-მოიხედა ირგვლივ, ხელჩასაჭიდი არაფერი ჩანდა, გარდა ტალახით მოსვრილი ფრესკიანი ნანგრევისა. თვალი გაუსწორა და ამოიოხრა: რა მეშველება, რა მეშველებო, ჩაჰგმინა თეთრ ქვებსაც. ყოველივე რისთვის, განა იმისთვის, რომ სიტყვა ვერ მითქვამს საჭირო ათასი წინააღმდეგობების გამო, ადგილიდან ვერ დავძრულვარ, ფეხები შებოჭილი მაქვსო. ფრესკა ამოძრავდა. ლტოლვილმა გამოკვეთილად გაიგო მისი შინაგანი ხმა. ჩემი ნაწილი ყოფილხარო, მიმართავდა იგი. ლტოლვილმა ხელი შეახო, წამოაყენა, მეც ვერ დავძრულვარ ადგილიდანო განაგრძობდა ფრესკა. კი მაგრამ, შენ ხომ ფრესკა უნდა ყოფილიყავ და უფრო დიდი და მიუწვდომელი შენთვის, რასაც ადამიანური სიცოცხლე ჰქვია, რად მოინდომეო, გაუკვირდა ლტოლვილს. შორიდან მდევართა ფეხის ხმა გაისმა. აღარ იყო შეპასუხების დრო. არც გაქცევა შეეძლო, მოვიდნენ, გაშმაგებულნი მიუახლოვდნენ აქაურობას. ფრესკის უკან მდგარს, ლტოლვილს, უნდა დასძგერებოდნენ. ფრესკა ვინ დაინახა, არავინ, ჰოდა, სწორედ იქ, მის წინ ნაფორხილდნენ, ერთი რომ წაიქ-

ცა, მეორე მას გადაემხო, მესამე, მეოთხე და უზარმაზარი მთა შეიქმნა ნაქცეულ მდევართა. სასწაულს სასწაული დაემატა, ფრესკა მოულოდნელად გათავისუფლდა ნანგრევისაგან – გადმოვიდა ნელი, ფრთხილი ნაბიჯებით, ნაქცეულთ გადააბოტა. ახლა ფრესკა, სასწაულებრივად გადარჩენილი, გაცოცხლებული ფრესკა, ნაბიჯებს დგამდა, უჭირდა, საოცრად ძნელი იყო სიარული, ფეხშიშველს ეკლები ანუხებდა, წვრილი კენჭები ძვალ-რბილში უვლიდნენ. დაცემულნი, რომ წამოდგნენ, ერთი მოხედეს ფრესკას და შეკრთნენ, ზოგიერთმა გაკვირვებული თვალები შეავლო გაცოცხლებულსა და მდუმარეს, შუბლშექმუხვნილსა და რალაციით შენუხებულს. ეგ ხომ ფრესკა იყო, დანგრეული, ნაქცეული და გადათელილი. რამ, რომელმა სასწაულმა შთაბერაო ძლიერი სული, რამ წამოაყენაო ფეხზე, საით უნდა წავიდესო. კითხვა, რომელიც ყველას ერთად, ერთნაირად ანუხებდა ის იყო, თუ როგორ მიეღოთ, ჩვეულებრივ მოკვდავთათვის მიეკუთვნებინათ, თუ კედლებზე გარინდულთათვის. ჰო, მართლაც, უკვდავი იყო თუ მოკვდავი? ძველებურად უნდა ელოცათ მის წინაშე ადამიანებს? ფრესკას ფიქრი თუ შეეძლო? საუბარი? რომ მოძრაობდა და სული შთაებერა, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავდა იმას, რომ ადამიანს დაემგვანა., ადამიანს დაემგვანებოდა? მისი სიცოცხლე ხომ ხანმოკლე იქნებოდა, ადამიანივით ცოდვილი, მისი ჯიშისა და მოდგმისა, მაშ, საითკენ ჰქონდა გეზი აღებული ცოცხალ ფრესკას? ნუთუ მუდმივად უტყვი უნდა დარჩენილიყო, ნეტავ, პირველი სიტყვა, რასაც წარმოთქვამდა, რა იქნებოდა? დევნილი ყველას გადაავინყდა.

ფრესკა რომ მთელი ტანით ადამიანებისკენ მიტრიალდა და მათ მდუმარედ დააკვირდა, ეს უკანასკნელნი გაშეშდნენ, თანდათან თრთოლვამ, უეცარმა შიშმა, ცახცახმა აიტანა ყველა. ნაბიჯებს ვერც წინ დგამდნენ, ვერც უკან. თმები ყალყზე ჰქონდათ, ხმა ვერ ამოეღოთ, ამქვეყნიურ სასწაულთა შორის ერთ-ერთი სასწაულის წინაშე იდგნენ. ფრესკა მოდიოდა მათკენ. სათნო და პრინციპული, გაბუტულ სახეზე არც ერთი ნაკვთი არ უკრთოდა, არც არას ამბობდა. ადამიანები რალაც ახლის მოლოდინში გაშეშდნენ. ფრესკაც შედგა რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით და ბაგე გააღო რალაცის სათქმელად. ხელები აღმართა ზეცისკენ და თვალი გააყოლა, მერე ქვემოთ, მიწიერთ დახედა, ადამიანებო, რას დამგვანე-

ბიხართო, ინანა რალაც. თქვენმა ცოდვებმა მე შთამბერაო სული და იძულებული გამხადაო მევლო მიწაზე.

ფრესკის ყოველ სიტყვაზე სასწაულები ხდებოდა, სიცოცხლის ნიშანწყალი აკლდებოდათ მის წინ მდგომთ, ფერი უკრთებოდათ, ძალა თანდათან ელეოდათ, ზამთრის მინდვრებზე გადანოლილ ხმელ ბალახებს დაემგვანენ. ვინა ხარო, ძლივს ამოღერღეს. ისა ვარ, ვინც ერთადერთია სამყაროში, მაგრამ ყველა რომ უგულვებელყოფს და გადათელვას უპირებს... სიმართლე ფეხშიშველი, ეკლებზე მოსიარულე... და წავიდა ფრესკა, გაჰქრა ლანდივით, ალბათ, უხილავს უნდა ევლო ქვეყნიერებაზე.

ცოდვილნი, უტყენი და შეწუხებულნი, გარინდული ფრესკეებით იდგნენ უმოძრაონი, სადღაც ქარიშხალი ზარებს ეხლებოდა და მისი ხმა რალაც ახლის მაცნეს ჰგავდა. არავინ ეცემოდა მუხლებზე და არ ლოცულობდა, რადგან ირგვლივ დაქუცმაცებული თეთრი ქვეები ეყარნენ.. ფეხადგმული ფრესკა სადღაც სამოგზაუროდ წასულიყო.

ქვეყნიერების ხმა

...ის, ალბათ, ხადიშაჰის პატარა გოგონა იყო... ალბათ, ცნობილი მწერლის რომელიღაც სტრიქონს ამოეფარა, მერე როდესაც ქვეყნიერება შეიცნო, მის გრძნობებს თეთრი, ღვთიური, უხილავი ფრთა შეეხო. ყველაფერი შეიცვალა. მას თითქოს ახალ, შემეცნების სამყაროში უხმეს. ერთი გალეული გოგო იყო. ფიქრიანი და უსიტყვო. დიდხანს დადიოდა მარტო, შეუმჩნევლად. მის არსებობას, თითქოს, ვერავინ გრძნობდა, სიტყვაძვირი ჩანდა. ერთხელ წამოსცდა ქვეყნიერების ხმა მესმისო და გასცინეს, შენ, ალბათ, მინდიას ენათესავები, იქნებ, ნაწარმოებიდან გადმოსული პერსონაჟი ხარო. არაო, იუარა გოგომ, სიმართლეს ვამბობ, ბუნებაში ყველა საგანი თავისებურად მღერის... ყველა საგნის მუსიკა მესმის, როცა შევხედავო, ისევ გასცინეს.

ის იყო და ის, კაცი კრინტს ვერ დააძვრევიანებდა. ქვეყნიერების ხმა კი, მართლა ესმოდა, როგორ ან რანაირად ეს რომ ვინმესთვის ეთქვა, ალბათ, ისევ დაცივნის საგანი გახდებოდა, ჰოდა, დადიოდა, ჰქონდა თავისი სამყარო, ხელშე-

უვალი, სხვათათვის მიუწვდომელი და იდუმალი, საინტერესო, სამხიარულოცა და სამწუხაროც.

თავიდან ვერ მიხვდა რას ნიშნავდა ყოველივე. ქვა, ბალახი, ხიდან ჩამოვარდნილი გამხმარი ტოტი და ფოთოლიც კი ხმას გამოსცემდა, როცა ხანგრძლივ დააკვირდებოდა. თვალებს დახუჭავდა და ხმა მიწყებოდა. ხმა იყო საოცარი, ნაზი, ძვალ-რბილში რომ დაგივლიდა და ცახცახს დაგანყებინებდა, აგატირებდა ან ღიმილს მოგვვრიდა, ჩაგაფიქრებდა. ალბათ, ქვეყნიერებაზე მხოლოდ მას, ერთადერთს, ესმოდა ეგ ღვთიური ხმა, ჰო, მუსიკის ბგერები იყო...

გავიდა ქუჩაზე და ტაკ-ტუკ, ტაკ-ტუკ, ნაბიჯების ხმას შეუერთდებოდა დო, რე, მი... დო, რე, მი... ცას ახედავდა და შორეული, მიუწვდომელი, დიადი და იდუმალის გამომხატველი ბგერები გაისმოდა, თითქოს ვარსკვლავებსა და მთვარეს გაებათ ურთიერთშორის საუბარი, იდუმალ თავშეყრას ჰგავდა... მერე მთვარის სონატას უსმენდა... მზის ამოსვლას დაესწრო. ნახა როგორ ამობრწყინდა ნარნარად, აღმოსავლეთიდან, ყვითელი სინაზე, გამოარღვიეს ცის კარედი ვერცხლისფერმა ისრებმა, დაირხა ნაზი ბგერები. უთანამგზავრეს დღის მოგზაურს, ღვთიურმა ხმებმა, ჯერ ნელა, მერე თანდათან უმატეს ტემპს და, ბოლოს, სწორედ ისეთი ბგერები მოისმა, ყველაზე დიადსა და მიუწვდომელს, ყოვლისშემძლესა და უძლიერესს რომ შეეფერებოდა. გადმოიღვარა ქვეყნიერებაზე მზის მუსიკა, მტრედის ფრთასავით მსუბუქად გადაეფარა ყოველივეს...

გოგომ თვალი მოსწყვიტა მზეს... თეთრონი მოჰქროდა ველ-მინდვრებიდან, ახლა სულ სხვა ბგერები ისმოდა, ტყეჭალისა და ნაკადულების, ფრინველების მუსიკა მოაცილებდა თეთრონს... ერთ დროს, ზღვის მუსიკასაც მოუსმინა, თოლიებისა და პალმების ხმაც გაიგონა... შფოთავდნენ ტალღები, რაღაცას განიცდიდნენ თოლიები... თავს იწონებდნენ პალმები... გოგოს ესმოდა ტალღების მწუხარებისა, პალმების სიამაყისა, თოლიების სადარდებლისა... კენჭებსაც, ფერად-ფერად კენჭებსაც, გაუგო... ქვიშასაც... კენჭებისა და ქვიშის მუსიკა... არც ერთს ლაპარაკი არ შეეძლო, გამვლელ-გამომვლელნი გულგრილად გადი-გამოდიოდნენ სანაპიროზე, ბუნებრივი მუსიკისა არც ერთს არაფერი გაეგებოდა. გოგო კი გაახელდა თვალებს და საოცრება ესმოდა გონებას.

ჰო, მართლა, ყველაზე შთამბეჭდავი, თვალების მუსიკა აღ-
მოჩნდა მისთვის. ციციქნა გული ჰქონდა და ვერ დაეცია მის
საბრძანებელში ყოველივე, ამიტომ თვალების მუსიკა – დარ-
დისა, ცალკე მოათავსა, სიხარულისა – ცალკე, მერე უსაზ-
ღვრო მნუხარებისა, გაოცებისა, ცნობისმოყვარეობისა, სი-
ძულვილისა და ა.შ. ადამიანთა თვალებმა მუსიკით გადასცეს
ყოველივე გოგოს სულს. და აწრიალდა გალეული გოგო, რით
უშველოს ამდენ მნუხარებას? როგორ მოახერხოს ყველა სი-
ხარული დაიტიოს? როგორ მოუყაროს მუხლი მზეს სიდი-
დისათვის. როგორ სცეს თაყვანი მთვარეს, რით დაუამოს
დარდი თოლიებს, როგორ გაკიცხოს პალმები ზედმეტი სია-
მაყისათვის?

დადიოდა და ესმოდა თავისივე ნაბიჯების მუსიკა... მე-
რე, ერთხელ, მხოლოდ რამდენიმე წუთით, ყველამ გაიგო
იგივე ხმა, განცვიფრდნენ: უკვე აღარ იყო შეუმჩნეველი პა-
ტარა გოგო, მიდიოდნენ მის ნაკვალევზე, ბაძავდნენ სია-
რულში, ისევ ერთხელ გაიმეორა ხმამაღლა ქვეყნიერების
ხმა მესმისო და კი არ დასცინეს, უკვე დაუჯერეს. თვალები
დავთხაროთო, ღრინავდნენ ერთნი, რათაო, უკვირდათ
სხვებს, ეგ გოგო ზედმეტად გრძნეულია, ეშმაკთან წილნა-
ყარს ჰგავსო, პასუხობდნენ ვისაც უკვირდა, თანაც მინდიას
ჰგავდეს მინდიასო, პასუხობდნენ ისევ ზოგიერთნი, ბარემ
ბოლომდე ჰგავდესო.... რისთვის გაიგოს ჩვენი ავკარგი, რის-
თვის იმტვიროს თავი გაჭირვებულთა დასახმარებლად და
ბოროტთა ჭკუის სასწავლებლადო, ქვეყნიერების ხმა რის-
თვის ესმოდესო...

გოგოს ატკინეს გული ავმა ენებმა, იტირა... სავალ გზა-
ზე ეკალბარდები დაუხვედრეს... შეწყდა ნაბიჯების მუსიკა
და ისევ ცრემლები გადმოყარა მერე, ერთ დღეს მიხვდა, რომ
მზის მუსიკა არ ესმოდა კარგად, ვერც თვალების მუსიკა გა-
იგო და ისევ იტირა... გოგოს თვალებს დაეკარგა გრძნეული
ხედვის ხიბლი და ქვეყნიერების ხმამ ერთ დღეს ბოლო აკორ-
დი დაუკრა მისთვის...

ახლა მიუყვება ბილიკს ერთი გალეული, ჩვეულებრივი
გოგო, ფიქრიანი და უსიტყვო...

დიდებადანი და მდაბიონი

ზღაპრების ქვეყანაში, ორი სამყარო იყო, დიდებულ-
თა და მდაბიოთა. ერთი ცის ქვეშ თანაარსებობდნენ...

პირველიდან, უფლისწული, მეორესკენ წამოვიდა...
მეორეში, ქუჩის ბოლოს, მუდმივად, მათხოვარი იჯდა მო-
კუნტული, რომელიც ვილაცამ, კიდევ სხვა სამყაროში გადა-
იყვანა... იმავე ქუჩაზე, მდგმურად ყოფნის მსურველი, მარი-
აც, დაწრიალებდა და ყველას თავს აცნობდა...

ყველანი, დიდებულნი და მდაბიონი, ერთი ცის ქვეშ
თანაარსებობდნენ...

* * *

არაერთხელ გვასწავლა ნიაგმა მე და ზღვას, თუ რო-
გორ „წარმოთქვა“ ღმერთმა სამყარო, მერე წმინდა წერილი
დაკეცა და ჩუმად თავისი „სიზმარი“ გვიამბო. მზემ და დე-
დამინამ ყური დაუგდეს... მეორე დღეს, როცა ცხრათვალა
სხივებს აგზავნიდა ქვეყნიერებაზე, მოსმენილი სიზმარიც
დააბარა თითოეულს, ჰოდა, მოედო ყველგან ნიაგის სიზმარი
ბოლო საღებავი შეაშრა: სივრცეში შექმნილ სურათს. მერე
გასულიერდა იგი.

გრიგალი დაჰქროდა, უზარმაზარი, საოცარი ძალის
მქონე, მერე გაკვირვებული შეჰყურებდა მასზე გამიჯნურე-
ბულს, მის ირგვლივ მბრუნავს, თითქოს ამ გოლიათ არსებას
სხივების წართმევა უნდოდა, თითქოს მის ხარჯზე ითბობდა
სხეულს, ამიტომაც თანდათან დაშორდა, ზევით აინია... გრი-
გალს ეწყინა, გულწაბრობილი გახდა, გაცივდა, გაუმკვრივ-
და გული და სხეული, ყველა მტვერი დაახვია, შეაგროვა, შეა-
კონინა და ერთ მთლიან მასად აქცია, უზარმაზარ მიწად. გა-
იყო სივრცე ორად და ორი თავისთავადი, დამოუკიდებელი
სამეფო შეიქმნა, უმეფოდ... ეული იყო მზე თავიდან, მაინც
ვერ იგუა უცებ დედამინა... აბა, რა გეგონათ, მეგობარი რომ
აირჩიო დიდი გამოცდილებაა საჭირო, ჰოდა, მზეც დაფიქ-
რდა... როცა ინსტინქტურად ყვითელი თვალები დახარა, ვერ
შეამჩნია, ვერხვი ამოსულიყო დედამინის შუაგულში, ახლა
მის სხვა კუთხეს გახედა და გაელიმა, კესანე და მიხაკი ინო-
ნებდნენ თავს. არა, ნამდვილად კარგები იყვნენ... დრო მთე-
ლი სისწრაფით მიჰქროდა, დედამინა, უხილავ ხელებს,

ალუბლისა და ბრონეულის ალისფერი ყვავილებით მოერთო, ჭიანჭველები და შავტუხა ხოჭოები კი მათ დაძვრას უპირებდნენ, თავიანთი პატარა თავების მორთვა უნდოდათ გვირგვინის ფურცლებით, რაღაცით უნდა ყოფილიყვნენ გამორჩეულნი სხვებისაგან, მაგრამ ვერ ახერხებდნენ, ერთმანეთს ხელს უშლიდნენ, პირველობა არც ერთს არ ეთმობოდა...

გაჩნდა ზღვა... დაიბადა მასში კანეკლიანი, უთავო და ხუთფეხა, ხუთთვალა ზღვის ვარსკვლავი... ჩუმი, თითქოს უპრეტენზიო, თითქოს უკბილო, მცოცავი და დონდლო...

ზღვის ტალღები ჯერ ცის ვარსკვლავებს ირეკლავდნენ, შემდეგ თავანყვეტილნი ეხლებოდნენ ახლომახლო მდგარ გაქვავებულ სულებს... ზღვის ვარსკვლავებს, ალბათ, სასაცილოდაც არ ჰყოფნიდათ ცის ვარსკვლავები... ალბათ, იმიტომ, რომ ორ სხვადასხვა სამეფოს ეკუთვნოდნენ, მიწიერსა და ცისიერს... გარკვეულ სიმაღლეზე მყოფთ შურით შესცქერიან ზოგჯერ... ცისიერნი არიან და იმიტომ. ანათებენო... ნათება აღიზიანებთ მცოცავთ, ჰიდრაულიკური ფეხების მქონეთ...

გაჩნდა სიცოცხლე, აფეთქდა ნუში, უშველებელ პლანეტაზე ჯერ აქა-იქ, შემდეგ კი ყველგან, ათასგვარი ნაბიჯების ხმა გაისმა... ჩაიარა ათასმა წყალმა, ჩაიქროლეს ქარიშხლებმა, უფრო ნაზად გაუღიმა ცხრათვალამ გამკვრივებულ მტვრის გრიგალსა და მასზე მოარულთ. ლამაზია დედამინა...

თავიდანვე, ალბათ, უფრო მსუბუქი იქნებოდა, ჩვილი ბავშვივით უცოდველი. უცოდველთ კი ცოდვილიანნი ვერ იტანენ, მათაც ითრევენ მბრუნავ მორევში... ცოდვები ამძიმებს დედამინას, დაე, დაიტოვოს მან ისინი ნუ შეუერთებს სივრცეს, რათა პირველყოფილი სინმინდე და უმანკოება შეინარჩუნოს უსასრულობამ...

ლამაზია დედამინა... აი, ახლა, ამ ნუთში, როცა მასზე ვფიქრობდი, ერთ-ერთი მისი მუდმივი მკვიდრი, მუდამ კაცობრიობის ყურადღების ცენტრში მყოფი პრობლემათა წყება, ზღვის ვარსკვლავი დაცოცავდა, თითქოს ჩუმი, თითქოს უპრეტენზიო... ზღვის ვარსკვლავს მოსწყდება ერთი ფეხი და თითქოს არც უგრძნიაო, უცებ აღიდგენს. მოწყვეტილი და უარყოფილი ერთი ოთხს წარმოშობს... რა ენაღვლებათ, გარდაიცვლება და გაქრობა არ უწერია... მხოლოდ გამრავლება, ზღვის ფსკერზე, შლამისა და მოლუსკების გვერდით... მტა-

ცვლები ზღვის ვარსკვლავი... უწყინარ თევზს მიკრობია მუ-
დამ თავისი გაუმაძღარი კუჭით და ინელებს ცოცხლად...

— ჩვენ ერთმანეთს ვგავართ-თვალი ჩაუკრა ადამი-
ანს დედამინამ — ჩვენ ერთმანეთს ვგავართ?.. — გადაიხარ-
ხარა ადამიანმა — ნუთუ?.. ერთმანეთს ვგავართ?.. მერე ჩა-
ფიქრდა ახალგაზრდა კაცი, ალბათ, ამიტომაც ერთ არსებად
ვიქცევით ბოლოს... მძულხარო, გამომცდელი თვალთ შეხე-
და პლანეტას. რატომო გაუკვირდა ამასაც. ყველას გულში
იკრავ და იმიტომო. მაშ, როგორ მოვიქცეო, კიდევ უფრო გა-
უკვირდა დედამინას... კაცი უსასრულო სივრცეს მიაშტერ-
და, დედამინა მიუხვდა, მაგრამ ამჯერად არაფერი უპასუხია.
სივრცე შორეულიც იყო და ახლობელიც, უცნობიცა და ნაც-
ნობიც. მძულხარო კიდევ ერთხელ გაუმეორა კაცმა... შენგან
ნასვლა მინდა... შენ მორჩილი გახდი, ბოროტსაც ეგუები და
კეთილსაც, მერე ორივეს თანაბრად იკრავო გულში და გან-
სხეულებულნი ცხოვრობთო ამ უსასრულო სამყაროში... მე-
რე ისევ სივრცეს გაუშტერდა თვალი... იდუმალი სიჩუმე იდ-
გა...

დედამინაზე ზაფხული დგებოდა, ჩასთვლიმა გოლი-
ათს და ბოლო სიტყვები არ გაუგონია. ჰმ, რა გაღელვებს
ადამიანო, ჩემგან გასვლა გინდა? მერე, და ვინ გიშლის... ან,
ეგ წელან წარმოთქმული სიტყვები, გოლიათს როგორ შეჰბე-
დე, ასე ნამცეცამ...

წელან წარმოთქმული სიტყვები... ჰელიადების ცრემ-
ლებს დაემგვანნენ... ქარვაში დასამარებულთ... შეგიძლია
უყურო მათ წლობით, უმოქმედობსა და ჩარჩოებში ჩას-
მულთ, გაქვავებულთ,...

სადღაც ზღვის ვარსკვლავი დაცოცავს წყალში, ნესი
აზანზარებს ტბის შემოგარენს, ტყეებში ჰუმანოიდები გარ-
ბიან, თასადების პატარა სახელმწიფომ, ალბათ, არც კი
იცის რა არის ბოროტება... ღმერთებსა და ქალღმერთებს,
ბუმბერაზებს, დევგმირებს, გოლიათებსა და რაინდებს
ბრძოლა მოუწევთ. განა შეიძლება დატოვო შენი სამყარო,
განა შეიძლება მოყვასთ, განუდგე... ჰმ, კაცს რამდენი შეს-
ძლებია... დიახ, დედამინას მარადიული სიცოცხლე, უსასრუ-
ლოდ ხანგრძლივი სიცოცხლე, განწმენდა სჭირდება...

... კაცი ზღვის სანაპიროს დაუყვა, ირგვლივ ფერადი
კენჭები ნებივრობდნენ... ლივლივებდნენ ტალღები, ფსკერ-

ზე ზღვის ვარსკვლავი ჩასჭიდებოდა მარგალიტიან ნიჟარებს და, ალბათ, საგდულეებს მთელი გულმოდგინებით ხსნიდა, მისგან მონელებული უწყინარი თევზის ხერხემალი სადღაც შლამში ეგდო... ეგ მხოლოდ ფსკერზე, ზემოთ კი, აი, ზემოთ, ტალღების ძლიერ ხმაურიანი ორკესტრი ზეიმობდა, თითქოს სიცოცხლის სილამაზეს უმღეროდა...

დღე ფიქრებში ნელ-ნელა გადიოდა. კაცმა ქალაქისაკენ იბრუნა პირი. ქალაქს ათასი გასაჭირი ჰქონდა, მაგრამ მაინც შეეძლო ეთვალთმაქცა, ბედნიერთათვისაც და გაჭირვებულთათვისაც თანაბრად გაენანილებინა ყურადღება, ვის უფრო გაუმართლებდა, ეს ცხოვრების საქმე იყო, საჭე მას ეპყრა ხელთ და საითაც უნდოდა იქით წაიყვანდა ბედის მანქანას. ცხოვრება უსასრულო სამყაროში?... არა, დედამინაზე... დედამინის იქით კი უშველებელი, ამოუცნობი სივრცე ახამხამებდა თვალებს და უცნობ ბგერებსაც გამოსცემდა.

სიცხისაგან აღმურმოდებულ ხეივნებში დააბიჯებდნენ ჭარმაგინც და ახალგაზრდებიც, ახალმოთიბული ბალახის სუნი მხოლოდ ნუთით თუ გადაგიყვანდა სოფლურ გარემოში და შეგახსენებდა, რომ არსებობდა კუთხე, რომელიც ძალიან წააგავდა რალაცით ქალაქს და განსხვავდებოდა კიდევაც მისგან.

იდგნენ თეთრად შელამაზებული და მოჩუქურთმებული შენობები, თავანყვეტილნი თამაშობდნენ შადრევნები... სწორედაც, რომ საოცარი იყო მათი ბედი... ვიღაცის მარჯვე ხელს ათასთა სიამოვნების მისაღებად შეუცვლია მათთვის მიმართულება... შადრევანი რისი შადრევანია, ზომაზე მეტად თუ მოიმატა სიმაღლეში და წინასწარ გამოანგარიშებულზე მეტი სისწრაფით თუ დაეშვა ფილაქნებზე. ვერც ფილაქნებს დასდგომიათ კარგი დღე... უნდათ არ უნდათ, მაინც შადრევნის სურვილისამებრ უნდა გადაივლონ კრიალა ტანზე წყალი... აბა, ვარდებს დააკვირდით, იქნებ, სულაც არ უნდოდეთ აქ ეს ბალი დაემშვენებინათ, აქ დაეკანონებინა მათი ყოფნა უფალს.

კაცი გრძნობდა, რომ გამვლელთა გაკვირვებული თვალები მიაცილებდნენ კარგა შორ მანძილამდე, შეჰყურებდნენ მონინებითაც, შიშითაც. ერთი ორჯერ ჩუმად ნათქვამი სიტყვებიც კი გაიგონა, აი, კაცი, რომელიც ხვალ მეფე უნდა გახდესო, როგორ თუ მეფეო, უკვირდათ გამგონეთ, ნუთუ

მომავალი მეფე მცველთა, მსახურთა გარეშე, მარტო, ეულად, ასე ჩვენსავით დაეხეტებო? ალბათ, ჰგავსო რალაციტ ტახტის მემკვიდრეს. განა ცოტა გვინახავს ერთმანეთის მსგავსი ადამიანები. მეფე ქვეითად სიარულს კი არ იკადრებსო... ლამაზმანები შეავლებდნენ თვალს და უცბად არიდებდნენ მზერას, რადგან ის ვარსკვლავს ჰგავდა, ძალუმად მოკაშკაშეს, და თვალს ვერ უსწორებდნენ სხივების ციალს...

კაცი, რომელიც ხვალ მეფე უნდა გახდეს... დიახ, დედამინის ერთ-ერთი კუთხის მეფე, ალბათ, უძლეველი, ალბათ, დიადი და მიუწვდომელი... მბრძანებელი? რასაკვირველია, მბრძანებელიც... მეფედ კურთხევის ცერემონიალი ნამდვილი სასიერო სანახაობაა...

რატომ დადის ტახტის მემკვიდრე ეულად ქალაქის ქუჩებში? არავინ ნაცნობი არ შეხვედრია?... აი, უკვე მისკენ გამოემართა დინჯი, აუჩქარებელი ნაბიჯებით ჭარმაგი კაცი, ქათქათა, თოვლილივით თეთრი თმა, მალალი შუბლი, ფიქრიანი გამომეტყველება, ახალგაზრდა კაცმა გაუღიმა რად წამოსულხარო, შენც, ეულად. გაგონილა ტახტის მემკვიდრის აღმზრდელი ეულად დაეხეტებოდეს, ისე კი ვგრძნობდი, აუცილებლად უნდა შემხვედროდი, სწორედ, აქ უნდა გვეხილაო ერთმანეთი, ჭარმაგი, თეთრთავა დუმდა. არა, ნამდვილად მომავალი მეფე არ აღგიზრდიათ... ტახტის მემკვიდრის წვრთნა დაგავალეს... იქნებ, გეგონათ მეფეს მართლაც აღზრდიდით, კეთილს... რამდენი მეფე გინახავს, ჩემო აღმზრდელო, ისევ თავის ნაცნობთა გარემოს შებრძოლებული. მოხუცმა ამოხედა დინჯად, ახლა მხოლოდ სასახლეში უნდა ბრძანდებოდეთო, შეიძლება გეძებენ კიდევაც, ხვალ ხომ მეფედ კურთხევის ცერემონიალიაო... სხვა რომ არ იყოს, ხალხიც გაკვირვებული შემოგყურებსო. მეტი არაფერი უთქვამს, რა უნდა ეთქვა, ახლა რას მოასწრებდა... მან მთელი თავისი აღმზრდელიობითი შესაძლებლობები გამოიყენა ტახტის მემკვიდრის ბავშვობიდან დაწყებული დღემდე. საკუთარი სენიც გადასდო ახალგაზრდას, საკუთარი იდეების, მისწრაფებებისა და შეხედულებებისა. ხვალ მეფედ აკურთხებენ მის აღზრდილს... იქნებ, შედეგი ენახა თავისი მრავალწლიანი შრომისა, მრავალი „იქნებ“ ფარფატებდა მის თვალწინ... მასწავლებელი დაიარებოდა სასახლესა და სამეფო ბაღს შუა... სადღაც შორს, მესერზე, გადმომდგარიყო ამაყი, გაფ-

ხორილი, წითელბიბილოვანი მამალი და ხმის ჩანყვეტამდე ყოიდა. სწორედაც, ერთხელ რომ დაიყვილა ფრინველმა, უნებურად ჩაელიმა, იქნებ, გრძნობ კიდევაც, რომ ხვალ ზეი-
მია და გეშინია, შეიძლება ეგ მყივანა თავი წაგაცალონო, შე-
ეცოდა, მის მზონინავ ბუმბულს დაუკვირდა — მერე უფლის-
ნულის ოთახისკენ გაემართა. გაკვეთილი უნდა ჩაუტაროს,
მეფედ კურთხევის ცერემონიალამდე. ოთახში უფლისნული
არ დახვდა, გაიარ — გამოიარა, მაგრამ თვალი ვერ მოჰკრა.
სასახლეში მყოფნი არც კი ფიქრობდნენ იმაზე, რომ სადღაც
გაქრებოდა ის, ასეთი ზეიმის მოლოდინში. მასწავლებელი
ქუჩაში გავიდა. აღზრდილის კეფას მოჰკრა შორიდან თვალი,
აედევნა, აი, ახლა დგას მის წინ და კიდევ ერთხელ ახსენებს,
რომ უფლისნული ვალდებულია იყოს სასახლეში... ხვალ
ხომ...

ხვალ? დაე, ნუ იქნება მეფედ კურთხევა ხვალ... რა-
თაო? გაუკვირდა მასწავლებელს, განა რა გიშლის ხელს, რომ
ქვეყნის მბრძანებელი გახდე. მბრძანებელიო? სწორედ ეგ არ
მინდოდა, რომ მბრძანებელი ვყოფილიყავიო, მიიღო პასუხი,
მაშ, როგორაო? კიდევ უფრო გაუკვირდა მოხუცს, შენი
ხვედრი ეგ არის, შენ სწორედ იმ ვარსკვლავზე დაიბადე, მე-
ფობას რომ არიგებენო. მერე ჩაელიმა, ჯიუტობა ბავშვობი-
დანვე მოგდგამს და არც ახლა გამკვირვებია შენგანო, უთ-
ხრა. ნეტავ, ბავშვობა დაბრუნდებოდესო, ინატრა ახალგაზ-
რდამ. ბედნიერების მწვერვალზე უნდა ასულიყო, თითქოს
არაფერი აკლდა, მხოლოდ ერთი საფეხური, მხოლოდ ერთი
მსუბუქი ნახტომი და ქვეყნიერებას ზემოდან გადმოხედავ-
და, ეს კი ახლა იდგა ქუჩაში და ბავშვობის დაბრუნებას ნატ-
რობდა, იქნებ, ის ანუხებდა, რომ მომავალი ასაკს უმატებს
თითოეულ ადამიანს, იქნებ ის, რომ ბედნიერებასთან ერთად
ათასი საფიქრალი და ათასი პრობლემაც გვერდით შეიძლება
ჩამოგისკუპდეს, უბოდიშოდ, დაუკითხავად.

... და მერე ქვეყანა უმეფოდ? ჩაეკითხა აღმზრდელი,
რამდენი ხნით? არა უშავს, უპასუხა ტახტის მემკვიდრემ, მა-
მაჩემმა განაგრძოსო მეფობა... ახლა შენ საითო, ისევ ჰკითხა
გაკვირვებულმა. ბავშვობისაკენო უპასუხა იმან, რომელიც
ხვალ მეფე უნდა გამხდარიყო...

ბავშვობა კი... აი, როგორ დაიწყო თავიდანვე ყველა-
ფერი... მასწავლებელი უნდა გაგაცნოთო და ვილაც კაცს წა-

რუდგინეს, ის ირგვლივ თითქოს ამრეზით იყურებოდა, ზედვე ეტყობოდა, რომ ფუფუნების საგანთა ბრჭყვიალება თვალს სრულებითაც არ სჭრიდა. უფლისწულმა ასწონ — დასწონა, ჩათვალა და... არ მოეწონა... მოეფინნენ დარბაზს დიდებულთა ქალბატონები ფარჩების შრიალითა და მედიდური ღიმილით „უფლისწულის მასწავლებელი?“ ჩაილაპარაკეს მრავალმნიშვნელოვნად და ცოტა ხანში ისევ გავიდნენ. პატარა უფლისწული მოთმინებით ელოდა, როდის მიმართავდა მასწავლებელი „თქვენო აღმატებულება, პატარა უფლისწულო, მე დამავალეს ვიყო თქვენი მასწავლებელი, მანამდე, სანამ სამეფო სკიპტრას მოგცემენ და მეფის გვირგვინითაც დაიმშვენებთ თქვენს მშვენიერ თავსო“, მაგრამ სრულიად მოულოდნელად მასწავლებელმა სულ სხვა სიტყვები წარმოთქვა: „თქვენ დღეიდან ჩემი მოსწავლე ბრძანდებით, ჩვენ ვემორჩილებით ერთმანეთს... ვფიქრობ, ურთიერთპატივისცემა და ურთიერთგაგება იქნება ჩვენ შორის.“ უფლისწული ვარო, აიმრიზა ტუჩები ტახტის მემკვიდრემ, ჩემთვის ეგ მანცდამანც დიდს არაფერს ნიშნავსო, შეეპასუხა სტუმარი, რასაც გასწავლი, მორჩილად მიიღებ, ხოლო თქვენს განკარგულებებსა და ბრძანებებს, როგორც მომავალი მეფისას, ვერ დავემორჩილებიო. ეგ როგორაო, ისევ აიმრიზა ტუჩები უფლისწულმა, სტუმარმა გულწრფელი სინაწული გამოთქვა, რომ ამ ქვეყანაზე ყველა უფლისწული რაღაცით ჰგავს ერთმანეთს, განებივრებული, ამაყი, დიდგულა და მბრძანებელი. ტახტის მემკვიდრე არ თმობდა პოზიციებს, უკვე ხედავდა, რომ ხელიდან ეცლებოდა შანსი, კიდევ ერთ ადამიანთან, თავისი უპირატესობის წარმოჩენისა.

ნათლად გრძნობდა, რომ ვერ დაიმორჩილებდა, ის კი არა, აღმზრდელი ისე შემოჰყურებდა, თითქოს თვითონ ყოფილიყო მეფე, ქვეყნიერების მბრძანებელი, მართალია, სტუმარს ასეთი რამ გულში არც გაუვლია, მაგრამ უფლისწული შინაგანად ბოხოქრობდა. უკვე, ეგ სტუმარი, მერამდენე მასწავლებელია, წინათ მოვლენილნი დაინუნა, არც კი იცის რატომ, მოუარა ბავშვურმა ჟინიანობამ, კარგად არ მასწავლიანო და დაითხოვეს ჯერ ერთი, მერე მეორე, მესამე და ა.შ. ეგ სტუმარი მეშვიდეა... ისევ ვერ იტყვის ესეც მომამორეთო, აკი, როგორც ამბობენ, ძლივს დაითანხმეს, რომ წამოსულიყო და უფლისწულის აღზრდა ეკისრა... მიზეზი თავიდანვე

უარობისა რა იყო, არავისთვის გაუმხელია, უბრალოდ, უთქვამს, როგორც საჭიროა, ისე ვერ აღვზრდით. აკი თვითონ სცოდნია დალოცვილს, როგორც მეფის შვილს ეკადრებოდა, ისე ვერ აღვზრდიდა, რისთვის მოვიდა... ურჩი მასწავლებელი, თანაც მომავალი მეფის აღმზრდელი. ბოლმა ახრჩობდა უფლისწულს, მაგრამ ვერაფერს ამბობდა, რაღაც უხილავი ძალა, თითქოს, იძულებულს ხდიდა დამუწვებულყო.

მასწავლებელმა გაიარ-გამოიარა, მოვილაპარაკოთო უთხრა. წიგნებს, რვეულებსა და ავტოკალმებს თვითონ მოუვლი, ამაზე მოახლეს ნუ შეანუხებ, ტანსაცმელსაც თვითონ ჩაიცვამ და ჩემთან თვითონ მობრძანდები, რად გჭირდება შუამავალი, ამბების დამტარებელი, უბრალოდ, შემოაღებ კარებს... მეც, ასევე, უბრალოდ გეახლებიო...

უფლისწულისთვის ყოველივე უჩვეულო იყო, მაგრამ მასწავლებლის ტონი სიტყვის შებრუნების საშუალებას არ აძლევდა დიახ, ეგ ადამიანი იყო ერთადერთი, რომელიც აოცებდა, აკრთობდა და რაღაცნაირად იზიდავდა კიდევაც.

ამის შემდეგ ბევრი უჩვეულო დღე გათენდა, ბევრმა საოცრებამ გამოაჭყიტა თვალები, ალუბლის კენწეროებიდან, სასახლის კედლებიდან, ფილაქნებიდან, წიგნებიდან. უფლისწული შეიცვალაო, გადასძახეს ერთმანეთს ფოთლებმა, ქვებმა, ათასი ყური და თვალი გამოიბეს ცნობისმოყვარეობამ, მორჩილებამ, და უფლისწულის არსებაში დასახლდა ახალი სამყარო... თითქოს გაიხსნა ცისკარი და იქიდან გამოანათეს რჩევებმა, დარიგებებმა, ცოდნამ, ქცევებმა... როგორც პატარა, უცოდველი და ჩქარი ნაკადული შედგება წვეთთა სიმრავლისაგან და ეგ ერთობლიობა ბიძგს აძლევს მდინარეს წინსვლისაკენ, ახალი გზებისაკენ, ისე, რაღაც უხილავ ძალთა ერთობლიობა, აძლევდა ბიძგს ტახტის მემკვიდრეს, სხვა გზებისკენ. თანდათან, შეუმჩნევლად უახლოვდებოდა ახალ გზას... მეფეს კი... მეფეს არც კი შეუმჩნევია შვილის არსებაში ცვლილებები, რაც მთავარია, მეცნიერებაში, მხატვრობასა და პოეზიაში მისი მემკვიდრე შესამჩნევად ერკვეოდა... აქ იყო რაღაც სხვა... პიროვნებისეული, ხასიათისეული თავისებურებები, რომელიც სხვის არსებაში ყველა მოკვდავს არ ძალუძს შეიცნოს, თუნდაც, მეფე იყოს... მერე რა, რომ გვირგვინოსანია, გვირგვინი ხომ ზღვარია, გამყოფია, ჩვეულებრივ, რიგით ადამიანსა და საზოგადოე-

ბას შორის გაჩხერილი... გვირგვინი ხომ ერთეულთა ხვედრია, ძვირფასი ქვებით მოოჭვილნი ხშირად თვალს გვჭრიან ფორმის სილამაზით. ფორმა და შინაარსი ერთმანეთს უნდა ავსებდნენო, ამბობენ... გვირგვინი ბევრ საქმეში ხელს უშლის მის მფლობელს, ამძიმებს, ხშირად კი ეხმარება. პატარა უფლისწული თვალნათლივ ხედავდა, რომ გვირგვინი თავის მამას, ,, ბატონ მეფეს" ამძიმებდა და თან გულს სიამითაც უვსებდა... გაორება? არა, ნამდვილად არ უყვარდა გაორება,... შედარებით ბედნიერი ჩანდა მასწავლებელი, თითქოს სხვა არაფრის მქონე, ცოდნისა და ნიგნების გარდა, მაგრამ ისევ უზენაესის ნებას დამორჩილებული. აგერ, კიდევაც, უფლისწულს წვრთნიდა, ძლივს დაითანხმეს მისი აღმზრდელი ყოფილიყო...

სავალდებულო, ყოველდღიური გაკვეთილების პროცესშიც და მერეც ამ ორ ადამიანს ხელთ ეყურა დიდი გორგალი დიალოგისა. ძაფის სათავე მასწავლებელს ჰქონდა, ბოლო კი არ ჩანდა, ვერ იქნა და ვერ მივიდნენ ბოლომდე, სიკეთის განხორციელებააო ადამიანის ცხოვრების ერთ-ერთი იდეალი, ამბობდა მოძღვარი, მაგრამ არც ის დაუმაღლავს მისთვის, რომ მეფეს გაუჭირდებოდა, ყოფილიყო მუდამ კეთილი. ყოველი მეფე, ხომ პირადად ფლობს იმაზე მეტ სიმდიდრეს, რაც მისი არსებობის შესანარჩუნებლად საჭირო... განა ასეთმა მდგომარეობამ შეიძლება ადამიანთა შორის ნორმალური, ლამაზი ურთიერთობები წარმოშვას?

იმაზე მეტი სიმდიდრე, რაც ერთი უბრალო მოკვდავი-სათვისაა საჭირო, მუშახელს მოითხოვს, იმონებს მეორეს, მესამეს და... მეგობრული ურთიერთობების მარეგულირებელი ძაფი წყდებაო.

სწორედ ასე იყო, თვალნათლივ ხედავდა უფლისწული ამას და სულგანაბული უსმენდა მოძღვარს... მერე ჰკითხა, ნუთუ მორალური ნორმების დარღვევისათვის არ არსებობს სასჯელი და... მეფე ვინ უნდა დასაჯოსო.

როგორ არა, არსებობდა მორალური ნორმების დარღვევისათვის სასჯელი, მაგრამ მეფეს ვინ დასჯიდა?... მსაჯულის როლში ყოველთვის, ყოველ დროს, შეიძლებოდა ხალხი წარმოგვედგინა, მაგრამ მუდამ მორჩილნი, განა ხმას ამოიღებდნენ... მათ შინაგან მოთხოვნილებებსა და მისწრა-

ფებებს სახელმწიფო ტახტის სიდიდე და სიმძიმე აიძულებდა გაჩუმებულიყო...

... და უფლისწული ემზადებოდა სამეფო ტახტისათვის, რომელიც უკვე აღარ ეჩვენებოდა ლამაზი და მიმზიდველი... მოძღვრის თქმით: „სიტყუაი იგი იყო ღმერთი“... სწორედ ამ ღმერთს უნდა დანთებოდა სანთელი... ხვალ, ზეგ ძალაუფლებას მიიღებდა, მაგრამ... მასწავლებელმა გასაგებად აუხსნა, ძალაუფლებამ ბოროტი არ უნდა გაგხადოსო, კაცობრიობის ბევრმა მონარქმა ის ცუდად გამოიყენა. ყოველგვარი ქცევა, რომელიც მოვალეობას ეწინააღმდეგება გაუმართლებელია, უფლისწულის მოვალეობა კი ისაა, გახდესო მეფე. ტახტის მემკვიდრეს დიდხანს ჩააგონებდნენ მომავალი მეფე ხარო, ის კი აღმზრდელს რამდენჯერ უმეორებდა, რომ სურდა ყოფილიყო თავისუფალი, მეფე კანონებს გამოსცემს, ზოგჯერ ხალხს არც კი ეკითხება, მასწავლებელი კი, აი, თუნდაც, უფლისწულის მასწავლებელი, დაუნერულ კანონებს აწვდის თავის აღსაზრდელებს... თავისუფალი ვერ იქნებიო, შენ ხომ როგორც მომავალი მეფე და დიდგვაროვანი ოჯახის შთამომავალი, დამოკიდებულებათა უზარმაზარ სისტემაში ხარ მოქცეული და ძალიან ძნელია იქიდან თავი გამოითავისუფლო, არადა, ერთი პრობლემა რომ უკუაგდო, ხვალ, ზეგ იგივე გადასაჭრელი საკითხი წამოყოფს თავს, ხოლო ცალკე მდგარი პრობლემა კი ბევრ თავიანთ მსგავსთაც წარმოშობსო. მაშ, დედამინიდან ხომ ვერ გავალ... შელაღადა ვარსკვლავებს ტახტის მემკვიდრემ... წინააღმდეგობები, ოჰ, ეგ საოცარი წინააღმდეგობები... რამდენი ბარიერის გადალახვა დასჭირდა, რომ აღზრდილიყო ისეთი პიროვნება, როგორიც თვითონ მოძღვარს მოსწონდა, აი, იმ კაცს, რომელიც ახლა მის წინაშე იდგა, უკვე თმადათოვლილი, ჭკვიანი და ნიჭიერი.

— დაბრუნდით სასახლეში, მე კიდევ გავივლი ქუჩებში...

— გთხოვთ, დაიჯეროთ, ალბათ, უკვე გეძებენ. უფლისწულო, ჯიუტობა ბავშვობიდანვე მოგდგამთ!...

— თქვენ კი ჩემს აღზრდაში შეცდომა დაუშვით, სასახლეში ჩამკეტეთ, დაუჯერეთ მეფესა და დედოფალს... ხალხს, ცხოვრებას მხოლოდ წიგნებითა და თქვენი შეხედულებებით ვიცნობ... ადამიანებთან ცოცხალი ურთიერთობაა

საჭირო... მე არ ვიცნობ საზოგადოებრივი საქმიანობის ყველა მხარეს, მუდამ სასახლეში მოტანილი ინფორმაციებით ვიკვებებოდი... ხალხის ცხოვრებით არ მიცხოვრია... აკი ხვალ...

— დიახ, უკვე გვიანია, ხალხს ასე უცებ ვერ გაიცნობ, ხვალ...

— როგორ შეიძლება ხალხს არ ვიცნობდე, განა გავუგებ შემდეგ მათ...

— ჩემო კარგო, ცხოვრების შუქჩრდილებში რომ ჩაიხედო, უკიდურესი სილატაკიდან და ფიზიკური შრომიდან უნდა დაიწყო ყოველივე და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა საფეხურს აჰყვე ბოლომდე... ბოლოში კი სამეფო ტახტია, რომელიც მის გარშემო შექმნილი პრობლემებითაა დახლართული, ობობას ქსელივით, სამეფო და სახელმწიფოებრივი ინტრიგები, ეგოისტური და საზოგადოებრივი ტიპის ხასიათის ადამიანთა შეჯახებები, შინაგანი კონფლიქტები და დაუსრულებელი, ფარული თუ აშკარა ბრძოლები, სხვა სახელმწიფოები და სხვა ტომის ხალხი, მათთან ურთიერთობა...

ნუთით დადუმდა ორივე მხარე, მერე უფლისწულის ჯიუტობამ ისევ თავისი გაიტანა. მათი გზები გაიყო. მასწავლებელს სასახლეში რა ესაქმებოდა, თავისი მოვალეობა შესრულებული ჰქონდა და სულ სხვა გზას დაადგა. არც უფლისწულს ესაქმებოდა იქ, თავისი აზრით, ჯერჯერობით, არაფერი... ისიც სულ სხვა გზას გაუყვა. სასახლეში, რასაკვირველია, დაიწყებოდა ძებნა მომავალი მეფისა, განა ქუჩებში... მაგრამ არა, მეფესა და დედოფალს, უფლისწულის დედ-მამას შერცხვებოდათ გამოეცხადებინათ სახალხო, რომ ტახტის მემკვიდრემ უპასუხიმგებლოდ დატოვა მეფედ კურთხევის ცერემონიალი, თანაც, თავს წამოყოფდნენ სამეფო ტახტის მაძიებელნი რაკი მის არყოფნას ჩაიგდებდნენ ხელში საბაბად, — ჰოდა, გაჩუმდებოდნენ და დაელოდებოდნენ „სანიმუშოდ“ აღზრდილ უფლისწულს, რომელსაც რაღაც შეეშალა და რომელიც, ადრე თუ გვიან, ალბათ, ბოდიშს მოიხდინდა სასახლეში „უნებურად“ დაშვებული შეცდომისათვის.

... როგორ ჰგავს ეგ ახალგაზრდა კაცი უფლისწულს, ჰკვირობდნენ გამვლელნი, როგორ არა ჰგავს ეგ ხალხი ჩემ ირგვლივ მოფუსფუსე ადამიანებს, ჰკვირობდა გუნებაში

უფლისწულიც და მათს დაჟინებულ მზერას თავს არიდებდა. ასე ლაღად, ასე თავისუფლად, ყოველგვარი გაცილებიისა და სამეფო ცერემონიალების გარეშე, პირველად გრძნობდა თავს. ქუჩამაც უცებ ვერ იგუა ახლად მოვლენილი გამვლელი, ცნობისმოყვარე და ოდნავ გაოცებული რაღაცით. თურმე, რამდენი მივლიაო, გაიკვირვა, როცა ქალაქგარეთ მოხვდა. დაღლილს, მშვიერსა და თითქმის გონწართმეულს, ვერხვის ჩრდილში მიეძინა. ფორტუნა გამოეცხადა, უსაზღვროდ ნაზი, ლამაზი თვალები აეხვია. იდგა ბორბალზე, ცალ ხელში საჭითა და მეორეში სიუხვის რქით. არაფრისმქონეს და ბედის ანაზრად ქუჩაში გასულ უფლისწულს, უნდა ეთხოვა ერთ-ერთი. სიუხვის რქას ამჯობინებდა, ალბათ, მაგრამ ფორტუნა გამოიმეტებდა? უფლისწული სამათხოვროდ განვდილი ხელებით?.. გაეცინა ფორტუნას, საით გაგინევიო, რა გრჯიდაო, დამცინავი უხდებოდა მზერა, შენ ხომ ყველაფერი უშრომლად, ნაპოვნი გენყო წინ. შენ, უთუოდ, ფილოსოფიური ქვის მძებნელს ჰგავხარ, იპოვი კიო? მძინარე უჩვეულო ხმაურმა გამოაღვიძა, ცხენი ფრუტუნებდა მის შორი-ახლო, ფორტუნა შემეჯდარიყო, ფაფარს გულმოდგინედ ჩასჭიდებოდა, თვალები არ ჰქონდა ახვეული, არც ხელში ეპყრა არაფერი. იდგა და წელანდელი დამცინავი მზერა არც ახლა შორდებოდა. თეთრი რაში ფლოქვებით მინას ტკეპნის. რაში შენიაო? ჰკითხა ფორტუნას, არაო, იყო პასუხი. მაშ სხვისას როგორ ახლე ხელი, რა საკადრისიაო, ჭკუის მასწავლებლად კი არ მომიხმხარო, მიიღო უკმეხი პასუხი. იყუჩა ცოტა ხანს, მერე... სად ცხოვრობო, ჰკითხა ისევ. სადაც მინდაო, ეგ როგორო? გაიკვირვა უფლისწულმა. უბრალოდ, ბოშა ქალი ვარ, სადაც არ მომწონს გავეცლები... სხვაგან მივდივარო... „ჩვენ ერთმანეთს ვგავართ“, გაიფიქრა და შემდეგ ხმამაღლა გაიმეორა ეს სიტყვები. ახლა ფორტუნა კისკისებდა უკვე გულიანად. ჩვენ ერთმანეთს ვგავართ?... იმეორებდა გაოცებული. შემდეგ ჰკითხა, სად არიანო თქვენები. უფლისწულმა აუხსნა, რომ ის მარტო დადიოდა, ერთი უბრალო გლეხი იყო, გზას აცდენილი, უთვისტომო და უსამშობლო, არც თვითონ იცოდა საიდან მოვევლინა ქვეყნიერებას, ქალს თვალები გაოცებისაგან უფართოვდებოდა.

ჩემებს გაგაცნობო, თქვა ფორტუნამ და ცხენიდან ჩამოხტა. უსიტყვოდ მიდიოდნენ დამპყრობელსა და დაპყრო-

ბილს ჰგავდნენ, ბოშები რომ მომთაბარე ცხოვრებას ეწოდნენ ეს ყველასათვის უბრალო ჭეშმარიტებას წარმოადგენდა, არც უფლისწული გაუოცებია ამ ამბავს, ცოტა ხნის შემდეგ, ბოშებს, თეატრის შენობის წინ უდარდელად ჩამომსხდართ, და მხიარულად ცეკვა-თამაშში გართულთ რომ მიუსწრო, შეშურდა ოდნავ. „უფლისწული“? ნამოიძახა რამდენიმე ხმამ და გაკვირვებულნი მიაჩერდნენ, ფორტუნამ გულიანად გაიციხა, უფლისწულს ჩემთან რა უნდოდა, ერთი უთვისტომო და გზას აცდენილი კაცია, შემეცოდა და წამოვიყვანეო. კაცმა ყველას მორჩილად შეხედა, განა ასე რატომ შეგშინებიათ, თუნდაც, უფლისწული ვყოფილიყავიო. ყველაზე უხუცესმა თავი მრავალმნიშვნელოვნად გააქნია, ბევრი უფლისწული და მეფე გვინახავს, არც ერთის არ გვეშინია, ჩვენ ჩვენი სამყარო გვაქვს, როგორც გვინდა, ისე მოვიქცევით და ქარი საითაც დაგვიბერავს, იქით წავალთ, ჩვენი კანონები გვაქვსო, ხელშეუვალი. როდემდე უნდა ეხეტივართ ამ მომთაბარეებს, ეგ უფლისწულმა არ იცოდა. მერე გარკვევით, ნათლად გაიგონა ორი გამვლელის საუბარი: საოცარია, უფლისწულის ასავალ-დასავალი არავინ იცის, ხვალ მეფედ უნდა ეკურთხებინათ და ვერ პოულობენო. ამაზე ბოშათა უხუცესმა, რომელმაც მოჰკრა ყური გამვლელთა საუბარს, ჩაილაპარაკა, ალბათ, ამ ქვეყნად ყველა მეფე და მომავალი მეფეც ერთმანეთს ჰგავს, უსამართლო და ყრუნი არიან, მათი ცხოვრება არტახებით შეკრულსა ჰგავს და სხვების შეკვრასაც ლამობენ. უფლისწულმა უნდა იბატონოს, ბატონი კი ათასში ერთი თუ გამოერევაო კეთილი. წითელმა ფერმა გადაჰკრა უფლისწულს სახეზე. ფორტუნამ ხელი შემართა, თლილი თითები ლამაზად შეათამაშა ჰაერში და თქვა: უფლისწულიც, მეფეც და ბერიც, ცხოვრებას უნდა იცნობდნენ, რამდენი უსამართლობა ხდება ამქვეყნად, მაგრამ ცხოვრებისეულ დეტალებში ვერ გარკვეულან და ვერ ხედავენ, ან ბრმანი არიან, ან იბრმავებენ თვალთახედვას... აი, ჩვენ, ყველას თვალწინ შეგვიძლია მოვატყუოთ ვიღაც, ნემსი მოვიპაროთ და გამოგვიჭირონ, აქლემთა ქურდები კი ქვეყანაზე პარპაშებენო.

არც ისე უდარდელი ეჩვენა ბოშები უფლისწულს უკვე... ყველა დადუმდა წუთით, თითქოს ძილის დრო მოსულაო... თითქოს თვალი აეხილა, რაღაც ინატრა, მერე ისევ სადღაც გაქრა წუთიერი მოწყენილობა და ბოშათა ჯგუფი

მხიარულ, სიცილით და უდარდელად ცისკენ მიმავალ ზღაპრულ კარეტას დაემსგავსა. ცა კი საოცარი ხილვებით ივსებოდა. მიდი-მოდიოდნენ ღრუბლები, თეთრქულები და რუხეებიც, ჩაიარეს ჯიხვისა და სამი ნახევარმთვარის, დათვისა და მთების გამოსახულებებმა, მერე ტახი გამოჩნდა, რალაც თეთრონი ეჭირა ფეხებით, ფრინველი და ოთხი ვარსკვლავი მიჰყვებოდა შველმაც არ დააყოვნა, თავზე მნათობი ედგა, მერე — ირემი, ლამაზრქება, ჯვარს მოატარებდა რქებით, ჩამოატარეს თეთრ ქულებმა მწოლიარე ლომი, თათებში მასაც ტახის მსგავსად თეთრონი ეჭირა გულმოდგინედ... შემოაგელვა ფრთოსანმა ცხენმა გვირგვინითა და ნაცრისფერი, მომწვანო ფერის ცისარტყელებით. ცა უცნაური ხილვებით აივსო, ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ზმანებები, იყო ბრძოლა. ვილაც გოლიათმა ყველა ცისეული ხილვა ერთად მოაქუჩა და ახლა თითქოს სხვა კუთხიდან მოსული სხივებით ივსებოდა ზეცა. მერე მოძღვარი დაიხატა, თეთრი, ვითარცა თოვლი, ვითარცა სინმინდე ხელუხლებელი და ჩაესმა: ორივე საშიშიაო, დიდებაცა და დაცემაც, დიდება ტვირთია... კაცნი შიშით იხვეჭენო დიდებას და შიშითვე კარგავენო მას... სწორედაც, რომ მოსალოდნელ დიდებას გამოექცა კაცი, დიდებას ხელით შექმნილს და არა ადამიანთა გულებით... დაცემა ერქვა მის ახლანდელ მდგომარეობას თუ გამოქცევა არსებულისაგან? უნდა გამოქცეულიყო? რისთვის? საამისო რა ჩაიდინა, რა გააკეთა უფრო კარგი და ქვეყნიერებისათვის სასარგებლო? რამდენი რამაა ამ სამყაროში ამოუხსნელი, გამოუცნობი... თუნდაც რომ ამოხსნა, გაიგო საიდუმლო სიკეთისა და ბოროტებისა და სულიერად მხოლოდ კარგი საქმის გასაკეთებლად განეწყო, არ შემოგხედავენ ეჭვის თვალით? განა არ იტყვიან მეფის სისხლი მაინც უდულს ძარღვებშიო? დაგიჯერებენ? საიდან გაჩნდა ეჭვი და უნდობლობა ამ ქვეყანაზე? ფესვები სადა აქვს? ვის ძალუძს აღმოფხვრას ყველა მანკიერება და თუ ამოიძირკვა, მოიშალა დედაბუდიანად, მერე არსებობას ინტერესი ხომ არ დაეკარგება?...

„ ვინც მძლავრობით ეუფლება სამყაროს... აქედან ეჭვრეტ—ვერ მიაღწევს სანადელს.“

სამყაროს საიდუმლო წყურვილს ჰგავს:

„ შეხება მისი არ ეგების.

ვინცა შეეხება:

ხელყოფს მის თანხმობას.
ვინცა დაეუფლება:
დაკარგავს მას.
ჭემმარიტად;
ყოველი არსი ცვალებადია:
ზოგი წინ მიდის, ზოგი უკან.
ზოგი თბილია, ზოგი ცივი.
ზოგი ძლიერია, ზოგი სუსტი.
ზოგი ყვავილობს, ზოგი ჭკნება.
ზოგი სრბის, ზოგი დგას.”

ამიტომაცაა:

“ყოვლად — ბრძენი უარყოფს განდიდებას.

ყოვლად — ბრძენი უარყოფს ფუფუნებას.

ყოვლად — ბრძენი უარყოფს ბრწყინვალებას”.

ბრწყინვალეობა, განდიდება და ფუფუნება უარყო, მაგრამ ხომ სარგებლობდა აქამდე ამქვეყნიური სიკეთით?

უფლისწული მაშინ გამოფხიზლდა ფიქრებისაგან, როცა კისკისი შემოესმა, რას ფიქრობ, უფლისწულოო, ესეც გაიგონა, ეგ ფორტუნა იყო, ირგვლივ მიმოიხედა, ბოშები გაკრეფილიყვნენ სადღაც, მხოლოდ ორი შემორჩენოდა თეატრის საფეხურებს, თვითონ და ბოშა ქალი. შიმშილმა შეახსენა თავი, გამოეცხადა თავისი გაკნაჭული ფეხებითა და ჩავარდნილი ყბებით, თვალებს საცოდავად ახამხამებდა. ნუთუ, მართალია, მშვიერი მონები აშენებდნენო უძველეს რომს? მუშაობისას რომ პირში მუჭით ფქვილი არ ჩაეყარათ, ყელზე ხის ბორბლებს უკეთებდნენ, თურმე, საცოდავი მონები, აკი იხოცებოდნენ კიდევაც... უფლისწული ხომ თავისუფალია, არც ხის ბორბალი აქვს კისერზე და არც ბორკილები ჩხარუნობენ, მაშ, რა გზას დაადგეს? თავისუფალმა ადამიანმა არსებობისათვის საჭირო ლუკმა-პურიც თავისუფლად უნდა მოიპოვოს... ახლა? ამ წუთში? როგორ? ითხოვოს? ვისგან? ფორტუნას თხოვოს? მათხოვრობა ხომ სირცხვილია, საიდან უნდა ჰქონდეს მას გასამასპინძლებელი საკვები? სასახლეში დაბრუნდეს? ახლა არა... ყველა სასახლე, რომელიც დამპყრობელია, ალბათ, უნდა დაინგრეს, დაიშალოს... ალბათ, რაღაცით უნდა შეიცვალოს... „, კართაგენი უნდა დაინგრეს“... მოინანიონ და გადარჩნენ, ვით კორინთოს სვეტები გადაურჩნენ რომაელებს დანგრევისაგან. თვითონ თუ გადა-

ურჩება? “რა გქვია?” შემოესმა უფლისწულს და ისევ გამო-
ერკვა ფიქრებისაგან. „იკაროსი“ ვარო უპასუხა და წამოდგა.
გვერდით ისევ ის ედგა, გაკნაჭულფეხებიანი და ვარდისფერ-
ლოყებიანი, ცოტა მოშორებით კი ფორტუნა. ახლა უფრო
დაკვირვებით ათვალთვლებდა იკაროსს. „იკაროს, იკაროს!“
გაიმეორა ორჯერ, მერე თავი დახარა და მინას ჩააშტერდა,
თითქოს მას ეუბნებო: „ მეფის შთამომავალი ხარ და მისი
სისხლი გიდულს ძარღვებში, სწორედ მე უნდა შემხვედროდი,
ისეთ ვარსკვლავზე დაიბადე“... მისანი ხარო? მოჩვენებითი
უდარდელობით გაულიმა „იკაროსმა“ ასე ახალგაზრდამ რო-
დის ისწავლე მისნობა, განა ყველა მისანი ამ ქვეყანაზე მარ-
თალს ამბობს? ხომ არ თვალთმაქცობსო ზოგიერთი. ახლა
ფორტუნას გაელიმა „ თქვენო აღმატებულებავ, მომეცით
ხელის გული“... „იკაროსს“ ისევ გაელიმა არ მჯერაო მისნე-
ბისა. ფორტუნამ თხოვნა გაუმეორა და თან დააყოლა, არ ვი-
ცი მისანი ვარ თუ ვინა, მაგრამ იდუმალი ხმა მკარნახობს,
რომ რამდენიმე წინადადება უნდა გითხრა და აუცილებელად
უნდა მომისმინო. ცისიერი ხუთქიმიანი ვარსკვლავი და, მი-
ნიერი ვარსკვლავი მოგელისო...

ფორტუნამ ნუთით იყურა, უფლისწულს გაელიმა და
მოსაუბრეს ბავშვივით გულუბრყვილო უნოდა. ნავიდეთო,
ჩაჰკიდა ხელი და ქარივით ჩაატარა ქუჩებში. მიაფრიალებ-
და, ფოთოლივით მსუბუქად მიფარფატებდა თვითონაც...
ფორტუნა — მისანი... იქნებ მიუხვდა, უბრალოდ, ინსტინ-
ქტურად შეიცნო, რომ უფლისწულს შეხვდა, კაცს, რომელიც
ხვალ მეფე უნდა გამხდარიყო, როგორ ვერ მიხვდებოდა,
დახვეწილი ლამაზი მეტყველება, მოვლილი, ნაზი თითები,
უკიდურესობამდე შესამჩნევი თავშეკავებულობა, უბრალო-
ებაცა და სიამაყეც, სადღაც, თვალების სიღრმეში, რომ შეიძ-
ლება ამოიკითხო, მხოლოდ უფლისწულს შეიძლებაოდა ჰქო-
ნოდა.

ფორტუნა უმასპინძლებოდა ხალხმრავალ მხიარულ,
ათასნაირი ხალხით აჭრელებულ საზოგადოებაში და
უხაროდა, რომ ცარიელი ჯიბის ამარა გამოსულიყო სასახ-
ლიდან მისი თანმხლები და გამასპინძლების შესაძლებლობა
ჰქონდა.

უფლისწულზე მუდამ სხვები ზრუნავდნენ, თვითონ
არასდროს ჰქონია შესაძლებლობა მზრუნველობა გამოეჩი-

ნა, მშობლიური გრძნობები გამოემჟღავნებინა ვინმესთვის, ფორტუნა სულ არ ჰგავდა იმ ამაყ, არისტოკრატ ქალს, რომელიც მომავალი დედოფალი უნდა გამხდარიყო. ეს თავისუფალი იყო, მხიარული, იქნებ, სევდაც არ იყო მისთვის უცხო, მაგრამ არ ავლენდა. ნიავი მსუბუქად უფრიალებდა თმებს, სწორედ მაშინ აღმოჩნდა მათ გვერდით მოულოდნელად ბოშათა უხუცესი, როცა მსუბუქად, ნაზად გადაუნია თმები ქალს. სიბრაზისაგან ანთებული თვალები მიაპყრო იკაროსს ბოშამ, მერე ალელვებულმა დანა იშიშვლა, გაოგნებულ კაცს ხელი ჩაავლო და კბილებში გამოსცრა, აკი გითხარით წელან, ჩვენ ჩვენი კანონები გვაქვს და არავის ვემორჩილებითო...

უფლისწულიაო, შეჰკივლა ფორტუნამ, ხელს ნუ ახლებთო... ხალხი თვალებად იქცა, თითქოს კედლებმაც ყური გამოისხეს, ქვამ ქვას, ფილაქანმა ფილაქანს, ხემ ხეს გადასცა, უფლისწული ბოშა ქალთან ერთად სეირნობსო. უფლისწული ბოშა ქალთან ერთად? თითქმის ერთდროულად გაიმეორეს მეფის მსახურებმა, რომლებიც საიდან გაჩნდნენ ასე ჩქარა, ვერც კი გამორკვეულიყო „იკაროსი“, ახლა ბოშათა უხუცესს კი არ ჰქონდა ხელი ჩავლებული, მსახურებს ეჭირათ იგი და სამეფო კარეტისაკენ მიაფრიალებდნენ, სწორედ ისე, როგორც წელან ფორტუნა მიაფრიალებდა ქუჩაზე. შეურაცხმყოფელსა და საკვირველს უწოდებდა „იკაროსის“ მამა-მეფე, შვილის ამგვარ საქციელს და ნერვიულად აწვავდა და სკიპტრას. ცხოვრებას უნდა ვიცნობდეთ? ხალხის გაცნობა მინდოდაო? განა მეფენი არ იცნობენ ცხოვრებას, ხალხს, განა... ჰო, განა მეფე იმისთვის არ ფლობს სამეფო ტახტს, რომ სწორედ იმ ხალხს უხელმძღვანელოს... ბოშა ქალი... „მდაბიური წარმოშობის ქალზე, თუნდაც დროებით, როგორ შეიძლება გაცვალო არისტოკრატული ბუნების, კეთილშობილი, მაღალი წრის წარმომადგენელი, განსწავლული ქალი? საკუთარი რჩეული უნდა? მომავალმა მეფემ ხომ უნდა გაითვალისწინოს, რომ სამეფო ტახტის მფლობელმა სახელმწიფოებრივი და მატერიალური ინტერესებიც უნდა გაითვალისწინოს, როცა ქორწინდება. თავისუფლება მინდაო? საკვირველია, რომელი მეფე ჩაუსვამთ საკანში და შებოჭილი რომელი ყოფილა, აი, ხვალ, სკიპტრას მისცემენ ხელში და დაინახავს, შეუზღუდველი უფლებისაა ყოველი მეფე, ნუთუ შებოჭვა ჰქვია გარკვეულ კანონებსა და კანონზომიერებებს,

რომელსაც ყოველი ტახტის მფლობელი უნდა იცავდეს? მაშ, განა ისაა მიმზიდველი, მშვიერი და არაფრისმქონე ბოშა ქალი როდის გაგიმასპინძლებს იმას შესცქეროდე თუნდაც, იყოს დროებითი ეგ გამასპინძლება, თვითონაც თითქმის არაფრისმქონესი, მერე?...

სასახლე ჩურჩულებდა, ფუსფუსებდა, საქმიანობდა, მზე დინჯად, ლამაზად მედიდურად ჩადიოდა, ღამე შავ სამოსს იხურავდა.

მერე... ისევ ამოდიოდა ცხრათვალა და ყველას, განურჩევლად ყველას, ცოდვიანსაც და უცოდველსაც, კეთილსაც და ბოროტსაც, თანაბრად, უხვად ასაჩუქრებდა ოქროსფერი ბრჭყვიალა ძაფებით, უფლისწული რომ მოკრძალებით გამოაღვიძეს, უკვე ამ ძაფებით იყო შებოჭილი, დილა მშვიდობისა უსურვეს. მზემ დაასწრო ქვეყნიერების დათვალიერება მომავალ მეფეს... საიდან... როგორ და როდის მოასწრეს ასე ლამაზად მოემზადებინათ მეფედ კურთხევის ცერემონიალი ეგ „იკაროსმა“ არ იცოდა, მაგრამ უგუნებობა ეტყობოდა, გვერდით მოძღვარი არ ჰყავდა, ცოტა ხანში ისიც მოიყვანეს, არც ის ჩანდა თავისუფალი, არა როგორც პიროვნება, არამედ როგორც მასწავლებელი, ალბათ, როგორ ესწავლებინა და რა ესწავლებინა, ამაშიც სხვის უფლებებს ემორჩილებოდა. ურჩი და უტეხი ხასიათის ადამიანებისათვის მეფეს ცალკე ჰქონდა ადგილი, უფლისწულისთვის უცნობი. სულ რამდენიმე დღეა, რაც ეგ ადგილიც ნახა.

საოცრად ლამაზად დაინყო მეფედ კურთხევის ცერემონიალი. წინასწარ, საგანგებოდ მოენვიათ ცხენოსნებიც, მუსიკოსებიც, მასხარებიც, მოცეკვავეებიც. როცა თავი ასწია, შორიდან, ხალხში მდგარ ფორტუნას მოჰკრა თვალი, ისე იღიმებოდა, როგორც წინათ, ვერხვის ძირში მთვლემარე უფლისწულს რომ დაჰყურებდა. ცერემონიალის მომწყობთა განსაცვიფრებლად იცეკვა, იმღერა, იმხიარულა, ვინ მოიყვანა, ვინ გაითვალისწინა, რომ ისიც აქ ყოფილიყო? თვითონ მოვიდა, მარტო, ბოშათა ცისკენ მიმავალი ზღაპრული კარეტის გარეშე, გაერია ბრბოში და თავისებურად, მშვიდი მხერით მიულოცა უფლისწულს მეფობა, მერე მისკენ გამოემართა და რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით მუხლებზე დაემკა... დაიძრა „იკაროსი“ მისკენ, აღშფოთებამ გადაუარა სახეზე ყველას. „იკაროსი“ თითქოს ორ სამყაროს შუა იდგა. უხენა-

ესთა სამყაროს კიბეებიდან ჩადიოდა ნელ-ნელა... მიუახლოვდა, წამოაყენა, ერთი წამით იყურა, მის წინ უსიტყვოდ დადგა, ირგვლივ სიჩუმემ დაისადგურა... მერე ისევ უკან გამოემართა თავისი წინანდელი ადგილისაკენ, თითქოს არაფერი მომხდარიყო, ან რა მოხდა. როგორ თუ რაო, მღელვარებას ვერ მალავდნენ გულში დამსწრენი, ბოშა ქალს არ აკადრა მის წინ მუხლებზე დაჩოქილიყო. სანყალი მომავალი მეფე რალაც ვერ არის კარგადო, ამას გულში ფიქრობდნენ, თორემ ხმამალლა თქმას ვინ გაბედავდა. ცოტა ხანში მოახლეებსაც, სურვილისამებრ, მისცა დასვენების დრო. დაითხოვა მამის მრჩეველი და სხვა პიროვნებებით შესცვალა. სრული თავისუფლება მიანიჭა მოძღვარს, როგორც უნდოდა ისე მოქცეულიყო, თუ სურვილი ჰქონდა, დარჩენილიყო სასახლეში, ან წასულიყო. მოძღვარი წავიდა.

არც მნიგნობართა შემოკრება და უვიცთა დათხოვნა დავინყნია „იკაროსს“.

ერთ მშვენიერ დღეს კი განუცხადეს, დროა დაქორწინდეს მეფე, ქვეყანას დედოფალიც უნდა მართავდესო. წარმოუდგინეს ნაზი, ფაქიზი, კაფანდარა განსწავლული ქალი, რომელიც ადრეც საგანგებოდ აჩვენეს... ჰკითხა, ვთქვათ, მოახლე ქალი გახდა ავად, როგორ უნდა მოიქცეო, მანაც მიუგო, დაუყონებლივ სხვა მოახლით შევცვლიო. ვთქვათ, მზარეული გაგვიხდა ცუდად... სხვა მზარეულს მოვიყვანთო, თვითონ ნუთუ არ შეგიძლია საოჯახო საქმეებს წარუძღვეო. შეურაცხყოფილი ქალი აღშფოთებას ვერ მალავდა. დედოფალი და საოჯახო საქმეები? როგორ ეკადრება, რომელ დედოფალს არ ჰქონია უბრწყინვალესი სამოსი და არ ჰყოლია საკუთარი უბრწყინვალესი ამაღა, ამ სანიმუშოდ მოვლილ თითებს ეკადრებათ განა ზედმეტი შრომა?

— თქვენ მომავალი დედოფალი ბრძანდებით, გიხარიათ?

— რასაკვირველია...

— ალბათ, ხვდებით, რომ ჩვენი ქორწინება ანგარიშიანობაზეა დამყარებული და არა სიყვარულზე.

— სიყვარული?...

— დიახ, სიყვარული... საკმაოდ განსწავლული, ნაკითხი ბრძანდებით, ბიზანტიელი პოეტის ჰერმონიაკის სიტყვებს ნაიკითხავდით:

სიყვარული — ყოვლისშემძლე
სულს ღუპავს და ისაკუთრებს,
ბოჭავს დიდსა და პატარას,
მბრძანებელს თუ ქვეშევრდომებს;
მეფეთ მეფეს იმორჩილებს
და იმონებს ტირანივით...

— თქვენ ბერძენი ჰიმნოგრაფის სიტყვებიც უეჭველად გეცოდინებათ:

„უზენაესი ბედნიერება მეფეთა ხვედრია, მაგრამ ნუ ისწრაფვი მეტი ბედნიერებისაკენ, დაე, მწვერვალზე იმყოფებოდე“... — მიუგო ქალმა

— თქვენ თვლით, რომ მეფისათვის სიყვარული „მეტი“ ბედნიერებაა?

— თქვენთვის ღმერთმა ყოველივე საუკეთესო გამოიმეტა, თქვენ კი უფრო მეტს ეძებთ...

— თქვენ ასე გგონიათ? სამწუხაროა, ხალხზე როგორი აზრისა ბრძანდებით?..

— ბრბოა იგი... მკაცრი ხელმძღვანელი სჭირდება.

— მე სხვაგვარად ვფიქრობ... ყველას როდი სჭირდება სიმკაცრე... ჩემი მიზანია ხალხის ხედვით შევხედო ცხოვრებას, ღირსეულ ადამიანებს თანადგომა სჭირდებათ, უღირსთ ცხოვრება თავისივე კანონებით ასწავლის გზას.

— ასე მხოლოდ ყმანვილნი ოცნებობენ...

— მომავალ ტახტის მემკვიდრეს ვისი შეხედულებით უფრო აღზრდით, მეფისა თუ დედოფლის?..

— მოგეხსენებათ, დედა ყველაზე ახლოა შვილის სულთან ამიტომაც, ალბათ, უფრო ჩემი

— როგორ ფიქრობთ დაქორწინების შემდეგ ჩვენს შორის თანხმობა და ურთიერთგაგება დამყარდება?

— კი... თუ ვერა, მაშინ... ამისთვისაც არსებობენ სამეფო კანონები, რომელთაც თქვენ, როგორც მეფე, ვერ დაარღვევთ.

— ესე იგი, ურთიერთგაგება პიროვნებებს შორის, შეიძლება ხელოვნურადაც არსებობდეს?

— ასე გამოდის.

მოსაუბრეთა შორის სიცივე ჩამონვა, თითქოს უზარმაზარმა ყინულის ლოდმა გასცურა, ზღვას რომ ფარავდა, აი, ზღვაც გამოჩნდა, ფსკერზე ვინ იცის იგი რა საიდუმლოე-

ბებს ინახავდა. მეფესთან საუბრით საოცრად განაწყენებული ქალი მდიდრული კაბის შრიალით ტოვებდა დარბაზს, მაგრამ დედოფლობა მაინც არ ეთმობოდა, მერე რა, რომ პატარა ბავშვივით დაჰკითხა კაცმა, ზოგჯერ ირონიითაც გადმოხედა, მერე რა, რომ შინაგანად აღელვებულს ჰგავდა, თითქოს ზედაც არ უყურებდა ქალს, მიანიშნა კიდევაც, დიდი სიმპათიით არა ვარო შენდამი განწყობილი. დედოფლობაზე უარი განაცხადოს? წარმოუდგენელია, ეს ეწინააღმდეგება კიდევაც სამეფო კარისა და ქვეყნის ინტერესებს რალაც მოსაზრების გამო, მაშ, როგორ მოიქცეს? ურთიერთგაგებაზე საუბარი, ალბათ, ზედმეტი იქნება, არადა, დედოფლობა როგორი მიმზიდველია... და გახდა იგი დედოფალი... უფლისწულს გარკვევით უთხრა ადრე მოძღვარმა, არა ხარო თავისუფალი საკუთარი სურვილების გამოხატვისას, რადგან... დამოკიდებულებათა უზარმაზარი სისტემა არსებობს შენ ირგვლივ ჰოდა, საცოლევ თვითონ არ შეუჩრჩევია, უბრალოდ, შეუჩრჩიეს.

ფორტუნა დაეკარგა თვალთახედვიდან, არსად ჩანდა, ალბათ, დაადგა ისევ გზას, მომქანცველსა და საინტერესოს, სხვაგან, სხვა კუთხეში დაფარფატიებდა თავისუფალი...

სასახლე კი... თითქოს სამ ძირითად სამყაროდ დაიყო, ერთს, განუმეორებელს, თვით მეფე წარმოადგენდა, მეორეს, მისგან სულიერად დაშორებულს — დედოფალი, მესამეს — მშობლები, სამივე სამყაროს ჰქონდა ფესვები. იკლანკებოდნენ, ღრმად ძვრებოდნენ მიწის ხვეულებში და არვინ იცოდა ასე დაფარულნი როდის ამოხეთქავდნენ მიწის ზედაპირზე, კიდევ კარგი, რომ ყოველ ფესვს არ ძალუმს ამ ქვეყნად ერთდროულად, ერთგვარი სიმძლავრით შეარყიოს მიწის ზედაპირი და ამოხეთქოს, თორემ, აუცილებლად, დიდი ნაპრალი გაჩნდებოდა, რომელშიც მხოლოდ ბრმები ჩაცვივდებოდნენ და ყრუნი. ნიავი დააქილიკებდა აქეთ-იქით გრძელკუდა ქორებს, გამოგონილსა თუ ნამდვილ ამბებს, სამეფო ბაღის სანიმუშოდ მოვლილი ვარდები კი საოცარ სილამაზეს ჰფენდნენ გარედან სასახლეს, სასახლიდან კი ლიკლიკა ბილიკებს, ფართო შარაგზებს, ხალხის კარ-მიდამოებს ედებოდა მათი სასიამოვნო ფერი. უსიყვარულოდ, ცივად, მეფის არსებაში შემოჭრილ ქალს, კიდევ უფრო მეტი სიცივე შეჰქონდა ურთიერთობებში. ყოფილი მეფე, იკაროსის მამა, ერთხანს

დიდი მონდომებით ცდილობდა რალაც შეეცვალა შვილის საქმიანობაში, ფრთები გაემაგრებინა მისთვის, მზესთან ასაფრენი ფრთები. იცვლებოდა კიდევაც ახალგაზრდა მეფე, მაგრამ უცნაურად, უჩვეულოდ. მისი ბევრს არაფერი ესმოდა. ძველ ტრადიციებსა და მეფიდან მეფეზე გადმოცემულ ჩვეულებებს ვერ ღალატობდნენ. ვერც დედოფლისა და ვერც „იკაროსის“ დედ-მამის თანამზრახველნი. იტანჯებოდა „იკაროსი“ ამის გამო. საოცარი სევდა იპყრობდა. შემხვედრთა თვალებში უფრო გაოცებას ხედავდა, ვიდრე მოკრძალებას.

სისინებდნენ ავი ენები, რას არ ამბობდნენ, საკუთარ ოჯახში კედლებიც კი უკვე ფარულად უჯანყდებოდნენ. უფრო თავის თავთან რჩებოდა მარტო, მისმა, განმარტოებამ ყოფილი მეფეც დაასევდიანა, უკვირდა „იკაროსს“, ახალი იდეა, ახალი აზრი და წინადადება, რომელსაც წარმოთქვამდა, თითქოს მისაღებიც იყო და განსახორციელებლადაც შესაძლებელი, მაგრამ ფრთებს ვერ შლიდა. სასახლეში ბოროტი ანგელოზები დაბუდებულ იყვნენ. კარგა ხანი იყო, უკვე არც ფუძის ანგელოზს უნებდნენ სანთელს არ ეხვეწებოდნენ, არ ლოცულობდნენ და არ ავედრებდნენ მშვიდობა დაემყარებინა მეფის ოჯახში, რადგან კეთილ ანგელოზს დიდი ხანი იყო, რაც დაეტოვებინა აქაურობა, ბოროტთა სიმრავლის გამო, ძნელია, ერთი გაუმკლავდეს ასს, სრულიად მარტო, ან, იქნებ, სულაც არ იყო კეთილი ანგელოზი დაკარგული უმისამართოდ, იქნებ მოძღვარს იყო ადევნებული ან ფორტუნას, ვინ იცის. დედოფალს უფრო უჭერდნენ მხარს, სასახლისეულნი, მის გარშემო ხშირად მოქუჩდებოდნენ, მშვენივრად ხედავდნენ, რომ უზარმაზარი კედელი აღმართულიყო ცოლქმარს შორის და იმასაც მიაღწიეს, კედლის სიმაღლე კიდეც უფრო მომატებულიყო, რომ გადასახედი მეორე მხარისკენ არც ერთს არ ჰქონოდა. „იკაროსს“ სულ მალე პირმშო უნდა მოვლენოდა, ოღონდ კედლის რომელ მხარეს აღმოჩნდებოდა იგი, ვინ შეავლებდა პირველად ხელს და ვინ ასწავლიდა პირველ სიტყვას, საქმეც ეგ იყო.

როგორ არ ეცადა, რა გზებს არ მიმართა მეფე — „იკაროსმა“ ყინულის გასაღლობად ეჭვიან, გულგრილ და მითქმა-მოთქმის მოყვარულ ადამიანთა გარდასაქმნელად, მაგრამ ამაოდ, სასახლეში ინფორმაცია ნებისმიერ თემაზე ზოგ-

ჯერ ან გაზვიადებულად ან სახეშეცვლილად შემოდიოდა. ერთმანეთს ექიშპებოდნენ ფარისეველნი და მლიქვნელნი. ერთგულებას უმტკიცებდნენ თითქოს მეფეს, არც დედოფალი ავინყდებოდათ და არც მეფის მშობლები, ყველგან აღწევდა მათი ჭკვიანი და მოხერხებული, გაქნილი ფანდები, პირველად თავისებურად სჯეროდათ მათი, მერე „იკაროსს“ ეჭვი ეპარებოდა, ფაქტებს ამონმებდა და უკვირდა, საიდან შეიძლებოდა ადამიანებში ამდენი მანკიერი მხარე ყოფილიყო ერთად. აღზრდაში დაშვებულ შეცდომებად მიაჩნდა ყოველივე და თანდათან რწმუნდებოდა, რომ აღმზრდელნიც კი, ვისაც სხვების აღზრდა დააკისრეს, თვითონაც არ იყვნენ სრულყოფილნი, რგოლი რგოლს ემატებოდა და უკვე მის თვალწინ საკმაოდ დიდი ჯაჭვი იქმნებოდა პრობლემებისა, რომელთა გადაჭრა არა თუ ერთ მეფეს, მთელ კაცობრიობასაც კი გაუჭირდებოდა. სასახლეში არსებულ პრობლემებს ხალხის გასაჭირიც და სიხარულიც ემატებოდა, საქმეებისა და გადასაჭრელი საკითხების წყება, ზოგჯერ ერთბაშად მოიყრიდა თავს და, რასაკვირველია, ქვეშევრდომთა თანადგომა სჭირდებოდა მეფეს. ისინიც გაღიმებული სახეებითა და მოჩვენებითი მონდომებით ფაციფუცობდნენ, გულში კი, ვინ იცის, მერამდენედ, ნიშნისმოგებით გაიფიქრებდნენ ხოლმე: მეფეა და თვითონ მოაგვაროს ეგ პრობლემები, აბა, რა ეგონა, ამხელა ქვეყნის სამეფო ტახტს რომ ჩაებლაუჭა, ყოვლისშემძლედაც უნდა გადაიქცესო. თითოეულს ეგონა, რომ თვითონაც შესანიშნავად შეიძლება მეფობას და იკაროსზე უარესად კი არა, უფრო კარგადაც. გასაკეთებელი საქმის ნახევარს მაინც მოაკვარახჭინებდნენ, რათა არავის ეთქვა არაფერს აკეთებენო. უხარისხოდ და ბაქიობით გაკეთებულ საქმეს რომელი სამეფო გაუმდიდრებია, რომ „იკაროსის“ სამეფო გაემდიდრებინა. იყვნენ მატყუარებიც, რომლებიც მეფის სახელით სარგებლობდნენ და საკმაოდ თვალშისაცემ წარმატებებსაც აღწევდნენ, „მეფემ ბრძანა“, „მეფემ შემოთვალა“, „იკაროსს“ ასე სურდა, გაისმოდა მათგან ისეთ საქმეებზედაც კი, რომელიც მეფის პატივისმოყვარე და თან კეთილ ბუნებას არ შეეფერებოდა, მაინც მისი ავტორიტეტის შელახვისკენ იყო ყოველივე მიმართული და მიზანსაც აღწევდნენ.

ვარსკვლავებს უნდა შესწავდნოდა შიშველი ხელითა და მხურვალე გულით, ან მზეს, ან მარტოობას უნდა შესჩვეოდა მეფე, რადგან არ ეგულებოდა თავის ირგვლივ ადამიანი, რომელიც ბოლომდე გაუგებდა. მარტოობა მაჯლაჯუნასავით ანვა გულზე და სიტყვის წარმოთქმის საშუალებას არ აძლევდა. დაებრუნებინა მოძღვარი სასახლეში? ეს ხომ მისთვის მინიჭებული — თავისუფლების წართმევა იქნებოდა. გაეგო მეუღლის, დედოფლის მისწრაფებებისათვის? არავითარ შემთხვევაში, ეგ არ შეეძლო, თავის ჭკუაზე უნდა მოექცია? ეგ ხომ შეუძლებელიც კი იყო. აღზრდილი ადამიანის გარდაქმნა ხომ რთულზე ურთულეს საქმეს წარმოადგენს. მამასთან, ყოფილ მეფესთანაც, რა საერთო უნდა ჰქონოდა, გარდა მშობლიური გრძნობისა. მის სამსახურეობრივ გამოცდილებებს დაყრდნობოდა? არც ეგ შეეძლო, სულ სხვა იყო ყოფილი მეფე. დედა კი დუმილს არჩევდა მუდამ, ან რა უნდა ეთქვა გულში ჩამწვდომი ქალს, რომელსაც თვითონ, თავისი ხელებით და თავისივე უფაქიზესი დედობრივი გრძნობებით არ აღუზრდია შვილი. ძიძებსა და მოძღვარს, რომ ჩაუგდო იკაროსი აღსაზრდელად, ერთმანეთს სტუმარმასპინძელივით ხვდებოდნენ დედა-შვილი: „ როგორ ბრძანდებით, დედავ ბატონო“, „თქვენი კურთხევით, ჩემო მეფეო, როგორ მიდის სახელმწიფოებრივი საქმეები, დახმარება ხომ არ გჭირდებათ“... ეგ იყო და ეგ, დედა-შვილს სასაუბრო უცებ შემოეღეოდა ხოლმე და ისხდნენ უბრადა, იმდენად შემზღვეველი და შემბოჭავი იყო ამგვარი ურთიერთობა, რომ „იკაროსი“ მასთან შეხვედრას თავს არიდებდა.

ხალხი კრძალვით შეჰყურებდა სამეფო კოშკს, ხედავდნენ, რომ ახალი მეფე ღმობიერიც იყო, კეთილიც და იქმნებოდა რიგი სასახლემდე, მათხოვართა, დაავადებულთა, დაჩაგრულთა, გაჭირვებულთა და დაღვინებულთა. დაღვინებულნი ნაკლებად იყვნენ... ვერ მალავდა ამის გამო აღშფოთებას „იკაროსის“ მამა, დიდი ნაპრალი ჩნდებოდა მამაშვილს შორის, ვერ თმობდა ყოფილი მეფე დაგროვილ სიმდიდრეს, მართალია, უკვე მეფე აღარ იყო, მაგრამ თავისი ბატონობის პერიოდში მოხვეჭილ განძეულობაზე უფროსობდა, ძალაუფლება, სამეფო ტახტი და სკიპტრა უშურველად გადასცა „იკაროსს“, მაგრამ ეტყობოდა, რომ ყველაფერი ბოლომდე ვერ ეთმობოდა. ხალხს უკვირდა, ფიქრობდნენ „იკა-

როსი” ძუნწობს, მხოლოდ სიტყვიერი დაპირებები იცის, საქმით კი ვერაფერი განუხორციელებიაო.

— უფლებებს კარგა ხანია გადააჭარბე და სურვილისამებრ ცვლიო ყოველივე ძველს — საყვედურობდა იკაროსს მამა

— ასედაც უნდა, მამავ ბატონო, დრო იცვლება, მეფეც იცვლება კანონებთან და უფლებებთან ერთად, სწორედ უნდა შეცვლილიყო ყველაფერი. ძველი ყოველთვის არააო მისაღები და მოსაწონი

— რაო, გასამართლებას ხომ არ მიპირებ, ძველი დროის გამო, უმადურო, მე უშურველად გადაგეცი ყოველივე ჩემს ხელში არსებული

— უკვე აღარ შეგწევდა ძალა მმართველობისა და კარგია, რომ დროზე მიხვდი, მაგრამ... არასდროს თქვენს სამეფო ტახტზე არ მიოცნებია, მამავ ბატონო!..

— მაშ.. მაშ რა გინდოდა, ღმერთების სავანე არ ვიცი სადაა, თორემ იქაც მიგიყვანდი, იმათ სამეფოში...

— ღმერთების სავანეში არ მიგიშვებდნენ ათასჯერ ჩადენილი ცოდვების გამო, არც თქვენ, არც ამ თქვენს ეგრეთწოდებულ დიდებულებს.

— მაშ... მარტო შენ ყოფილხარ უცოდველი ამ ქვეყანაზე... ცოდვად მშობლებთან დაპირისპირება განა არ ჩაგეთვლება, უმადურო, სატანამ აღგზარდა, ალბათ...

— აღმზრდელმა სატანას წაართვა ჩემი თავი კიდევ კარგი, რომ თქვენი დაუნერელი კანონების მიხედვით ძიძები და მოძღვარი მზრდიდნენ

— მე მათ ჩამოვახრჩობ, ჯერ კიდევე შემწევს ძალა მკლავებში ყველა უგნურს ბოლო მოვუღო...

— პირველად თქვენ უნდა ჩამოიხრჩოთ, ალბათ, თავი, თქვენს ფესვებზე ვარ აღმოცენებული

— ო, ღმერთო...

უკიდურესი ბოღმა და მნუხარება ხელის გულებში მოიწყვდია მოხუცმა და შესტირა, მერე ცრემლებმა გამოყოფნეს თითებიდან და პირქვე დაემხო თითქოს ლოცულობსო. ახალგაზრდა დედოფალი ყოფილ დედოფალთან ერთად ცრემლებს ინმენდდა, დიდებულნი გაქვავებულნი შესცქეროდნენ დარბაზიდან ჩქარი ნაბიჯებით მიმავალ მეფეს.

უფულოდ არ გასულა სასახლიდან იკაროსი, გაახსენდა ნინანდელი გასვლა ქუჩაში და ფორტუნას სიხარულით გაბრწყინებული თვალები იმის გამო, რომ შეეძლო უფლისწულს გამასპინძლებოდა. გასვლისას შეშინებულ მოახლეს ჩაავლო ხელი და დაუბარა... ჩემი ნასვლის შემდეგ იტყვი, რომ უმეფოდ ქვეყნის დატოვება არ შეიძლება, ხელმძღვანელი სჭირდება, მე მივდივარ, იქნებ, სამუდამოდაც კი... და მალე თვალს მიეფარა.

საგულდაგულოდ გაფრთხილებული დიდებულები კრინტს ვერ ძრავდნენ მეფის ნასვლაზე, ქვეყანას დედოფალი, იკაროსის ცოლი მართავდა, არავინ იცოდა, დროებით თუ სამუდამოდ, თუ მანამ, სანამ პირმშო მოევლინებოდა ქვეყნიერებას და სამეფო ასაკისა გახდებოდა.

აი, ისევ თავისუფალია იკაროსი, არავითარი კანონები, არავითარი შეზღუდვები, შორია გზები უკვე ყვეყნ დიდებულებამდე, ისევ ძველებურად ხვდებიან ნაცნობი ქუჩები და ქალაქგარე გარეუბნები, მხოლოდ ეგაა, რომ ვერავინ ხვდება, რომ მეფე დააბიჯებს, თავის მეფურ მოვალეობებს გამოქცეული, ძველებურად მიდი-მოდინ ღრუბლები, თეთრქულებიც და რუხებიც, ჯიხვისა და სამი მთვარის, დათვისა და მთების, ტახის. ფრინველთა, ირემთა და ლომთა, ნაცრისფერ-მომწვანო და შინდისფერ ცისარტყელათა გამოსახულებები. ცას უპყრია ისინი თავისი ყოვლისშემძლე ხელებით, შეუშვას ხელი და ნახავთ ისინი როგორ მოეფინებიან ირგვლივ ქვეყნიერებას, ფორტუნასავით თავისუფალნი, რომელსაც როგორც უნდა, ისე ცხოვრობს და სადაც არა სჯობს, გაცლას რომ ამჯობინებს. ჰოი, საოცრებავ, აი ფორტუნაც, თეთრ რაშს მოაგელვებს, ნიაფი უფრიალებს შოლტივით მოქნეულ თმებს. უღიმის იკაროსი, ცხენები ისევ სხვისიაო? საპასუხოდ ეღიმება და თავდახრილი ესალმება მეფეს, ისევ თავისუფალი ხარო? ეკითხება. რასაკვირველია, ბოძებს, ხომ თავისუფლების ჩვენებური კანონები გაგვანიაო. თქვენ უფალი გაძლევთ თავისუფლებას, მე კი თვითონ ვპოულობ მას, ამიტომაც დავეხეტებიო, უთხრა იკაროსმა. ისევ გაელიმა ქალს, ისევ ძველებურად ჩასჭიდა ხელი და ნააფრიალა ქარის მიერ მოტაცებული ფოთოლივით. შენი ქვეყნის ყველაზე ლამაზ ადგილებს გაჩვენებო, ვერ დამითმია მათი მშვენება და ბოშათა ბანაკს ჩამოვცილდი. ერთ საიდუმლოსაც გაგიმ-

ხელ, რამდენჯერ იმ ადგილსაც მოვაკითხე, სადაც პირველად გიხილე, მაგრამ თანდათან დავრწმუნდი, რომ პირადი ცხოვრებით და სამართლებრივი მდგომარეობით უზრუნველყოფით მდაბიონი მაინც და მაინც რა ეპიტინავებათ. ახლაც, უკმაყოფილოსა და შინაგანად აღელვებულს ჰგავხარ, თორემ შეიძლება ბედს არც კი მოეცა უფლება ჩვენი შეხვედრისაო.

ფორტუნა იკაროსს არ დავინყნია, მაგრამ ამჯერად ხმავერ ამოიღო. წუთით ისევ გაახსენდა გარეგნულად, სხვის დასანახად ძალიან ლამაზი, მაგრამ შინაგანად, სულიერად ანეწილი ცხოვრება, მერე დედოფალი წარმოუდგა თვალწინ, ალბათ, უკვე მკაცრი მმართველი, მეუღლის დაკარგვით ოდნავ შეცბუნებული, მაგრამ საკუთარი მდგომარეობით სრულიად კმაყოფილი, მერე ფორტუნა წარმოიდგინა დედოფლად... ეს უკვე მეტისმეტი იყო, სასახლისეულთ ეგლა აკლდათ, ფორტუნა ეხილათ მეფის გვერდით, დედოფლად. დედოფლობა ისე არ იზიდავდა ფორტუნას, როგორც ტახტის მფლობელობა იკაროსს, თავიდან. თითქმის შემოატარა ფორტუნამ ველ-მინდვრები, ქუჩები, სანაპიროები პატარა ნავით გასცურდა კიდევაც მასთან ერთად აღელვებულ წყალზე. უკვე ფორტუნა იყო დედოფალი, მინდვრის ზღვის და ქუჩის და არა სამეფო ტახტის.

ფორტუნას თანმხლებ ბოშებს ერთხელაც არ გადაჰყრიან, საით ჰქონდათ გეზი აღებული არც ერთმა არ იცოდა. არც მეფის ნათესავეებს მოუკლავთ თავი იკაროსის ძებნით, დაბრუნდებაო ფიქრობდნენ, ასე ადვილად ასე ძნელად მისაღწევ და ნანატრ მეფობას როგორ დატოვებდაო, უცნაური კაცი.

დრო გადიოდა, ფორტუნას კი მოუსვენრობა იპყრობდა უკვე ბოშები გამოჩენილიყვნენ საიდანღაც და უნდა გამგზავრებულიყვნენ. მეფეს შესთავაზა მასთან ერთად წასულიყო, მაგრამ იკაროსი მომთაბარე ცხოვრებას ვერ შეეგუებოდა. ისევ ბედი დასცინოდა, ბედი იყო თუ ბედისწერა, ეს ნამდვილად არ იცოდა. გაიპარა ერთ დღეს ქალი. იკაროსმა იცოდა, რომ ბოშები ზღვით გადიოდნენ და ნავით კიდევაც დაენია, ერთიანად, დედაბუდიანად აყრილთ.

ბოშათა უხუცესი ყურებს არ უჯერებდა, იკაროსის სიტყვები აცვიფრებდა და თანდათან აბრაზებდა. როგორ,

იკაროსმა, მეფემ, შებღალა ბოშა ქალის პატიოსნება, ისარგებლა თავისი უპირატესობით და ქალის მდაბიო წარმოშობით, ბოშებს საკუთარი კანონები აქვთ, ხელშეუვალნი, ისინი არ ცნობენ მეფეს, დღეს ერთ ხელისუფალს მორჩილებდნენ ნახევრად, ხვალ მეორეს, ზეგ მესამეს... უნდა განიგმიროს, უნდა მოიკვეთოს ცხოვრებისაგან სხვისი მჩაგვრელი... დაჭრილი იკაროსი დაეცა, გარკვევით გაიგონა ფორტუნას შეკივლება, თვალთ დაუბნელდა, ირგვლივ სამყარო შეტრიალდა, მერე ფორტუნას ზმანება დაუდგა თვალნინ. თვალახვეული იდგა, ერთ ხელში პირმშო ეჭირა, მეორე უკან, ისევ სანაპიროსკენ გაეშვირა, თითქოს ანიშნებდა უნდა დავბრუნდეო, მერე უფრო დაბნელდა და ახლა დედოფალი დაუდგა თვალნინ. არავითარი ძიძა, თვითონ მზრუნველობდა ტახტის მემკვიდრეზე და სასახლეში თეთრთავა და ჭკვიანი იკაროსის მასწავლებელი მოჰყავდათ მის აღმზრდელად. შემდეგ თვითონ გადატრიალდა მეორე გვერდზე თუ გადაატრიალეს, არც მიმხვდარა... ზღვამ ჩაიკრა გულში იგი. ზედაპირზე თითქოს წყალი დუღდა, სადღაც, ფსკერზე კი, ზღვის ვარსკვლავი ინელებდა ცოცხალ თევზს.

ნუთუ?..

ჭადრის ფოთლები ფარფატით ცვიოდნენ და ქალაქის ქუჩას ყვითელ ხალიჩებად ეფინებოდნენ. მეეზოვე ვერ ასწრებდა შეგროვებას. მოიხედავდა უკან და ჰოი, საოცრებაჲ! ისევ იმდენივე ეყარა...

ქუჩის ბოლოში საცოდავად მოკუნტული მათხოვარი იჯდა, მეეზოვე ყოველივეს აღრენილი უყურებდა და, მასაც, რომ შეძლებოდა, ალბათ, ნაგავთან ერთად სადღაც ჩაფლავდა. თუ მიიხედავდა მისკენ, მხოლოდ ზიზლით, სხვა არავითარ ცნობისმოყვარეობას არ იჩენდა ამ ეულის მიმართ.

არც მათხოვარს აინტერესებდა მეეზოვის ზიზლნარევი თვალების შეხედვა. იჯდა თავისთვის ჩუმად, ფუსფუსით ჩავლილ ადამიანთა გულგრილობაზე ფიქრობდა. ერთხელაც, ათრთოლებულ ხელისგულზე დაიხედა, ამოიხვნეშა და...

— გთხოვთ! — მიანვდინა ხმა გამვლელს. გამვლელი შეჩერდა, შემობრუნდა მისკენ. მათხოვარი შეცბა. ძონძად-ქცეული პიჯაკის სწორება დაიწყო, თავდახრილმა.

ბრჭყვიალა მონეტამ გაიელვა მის თვალწინ.

— ო, არა! მაპატიეთ — ამოილულულა მან.

— აიღეთ... გაუკვირდა მწყალობელს.

— არა, გმადლობთ — ხმა აუცახცახდა.

ახლა გამვლელი შეცბა. გაიფიქრა, დავაგდებ ამ მონეტას და გზას გავუდგებიო, მაგრამ „არამ“ კიდევაც გააკვირვა და კიდევაც ცნობისმოყვარეობით მიაჯაჭვაო თითქოს ერთ ადგილს, ნაბიჯი ვერ გადადგა.

არ უნახავს მათხოვარი, რომელიც საჩუქარს უკან აბრუნებდა. ამას წინათ ვილაც ქალმა შეაჩერა, მისი წარმოდგენით სრული ჯანღონით სავსემ და ხურდა ფული ისე ურცხვად ჩაიყარა ჯიბეში, თითქოს ეკუთვნოდა. ეს კი...

— იქნებ..? — ენა დაება გამვლელს და კიდევ უფრო გაოცდა, როცა ცრემლის კურცხალი დაეცა ქვაფენილზე, მათხოვრის წინ.

— ავად ხომ არა ხართ — უმწეო მდგომარეობაში ჩავარდა გამვლელი.

— არა... უთვისტომო ვარ... უბედური... თქვენ ბედნიერი მიაბიჯებდით... ვერც კი წარმოგიდგენიათ, რომ...

გამვლელმა მხრები აიჩეჩა.

— რას იზამთ, წუთისოფელი ზოგს ისე ექცევა, ზოგს ასე, იქნებ წუთისოფელსაც ტყუილად ვდებთ ბრალს ჩვენს საცოდაობასა ან ბედნიერებაში... ვინ იცის... — და მოუთმენლად გახედა გზას.

— ერთი წუთით, მოითმინეთ, გთხოვთ — მუდარით შეხედა მათხოვარმა გამვლელს.

— ბავშვობაში მეგობრები გყავდათ?

— უცნაური შეკითხვაა, ვის არა ჰყავს მეგობრები, ან არ ჰყავდა ბავშვობაში.

— იცნობთ რომ ნახოთ ისინი?

— ალბათ, ვერა! დიდი ხანია არ გვინახავს ერთმანეთი — სიგარეტს მოუკიდა გამვლელმა — ყველა თავთავის გზას გაჰყვა.

— ბავშვობაში კი, ალბათ, ძალიან გიყვარდათ ერთმანეთი.

— ძალიან!

— მეც ბევრი მეგობარი მყავდა ბავშვობაში, ყველას დედ-მამა ჰყავდა, ჩემ გარდა.

— დედ-მამა არ გყავდა?

— არა... ადრე დავობლდი.

— მეცოდები... თანაგრძნობით შეხედა გამვლელმა — სკოლაში არ გივლია?

— კი. მერხზე რამდენიმე წელი მე და თემო ვისხედით ერთად...

გამვლელმა ჩაიმუხლა.

„უსაქმური“ — გაივლო გულში მეეზოვემ და ალმაცერად გამოხედა შორიდან.

— მერე... მერე...

— მერე თემო სხვა სკოლაში გადავიდა...

— სხვა სკოლაში გადავიდა? ნუთუ... ნუთუ ეს შენ ხარ! ღმერთო!!! უსაზღვროდ გაკვირვებულმა გამვლელმა ხელები ცისკენ აღაპყრო. იმ ხელებმა მერე მათხოვარი ქვაფენილიდან წამოაყენა ნელა, სათუთად...

მეეზოვემ მიატოვა საქმიანობა. მას უკვე აღარ ანუხებდა რამდენ ფოთოლს ჩამოყრიდა ჭადარი მის გასაბრაზებლად და რომ არა ქუჩის და ეზოების დასუფთავების მოვალეობა, ალბათ, ცნობისმოყვარეობით უსაზღვროდ შეპ-

ყრობილი, სიამოვნებით გაჰყვებოდა უკან ორ ადამიანს. ერთს ყველაზე ელეგანტურად, ხოლო მეორეს, ალბათ, ყველაზე უარესად ჩაცმულს ამ ქვეყანაზე, სადღაც მიდიოდნენ ნელი ნაბიჯებით. მათხოვარი იმ ქუჩაზე შემდეგ აღარ გამოჩენილა. რამდენიმე თვის შემდეგ, მეეზოვეს ვილაცამ შეკითხვით მიმართა, ხომ არ იცით, მათხოვარი სად გაქრა ყოველთვის ქუჩის ბოლოში რომ იჯდაო.

— რა ვიცი, რამდენი მათხოვარი დაეთრევა ამ ქვეყანაზე, საით იზამენ პირსა რაში მაინტერესებს, რა ვიცი მათი ასავალ — დასავალიო — მიუგო აღრენით, თავის აუნეველად.

— სამნუხაროა, რომ ერთმანეთის ბედზე ძალიან ცოტანი იჩენენ ინტერესს... თქვენ ხომ მას თითქმის ყოველდღე ხედავდით.

მეეზოვემ შეხედა მოსაუბრეს. კარგად დააკვირდა და მოულოდნელად თვალეზი საცრისტოლა გაუხდა გაკვირვებისაგან.

— ნუთუ ეს შენ ხარ... როგორ! დაეზნა ენა განცვიფრებულს, უნებურად თვალი იმ ადგილისაკენ გაექცა, სადაც ეს სასიამოვნოდ, სუფთად, კოხტად ჩაცმული ადამიანი იჯდა ერთ დროს ხელგანვდილი, რომ მოიხედა ის უკვე აღარ იდგა იქ.

მარია

ვის არ მიადგა კარზე თხოვნით, ვინ არ შეაწუხა, ბინას ხომ არ აქირავებთო, ყველამ უარით გამოისტუმრა. არადა რამდენიმე მდგმურს ეძებდა, აბა, როგორ მიიღებდნენ, როცა თითოეულს წინასწარ აცნობდა თავს: მარია მქვია, ერთი საცოდავი, ავადმყოფი ქალი ვარ, სახელის, გვარისა და ამ ძველი ბარგი-ბარხანის მეტი არაფერი გამაჩნიაო. მერე თვალებში შეაჩერებოდა სახლის პატრონს, რატომღაც ეგონა, ამ უმნიშვნელო ბიოგრაფიით თავს შეაცოდებდა, სიბრალულის გრძნობას გამოიწვევდა, ცრემლებს მოგვრიდა. არადა, მართლაც, საცოდავმა, მართალმა მარიამ რა იცოდა, რომ ამ გულახდილობით წინასწარ თვითონვე იხშობოდა იმ ოჯახში შესასვლელ კარებს, რომელთანაც ქაქანებდა. ვინ იცის, რამდენ ზღურბლთან გაისმა მისი აღსარება. მარია მქვია... ერთი საცოდავი, ავადმყოფი ქალი ვარო... აუბზუებდნენ ტუჩებს და ურცხვად, მოურიდებლად ეტყოდნენ: არა, გენაცვალე, ოთახს არ ვაქირავებთო.

თავისი ბარგი-ბარხანა, ქუჩის ბოლოში დააწყო, ხარახურები, მაგრამ მაინც აუცილებლად საჭირო ნივთები. თვითონ კარდაკარ დადიოდა. ზოგჯერ გული გადაუქანდებოდა ხოლმე, უპატრონოდ მიგდებული ძველმანების გახსენებაზე. იმ ქუჩაზე მცხოვრებნი და მრავალნი სხვანიც, სწორედ ისეთ საგნებს, რომლებიც მარიას ელაგა ქუჩაში, ყრიდნენ, სანაგვე მანქანას ატანდნენ სადღაც, ჰოდა, ვის რად უნდოდა, ხელს ვინ ახლებდა. როგორ არ გააჩნდა მარიას სახელისა და გვარის მეტი არაფერი. აქვე, ამ ქალაქში, ახლობელი, ნათესავი ცხოვრობდა. როცა დედ-მამა ცოცხალი ჰყავდა, ზოგჯერ ესტუმრებოდა ხოლმე მას. ძლივძლივობით, უხალისოდ მოდიოდა ნათესავი კარის გასაღებად. მერე უჟმურად, პირქუშად, ორიოდე სიტყვით, ჰკითხავდა რაღაც-რაღაცებს და იყვნენ მთელი დღე უბრად, აქეთ სტუმარი, იქით მასპინძელი. მარიას დედ-მამა რომ გამოესალმა წუთისოფელს, ცოტა ხანში სახლ-კარიც უბედურ შემთხვევას შეენირა, ნაცარტუტად ექცა. დარჩა უპატრონოდ და დიდ ქალაქს მიანდო თავი. „ჩვენთან, გენაცვალე, — უთხრა ნათესავმა ერთხელ, საუბრისას, — დღისით, მეზობლები, კარს უღებენ სტუმარს, ღამით კი მიბრძანდეს და სასტუმროში ათიოს ღამეო, ამბობენ.“ მარი-

ამ, ეს სიტყვები, მაშინ, ნათესავისაგან მეზობლების გაკილვად მიიღო და არა მისი მისამართით ნათქვამ, გადაკრულ სიტყვად და ისევ ესტუმრა ცოტა ხანში. ახლა კი თავისი დამოკიდებულება სტუმრის მიმართ უფრო აშკარა ფორმებში გამოავლინა მასპინძელმა.

— მოვკვდი, მეტი აღარ შემძლია, ყველა ნათესავი ჩემს სახლში უნდა მოეხეტოს, ჭამა-სმა, რეცხვა, დაუთოება, დახვედრა ხომ უნდაო.

სულ რამდენიმე წუთში გამოესალმა, გავიდა მისი სახლიდან და რამდენიმე წლის განმავლობაში არც მისულა სტუმრად. თითქოს არც არასდროს ვყოლოდა ვინმე ნათესავთაგანი, ისე იქცეოდა. ცხოვრობდა დაქირავებულ ოთახებში, წარამარა იცვლიდა ბინას, რადგან ან დროულად ვერ იხდიდა ან სულ არ ჰქონდა ბინის ფული, ჰოდა, უფულო მდგმურს რა თავში იხლიდა ბინის პატრონი, რისთვის სჭირდებოდა, ატყდებოდა სკანდალი, ვაი-უშველებელი, და ნაწყენი მარია სულ ქუჩა-ქუჩა დაეხეტებოდა, თავისი ძველმანებით.

იმ დღესაც, ხეტიალი რომ მოსწყინდა და ბინაც რომ ვერ იშოვა, უკან გაემართა თავისი ძველმანებისაკენ, ცას ახედა, ხომ არ იწვიმებო. ქუჩაში უნდა გაეთია ღამე, რა ექნა, მალე შავ ნაბადს მოიხურავდა დღე და დაბნელდებოდა. მტანჯველი ფიქრებით შენუხებულს, უცებ არც შეუმჩნევია ძველმანებზე დახრილი ქალი. დადგა მის წინ და დააცქერდა უაზროდ. მხოლოდ მაშინ გამოერკვა, როცა ქალმა დაუცაცხანა რა გინდაო. „მე რა მინდა? მე?“ — აუნია ხმას და მისკენ გაემართა. ქალმა უკან დაიხია, მიჰყვა მარიაც და მთელი დღის განმავლობაში სიარულით შენუხებული აფორიაქებული ანგარიშმიუცემლად სწვდა კაბის სახელოში. გაკვირვებულმა ქალმა ხელი გამოჰგლიჯა, კაბის სახელო შემოეფხრინა, მარიამ იგრძნო, რომ ძალზე გაცვეთილი კაბა ეცვა ქალს და ისიც რომ შემოახია, შენუხდა: „მაპატიეთ, მაგრამ აი, ესენი — და თითით აჩვენა — ჩემია, მე დავტოვე აქ“ — ქალი სახელოს სწორებით მიუახლოვდა: „მე კიდევ უპატრონო მეგონა, ქუჩაში რად დაგიყრია?“

— ბინას ვეძებ, ალბათ, აქ მომიწევს ღამის გათევა... — ამოიხვნეშა.

— აქ? ქუჩაში? რატომ, არავინა გყავთ?

— ეჰ, — ამოიხვნეშა ისევ მარიამ — მარია მქვია, ერთი საცოდავი, ავადმყოფი ქალი ვარ... — და აქ შეწყვიტა უკვე დაზეპირებული წინადადება, მობეზრდა ერთი და იგივე, თავი ჩაქინდრა! ქალმა უცადა სანამ თავს ასწევდა, მერე მხარზე დაადო ხელი გაუბედავად.

— წამოდი ჩემთან...

მხოლოდ ახლა დააკვირდა ქალს. ის მარიაზე საცოდავი ჩანდა. ძველთაძველი, გაცვეთილი კაბა და ლანჩებმოქცეული ფეხსაცმელები ეცვა. ორმოც წლამდე ასაკისა იქნებოდა. გატანჯულ სახეზე ეტყობოდა, რომ არასდროს, თავის სიცოცხლეში, ერთი ბედნიერი დღეც არ ჰქონდა.

ადგა, მოიკიდა ზურგზე ბარგი, ქალიც ნაეშველა და გზას გაუდგინენ. ხმა არც ერთს არ ამოუღია, სანამ ერთ პატარა სახლს არ მიადგინენ. სახლი კი არა ქოხის მსგავსი ნაგებობა იყო. სტუმარი ღვთისაო, შეუძღვა მასპინძელი, მერე კარგა ხანს წრიალებდა, რაღაც აწუხებდა. ბოლოს ამოღერდა, რა გაჭამოო. მარიამ თავისი შეკრულა გახსნა და ძეხვის რამდენიმე ნაჭერი და ხილი ამოალაგა. ორივენი შეექცეოდნენ ჩუმად, მორიდებულად, უსიტყვოდაც ესმოდათ ერთმანეთისა და დუმდნენ. უბადრუკი მოეჩვენა მარიას აქაურობა და გული კიდევ უფრო შეეკუმშა. ძალზე დიდი ხნის განმავლობაში ვერ შეეჩვია, ვერც ქალს, ვერ ამ ფარღალალა ქოხის მსგავს პატარა სახლს. ქალიც ეული იყო, ისიც ავადმყოფი, მაგრამ მას, მარიასაგან განსხვავებით, ჰქონდა შავი დღისათვის გადანახული გროშები და საკმაოდაც, უკვირდა მარიას, რომ ქალს არ შემოხარჯვოდა ეს ფული და მოთმინებით რომ ინახავდა. მასპინძელმა მაშინვე გადაუშალა გული და შესთავაზა ეცხოვრა მასთან არა როგორც მდგმურს, არამედ როგორც თავისი ოჯახის წევრს. და ცხოვრობდნენ ერთად. რამდენიმე დღის შემდეგ ქალი ავად გახდა, ლოგინად ჩავარდა, ვინ მოუვლიდა, თუ არა მარია. ის ხომ უკვე მისი ოჯახის წევრად ითვლებოდა.

— საცოდავი მართა ავადაა... — ხელებს შლიდა უმწეოდ მეზობლების წინ, მაგრამ მისდა გასაკვირად, არც ერთს არ აწუხებდა ეს ამბავი და არც არავის შემოუხედავს ქოხში, რომ ავადმყოფისათვის ორად-ორი სიტყვა გამოემეტებინა, როგორა ხარო. მართასათვის ეს იყო საოცარი „კანონი“ დიდი ქალაქისა. თითქოს ყველა თავის ნაჭუჭში იყო ჩაკეტილი,

არც სხვას ახედებდა მასში და არც თვითონ იხედებოდა იქიდან. თუკი, სოფელში, ორი-სამი კილომეტრით ერთმანეთისაგან დაშორებული მოსახლეობა მეზობლებს ეძახდნენ ერთმანეთს, აქ მანძილი ასიათასჯერ შემცირებულიყო, კარის მეზობელიც კი იშვიათად გაიზიარებდა მეორის გასაჭირს. მართას უნახავს ერთმანეთის სატკივრით შეწუხებული მეზობლებიც, მაგრამ ქალაქის სხვა ქუჩაზე, სხვა კუთხეში. აქაურობას კი გულგრილობის სენი ისე მოსდებოდა და ისე დაავადმყოფებულიყო, რომ ქვეყნის ასიათასი მკურნალი ვერ უშველიდა.

სიკვდილის პირას მისულმა მართამ ათასჯერ ნათქვამი სიტყვები გაუმეორა მარიას, ორი ბიჭი მყავდა და ქმარი. სამივენი დაიღუპნენ, მარტო დავრჩი. მეც შენსავით ეული ვარ, მათი დაღუპვის შემდეგ ვერაფერს გული ვერ დავუდევ. აჰა, ფული, დაგჭირდება, ჩემთვისაც და შენთვისაც... ამ სახლ-კარს თუ უპატრონებ, არა უშავს რა ... ესეც გამოგადგება...”

მარია ისევ მარტო დარჩა. მართა უკანასკნელ გზაზე გააცილა.

დიდხანს დადიოდა აცრემლებული, საცოდავი ქალის სიკვდილი გულს სიბრალულით უვსებდა, თვითონაც საცოდავსა და შესაბრალებელს.

ფული, რომელიც მართამ დატოვა, ისევ ჰქონდა შეხვეული დიდხანს, როგორც გადმოსცეს. ათასჯერ დასჭირდა, ათასჯერ გახსნა, მაგრამ არასდროს გამოუყენებია, რადგან მაშინვე გაცვეთილკაბიანი მართა დაუდგებოდა თვალწინ, მერე ცრემლები წამოუვიდოდა თვალთაგან. ფულის შეკრულას ხსნიდა უკანასკნელად იმედს ჩაჭიდებული კაცის იერით, მერე კი ისევ ხვევდა ცრემლიანი, ვითარცა წმინდა და ხელშეუხებელ რამ საგანძურს...

დიდხანს არ გაუვლია, რომ თვითონაც ავად გახდა, მომვლელი არავინ ჰყავდა, ვერ დგებოდა სანოლიდან, რამდენჯერ შეუძახა ჭერსა და კედლებს, მიშველეთო, მაგრამ ისინი უტყვი მდუმარებით შემოჰყურებდნენ. ახლა იმ ჭიანჭველებისა და ობობებისა შურდა, რომლებიც კედლებზე დადიოდნენ, მოძრაობდნენ, სადღაც მიფუსფუსებდნენ საქმიანად, მაგრამ მისთვის რა ბედენა იყო ოთხფეხა და ორფეხა ან კიდევ მრავალფეხა არსებათა მოუსვენარი ფუსფუსი, თუ კი

მას არ გამოადგებოდნენ. კომმარული სიზმრები სულს უხუთავდნენ, უფერული, არაფრისმთქმელი დღეები გადიოდნენ ნელა, ტაატიო. ერთადერთი, ვინც შემოაკითხა ვილაც მათხოვარი იყო. ეტყობა, ყველგან ხელმოცარულს ამ პატარა ქოხისათვის დაედგა თვალი. მარიამ ტკივილნარევი ხმით მიუთითა ძველმანებზე ეგ გქონდესო, ხოლო, რაც შეეხება საჭმელს, მეც დიდი ხანია არ მიჭამიაო. სთხოვა და მოატანინა. ორივენი დანაყრდნენ, მერე მათხოვარიც გადაიკარგა და არ გამოჩენილა. ამ არაფრისმქონე მოგზაურმა, რომელიც ქვეყანას კიდით-კიდემდე უვლიდა გარს, ხელგანვდილი, შეიძლება მეორედ ვერც მოაგნო მარიას სახლს, ან, შეიძლება, სულაც არ დაინტერესდა ხელმეორედ ამ უღიმღამო ცხოვრების დანახვით.

წამოდგებოდა ლოგინიდან, მხოლოდ ორიოდ ნუთით ძლებდა ფეხზე დამდგარი და თვაბრუდახვეული ისევ საწოლზე ეშვებოდა. წყურვილი, საშინელი წყურვილი ანუხებდა, ყელი უშრებოდა, ესიზმრებოდა ნაკადული, საოცრად ლამაზი ტბა, ხანაც ჭა სოფლურად ამოყვანილი, პეშვი წყლით ჰქონდა სავსე, მერე თითებშუა გზას პოულობდნენ წყლის წვეთები და მარგალიტებივით ეცემოდნენ მიწაზე.

არავინ გამოჩენილა ისეთი ღვთისნიერი, რომ მისთვის ჭიქა წყალი მიეწოდებინა, მართას, რომელიც წლობით ცხოვრობდა ამ ქოხში, თუკი არ ნახულობდნენ მისი მეზობლები, მარია ვის გაახსენდებოდა, საიდანღაც მოსული, არაფრისმქონე, საცოდავი. ერთი შემთხვევა რომ არა, ნათესავსაც შეიძლება ვერ გაეგო მისი ადგილსამყოფელი. გზაზე ფოსტალიონმა ჩაიარა, ფანჯარასთან მიდგმული საწოლიდან დაუძახა მარიამ. სთხოვა ნათესავისთვის გაეგებინებინა მისი ამბავი როგორმე, მისამართიც მისცა, არ უნდოდა მარიას ასე მოქცეულიყო, მაგრამ სინდისი ქეჯნიდა. ისევ თავის თავს ამტყუნებდა, გული სამუდამოდ ავიყარე და გამოვექეცი, ამდენი წლის განმავლობაში ერთმანეთისა არაფერი ვიცით. შეიძლება ის ნანობს თავის საქციელს, დიდი ხანია, შეიძლება შეებრალოს მარია, მაშინ მარიაც ბოდიშს მოიხდის მის წინაშე. უშეცდომო განა ვინმეა ამ ქვეყანაზე, ერთმანეთს უნდა ვაპატიოთ, შევეუნდოთ, თუ კი ის ისეთია, რომ გამოსწორდება, მარიამაც ჩაიდინა შეცდომა, ამასაც აღიარებს, მხოლოდ მაშინ გაიხსენა ნათესავი, როცა საწოლს მიეჯაჭვა და აღარა-

ფერი ძალუძს. მეზობლებსაც ხშირად ვდებთ ბრალს ბევრ რალაცაში. უნდა დაფიქრდე, შენ სიკეთე, გულისხმიერება თუ გამოგიჩენია სხვის მიმართ, იქნებ, ვერც მიიღო შენ მიერ ჩადენილი სიკეთის საზღაური სანაცვლოდ, უნდა დაფიქრდეთ, რაიმე მიზეზმა ხომ არ განაპირობა ყოველივე...” ამგვარი ფიქრები და ათასნაირი მსჯელობები ღლიდა მარიას, ისევ ეძალებოდა ფიქრები და მტანჯველი ტკივილები. მოლოდინით მიაპყრობდა დაღლილ, უძინარ თვალებს კარებს, აი, უნდა გაღებულყო ფართოდ და სინათლის სხივთან ერთად შემოსულიყო ის, ვისაც ელოდა თვითონაც ათასი მონანიებით და პატიებით დახვდებოდა ფერმკრთალი და საოცრად შეცლილი.

ნათესავი მოვიდა, მაგრამ დიდი ხნის მერე. მარია სანოლში მკვდარი დახვდა, მიცვალებულს საყვედურნარევი, ტანჯული სახე ჰქონდა. ყველაფერმა ჩვეულებრივ ჩაიარა. ახლა ქოხის მსგავსი პატარა სახლი დგას ეული, მაგრამ დროებით, რასაკვირველია. მარიას ნათესავმა გადაქექა ოთახი, აანგრია სანოლები, გადმოაყირავა ძველი სკივრი, იპოვა მართას მიერ მარიასადმი ნაჩუქარი ფული. „ჰმ“ მხოლოდ ეს ჩაილაპარაკა მერე პატარა, მოუვლელი ეზო შემოათვალიერა საგულდაგულოდ და ათასგვარი გეგმა დაანყო გონებაში, როგორ გარდაქმნიდა აქაურობას.

ოთახში ჯერ კიდევ მართასა და მარიას ტანჯული ფიქრები დაბორიალობდნენ.



2012
A. S. M.

მეათე ღაპალება

ამონარიდები

სარკანტასი

ამონარიდები სერვანტესის „დონ კიხოტიდან“...

1) ჩვენ სახელი კი არ გვაპატიოსნებს, არამედ საქმენი ჩვენნი გვანიჭებენ ღირსებას: ყველა ჩვენგანი თავის საქმეთა შვილია. (54,1).

2) ნათქვამია, თავმდაბალს ღმერთი აღამაღლებსო (100,1)

3) ქვეყანაზე ყველაფერი ისე არ კეთდება, როგორც ჩვენ გვსურს (168, 1)

4) ყველა პატიოსანი კაცი მოვალეა სიკეთის მაღლიერი იყოს, იმიტომ, რომ ყველაზე მომეტებულად ღმერთს კაცის უმადურობა სძულს (208,1)

5) ავნი მუდამ უმადურნი არიან და რადგან მათ გაჭირვება აიძულებს ის იმოქმედონ, რაც არ უნდა ჩაიდინონ და ანმყოს იქით მომავალს ვერა ხედავენ. (212,1)

6) მხატვარი თუ ცდილობს ხელოვნებით სახელი გაითქვას, მხოლოდ იმას მეცადინეობს საუკეთესო მხატვრების სურათებს მიჰბაძოს ყველა იმ ხელობაში, რაც კი ქვეყანას აღამაღლებს, ამასვე ვხედავთ, მიმბაძველობა ყველას მოვალეობაა, ვინც სახელის გათქმას ისწრაფვის. (239,1)

7) ბუნების მეცნიერნი ერთი პატარა საოცარი თეთრი ბენვის მქონე ცხოველს ყარყუმს ეძახიან და ამბობენ, მონადირენი მის დასაჭერად ამ ხერხს ხმარობენო: ჯერ გაიგებენ სად დადის ხოლმე, იმ ადგილს აატალახებენ, დაედევნებიან და ზედ იმ ტალახზე მიაგდებენ. ყარყუმი ტალახში არასოდეს არ შევა და იმას რჩეობს, მდევენლებს დაეჭვინოს, თავისუფლება და სიცოცხლე დასთმოს, ოღონდ. უმტვერო, თოვლივით თეთრი ბალანი არ გაისვაროს! ჩემო მეგობარო! პატიოსანი და უბინო ქალი ყარყუმს ჰგავს. მისი სული თოვლზე უსპეტაკესია; და ვისაც უნდა მისი სისპეტაკე ბოლომდის დაიცვას, მის სინმინდეს აფასებს, ისე როდი უნდა მოექცეს, - როგორც მონადირენი ყარყუმს. (331-332,1)

...დრო სწრაფად წამავალია და ისეთი ზღუდე არ არსებობს, რომ მისი შეჩერება შეეძლოს... (339,II)

ღვთისა უნდა გეშინოდეს, რამეთუ ღვთის შიში სიბრძნის დასაბამია, და თუ ბრძენი იქნები, არასოდეს არ შეცდები (312,2)

ეცადე ყველაფერში ჭეშმარიტება აღმოაჩინო – როგორც მდიდრის დაპირებასა და საჩუქრების დროს, ისე ღარიბ-ღატაკთა ქვითინსა და მოსაწყენ მუდარის დროს. (314,2)

თუ მართლმსაჯულების კვერთხის დახრა დაგჭირდეს, ეს ჩაიდინე არა საჩუქრების იძულებით, არამედ შებრალების იძულებით... (314,2)

თუ ოდესმე შენი მტრის საჩივრის განხილვა მოგიხდეს, დაივიწყე შენი პირადი მტრობა და უსიამოვნება და მხოლოდ იმაზე იფიქრე, თუ ვის მხარეზეა სიმართლე. (314,2)

სხვისი საქმის გარჩევის ჟამს პირადი ჟინით თვალს ნუ აიხვევ, მარტო სიმართლე გახსოვდეს, რადგან უფრო ხშირად გაუსწორებელ შეცდომას ჩაიდენ და მათი გასწორება შესაძლოა შენგან დამსახურებული ნდობის და შენი ქონების ხარჯით მოგიხდეს. (314,2)

თუ სიმართლის მისაღებად შენთან ღამაში ქალი მოვიდეს, მის ცრემლებს თვალი მოარიდე და მისი ოხვრის გასაგონად ყური დაიცევი და მოცლილ დროს კარგად გაარჩიე მისი თხოვნა, თუ არ გინდა შენი გონება ცრემლებში ჩაიხრჩოს და შენი პატივი იმისმა ოხვრამ გააქარვოს. (314,2)

როდესაც დამნაშავის საქმით დასჯა მოგიხდეს, სიტყვით ნყენას ნუ მიაყენებ, რადგან უბედურისთვის სასტიკი სიტყვების დაუმატებლად დასჯის ტანჯვაც საკმარისია (314,2)

როდესაც ბრალდებულის განსჯა მოგიხდეს, უცქირე მას, ვითა სანყალ ადამიანს, ჩვენი გარყვნილი ბუნების ყოველგვარი სისუსტის პატრონს, და, რამდენადაც შეიძლება,

მეორე მხარისადმი წყენის მიუყენებლად, შებრალებით და ლმობიერად მოეკიდე, რადგან თუმცა ყველა თვისება, რასაც ღმერთს მიაწერენ, თანასწორია, მაინც ლმობიერება ჩვენს თვალში უფრო მეტად ბრწყინავს და ელვარებს. (314,2)

ყოველგვარი ყოყლოჩინობა ცუდზე უცუდესია (316,2)

მთელი სხეულის კარგამყოფობა ჩვენი კუჭის სამჭედლოში ინრთობა და იჭედება (316,2)

სმაში ზომიერება იქონიე, გახსოვდეს, რომ გადამეტებით დაღეულმა ღვინომ არც საიდუმლოს შენახვა იცის, არც დაპირებულის აღსრულება (316,2)

რომელ სახლშიც სიუხვია, იქ ვახშამი არავის აცდევინებს; როდესაც საქონელს ხელსაყრელ ფასად ჰყიდიან, ვაჭრობა საჭირო აღარ არის; ვინც ზარს რეკავს, ის ხანძრის ჩასაქრობად როდი მიდის. (317,2)

ვინც მზესთან ერთად არა დგება, ის დღის მშვენიერებით ვერ სტკებება... ბეჯითობა გამარჯვების წყაროა, ხოლო მის მოპირდაპირე – სიზარმაცეს – კეთილი განზრახვით დასასრულ მიზნამდის არასოდეს არ მიუღწევია (317,2)

უდიდესი ცოდვა სიამაყეა (432,2)

დედამიწის ზურგზე ბლომადაა ცოდვილი ხალხი და წყვდიაღში მოხეტიალეთა გასაცისკროვნებლად საჭიროა თვალისმომჭრელი სინათლე (471,2)

ბრბო... ცუდად აჯილდოვებს ნიჭიერ ადამიანებსა და ღირსეულ ნაშრომებს; ქვეყანაზე რამდენი ნიჭი ქრება და იკარგება! რამდენ ღირსეულ ადამიანს უგულვებლყოფენ! რამდენი კეთილი მოქმედებაა, რომ არაფრად აფასებენ (470,2)

უალაგო ალაგას მოყვანილი ანდაზა უფრო სისულელეა, ვიდრე ბრძნული სიტყვა (502,2)

ანდაზა მართალს ამბობს: „შენ იმასთან კი არ ცხოვრობ, ვისთანაც დაიბადე, არამედ იმასთან, ვისაც შეეთვისე“ (504,2)

სარჩევი

1. სერვანტესი „დონ კიხოტი“, წიგნი I, თბ., 1985წ.
2. სერვანტესი „დონ კიხოტი“, წიგნი II, თბ., 1959წ.

მეთერთმეტე ღაკალკა

ამონარიღები

ტუბლასი

„თუ არ ვცდები, ბისმარკი იყო, ჭკუას რომ ასწავლიდა თავის დიპლომატებს: „რახან სრულ სიმართლეს არ მამცნობთ, რასაც მეტყვიით, ის მაინც იყოს სიმართლე“.

„ხშირად ამა თუ იმ საზოგადოებაში სიცოცხლე არც ღირს, მაგრამ ხეზე ცხოვრება ბევრად უარესი იქნებოდა“.

„ერთ ჩინურ ზღაპარში, მაიმუნს სიცოცხლის მარადისობაზე ფიქრი არ ასვენებს...“

ნუთუ ესეც მაიმუნით უნდა დაინყოს?! ან კი რა თავში იხლის ასეთ მარადისობას, თუ ღვთით ნაბოძებ სიცოცხლის წლებსაც მაიმუნურად ატარებს“.

ჰაინე

ხელოვნებაზე დაწერილი ტრაქტატის „ლაოკონის“ ავტორზე ამბობდა: „ისეთი კაცი, როგორც ლესინგია, ბედნიერი რომ ვერასოდეს ვერ იქნებოდა, ამას იოლად გამიგებთ, თუნდაც სიმართლე ასე არ ყვარებოდა და მისთვის ყველგან ასე ჯიუტად არ ებრძოლა, მაინც უბედური იქნებოდა, რადგან ის გენია გახლდათ. „ყველაფერს გაპატიებენ, - შესძახა ერთმა პოეტმა ოხვრით, - გაპატიებენ შენს სიმდიდრეს, გაპატიებენ გვარიშვილობას, გაპატიებენ გარეგნულ სახიერებას, ნიჭსაც კი, მაგრამ უმონყალოდ გეკვეთებიან, თუ გენია ხარ...“ სამწუხაროდ, თვით შენშივე გიმზადებს შენი გენია მტერს, უბედურებას. ამიტომაც არის დიდ ადამიანთა ცხოვრება მოწამეთა ამბავი...“

სუნ ქიჩინი

„ჩვენი ცხოვრება, არსებითად, - თოჯინების წარმოდგენაა. მხოლოდ საჭიროა ძაფები შენ გეჭიროს ხელთ, ერთმანეთში არ აგერიოს, შენი ნება-სურვილით ამოძრავ და შენვე გადაწყვიტო, როდის იარონ და როდის გაჩერდნენ. სხვებს არ უნდა მისცე მათი ნევა-ქაჩვის უფლება, და მაშინ შენ ამაღლდები სცენის თავზე.“

ძველი ღღიურაბიდან...

impression...

ერთ მშვენიერ დღეს, მოულოდნელად, კლოდ მონეს სურათი, „მზის ამოსვლის“ წინ აღმოვჩნდი. არა, თქვენ ვერ გამიგეთ, ორიგინალი არც მინახავს, უბრალოდ, ბილიკზე ვიდექი, მზე ანათებდა და იგი მონეს მზეს ჰგავდა...

ახლაც იქ ვდგავარ... გზაზე...

გავლილი მანძილი წლებმა ჩაიბარეს...

მომიტვევით, განსაკუთრებული არაფერი შემეძლია შემოგთავაზოთ. გარდა წარსულში სხვების მიერ დაწუნებული ჩემი ნაწერების ფრაგმენტებისა და მასთან დაკავშირებული იმ მოგონებისა, როცა იმედგაცრუებული დავცქეროდი სტრიქონებს და ერთ-ერთი პერსონაჟის, მარტინ იდენის, ბედს რომ გულუბრყვილოდ ვნატრობდი...

...თურმე... ყოველი გაკვეთილის შემდეგ, შთაბეჭდილებების ზღვაში, მზის ბილიკს მივუყვები...

გაკვეთილები დროთა კავშირს უფრო ძალუმად განგვაცდევინებს... ლიტერატურა შერწყმული ესთეტიკასთან, ისტორიასთან და... ულამაზეს ნამებს, მალე წარსულად ქცეულს, სევდით აყოლებ თვალებს...

მსგავსი განცდა ხომ არ გქონიათ? არ აგკვიატებიათ ცნობილი ფრაზა რომელიმე შემოქმედისა, თუნდაც უადგილო: „ო, ასეთი წუთი, დაუბრუნებელი, შენც ხომ არ გქონია?“

...ზარი დაირეკა... წუთები გარბიან ფეხისწვერებზე... სკოლაში ყრიაშული მინყდა...

გზას მივუყვები.

უკანასკნელი ფოთოლი მოწყდა ხეს. არა, ო'ჰენრის „უკანასკნელი ფოთოლი“ არ გამხსენებია. რევაზ ინანიშვილის, ლოდინით დაღლილ, ნეკერჩხლის წითელ ფოთოლზე მოგახსენებდით...

ვაჟა-ფშაველას ხმელი წიფლის, გალაკტიონის „ქარით დატირებული“, და, ანა კალანდაძის, ღვთის მადიდებელი ხეების, ქარში გაფრენილი ფოთლების დარღზე...

„...მოწყდნენ და გაფრინდნენ,

გაფრინდნენ,

გაფრინდნენ,

გაფრინდნენ,
ფოთლები... ფოთლები...
ხელ ხელი აღაპყრეს
და ღმერთი ადიდეს,
მაგრამ... უჩვეულო
კვნესით და გოდებით...“

ქარში გაფრინდნენ უნუგემო. მჭკნარი, მწუხარე, ჩუმი
ვედრებით დაღლილნი...

დროში ვმოგზაურობ... ორი ბრწყინვალე ეპოქა მიხ-
მობს... მგონი, ერთმანეთს რალაცით ჰგვანან, დროსა და სივ-
რცეში ძალიან დაშორებულნი. ჩემთვის ერთი მირაჟია, მეო-
რე – შორეული სინამდვილე...

საუკუნეთა სიღრმეებში გაზ ამებნა, სად არ ვიარე....

... კლდეში გამოთხრილი, ხელოვნური გამოქვაბულის
შესასვლელთან, როკაილთან, თავაზიანი ფრანგი მიხრის
თავს,

შორს როკოკოა... საფრანგეთის მეფის, ლუი მე-14-ის,
სტილად წოდებული.

ლამაზი ინტერიერები... ოქრო-ვერცხლით მორთული
ავეჯი, ნივთები...

კამერული მუსიკა. ბალეტი. „ორკესტრის დედოფალი“
ვიოლინო, ფლეიტა, კლავესინი. არფა...

მე-18 საუკუნის ფრანგი არისტოკრატები.

რევერანსები მეფესთან... აინტერესებთ, რით გამოვირ-
ჩევი სხვებისგან, რომ უფლება მომეცა მისი ბრწყინვალეობის
კართან მიახლოებისა.

არავითარი განსაკუთრებულობა...

კარები მომიხურეს... დარდმა მომიყვანა-მეთქი, ქარს
ვუთხარი, მანვე წაიღო...

ისევ ბილიკები... აქ არ არსებობს დროის შეგრძნება,
მე-12 საუკუნეა... აქ ქართული გენიის აჩრდილი სვლას მთა-
ვაზობს „ვეფხისტყაოსნის“ სიღრმეებისკენ, აქ ფართოდ
იღება ქართველი მეფის სასახლის კარი...

ულამაზესი, არნახული სფეროები, სიდიადის განცდა,
მხატვრობის, მუსიკის, ხუროთმოძღვრების, გონის ზეი-
მი...შემოქმედს წელთასვლა მხრებით უჭირავს...

ოცნებები გამეფანტა... უკანასკნელ ფოთოლს დამგვა-
ნებულმა ძველმა ეპოქებმა თან წაიყოლეს... როგორც ბილი-

კები იმპრესიონიზმისა, საინტერესო მიმდინარეობისა... და.. სევდა მიპყრობს: „უსასო ქმნილხარ, მშვენიერებავ, დიდება შენი ქართაგან შლილა... აყვავდებოდი ადრე გაზაფხულს ქვეყანას ზედა და ცათა შინა... იყო მაღალი შენი ციმციმი, იყო ნათელი წიაღთა შენთა... უსასო ქმნილხარ მშვენიერებავ, ცათა შინა და ქვეყანას ზედა...“ არ ვიცი ანამ რა იგულისხმა ამ სტრიქონებში, მაგრამ ხომ ძალიან ჰგავს სევდას წარსულზე, რომელიც მოგვწონს?

„...ძველ გვირგვინებში ხმაურობს ქარი და ნაღვლიანად დუმან ჩანგები“... (ანა „ნამო...“)

წელან გითხარით, ბილიკს მზე ანათებდა და მონეს მზეს ჰგავდა-მეთქი. მე პოეზიის დედოფალმა მასწავლა მზის თავ-ვანისცემა...

კლასში რომ ანათებს იმ მზისა — ბავშვებმა... ქვეყნიერებაზე მანათობელისა – ხელოვანებმა. ყველამ თავისებურად

დაინახა იგი და შემაყვარა...

„..მზე ოკეანით ამოვა მიძიმედ გაბრწყინდებიან შორეული ზღაპრული მთები“... (ანა „მე მზეს ვუმღერებ“)

„ქარო, მიუვალს კლდეზე დადგი
ჩემი მინური,
იქ, ახლოს მზესთან, სულ ახლოს მზესთან...
ქარო, მიუვალს კლდეზე დადგი
ჩემი მინური,
შენ მოგუგუნდი ხშირად იმ კლდესთან,
ო, სალ კლდეებზე შემოდგი ფეხი“... (ანა „ქარო...“)

ბრაფი ჩესტერფილდი

„წერილები ვაჟიშვილს“... ბრწყინვალე ეპისტოლარული მემკვიდრეობა...

სადღაც წავიკითხე, ამ წიგნის მიხედვით, პედაგოგიური სისტემის შექმნა შეიძლებაო.

გრაფი ჩესტერფილდის დაუძინებელი ლიტერატურული მტერი, დოქტორი ჯონსონი, ამბობდა: „მოვაშორეთ ამო-

რალურობა და იგი შეიძლება მივცეთ ხელში ყველა ყმან-ვილს“...

მირზა...

ყოველი ლიტერატურის გაკვეთილი, ხშირად გახსენების ლამაზ დღესასწაულს ჰგავს...

მირზა გელოვანს ვიხსენებთ: „თუ გიყვარდე ყვავილს ფეხს ნუ დააბიჯებ, ნუ გასრეს, თუ გიყვარდე, ნურავის შეხე-დავ თვალგაუმართავი ძალღური ლაქუციით კაცურ კაცს არ შეფერის მასავით მეორე კაცის კაცი იყოს და ფინიასავით მიელაქუცოს მას გამორჩომის მიზნით...“

მარად ახალგაზრდა პოეტად დარჩა. „ახალგაზრდები ვიქნებით. მუდამ, ჩვენ არასოდეს არ მოვხუცდებით“... ეს სიტყვები ალექსანდრე საჯაიას ეკუთვნის...

რაც მომეწონა...

„ჩვენ ბედმა გვარგუნა ვიცხოვროთ ქიმიის სამყაროში, ჩვენ წარმოვადგენთ ნივთიერებებისაგან აგებულ სხეულებს და ვარსებობთ ნივთიერებების სამყაროში.

ჩვენი ცხოვრების ყველა გაელვება- სიცოცხლე, ავად-მყოფობა... ქიმიური რეაქციაა...

სურვილი, გავიდეთ ფონს ქიმიის გარეშე, ჰგავს მცდე-ლობას, გააჩერო სამყარო და ჩამოხვიდე გაჩერებაზე“

/ჯორჯ პოტერი/

„ჩვენი ცხოვრება, არსებითად, - თოჯინების წარმოდ-გენაა. მხოლოდ საჭიროა ძაფები შენ გეჭიროს ხელთ, ერთმა-ნეთში არ აგერიოს, შენი ნება-სურვილით ამოძრავ და შენვე გადაწყვიტო, როდის იარონ და როდის გაჩერდნენ. სხვებს არ უნდა მისცე მათი ნება-ქაჩვის უფლება, და მაშინ, შენ ამაღლდები სცენის თავზე.“

/ხუნ ძიჩენი/

გაკვეთილის შედეგ...

ჩემო პატარა მეგობარო, მაღალ იდეალებზე როცა ვსაუბრობ, უხერხულად იშმუშნები, ალბათ, თვალნათლივ ხედავ, როგორი მონდომებით უტევეს, გარედან, ნუთისოფლის ძლიერი ტალღა, საკლასო ოთახში მოარულ ოცნებებს... და ყველაფერი შემოქმედთა იონები გგონია...

მე კი გეტყოდი, ცხოვრება მშვენიერებაცაა და სცილასა და ქარიბდას შორის მოარული ხიფათიანი ხომალდიც... შეეცადე, ორივე შემთხვევაში, შეძლო მისი მეზღვაურობა...

დუგლას მელიოკი წერს:

„თუ არ ძალგიდს.. იყო მთის მწვერვალზე ამოსული ცაცხვი, იყავ პატარა ხე ველზე, ოლონდ იყავ საუკეთესო, წყაროს პირს მდგომი. თუ ვერ იქნები ბუჩქი, იყავ ბალახი და დაამშვენე გზა; თუ ვერ იქნები ქარიყლაპია, იყავ ქორჭილა, - მაგრამ იყავი ყველაზე ლამაზი მთელ ტბაში! ყველა კაპიტანი ვერ იქნებით, ვილაც მეზღვაურიც უნდა იყოს; სამუშაო ყველას გაგვწვდება. სამუშაო დიდიცაა და მცირეც, ჩვენ კი უნდა ვაკეთოთ გადაუდებელი. თუ არ ძალგიდს იყო გზა, იყავ ბილიკი, თუ არ ძალგიდს იყო მზე, იყავ ვარსკვლავი, ვაგებთ თუ ვიგებთ - აზრი არ აქვს, მთავარია, აღმოაცენო საუკეთესო მარცვალე შენში რომ ბუდობს...“

* * *

უარყოფილი სტრიქონები...

ხომ დაგპირდით, დაწუნებულ სტრიქონებს შემოგთავაზებთ-მეთქი, ჰოდა, აი ესენიც... დაე, ჩვენმა მოსწავლეებმა იცოდნენ, რომ ცხოვრება ყოველთვის არ გვთავაზობს სიურპრიზებს, ხან ჩვენ, უფროსებს, გვეშლება ზოგჯერ რაღაც - რაღაცები, ხან „ისინი“ ვილაც-ვილაცები ცდებიან ჩვენთან დამოკიდებულებაში, ასე რომ უნაკლონი არა ვართ... უარყოფილი რატომ ჰქვია? ერთხელ გავკადნიერდი და ერთ-ერთ ლიტერატურულ კონკურსში გადავწყვიტე მონაწილეობის მიღება, სამი მინიატურა დავტოვე, დროის ამონურვის შემდეგ დავრეკე:

— გოგონა, მე კონკურსის მონაწილე ვარ...
— სამწუხაროდ, ვერ გაიმარჯვეთ
— გასაგებია, არც ველოდი, იქნებ მოკლედ ამიხსნათ...
— თქვენი ლექსები, აგერ, მაგიდაზე დევს, არ არის აქ-
ტუალური...

— მე მინიატურები მოგიტანეთ და არა ლექსები...

დუმილი.

ყურმილი დავკიდე, „ცისფერი მთები ანუ...“ ჰო, ეს ფილმი გამახსენდა, უნებლიეთ, რეჟისორისგან დამოუკიდებლად გავხდი მისი მოქმედი პირი...

შენი სიცოცხლე...

შენი სიცოცხლე შევავედრე ყინწვისის ანგელოზს... არაგვთან შეხვედრით გაცეცხულ მტკვარს...

შევივლე დედათა მონასტერს, სვეტიცხოველს, ალავერდს, გელათს, სიონის კედლებს...

იქ... „ღმერთო, სამშობლო მიცოცხლეო“... დაღაღებს საფლავის ქვა და... თვლემს ძველი სამრეკლო წარსულის ქვებთან ქარი ქვითინებს. ძვირფასი საფლავების, ხავსიან ლოდთა მოგონებები, ისევე თეთრია, როგორც შორეული მარმარილოს ტაძარი – სიმბოლო სიყვარულისა...

საფლავის ლოდები, იქ... აფხაზეთში... თითქოს ქვათა ჰარმონიულ წყობას მოწყდნენ და მემატიანის წიგნთა გვერდებს დაემგვანენ და მე „ვკითხულობ“...

მერე...

წამებულებს გამსგავსე, მეუფის ერთგულებისთვის საპყრობილეში გამოკეტილ შორეულ დედოფალს, თაყვანისცემამ და რწმენის სიყვარულმა მსხვერპლი რომ მოსთხოვა და სანუთრომაც უშურველად რომ მიიღო საზღაური მისგან...

ჰგავხარ ნათლისღების დღესასწაულის წინა ღამეს, დილეგში, განთიადამდე, ფეხზე მდგარ, მლოცველ სიკვდილმისჯილს, ხელებით ქედთან რკინით მიჯაჭვულს, ანთებული კერეონებით რომ აღასრულა ფსალმუნები...

მარადიული ნათლით მოსილ „ზეცის კაცსა და ქუეყანის ანგელოზსაც“, ჰგავხარ, იმას, რომელიც აშენებდა, ქმნიდა...

შუშანიკად უხმობდნენ შორეულ დედოფალს, აბო ერ-
ქვა სიკვდილმისჯილს, ზეცის კაცი და ქვეყნის ანგელოზი
ნომ გრიგოლ ხანძთელი იყო...

შენც გასხივოსნებს წამებულის შარავანდედი...

გამოთქმა „მსოფლიო სევდა“ ადამიანთა ურიცხვი ტან-
ჯვის გამომხატველია.

გამოთქმაც შენ გგავს...

შენკენ მიპყრობილი მზერა გავერცხლისფერდა, მაგრამ
სიყვარულს წლები ვერაფერს აკლებს...

სულში ანთებული კერეონი ხარ და მარადიული სილა-
მაზის სიმბოლო, როგორც უაილდის „დორიან გრეი“, მარა-
დიული ტკივილის გამთავისებელი და ამსახველი, როგორც
ლაოკოონი.

ფერთა პალიტრა, როგორც მირაჟი...

„მზის ჩასვლა იყო – ვით ანარეკლი

ძველი დიდების,

ღრუბელთა შორის დაიმსხვრა ძველი

პირამიდების...“

გალაკტიონი

„Impression...“

ზეციურ სამეფო ტახტს ტოვებს მონარქი, წარმართუ-
ლი დიდი ღვთაება...

და მიაბიჯებს შორენკეცებზე...

ოქროდ დაღვრილ მოსასხამს, ყელთან შეკრულს, დაღ-
ლილი მიათრევს იგი ვითარცა აქილევსი ეტლს გამობმულ
ჰექტორის გვამს...

და ჰექტორი დღეა...

ჩასასვლელი კიბეები შორენკეცებზე...

მონარქის ზვიადი გამოხედვა და ნაბიჯების ხმა დიადი,
ვითარცა ღვთაებრივ ჰარმონიულობამდე ამაღლებული კლა-
სიკური მუსიკა.

იდუმალი ფერმწერი ცის ტატნობზე უხილავი ფუნჯით
ხატავს:

სივრცეს... კედლებს...

კედლებზე უჩვეულო მოზაიკაა.

ჯოკონდა.

ლაოკოონი.

ვან გოგის „მნუხარე მოხუცი“.

გალაკტიონი ანგელოსის ფრთებით.

აყვავებული აგავა.

ძველევგვიპტური ტაძრის სვეტები. მთვარის ღმერთის ტაძარი. ნელი ნაბიჯები...

სივრცის ჰაეროვნებაში მიცურავს მონარქი, სფინქსების, მარგალიტებჩასმული სამეფო გვირგვინების გვერდით.

შეხვედრები:

ეგვიპტის ულამაზეს ასულთან, მალალტიარიან ნეფერტიტთან და მის მეუღლესთან, ეხნატონთან...

მერე...

პართენონის სილუეტები. სიჩუმეს მიყურებულ ასულთა ქანდაკებები სვეტებად. სახეზე მიზნედილი, გაფერმკრთალებული ელვარება სილამაზისა და სევდა ღვთაებრივსა და ადამიანურს შორის დაკარგულ ზღვარზე...

შორენკეცები.

ნაბიჯები კლასიკური მუსიკის ბგერების ხმებად.

სიდიადე.

სიამაყე.

თვითკმაყოფილება და უსასოობა ქვეყნიერების ბატონ-პატრონი მონარქისა.

...ფეხქვეშ გართხმულან ქურუმები, ოკეანის სივრცეები, თავდახრილი ყვავილები ყელზე თილისმებით: სერდოლიკებით, ქრიზოლიტებით, სარდონიქსებით, ტოპაზებით, ლაჟვარდისფერი ფირუზებით.

უკანასკნელი შორენკეცი...

ზეცამ ჩამოდვარა ლურჯ-ვერცხლისფერი და მონითალო საღებავები...

გაქრა უჩვეულო მოზაიკა...

სევდა მონარქის თვალში, შეწყვეტილი მუსიკა ნაბიჯებისა, შორეული თეთრი ციალი.

რეჟისორის ხელით ჩამოშვებული შავი ფარდა ცისეულ სცენაზე.

ბობოქარი დუმილი...

მერე...

მთვლემარე სამყაროს ამოსუნთქვა ხანგრძლივი პაუზის მსგავსი...

კვდება მზე... დროებით... ფერთა პალიტრის ჩუმი, სევდიანი კვდომაა მისი გარდაცვალება, მაგრამ არ ისმის გედის სიმღერა.

მისი ბრწყინვალე დიდებულება როცა ისევ აღზევდება სამეფო ტახტზე, ღრუბელთა ჩრდილებს ამოეფარებიან დემონები... და იღუმალი ფერმწერი, ცის ტატნობზე, ჩემი სამშობლოს ლამაზ მომავალს დახატავს...

ის არ იქნება მირაჟი...

აღარც სიზმარი... არამედ ახდენილი ოცნება, თეთრ უკვდავებასთან წილნაყარი...

ახლა?..

ახლა სალამოა და დუმილში ხმაურობს პოეზია დიდი პოეტისა:

„...მწუხარედ ჰქროდა ციურ სოფლად – ჩვენი სალამო..“

მხატვრობა, მართლაც, ფერებში გაცოცხლებული პოეზიაა... მენანება, რომ სწორედ ამგვარი პოეზიის სამყაროს შექმნა თავად არ ძალმიძს.

რომ შემეძლოს შელამებას დავხატავდი... ცაზე უხილავი ძაფებით ვერცხლისფერი ნახევარმთვარე ჰკიდია, ირგვლივ ლურჯი ფონია, შემდეგ მელნის ფერი აკრავს, რომელიც მთის მწვერვალის ცისფერ ფონს უერთდება, ხეთა კენწეროები ჩამუქებულან, აშოლტილან ჩინარები, ნაძვები და ჭადრები...

ზოგიერთ მხატვართა ნამუშევარში ან მზეზე ჩამომსხდარი პატარები მინახავს, ან ნახევარმთვარეზე მოქანავე. მე რომ მხატვარი ვიყო, ამ ლამაზ ნახევარმთვარეზეც ჩემს თვალწინ რომ ანათებს – ჩამოვსვამდი ნორჩებს, დროებით, ჯადოსნური ფუნჯის წყალობით და ყველას, ამ ქვეყნად ყველას ვაჩვენებდი, ყველაზე მაღლა, მზესთან და მთვარესთან მისვლა ახალ თაობას რომ უნდა შეეძლოს, სწორედ ამ მშვიდი, უღრუბლო და ლამაზი ცის ფონზე უნდა გამოიკვეთოს მათი სილუეტი, რათა ცხოვრება პოეზიის, მხატვრობის, მეცნიერების, ტექნიკის დაუღალავი შრომის ურთიერთშერწყმა

იყოს და არა ცისკენ შიშით მომზირალი ადამიანების გულის-
ფეთქვა: ვარსკვლავეთის ომი ხომ არ დაიწყებო...

* * *

მყუდროა და სუფთა ეკლესია გაპრიალებულ სასან-
თლებს მრავლად ანთებული სანთლების შუქი ეფინება და
ბრჭყვიალებს. ზემოთ, გუმბათის ცენტრში, ღვთის ფრესკის
ირგვლივ, ათასფრად აჭრელებული მინებია. მათი ელფერი
ელაციცება იატაკს. იქმნება ულამაზეს ფერთა გამა.

თეთრ, ქათქათა ტანსაცმელში გამოწყობილი ღვთის
მსახური ქალები ისე ჩუმად დააბიჯებენ, იფიქრებთ, მხო-
ლოდ ფეხის წვერებით თუ ეხებიანო იატაკს. დროდადრო
ახალშემოსულების ფეხის ხმა არღვევს სიმყუდროვეს... მო-
დიან სანთლებით ხელში და დიდხანს, ძალიან დიდხანს დგა-
ნან მარიამ ღვთისმშობლის, ნმინდა გიორგისა და ღვთის წი-
ნაშე. ზოგნი მუხლმოდრეკილნი, ტუჩებით ეხებიან მართლაც
შესაშური სისუფთავის იატაკს, ზოგნი ხატზე თვალებშიშტი-
რებულნი დგანან, ლოცულობენ, ბუტბუტებენ იდუმალად.
არა, ვინ იცის ვის რა სათხოვარი აქვს ღმერთთან, მაგრამ
ყველა, ალბათ, გასაჭირს მოუყვანია აქამდე...

სხვადასხვა სიდიდის, ზომის სანთლები ლაპლაპებენ,
ინვებიან, დნებიან ბოლომდე, მაგრამ მათი დარდი თუ ოცნე-
ბა გაუმხელელი და უთქმელია. ნალვენთები, ღვთისმსახურ
ქალებს, სანაგვეში, გადასაყრელად მიაქვთ...

ზოგიერთი სანთლის ალი უცნაურად ტოკავს და შიში-
ნით, ტკაცანით აფრქვევს ცხელ ნალვენთებს ირგვლივ. ერთ
პატარა ხატთან ვდგავარ. უნებურად მლოცველებს ვაკვირ-
დები, ჩემთვის ვის სცალია. ჩუმი, ჩქარი ნაბიჯით შემოსულე-
ბი ჩქარადვე გარბიან უკან და არად დაგიდევენ დაინვება თუ
არა, ნალვენთად იქცევა თუ არა, მათ მიერ ხატის წინ დანთე-
ბული სანთელი. ზოგი დიდხანს, დიდხანს რჩება ამ სიმყუდ-
როვეში.

ალბათ, მხოლოდ აქ, ეკლესიაში, არიან ყველაზე გუ-
ლახდილნი საკუთარ თავთან და ღმერთთან ადამიანები. აქ
ხომ ისინი შემოდინან, ვისაც ღრმად სწამთ ღმერთის ყოვლის-
შემძლეობისა. შემოდინან გულახდილობისათვის. დაფარული

გრძნობებისა და სურვილების განდობისათვის მაშ, რად აბი-
ჯებენ კრიალა ფილაქანებზე მოკრძალებითა და კრთომით,
რად ეხებიან სასანთლებს აცახცახებული თითებით და რას
ჩურჩულებენ მთრთოლვარე ტუჩებით... ზოგსაც ცნობის-
მოყვარეობა აიძულებს აქ შემოვიდეს.

ქვეყანა ჭრელია, გულიც ჭრელი აქვს და სულიც. ცხოვ-
რება ზოგიერთისთვის ობობაა, მსხვერპლი რომ მოუქცევია
ბადეში. გამოხრჩობას უპირებს. ზოგიერთისთვის კი მფრინა-
ვი ხალიჩა. საითაც უბიძგებს, იქით დასვამს თავის მბრძანე-
ბელს ჰოდა, ამ ჭრელ ქვეყანაში, ვინ იცის, ვინ როგორ გაება
გულმოდგინედ მოქსოვილ ქსელში, ვისაც კიდევე ათასჯერ
აუხნდა ოცნება სურვილისამებრ.

„შენ აქ რა გინდოდა“, თქვა თეთრ რაშზე ამხედრებულ-
მა.

„რატომ გიკვირს ჩემი აქ მოსვლა?“

„ათასიდან ერთხელ თუ შემოიხედავდი და...“

„იქნებ მეც სიმართლეს ვეძებ...“

„სასაცილოა, ზოგიერთებს მხოლოდ მაშინ გაგახსენდე-
ბით, როცა თვითონ გაგიჭირდებათ“...

გამომცდელად შევხედე წმინდა გიორგის. ადამიანთა ის
კატეგორია ნარმომიდგა თვალნინ, რომელთაც მხოლოდ გა-
ჭირვების ჟამს ახსოვთ ღმერთი, მეგობარი თუ ნათესავი. მე-
რე... მერე რატომღაც ეკლესია ცხოვრებას შევადარე...

* * *

ამოსულიყო ბრიალა მზე და იცინოდა, ქვეყანა ხარობ-
და... მინდვრის ყვავილებს გამოეჩინათ პანანა გული და
მტვრიანებს ნელ-ნელა არხევდნენ... მოვწყვეტ იმ ნითლად
მოლაღანესაც, იმ ცისფრად შეფერილსაც, ძვირფას ლარნაკ-
ში ჩავდეძებ... ვნახოთ, რას იზამს ქალბატონი მიხაკი...

* * *

მზე ნელა ჩადის... ჩემს პატარა ეზოში ლამაზი, დიდრონი და წითელი ყვავილები ყვავიან... არ ვიცი მათი სახელი... მაინც მიყვარს... მთელი ზაფხული ქარგავდნენ, ხატავდნენ ეზოს...

ახლა შემოდგომის ჩამავალ მზესაც თვალებგაბრწყინებული შესციცინებენ.

ზამთარი... უყვართ განა ზამთარი? იქნებ უყვართ... არა, ზამთრისა არაფერი ვიცი... როცა ისინი ყვავიან, შემოდგომაზეც ზაფხული მელანდება და მიხარია... ჩემს მეგობრებთან, წიგნებთან, შემოვრბივარ. მარტონი ვართ, მე, რადიოლა, წიგნები, ყვავილები და მთელი ქვეყნიერება...

ოცნებით ღრუბლები ჩამოვსვით დედამიწაზე...

ათასწრად აფეთქდნენ ცისარტყელები და მთელ ქვეყნიერებას შემოევლნენ...

მუსიკა მოგვყვება თანამგზავრად... თოლიების თეთრი გუნდებიც...

* * *

ამ ერთმა დღემაც რწევით ჩაიარა, კეკლუცი ქალივით, და გაუჩინარდა...

„მშვენიერი ხარ, წამო, შეჩერდი!“

მშვენიერება...

ისე ჩავივლის, სანამ შეიგრძნობ, ხმაურიანი, შფოთიანი დღე სინანულს მოგგვრის მანამდე.

რომ შემეძლოს, ყველაზე ლამაზ წამს შევაჩერებდი...

* * *

ამ ჩემს პატარა ქოხში, რომელიც დიდი, გულზვიადი და ჩემეული სახლის გვერდით დასკუპებულა, როიალის ხმები მოისმის, ჩუმიდ იღვენთება სანთელი, ლამაზი და ტანკენარი სულ რამდენიმე წუთში დიდ ყვითელ წერტილს დაემსგავსება... რომელიღაცა ზღაპრის ფერია ცოცხლდება და გაღიმებული შემომცქერის... ქოხის შუაგულში მთვარე ირეკლება და თვალნათლივ ვხედავ მასზე ადამიანი, დედამინისეული არსება დააბიჯებს... ეგვიპტის ფარაონი ათასგვარ უცნაურობებზე ყვება და პირამიდებში შესასვლელ გზებს მასწავლის... შერლოკ ჰოლმსი მოცეკვავე კაცუნებს ჩასცქერის დაკვირვებით და ვხედავ გარეთ გასვლას აპირებს... შემოიაროს ქვეყნიერება.

ზამთარშიც, ერთი წუთით, გაზაფხული შემობრძანდა, ია შემოჰყვა და გაუჩინარდა. საოცრებებიც ხდება ამ პატარა ქოხში, ერეკლე მეფემ კრწანისის ბრძოლა მოიგო, ცხრა ძმა ხერხეულიძე გაცოცხლდა წუთით.

...მეზობლის გოგო შემოდის მორიდებული ღიმილით. როიალის ხმა მიწყდა, დიდ ყვითელ წერტილს დამსგავსებულმა სანთელმა ზღაპრის ფერიასთან, მთვარეზე მავალ ადამიანთან, ეგვიპტის ფარაონთან ერთად სხვა კუთხეში გადაინაცვლა შეუმჩნეველად. მხოლოდ მე ვიგრძენი მათი უხმო გადაადგილება...

მეცოდება მეზობლის გოგო...

* * *

ერთი წუთით, მხოლოდ ერთი წუთით, ლამაზი მეჩვენა წყალში მდგარი, ტოტებგაფარჩხული ხე და მერე შემეცოდა.

არაბუნებრივი სიკვდილით უნდა მოკვდეს ბუნების ეს ამაყი შვილი, ფეხზე მდგარი, ზეზეულად ჩამოხმება, ალბათ, თუ არ გამოუთხარა ძირი პატარა ტალღამაც კი...

ხეები ზეზეულად კვდებიანო... ზოგჯერ ისინი წყლის ნვეთთა ნაკლებობას განიცდიან, ზოგჯერ მოჭარბებული ტალღა მომაკვდინებელია მათთვის...

უყვართ ტოტებამდე ასული, გათავხედებული წყალი ხეებს?

...რად უნდა მოკვდეს ეგ ლამაზი ხე...?

* * *

ნეტავ შემეძლოს, ქვეყანაზე რაც ღიმილია შევაგროვო...

შუა ღამეა და გათენებას, მგონი, არც კი აპირებს... ქვეყნიერების ფერიცვალებას მონყენილი შევყურებ... ჩამუქებული ირგვლივ ყოველივე... ცოტა ხნის შემდეგ ქარისა და ხის ტოტების დუეტი იწყება... შემდეგ, სიმინდის ფოთლები იწყებენ შრიალს და...

რამდენიმე წუთიც და ასპარეზი კვარტეტს ეთმობა... გუნდის შემადგენლობაში კი მთელი ქვეყნიერებაა, თითქოს, ჩართული, ხის ტოტებიცა და ჭკნობაშეპარული ფრთათეთრა ყვავილებიც, ბალახებიცა და სახლის სახურავიც... იმ სახურავზე მცხოვრები კატაცა და ეზოში ნახევრადმთვლემარე ძაღლიც...

ჩემს მაგიდაზე მიხაკები წამოსკუპებულან. ჩუმად, კრძალვით და უდრტვინველად, კვდებიან მიხაკები ლარნაკში...

ასე ამაყთა და მედიდურთ, დიახაც, არ უნდოდათ სიკვდილი უხმაუროდ, უბრალო ლარნაკში, მაგრამ დრო მეფობსო ამბობენ. მე ვესწრები მიხაკთა გარდაცვალებას. არის-ტოკრატ, კუდაბზიკა ქალსა ჰგავს მიხაკი, სწორედ ისეთს, რომელსაც შეუძლია სითბოსა და სიცივით გასაჩუქრებაც. შეუძლია შეიფეროს ღიმილიცა და ტირილიც და ორივე შემთხვევაში უგრძნობი იყოს...

მენანება, რომ კვდებიან ისინი ლარნაკში, უხმოდ...

ახლა, ამ წუთებში, ისევ ქარისა და ხის ტოტების დუეტი დაიწყო. ჩემს ათაგვარად შეცვლილ ფიქრებშიც მოლანდებათა დუეტები მონაცვლეობენ...

...უკვე დახარეს მონყენილი თავები მიხაკებმა და ლარნაკმა პირი დაალო უშნოდ.

მოგორავს მთვარე სოფლის ხეივანებში და ჩამუქებულ ადგილებს ანათებს. ჩემს ოთახშიც კი იჭყიტება თავხედურად და მბრძანებლობს, ასპარეზი დამითმეთო მანიშნებს, ღამის დარაჯი მხოლოდ მე ვარო...

* * *

კლასიკურ მუსიკაზე ფიქრობ, უმშვენიერესისა და უნახესის ტყვეობაში ვარ... ახლა, ამ წუთებში, ის ჩემთვის სიტყვაზე, მხატვრობაზე, ლიტერატურაზე უფრო ამაღლებულია და დიადი, ჩვენ ორნი – მე და მუსიკა, ფიქრებით ვეხმიანებით ერთმანეთს... მიხარია, რომ ის არსებობს, რომ მას ბევრი პირრუთვნელი მსახური ჰყავს...

ძნელია ამაღლდე კლასიკური მუსიკის გაგებადდე... ღმერთო, მიუტევე არმცოდნეთ... არცოდნა არცოდვააო... მიგვიძღვის ბრალი ადამიანებს;.. სიკეთისა და სილამაზის არშეცნობაში.

...ფიქრი უსაზღვროა...

ნახეთ ჯოკონდა, მადონები... დაფიქრდით რაფაელზე, მიქელანჯელოზე, მოცარტზე, ბახზე... სიტყვისა და ფუნჯის ძალაზე, ძველ ბერძნულ კულტურაზე, შუმერებზე... ვარსკვლავებზე, ცასა და დედამიწაზე, ყვავილებზე, მეგობრობასა და სიყვარულზე... განა ადვილია გაუგო ყველა სიკეთეს ამ ქვეყანაზე, განა ადვილია შეიგრძნო ამქვეყნად არსებული ყველა სილამაზე?..

განა ადვილია გაიგოს ყველამ, როგორ იბადება გაზაფხული, როგორ მიაქვს მას ნელა, ჩუმად თოვლის უკანასკნელი ნაფლეთები, სიცივე...

მეცოდება ია, რომელიც კრძალვით ღაფავს სულს ჩემს თითებში, მონყვეტილი, მიხაკიც, რომელიც ამ მშვენიერ ღარნაკში უნდა მოკვდეს...

ყვავილებს სიყვარულით, სიხარულით გჩუქნიან... შენც გიხარია და თან გწყინს, რადგან იცი, რომ მათ რამდენიმე დღის სიცოცხლე შენ გამო წაართვეს...

ადამიანებს უნახესი, უფაქიზესი სული აქვთ და უხეშად ვერ შეეხები მის სიმებს...

... ახლობელია ჩემთვის პოეზია, ზეიმია ჭეშმარიტ ხელოვნებასთან მიახლოება, ზეიმია გაზაფხულის შეგრძნება, მხატვრულ სახეთა გათავისება... განა ადვილია ამ ზეიმზე სხვაც მოიწვიო?.. თუნდაც, ახლობელი, მეგობარი... ვთქვათ მოიწვიე და ვერ გაგიგო... განა ადვილია მარტო იზეიმო?..

* * *

ლამის ბინდბუნდში შორს, სადღაც ძალიან შორს, ნათურა კიაფობს და იმ ნათურას ფანჯრის სარკმლიდან ვხედავ. ოცნებას ჰგავს, შორეულს, მაგრამ ყოვლისშემძლეს, მომხიბლავია ოცნების სიშორე, რომელიც თანდათან გაახლოვდება...

* * *

ოდნავ გამოღებული კარიდან, თბილ ოთახში, ქარი, ცივი ქარი, შემოიჭრა, ყველაზე უნინ ფარდები ააშრიალა, ჯერ ააცეკვა მასზე მოქარგულ ყვავილებიანად, შემდეგ მძლავრად შეუტია, მომეჩვენა, აი, სადაცაა ამოგლეჯს ყვავილებს და თან წარიტანს-მეთქი... ვერაფერი რომ ვერ გაანყო, ისევ ააცეკვა... ძალიან ლამაზი იყო იძულებული ქროლვა სიფრიფანა, ქალის საზაფხულო კაბის მსგავსი, ფარდისა...

ეგ ჩვენ გვეჩვენება ასე ლამაზი...

* * *

თურმე, ხელოვნების უდიდეს თეორეტიკოსს, მეცნიერული არქეოლოგიის შემქმნელს, გერმანელ იოჰან ოახიმ, ვინკელმანს უთქვამს: „არიან ქვეყნები, სადაც სილამაზე უპირატესობად არ ითვლება, რადგან ყველა ლამაზია, მოგზაურები ამას ერთხმად ამბობენ საქართველოზე.“

ყველა ლამაზია საქართველოში თუ არ ჩავთვლით წმინდა წყაროს წყალს გამოყოლილ ქვა-ლორღსაც და მტვერსაც, რომელიც ზოგჯერ გაიელვებს ხოლმე სანაპიროზე, მაგრამ ისევ რომ იკარგება შორს, სადღაც დასალიერში...

თუმცა... ცრემლიც უხდება ზოგიერთს, აუტანელი ტანჯვაც...

...ლაოკონს დააკვირდით...

... იქნებ, უმჯობესია, იყო ეზოპესავით გარეგნულად მახინჯი, სულიერად კი — ძლიერი და გონებამახვილი...

ფორმა და შინაარსი როცა ერთმანეთს ავსებს, ლამაზია ისევე, როგორც ეროვნული და პიროვნული თავისუფლების ერთობლიობა, რომელიც იდეალურ ადამიანში ჰპოვებს თავის გამოხატულებას და...

ისევ ვინკელმანი: „მშვენიერი ბუნება, მშვენიერი ცა ქმნის ადამიანთა შორის უმშვენიერესს და ტანსარო ქმნილებებს, ამასთან სრულ თანხმობას ამ ქმნილებათა შორის. მშვენიერ ადამიანთა, ქართველთა ქვეყანა გვიმტკიცებს ამას...“

* * *

ნუ დაივიწყებ, რომ შენშია შენი მძვრელი
და წარმმართველი სანყისი, შენშია ნიჭი,
სიტყვისა, შენშია სიცოცხლე და, თუ გნებავს
იცოდე, შენშია კაციც„

მარკუს ავრელიუსი

ყველაზე დიდი და ლამაზი სიცოცხლე, სრულქმნილი სიკეთე, ახდენილი ოცნება თავისი მრავალფეროვნებითა და სიღიადით თვითონვე უნდა მოიწვიო...

* * *

...იქნებ სჯობდა ყურადღებით გადაგვეკითხა ძველი სამყაროს ერთ-ერთი ცივილიზებული ხალხის, შუმერთა სკოლების შესახებ, სემიუელ ნოა კრამერის წიგნი, როგორ სწავლობდნენ და ასწავლიდნენ ხსენებული ქვეყნის სკოლებში... იქნებ იტალიელი მწერლის ედმონდო დე ამიჩისის „გული“ (მოსწავლის ჩანაწერები) გვენახა? იქნებ წაგვეკითხა მე-18 საუკუნის ინგლისელი საზოგადო მოღვაწის გრაფი ჩესტერფილდის „წერილები ვაჟიშვილს?“ ხომ არ გადაგვევლო თვალი ალფონს დოდეს „კაცუნასათვის“ ან სუხომლინსკის წიგნისათვის „გულს ვუძღვნი ბავშვებს“.

უამრავ ნაწარმოებთა ჩამოთვლა შეიძლებოდა, რომლებიც სარგებლობას მოგვიტანდნენ ადამიანის აღზრდის საქმეში. ლიტერატორთა, ისტორიკოსთა, მეცნიერთა, პოლი-

ტიკოსთა ნააზრევზე დაყრდნობით ბევრი კარგი საქმის გაკეთება შეიძლებოდა.

საზოგადოების ყველა წევრი რომ იდეალური იყოს? ერთი მხრივ, ალბათ. ... აღზრდა, მშვენიერების სწორად გაგების სურვილი, საზოგადოებრივი დოვლათის დაცვა და მისი გამრავლებისათვის ზრუნვა, სიკეთე, პატრიოტიზმი, მეგობრობა, ერთგულება, მოქალაქეობრიობა, მეორე მხრივ: ბრძოლა მუქთახორობის, ლოთობის, მომხვეჭელობის, მლიქვნელობის პროტექტორობის წინააღმდეგ...

როგორ მოვითხოვოთ ამდენი ბრძოლა და მეცადინეობა იმათათაგან, რომლებიც უკვე ათასგვარი ნაკლოვანებებით არიან აღზრდილნი.

ჩვენ, ადამიანების ბედით შენუხებული, უთვალავი ილია, კანტი, დოსტოევსკი და ტოლსტოი გვჭირდება...

და დღეს... თითოეული ვალდებულია ანგარიში გაუწიოს საზოგადოებას, მის ცალკეულ წევრს... ჰქონდეს პასუხისმგებლობის გრძნობა და შეასრულოს გარკვეული ზნეობრივ მოთხოვნები... ეს განვლილი გზის ნახევარი აღმოჩნდება, რომელიც ნებით თუ უნებლიეთ, უკან, გზის საწყისისაკენ, მიგვახედებს ხოლმე... მომიტევოს გალაკტიონის აჩრდილმა მის სიდიადეს რომ ვინაო ჩარჩოში ვათავსებ... პოეტის ღვთაებრივ სახეს, მისი შემოქმედებიდან გამომკრთალს, მხატვრის მიერ შესრულებული პორტრეტით ვკითხულობ და ყოველ დღეს ახალსა და დამაფიქრებელს ვპოულობ... იმდენად დიადია და ძნელად მისაწვდომი, მისი პოეზია, რომ სტრიქონ-სტრიქონ უნდა აღიქვამდე, განიცდიდე... ნერტილიდან ნერტილამდე და, მრავალწერტილამდე...

**ბალაკტიონის - „გრიგალი“...
ასოციაციები დღევანდელობასთან...
პარალელები...**

არავითარი პრეტენზიები, სურვილები „გრიგალის“ მეცნიერული აღქმისა, კრიტიკისა, ლიტერატურული გარჩევისა, უბრალოდ, ფიქრები განწირული სულის კვიცილზე, გამოღვიძებულ დემონებზე, მზის ჩასვლაზე, ეროვნული სულის გადარჩენაზე და იმაზე, რომ... „კარგია გემთა რონინი შორი“

საქართველოა ეს მთა და ბარი
თუ ის არ არის?
სინამდვილეა ეს თუ ზღაპარი?“
„ქარით ხარხარებს ქუხილი მუქი,
გრიალებს ქარი,
კიდევებს ცვივა ფერადი ქაფი,
გრიალებს ქარი.
აღვიძებს დევებს დემონის დაფი
გრიალებს ქარი.
ცას სისხლისფერი მოედო შუქი,
გრიალებს ქარი.“
„... ნაპირს მოადგა გემები: ვაშა!“

ისევ პარალელები... უდანაშაულოთა დაღვრილი სისხლი, გარდაცვლილი ტიტები და მიხაკები...

„დიდი ილიას მგზავრის წერილებში“ მოძრაობის საზოგადოებრივ ფორმაზეა საუბარი: „მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის სიცოცხლის მიმცემი“. ილიას ეროვნული იდეალები ანმეოსა და მომავლისაკენ მოთმინებით იკვლევენ გზას, თვითონაც ამბობდა: „წარსული მკვიდრი საფუძველია ანმეოსი, როგორც ანმეო მომავლისა.“

დრო ისტორიის ეტლით მიაქანებს ამ იდეებს მომავლისაკენ, იგი შეუქცევადია, გზას განაგრძობს...

იდეები უსწრებენო რეალობას...

ქართველი ერის ისტორიას ვერ მოსწყვეტ მშობლიურ ენასთან კავშირისაგან...

ჭემმარიტი ისტორია მასწავლებელია საზოგადოებისა...

სვლა ჭემმარიტებისაკენ ხშირად ბრძოლა, წინააღმდეგობაა: — „დალოცა ღმერთმა ისევ თავზედ ხელაღებული „გიჟი, გადარეული, შეუპოვარი და დაუმონავი მღვრიე თერგი...“

ჭემმარიტებისაკენ მსლველობას გარკვეული დრო სჭირდება... „ყველას თავისი დრო და ჟამი აქვს ცათა ქვეშე... ჟამი შობისად და ჟამი სიკვდილისად, ჟამი დანერგვად და ჟამი აღმოფხვრად დანერგულისა...“

სვლას წინააღმდეგობები ახლავს და დაპირისპირებებიც... მყინვარისა და თერგის, დღისა და ღამის დაპირისპირება, ბრძოლა, მოძრაობა, ფიქრები სამშობლოს წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე, სწრაფვა მიზნისაკენ ჰჰოვონ ადამიანი : „რომელსაც ძილშიც არ სძინავს, ქვეყნის უბედურებით გულადტკინებულსა“... აი, მსოფლმხედველობა საქართველოს უგვირგვინო მეფისა...

წლების სიღრმიდან ისმის ძახილი: „ნუთუ ახალმა ნიავმა დაჰბერა ჩვენს ცხოვრებას?... „ვის ნათესა ვმკით?“ მონინებით ვხრით თავს შენი აჩრდილის წინაშე, ღვთაებრივად უდიადესო : „ვაჟკაცობა უნდოდა, ვაჟკაცი ვიყავით, ხმალი უნდოდა, ხმლის ჭედვა ვიცოდით. ომის საქმეთა ცოდნა უნდოდა, ომის საქმენი ვიცოდით.“ „... რა წისქვილის ქვა არ დატრიალებულა ჩვენს თავზედ და ყველას გავუძელით!““ ეგ იყო წარსულში, რათა ბედნიერი აწმყო გვექონოდა, „აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისაო“, - თქვა ლაიბნიცმა.

... სწრაფვა უკეთესობისაკენ ისტორიის შემოქმედი ხალხის მიზანია, ხალხისა, რომელიც საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გარდაქმნათა გადამწყვეტ ძალას წარმოადგენს.

* * *

ჩემო კეთილო ფერიავ, ჩემო ჭირთამთემნო, ღვთის ნილხვდომილო, ვაჟკაცური ბუნებითა და ზეციური ნიჭით დაჯილდოებულო, მრავალი გმირის აღმზრდელო სამშობლოვ, მინდა შენს ვერცხლისფერ თმებში გავყურდე, შენი

მზით გავთბე, შენს დაძარღვულ მაჯისცემას მივუგდო ყური...

მომხიბლავი ხარ... და ეგ ხიბლი ძლიერია.

შენ ხარ მებრძოლი, ყოველ ეპოქას, ყოველ დროებას ხელში ხმლით და ფიალით ადევნებული ტანჯული გმირი...

შენი ცრემლები, ჭაღარა წვერზე რომ უხმოდ დაგცემია, მზის ღიმილს გაუთბია, ქრისტესავით ნამებულო... ამაყო, სულით ძლიერო, ილიას აზრით განათებულო, გალაკტიონის ოცნებაში ჩაძირულო... მეცნიერებად, ხელოვნებად ქცეულო მარგალიტო... შენ იმ სალოცავ ხატს ჰგავხარ, რომელსაც ფასს ვერ დასდებ, ხატს ათასჯერ გატაცებულს, გაქურდულსა და ნაწილ-ნაწილ დიდი გულმოდგინეობით დაბრუნებულს... შენა ხარ სარკე უმსხვრევი და ხმალი უტეხი, შენა ხარ წიგნი ათასჯერ წასაკითხი, უსასრულოდ დიდი და საინტერესო...

მონყენაც გიხდება და მოლხენაც. ცრემლიც და ღიმილიც... ქართველთა ქვეყანა ხარ, ათას ჭირვარამგამოვლილი, საოცნებო მტერთათვის და სალოცავი მოყვრისათვის...

ბევრი უცნობი, ჯერაც გამოუვლენელი გმირის დედა ხარ...

მტერი რის მტერია თუ არ დაანგრია, არ დაარბია... განა გეშინია განა ქედს იხრი... კავკასიონის მთებივით უდრეკი, ამაყი, წელგამართული და ცივი ხარ მასთან დამოკიდებულებაში...

როგორ მისტირი სათნო და ნაზი გულით იმათ, ვინც ადრე დაგტოვა... შენს შვილებს, შენს სალოლიავებელთ...

...გიხდება დავით აღმაშენებლის უკვდავი საქმეები, თამარის სიმამაცე და მეფე ფარნაოზის ოცდაცამეტი ბრძენის სახით ამოქარგული თეთრი მანდილიც...

იმდენად წმინდა ხარ, შენზე მხოლოდ კრძალვით შეიძლება საუბარი... თუ გაგიბედავენ ხელყოფასა და იავარქმნას, სულ ერთია, აღსდგები, დაკარგავ მარგალიტებს, ფირუზებს, კაშკაშა ვარსკვლავებს, მაგრამ მაინც შეგრჩება ძალა უკვდავებისაკენ სვლისა...

წუთისოფელო, წუთუ აუცილებელი იყო მსხვერპლად შეგწირვოდა იაკობ გოგებაშვილი... მან ხომ საკუთარი სული

ისედაც გიძღვნა ზვარაკად... შენც იგი მიიღე კუთვნილივით, შეიფერე... რად არ გაგახსენდა, რომ მტერი, წინააღმდეგობები და ავადმყოფობაც თან დაანათლე, ნუთუ არ ძალგის სრულიად ბედნიერი შვა და აცოცხლო პიროვნება... სიკეთისათვის დაბადებულს, კეთილადვე უტანჯველად ამოჰხადო სული... შენ მისი ჯვარცმული სული გაატანე წარსულს... ნუთუ არ გალელვებს... შენ, საიდან, როგორ ხარ წარმოშობილი, კაცობრიობის შესაჭევ? მიუხედავად ათასჯერ დაწერილი და გამოცემული, გამოკვლეული ჰიპოთეზებისა, მაინც ეჭვის თვალით გიყურებ... ნუთუ ჩემი ბრალია, ეჭვიც შენ დამანათლე, ჩემო კარგო, და, საერთოდ, ვისთვის ვარდი ხარ, ვისთვის ეკალი...

ამას ვინ გკარნახობს? ახადე ფარდა შენს საიდუმლოს... მიყვარხარ და კიდევაც მძულხარ... გაორებაც შენი ბრალია... დიახ, ჭეშმარიტად ბრალდებული ხარ... მე კი ბრალმდებელი, რომელსაც არავითარი ძალა არ გააჩნია დიდთან ბრძოლისა. ეგ დიდი შენ ხარ... რომც შეგებრძოლო, შენ შენი დაუწერელი კანონებით დამჯახნი და მაინც...

ნუთუ აუცილებელი იყო, მსხვერპლად შეგწირვოდა დიდი იაკობი?

* * *

ლიტერატურის გაკვეთილზე სიჩუმეა, სრული სიჩუმე, ზოგჯერ მერხებისა და სკამების მორიდებული ხმაური ისმის. სადღაც ვიღაც ჩურჩულებს, ვინ იცის რაზე... გარეთ ნვიმა იღვრება ცრემლებად...

ამ ოთახის ფანჯრებიდან გაზაფხულის ერთ კადრს ვხედავდი მუდამ, ახლა ქათქათა, თეთრი ფარდები ფარავს ნახევრად და მხოლოდ ცა გადმომცქერის თავისი უსაზღვროდ დიდი, ფართოდ გახელილი თვალებით.

... თავიანთი ნააზრევი ნორჩებს ფურცლებზე გადააქვთ. საინტერესოა, ვის როგორ...

ჩემს მაგიდასთან ახლოს, ღია ზის, პატარა, მიამიტი სახის გოგო, რომელიც ფურცელს მანვდის, რათა მეც დავწერო, რას ვფიქრობ ახლა...

...კლასში, ზოგიერთებს, კალამი არ უჭირავთ, არც ფურცლებს დასცქერიან, სხედან და ფიქრობენ.

ნეტავ, შემეძლოს, მათი განცდები დავინახო კინოფირივით... იქნებ არც სჯობდეს, სხვის ოცნებებში ხელის ფათური არ ვარგა... არ ვემდური ნორჩებს ამ წუთში, რატომ არაფერს წერთ-მეთქი, რადგან ვიცი სურვილი არა აქვთ მუშაობისა და იძულებით გაკეთებული საქმე მოსაბეზრებელია და უსიამოვნო....

კედელზე მხატვრის ნამუშევარი ჰკიდია, ჩემს ოთახშიც ეკიდა ასეთივე ნამუშევარი ერთ დროს, მხოლოდ სხვა ფერებში შესრულებული, ეს კი... სიცოცხლეს მოკლებული, უნიათო მგონია, ამიტომაც უსიამოვნო შეგრძნებით შევცქერი.. ნეტავ რად ცვლიან სურათის იერს, პირვანდელ ფერს რად არ უნარჩუნებენ? ჰმ, ალბათ, იტყვიან, როდის ყოფილა ორიგინალი და ასლი ზუსტად ორივე ერთნაირი... იქნებ, ბევრს ასლიც აკმაყოფილებს.

...ონავრებს, ალბათ, უკვირთ, რომ მერხებს შუა არ დავდივარ ჩუმი, მორიდებული ნაბიჯებით, კონტროლს არ ვუწევ მათ, იქნებ უხარიათ, რომ ვწერ და საქმით ვარ დაკავებული. მუზეებს მხოლოდ ფურცლები და ავტორები უყვართ.

სამასწავლებლოში, ალბათ, სიჩუმეა... მოსწავლეთა ნამუშევრებით მაინცდამაინც კმაყოფილი არ შევალ, მაგრამ, არავითარ შემთხვევაში, არ ვინუნუნებ, რადგან დუმილი ოქროა...

* * *

უმზეოდ ყველაფერმა მოიწყინა, ხეებმა, ყვავილებმა, სახლებიც მოქუფრულად იმზირებთან.

ჩემს ფანჯრებთან მაღალი, ძალზე მაღალი ნაძვები ხარობენ, წვიმის წვეთები წყნარად, მონოტონურად უკაკუნებენ სახლის სახურავებს, ზოგნი ტბორებში წყლის წრედ იხატებიან... წრე ქრება უკვალოდ და უცბებე სხვა ზომის, სხვა მოცულობის წრედ იქცევა...

როგორ ჰგავს ამგვარი ცვალებადობა და მონაცვლეობა ზოგიერთი ადამიანის ხასიათს...

* * *

სულხან-საბა... თეთრწვერა, ბრძენი მოხუცი... მისი იგავ-არაკების სტრიქონებიდან ჩემი თანამედროვე მესაუბრება...

...დღესაც რამდენი მორიელი ვერ უფასებს სიკეთეს კუს თავიდანვე და რამდენი სულხან-საბა გვჭირდება სიმართლის მთქმელად და დამრიგებლად...

* * *

ზოგჯერ ამა თუ იმ ნაწარმოების ნაკითხვისას გიჩნდება აზრი: რა უბრალო ენით დაუნერია ავტორს, ჩვეულებრივი სიუჟეტია და არცთუ უცხო თემა, აქ არავითარი სიახლე არაა, ნებისმიერს შეეძლო ასე დაენერა..

მაგრამ როცა კალამს მოიმარჯვებ, ძალიან ხშირად დიდი სიმართლის წინაშე აღმოჩნდები და მიხვდები უმაღლეს, რომ იჩქარე და არასწორად შეაფასე საკუთარი შესაძლებლობებიცა და სხვისი შინაგანი ძალაც... სწორედ, იმ სხვამ, ოსტატურად, უბრალოდ და სადა იერსახით, მოგვაჩვენა სირთულე, ემოციურობა და სიძლიერე, რაც ყველას არ ძალუძს, ზოგჯერ კი რთული სტილით დანერილი ნაწარმოები ნაკლებ შინაგან მღელვარებას განგაცდევინებს, უცებ გავიწყდება, და, ალბათ, ეს ავტორის დამარცხება...

* * *

ხელოვნება უშრეტიაო, ისე როგორც ცხოვრება, უთქვამს რომენ როლანს და არაფერი გვაგრძნობინებსო ამას უკეთ, ვიდრე მუსიკა, ოკეანე მუსიკისა, რომლითაც აღსავსეაო საუკუნეები. თურმე, პითაგორა „მსოფლიო ჰარმონიაში“ მუსიკას განმარტავდა, როგორც ბგერათა რიცხობრივ შეთანაბრებას, ლაიბნიცი კი მას სულის საიდუმლო ვარჯიშს უწოდებდა.

* * *

თურმე...

ულამაზესი პანდორა უმშვენიერესი ყვავილებით შეამკეს... ცისიერთაგან, ადამიანებისათვის განკუთვნილი დაგმანული თიხის ყუთი, მისმა მოსულელო ქმარმა, პრომეთეს ძმამ, ეპითემემ, მისივე თხოვნით გახსნა. ალბათ, იმ ყუთში იქნებოდა კრიტა-იუგა, რომელიც ინდურ მითოსში სრულყოფილების ხანას ჰქვია და რომელიც ამოფრინდა და სადღაც შორს, უსაზღვროებაში, გადაიკარგა...

ყუთიდან ამოფრენილი ავადმყოფობები, გაჭირვებები დააბიჯებდნენ ქუჩიდან ქუჩაში, სახლიდან სახლში...

... და იმ ყუთიდან, დღესაც მოფრინავენ...

* * *

...განა გოეთე არ წერდა ქალბატონ ფონ-შტაინს მგრძნობიარე სიყვებს, ის სიყვარულს დილისა და საღამოს იმ ვარსკვლავებს ამგვანებდა, რომელიც მზის შემდეგ ჩადის და მზემდე ამოდის, თითქოს ჩრდილოეთის ვარსკვლავია, რომელიც არასდროს ჩადის და ჩვენს თავებს ზემოთ ნნავსო მარად ცოცხალ გვირგვინებს...

ბრძენი გოეთე ღმერთებს შესთხოვდა ცხოვრების გზაზე არ ჩაქრობოდა იგი...

... მაგრამ ჩაქრა...

სახელოვან ნაპოლეონს, ჟოზეფინასაგან მოშორებულს, მთელი სამყარო უდაბნოდ ეჩვენებოდა, სანამ მასზე დაქორწინდებოდა. ქალისადმი გაგზავნილ წერილში აღიარებდა, რომ მისთვის აბსოლუტურ ბედნიერებას სიყვარული წარმოადგენდა... უკვირდა, რა ჯადოთი შესძლო ქალმა დაემორჩილებინა მთელი მისი უნარი : „იმ დღეს, როცა ჩემი აღარ იქნები – სამყარო ჩემთვის მთელ თავის მშვენიერებას დაჰკარგავს...“

...მაგრამ სამყაროს არასდროს დაუკარგავს მშვენიერება...

* * *

იქნებ...

ისტორიას არ ჩაბარებია ჯერ კიდევ კლეოპატრას თავგანწირული სიყვარულის ამბავი, იქნებ ჯერ კიდევ არსებობენ კონსულ პეტის მეუღლის მსგავსი ქალები: „გადმოცემის თანახმად, ამ კაცს უძნელდებოდა თავის მოკვლა (რაც მას იმპერატორმა მიუსაჯა) და, აი, საყვარელი მამაკაცისთვის ნაბიჯის გასაადვილებლად ქალმა მას ქარქაშიდან ამოგლიჯა მახვილი, მის თვალწინვე დაიცა მკერდში და ვიდრე სულს განუტყევებდა, ასეთი სიტყვებით მიმართა თავის მეუღლეს: „პეტ, ეს სრულებით არ არის მტკივნეული“.

იქნებ... ოდესღაც, მართლაც ამშვენებდა ბაგინეთის სადედო მონასტერს მონაზვნად აღკვეცილი მშვენიერი შორენა, რომელიც სიყვარულის, ღალატისა და ცხოვრების ამაოების გამო, გადაეშვა ქარაფიდან და როგორც დიდი კონსტანტინე მოგვითხრობს: „ისე მხრებგაშლილი ნავიდა ძირს, როგორც გაფრენილ ანგელოსებს ხატავდნენ ხოლმე ფრესკის ოსტატები...“

* * *

ავსული ქარი სმენას მიხშობს... ქვითინებს იგი, ზოგჯერ იღლება თავანწყვეტილი, ქროლვით სიქაგაცლილი და წინააღმდეგობა ვერ გაუწევია იმისთვის, რაც მეძახის...

მიხმობს მარადიულობა ყოველივე ამაღლებულისა და მშვენიერებისა...

ვწერ...

ჩემ გვერდით ღმერთქალობამდე ამაღლებული პატარა, ნაზი, თეთრი დუმილის მიღმა სამყარო დასკუპებულა და მოთმინებით ელოდება ჩემგან სიტყვებს...

გარეთ სევდა შეპარვიათ ფოთლებს...

სადღაც დახატული ზღვა გადმოდის დუმილით ჩარჩობიდან და იატაკი სილურჯით იფარება... სადღაც, მზის დისკოდან, სიმწვანე იღვრება... სადღაც, ღვთაებას საყვედურობენ, რომ ქვეყანაზე მოავლინა...

სადღაც, ვიღაც, საკურთხეველს ჩუმად ეფერება...

სადღაც სანთელი იღვენთება და სათქმელს ვერ ამბობს
ბოლომდე „უთქმელობის დარდი აწვალებს...“

* * *

მეთორმეტე ღაპალაზა

ღიალოზი

მასწავლებელი – შენი ოცნება ცის ვარსკვლავსა ჰგავს,
მსგავსმა ფიქრებმა სად არ მატარა,
მასწავლებლობა მძიმე ტვირთია,
შენ კი მაინც გსურს, ჩემო პატარავ!..

მოსწავლე – გზებს უსხივოსნებთ ყველა აღსაზრდელს,
თითქოს ყოველი თქვენი შვილია,
ასე მიყვარდეს, მეც შემოძლია...
მასწავლებლობის არ მეშინია...

მასწავლებელი – ყველა მოსწავლე ვერ მიგიხვდება,
იქნებ, გაექცნენ შენს ლამაზ ფიქრებს
და წუთისოფლის ფართო შარაზე,
უმაღურებმა იარონ იქნებ...

მოსწავლე – ყველა ბრძენკაცის სიბრძნეს ვისესხებ,
ხშირად მოგბაძავთ, სხივების მსგავსო,
ღმერთს მაღლს შევწირავ, ვთხოვ დამეხმაროს
ჩემს მასწავლებელს რომ დამამსგავსოს.

მასწავლებელი – მე ყველაფერი ვერ მოვასწარი,
ხელიც შემშლია მიზნამდე სვლაში,
წამებს ვაჩერებ, მაინც გარბიან,
გამომერია ჭალარა თმაში...

მოსწავლე – ყველა ვერ აღწევს ოცნებას დიადს
დრო მიზნებს, თურმე, თოვლივით ადნობს,
ვეცდები ჩავწვდე თქვენს ლამაზ ფიქრებს
ვარსკვლავივით რომ აკვრია ტატნობს...

*...და მინდა გავხდე სწორედ ისეთი,
თქვენებრ მეგონოს:
ვერ მივაღწიე...
ვერ მოვახერხე...
ვერ მოვასწარი...
ჩემს აღსაზრდელებს.
თურმე, საკმაო,
ყურადღება რომ ვერ მივაქციე
მსურს რომ მოგბაძოთ,
ვიყო თქვენებრი,
თბილი გრძნობების დამტარებელი...*

*მასწავლებელი – გზებს დაგილოცავ, გზა მშვიდობისა,
ჩემო პატარა „მასწავლებელი“ ...*

** * **

მოძღვრისა და მონაფის ურთიერთობა, ქართულ ლიტერატურაში, პირველად, გიორგი მერჩულემ ასახა „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“.

გიორგი მერჩულისთვის, მოძღვარი, უპირველესად, ღვთიური მადლის გარდამომფენიაო და არა უბრალოდ, მიწიერი ცოდნის მომნიჭებელი...

** * **

„სახალხო მასწავლებლის“ წოდება ჰქონდა ცნობილ მწერალ ეგნატე ნინოშვილს...

** * **

თავისი ნიჭით, მასწავლებლობით, სემინარიას ასხივოსნებდა იაკობ გოგებაშვილი...

* * *

ახლაც კარგად ახსოვთ გენიოსი ვაჟა-ფშაველას მას-
ნავლებლობის წლები...

* * *

გენიალური სარდლის, მაკედონიის მეფის, ალექსანდრე
მაკედონელის მასწავლებელი, აღმზრდელი, გახლდათ არის-
ტოტელე. სარდლისა, რომელსაც გულით მსოფლიოს დაპ-
ყრობა სურდა და რომელიც ამბობდა: ბევრი მსხვერპლი მო-
ითხოვა ჩემმა საქმეებმა, მაგრამ ისინი ჟამთა და გარემოება-
თა შედეგია. თურმე, თავის სარდლებს მიმართავდა, როცა
მოკვდები, თქვენ ერთმანეთს დაჭამთ, ჩემს სამარეს ნაგავს
დააყრიან, მაგრამ ჟამთა ქარიშხალი გადახვეტავს და ბრძენ-
თა გოცუების ღირსი ჩემი საქმეები გამოჩნდებიანო...

* * *

დიდი ალექსანდრეს აღმზრდელის, არისტოტელეს, წე-
რილის შინაარსი, მიძღვნილი აღზრდილისადმი: არ ვიცი რა
ძალა მენწევა შენკენ, რაზედაც არ უნდა ვიფიქრო, ყველაფე-
რი მეჩვენება დიადი და საოცარი... ვერას ვხედავ (შენს მოქ-
მეებაში) დასავიწყებელს, დრო აქ ვერაფერს დაბურავს
ბინდით, რამეთუ სწავლების მშვენიერ რჩევებს მაყურებლად
ჰყავთ მარადისობა, ამიტომ ეცადე შენი ძალაუფლება აქციო
არა ქედმაღლობად, არამედ ქველ საქმეებად და სათნოებად,
რომელზე აღმატებულიც ქვეყნად არაფერია.

ადამიანს, ბუნებით მოკვდავს, გარდაუვალი სიკვდილის
შემდეგ, თავისი საქმეების წყალობით, შეუძლია უკვდავთა
ხსოვნა მოიპოვოს...

* * *

გალაკტიონზე...

„როგორც პატარა ბავშვი ვეებერთელა მონასტერს, ისე
ვუვლიდი გარშემო, და რაკი მონასტერს კარი ვერ ვუპოვნე,

ფეხის წვერებზე ვდგებოდი, რათა მაღალი სარკმლიდან მაინც მომეკრა თვალი, რა ხდებოდა კედლებს იქით...

ერთ მშვენიერ დღეს კი ამ ტაძარში აღმოვჩნდი და ეკლესიაში პირველად შესული ბიჭივით დავიბენი. როდესაც დავმშვიდდი და თვალი კედლებსა და თაღებს შევაჩვიე, გავოცდი: კვლავ ტაძრის წინ ვიდექი, ტაძარში ტაძარი დამხვდა.“

/ვ. ჯავახიძე, „უცნობი“/

* * *

გალაკტიონი თავის თავზე:

„ცხოვრება ჩემი უანკარეს ღვინის ფერია,
იგი ელვარებს, საბოლოოდ დაშრება ვიდრე
მასში დიდება პოეტისა მე დავიმკვიდრე,
რომლის გარეშე უკვდავებაც არაფერია...“

* * *

დღეები ბრუნავს ვით კამათელი,
და ყვავილების არის მრავლობა.
ჩემთვის დღესავით არის ნათელი,
რას იტყვის ჩემზე შთამომავლობა.

ნელინადები ნავლიან ძველნი,
შეიცვლებიან ქარით სიონი,
როგორც ერთია ქვეყანა მთელი,
ისე ერთია გალაკტიონი.“

* * *

„...გრანდიოზული სამგლოვიარო კორტეჟი მიაცილებდა მის კუბოს, თითქო მთელი ქალაქი ტორტმანებდა.

ქართველი მწერლები კოცნიდნენ მის ცხედარს, არვის წილად არ ხვდომია ამდენი ამბორი გარდაცვალების შემდეგ.

სამი დაკრძალვა მახსოვს ასეთი დიადი.

როცა სარაჯიშვილს ასაფლავებდნენ, ყველამ იცოდა, რომ ეთხოვებოდნენ სიმღერას.

როცა ნატო ვაჩნაძის ფერფლი ჩაატარეს მოედანზე, ვილაც უცხომ იკითხა, ვის ასაფლავებენო? მას ერთხმად უპასუხეს:

— სილამაზეს!

გალაკტიონ ტაბიძის დასაფლავება კი სიტყვის მუსიკის გამოტირება იყო“.

/ა. ბანერელია „ღერნამი და გოგელანი“/

* * *

ერთ-ერთი წიგნის წინასიტყვაობაში ნოდარ ტაბიძე გალაკტიონზე წერს: „ცხოვრობდა ჩვენ გვერდით კაცი — გამოცანა... დადიოდა თბილისის ქუჩებში კაცი ლეგენდა: ხან დაღვრემილი და მოცახცახე, ხან მხიარული და მოქილიკე, მაგრამ ყოველთვის „სავსე ქართული პატიოსნებით“. ავტორი იქვე დასძენს, რომ გალაკტიონის გამოჩენა ქუჩაში ქარაშოტის დაბერვას ჰგავდა. შეგვეძრავდა, გაგვამძაფრებდა და გაქრებოდა. გვიტოვებდა ათასგვარ საფიქრალს, უცნაურ მითქმა-მოთქმასა თუ გაოცებაში გადასულ ჭორებს. გალაკტიონს, თურმე, ყველაფერი პოეზიის სამსხვერპლოზე მიჰქონდა და თითქმის არაფერს არ იტოვებდა სხვა კერპებისთვის.

... ის ერთი იყო, ერთადერთი. აკი თვითონაც 1916 წელს ბრძანა: „როგორც ერთია ქვეყანა მთელი, ისე ერთია გალაკტიონი“.

გალაკტიონი სუნთქავდა, ცხოვრობდა ხელოვნებისადმი დიდი სიყვარულის გრძნობით:

„მოხდება ხოლმე, ცა მიზიდავს განუსაზღვრელი,
ვარსკვლავთა შორის, სხივთა ტბაში
არა მყავს ტოლი,
ვბრძანებ: ტყის შქერში გაჩუმდება
ნიავი ნელი.
ვიტყვი და თრთოლად გადიქცევა

ვერხვის ფოთოლი.
მზე ჩემთვის ბრწყინავს და მეფე ვარ
ყოვლისმოქმედი,
არე-მიდამო ნეტარების ცრემლით ივლება,
ჩემს ხელში არის მაშინ ჩემი
მძვინვარე ბედი,
ქვეყნად ყოველი არსის სული
მემორჩილება...“
/„შემოქმედება“/

* * *

ბოვარიზმი

„ჟიულ დე გოტიემ იმ ადამიანთა სულიერ მდგომარეობას, რომლებიც ცდილობენ „თავისი თავი წარმოიდგინონ სხვანაირად, ვიდრე სინამდვილეში არიან“, „ბოვარიზმი“ უწოდა. თითქმის ყოველი ადამიანის ხასიათში არს ცოტაოდენი „ბოვარიზმი“.

(ა. მორუა, „ლიტერატურული ეტიუდები“, თბ., 1988, გვ. 321)

„...ეს ქალი ცხოვრებისგან იმას კი არ ელის, რაც ცხოვრებას შეუძლია მას მისცეს, არამედ იმას, რასაც რომანისტიები, პოეტები, მხატვრები და მოგზაურობათა აღმწერნი ჰპირდებიან. მას სწამს ბედნიერება, არაჩვეულებრივი ვნებები და სიყვარულით თრობა, რადგან წიგნებში ამოკითხული ეს სიტყვები მას საუცხოოდ ეჩვენება. ქალს წაკითხული აქვს „პოლი და ვირჟინი“ და ხშირად ოცნებობს ბამბუკის პატარა ქოხზე. როცა ვალტერ სკოტი წაკითხა, ოცნებობდა სასახლეებზე, რომელთაც ქონგურებიანი კოშკები ამშვენებს. ემა თავის გარშემო ვერ ამჩნევს ნორმანდიული სოფლის ბუნების ნამდვილ სილამაზეს. სამყარო, რომელშიც მას ცხოვრება უნდა, ანრი რუსის სამყაროს ჰგავს“.

(გუსტავ ფლობერი „მადამ ბოვარი“)

* * *

შუამთის მონასტერში, ალექსანდრე ჭავჭავაძის საფლავზე, მარმარილოს ქვას აწერია: „თავადი ალექსანდრე ჭავჭავაძე მიიცვალა 2 წლისა 6 ნოემბერს ჩემვ წელსა. მწუხრსა განუსვენოს ტირილმან და ცისკარსა სიხარულმან.“

იგი მწუხრის ჟამს მოვიდა ქართული პოეზიის საკურთხეველთან, რომ ერისათვის ცისკრის გარდუვალობა ეუნყებინა.

ი. კენჭოშვილი

(ალექსანდრე ჭავჭავაძე, თხზულებები, თბ., 1986, გვ. 24)

* * *

გოთა

სიყვარული წიგნია, რომელსაც ყველა თვითონ წერს. იგი უნდა დანერო სუფთად, ფაქიზად, ლამაზად, სულიერი სითბოთი და ისე, რომ მერე არც ერთი ხაზის წაშლა არ დაგჭირდეს და თუ მაინც წაშლი რომელიმეს, გახსოვდეს: „ადამიანი დაბადებულია სიყვარულისთვის ბედნიერებისთვის, როგორც ჩიტი ფრენისთვის“ და კარგად დაიხსომე: „სიყვარულში ყოველდღიურად ყველაფერი ხელახლა დასაპყრობია.“

წარმოსახვა

კაცობრიობის სათავეებიდან, უხსოვარი დროიდან, მოაბიჯებს წარმოსახვა ბილიკებზე...

ერთი ნაბიჯი ხამურაბის კანონებიდან იწყება, მეორე — მოსეს სჯულიდან. ერთდროულად მონაცვლეობს ნაბიჯები ბილიკებზე. ის კი ორია...

... მოათრევს წარმოსახვა მარადიულ საკაცობრიო ტვირთს, „ეკლესიასტემ“ რომ გვიბოძა, როგორც უცვლელი ჭეშმარიტება: „ამაოება ამაოებათა და ყოველივე ამაო...“

ვინ არ იცის: „თაობა მიდის და თაობა მოდის, ეს ქვეყანა უცვლელია უკუნისამდე!“

... ესეც ეგვიპტე!..

ადგილი, სადაც სკოლისა და მასწავლებლის კულტი პირველად ჩამოყალიბდა...

თაობა მიდის... ეგვიპტელი, წასულთა ზნეობას, ოცი სავალდებულო ნორმის მიხედვით განსაზღვრავს;

„მე არ ჩამიდენია ბოროტება;

მე არ ჩამიდენია ცოდვა წმინდა ადგილას;

მე არ მიყვარდა მკრეხელობა;

მე არ დამიჩაგრავს სუსტი;

მე არ...“

ცოდნას, ზნეობრივ კოდექსს, ძველი ეპოქის ებრაელი, ქვეყნის ინტერესსა და ეთნიკურ ტრადიციებს უქვემდებარებს.

შუმერისათვის მასწავლებელი „სკოლის მამაა.“ ბერძენი პაიდეას ქმნის, საოცარ მოძღვრებას... ჰარმონიული, სრულყოფილი ადამიანის ჩამოყალიბებისათვის.

დიდი ჰომეროსის „ოდისეა“ და „ილიადა“ სულიერი საზრდოა ბერძენთათვის და არამარტო მათთვის.

სოკრატეს მიაჩნია, რომ არასაკმარისად ფლობს მასწავლებლობის ოსტატობას...

პლატონს არ შეუქმნია ახალი აღმზრდელობითი სისტემა, არსებული გაიაზრა... „სახელმწიფო“ და „კანონები“ — მისი ორი დიალოგი, აღმზრდელობით თეორიებს შეიცავს.

კონფუცი, ჩინეთის დიდი მოაზროვნე, ოცი წლის ასაკში მასწავლებელია...

... მოდის წარმოსახვა, მოაბიჯებს ბილიკებზე უხსოვარი დროიდან... და...

მოსწონს პრაქსიტელი, გენიალური ბერძენი მოქანდაკე, ლესინგის „ლაოკოონის“, შენიშვნებსა და კომენტარებში ლამაზად დახასიათებული. ის არის: „მარმარილოზე კვეთის უდიდესი ოსტატი ანტიკურ სამყაროში“, „ქალის სხეულის მომხიბლაობის აღმომჩენი“, „მისი აფროდიტე, ეტალონად ქცეული ნიმუშია მშვენიერებისა. ჰარმონიული ხაზების, ინდივიდუალური მშვენიერების, ღრმა ფსიქოლოგიური გამომხატველობის, ტექნიკური სრულყოფის უებრო ოსტატია...“

წარმოსახვას მოსწონს პაიდეა: „ეთიკური აღზრდის პრინციპების ერთობლიობა, რომელსაც ბერძენი ადამიანის ფორმირება ჰქონდა მიზნად...“ ჰარმონიული, სრულყოფილი ადამიანის ჩამოყალიბებისკენ მიმართული მოძღვრება...

... მოსწონს ოქროს კვეთა: „ჰარმონიული გაყოფა მთელისა, ისეთ ორ არატოლ ნაწილად, როდესაც მცირე ნაწილი ისე შეეფარდება დიდს, როგორც დიდი მთელს და პირიქით...“

წარმოსახვამ მასწავლებელი ფერწერის დიდოსტატს მიაშვავსა, ერთდროულად, ტილოზე, სიკეთისა და ბოროტების ერთი და იმავე ობიექტისაგან გამოსახვა რომ შეუძლია, როგორც ეს ლეონარდო და ვინჩი მოგაჩვენებდა.

„საიდუმლო სერობის“ შექმნისას, თურმე, მხატვარმა, სიკეთე — იესო ქრისტე გამოსახა, ტიპაჟი მომღერალთა გუნდიდან შერჩეული ერთ-ერთი ყმაწვილის სახე იყო. სამი წლის მერე, როცა თითქმის დაასრულა ნამუშევარი, იუდას სახისათვის მთვრალი, ბინძური ადამიანი შეურჩევია. გამოფხიზლებულმა კაცმა, სურათს რომ შეხედა, თქვა, ეს უკვე ნანახი მაქვსო... აღმოჩნდა, რომ ერთი და იმავე ადამიანის სახე გამოიყენა მხატვარმა სიკეთის — იესოსა და ბოროტების — იუდას სახის შესაქმნელად... ისიც გაუცნობიერებლად, უნებურად...

ერთი გენიალური ნაბი. ჯემალ ქარჩხაიის „იბი“

ეს გზა იმთავითვე იგისთვის იყო გამიზნული...“ აღმართისკენ, მზისკენ, უსაზღვროებისაკენ მიმავალისა და ფი-

ზიკურად დამარცხებულის, უკანასკნელი სხივოსანი გამოხედვა, ერთი გენიალური, შეჩერებული ნამია ჯემალ ქარჩხაძის მოთხრობის ფინალში. იგი, აგერ-აგერ, ქარაფიდან, სივრცეში განსხივებული, ამაღლებული სულით, უნდა გადაეშვას და ზეცისაკენ მარადიულად ასაფრენად გამზადებულ ფრესკას დაემსგავსოს. მისი შინაგანი სამყაროს უსასრულობაში ბედის რჩეულს, ზოგჯერ, ზეციდან ეპოქის მიერ მოქსოვილი დიდი ფერადი გობელენი გადმოჰყურებს, მიწიდან კი ცხოვრების მკაცრი კანონზომიერებები უმზერს. ის კი... ის, თითქოს, ქარაფის წვერზე მდგარი, პრაქსიტელის სრულყოფილი ქანდაკებაა, რომლის სახეზე ხელოვნების ძლევამოსილი უფლის კვერთხს ტანჯვის სილამაზე გამოუსახავს... და რომელსაც გალაკტიონის „მარმარილოს“ კიბეებით შეიძლება მიუახლოვდე, მერე კი იგრძნო, „რომ ახლოა ბედნიერება“... ის მიმზიდველი მარტოსულია. მოულოდნელი სასწაულებით დააჯილდოვა სამყაროს დიადმა სულმა, აგრძნობინა, რომ უფალი არსებობს და ყოვლისშემძლეა... რომ ბუნებას განუმეორებელი ხიბლი აქვს... რომ სული სამყაროშია განფენილი... სიყვარული შემოქმედების ესთეტიზმს გვაზიარებს და... გამორჩეულობა სიმარტოვეს გვაგრძნობინებს. ბედნიერი უბედურის სიკვდილი თავისუფალი ძლიერი სულის ნამიერი გაელვებაა სივრცეში, საიდანაც წარმართობის დიადი ღმერთი სხივებს გვიგზავნის. იგი... უცოდველი, ფრთამოტეხილი ანგელოზი, დაეშვა ქარაფიდან, შორეული და იდუმალი... სადღაც, ვილაცამ კი, ვილაცის ერთი სხივოსანი გამოხედვა, თითქოს ფირზე აღბეჭდა და, რატომღაც, ყველას გვისახსოვრა.

მოზაიკა

ფანჯრიდან ვხედავ წელმონწყვეტილი ქარი მიდის კვნესით, ზღაზვნით და მიაფრიალებს ქვაფენილზე დაცვენით ფოთლებს. დამნუხრებული ხეები თვალს აყოლებენ თავიანთი სამოსის უკანასკნელ ნაფლეთს და მნუხარებით იმტვრევენ ხელებს.

ოთახში, სათბურში გამოყვანილი ვარდები, მიხაკები, გვირილები მილიმიან ცივად... ცივად, მე არ მეკუთვნის, მათი ბრწყინვალეობა, მაინც მილიმიან...

გარეთ ქარი ღმუის... როცა ის უახლოვდება თავის საბრძანისს, რას არ აკეთებს... ხან ჩემს სევდიან ფიქრებს მი-აფარფატებს... სადღაც, ხანაც შმაგი და დაუდეგარი ბრუნ-დება სიხარულით და მეც გადამდებს თავის განწყობას... ვიცვლებით მე და ქარი, მე და ფიქრები, მე, ოთახი და ყვავი-ლები... ყველაფერი იცვლება ჩემ ირგვლივ... თუნდაც, აი, ის ცივი, ამაყი ვარდები ზემოდან რომ გადმომყურებენ... სანამ ამ სტრიქონებს დავასრულებდი, ბრწყინვალეობა დაკარგეს. ხვალ, ზეგ, ალბათ, ჩემი ოთახიც სულ სხვა ოთახით შეიც-ვლება, რადგან... ერთფეროვნება არც მე მიყვარს, არც ცხოვრებას, დრო მეფობსო, როგორც იტყვიან ხოლმე, და... მართლაც რომ მეფობს...

* * *

ქალწულებს ჰგვანან ხეები მარტის თვეში... ჩუმად, ფეხის ნვერებზე შემდგარი, ეპარება გაზაფხული თითოე-ულს და თრთიან ტოტები, ფოთლები, ყვავილები მტვრიანე-ბი, ნაზად, მოკრძალებით აყრიან ფერუმარილს ბალახებს... სტკივა მიწასაც... ათასმა ბალახმა დასერა მისი უზარმაზარი სხეული, უსუსური არსება მოერია და ამოხეთქა სიმწვანედ... ტყედატყე, მინდორველ განვნენ ცოცხალ-მკვდარი ძველი ბალახები ახლადმოვლენილთ ფეხქვეშ, უღონოდ... ამ ათას-ფრად აჭრელებულმა და ყველაფრის ფერშემცვლელმა ღმერთმა ყველას შეაყვარა თავი... აელენათ ლოყები ვარ-დებსა და ტიტებს... იას გვირგვინი უთრთის და კანკალებს... ნიავს ჩუმად მიაქვს ყვავილთა ფურცლები და თავისი სიშა-ვით გულმკვდარ ასფალტზე ყრის... ისიც ვარდისფერი, წი-თელი და თეთრი წინწკლებით მოხატულ კაბას ემსგავსება და უხარია, ყველაფერი ლამაზია...

დღეები ფეხადგმულნი მიდიან მრისხანე და ისევ ყვე-ლაფრის მცვლელი სხვა ღმერთისაკენ. შემდეგ... ყველაფერი განმეორდება ისევ... სულ სხვაგვარად, სხვა დროს.

ბოლოსიტყვაობის ნაცვლად

- გამარჯობა ინდიგო!..
- გამარჯობა!..
- მიხარია, რომ გამოჯანმრთელდი... დღეს ჩვენი ინდივიდუალური მეცადინეობის ბოლო დღეა... სად არის ოქროს ძაფი?..
- თქვენ გაინტერესებთ, ალბათ, გამომადგა თუ არა თქვენ მერე შესრულებული „დავალებები“...
- დიახ!..
- სიამოვნებით გისმენდით გაკვეთილებზე და ვკითხულობდი, მაგრამ ეჭვი შემეპარა, ასეთსავე ინტერესს სხვებიც თუ გამოავლენენ-მეთქი...
- რა მოიმოქმედე, ინდიგო?..
- გამომცემელს ჩავაბარე..
- ეს რატომ გააკეთე?
- ყოველთვის მომწონდა ჩესტერფილდის ისტორია, თავისი ვაჟიშვილისადმი გაგზავნილი, ჩვეულებრივი წერილები რომ წიგნი გახდა: „წერილები ვაჟიშვილს..“ ახლა თქვენს „დავალებებსაც“ სხვები წაიკითხავენ.
- ჩემი ნამუშევრები, ნებართვის გარეშე, რატომ წაიღე სხვაგან?
- „დავალებები“, შემოსასვლელში რომ მოვათავსე ავკინძე, ოქროს ძაფზე, იმ დღიდან აღარ არის თქვენი...
- მაშ, ვისია?!
- თქვენი მოსწავლის... აკი ჩემთვის, ჩემი დავალებით წერდით „ლიტერატურულ მოზაიკას“...
- შენ კი... სხვაგან რომ წაიღე?..
- არც ჩემი იყო და იმიტომ... შეგახსენებთ... ის ხომ ოქროს ძაფზე, შემოსასვლელში, ყველას დასანახად აიკინძა... ალბათ, განწირული ადამიანის სახე მაქვს...
- თქვენთვის არ წერდნენ?.. – მეკითხება ინდიგო. დაბნეული შევყურებ.
- ჩემთვის?..
- დიახ, თქვენც ხომ გყავდათ მასწავლებელი?
- როგორ არა, მაგრამ ლექტორი... თუმცა, არა, ცხოვრების მასწავლებელი... რომელიც წერს თავისი სტუდენტებისთვის და... ყველასთვის...

— ე.ი. ოქროს ძაფი კი არა, თქვენმა ლექტორმა, ოქროს ჯაჭვი აზიდა ცამდე... რომელსაც, ყველა, რასაკვირველია, ვერ შეწვდება...

— მაგრამ თვალის შევლებას შეძლებს... ვინ იცის, იქნებ, ოქროსფერში განსხეულებასაც...

2012 წელი

ს ა რ ჩ ე ვ ი

ყირამალა	4
კლასში.....	11
ღრუბლები	13
ქართული ცეკვა	16
რომანტიზმი და რეალობა.....	18
ავიანდება.....	20
ეკა	23
აფხაზეთში	26
ჩემი პატარა მეგობარი	27
მოთხრობები	
მარტოკაცის სამყარო	54
წვიმა	62
თავშესაფარი	68
ფრესკა ნანგრევებზე.....	79
ქვეყნიერების ხმა	83
დიდებულნი და მდაბიონი	86
ნუთუ?.....	114
მარია.....	117
ამონარიდები	
სერვანტესი. დონ კიხოტი	124
ტუგლასი	128
ჰაინე	128
ხუნ ძიჩენი	128
ძველი დღიურებიდან	
წარმოსახვა	162
ერთი გენიალური წამი ჯემალ ქარჩხაძის „იგი“	163
მოზაიკა	164
ბოლოსიტყვაობის ნაცვლად.....	166

წიგნის მხატვრული გაფორმება ეკუთვნის დავით აღმაშენებლის, გალაკტიონ ტაბიძისა და ვაჟა-ფშაველას პრემიების ლაურეატს, რეზო (ემელიანი) ადამიას

მხატვრობა

გარეკანზე „ მთვარიანი ღამე ტბასთან”

გრაფიკა:

1. „კლასში“
2. „ანა—პოეზიის დედოფალი“;
3. „აფხაზეთი“
4. „ ჩემი პატარა მეგობარი”.
5. „... სანამ მამალი იყივლებდეს...“;
6. სერვანტესის „დონ კისოტი“;
7. სურათი „მომავალი“ /გარეკანის III გვერდზე. ნუცუკო ყოლბაია/



დაიბეჭდა გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, ი. ჯავახიშვილის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge



ISBN 978-9941-17-851-1

